N21 (572) 26/V-1/VI-2011 ფასი 1 ლარი

# გზა



ჩემი რჩეული

ვაჟა-ფშაველა

ხუთტომეული

ტომი II

შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა" ერთად 6 ლარი ღირს

შემდეგ ვაჟა-ფშაველა ტომი III

## დაგვიანებული შურისძიება

„მეორადი ქალიშვილები"

ბაღში „გაფცქვნილი" პარტნიორები

პატიმრის მიერ შეცდენილი პოლიციელის ქალიშვილი

შეყვარებული და ბედნიერი მსახიობის გულახდილობა





ექსკლუზიური ინტერვიუ იაპონიის ელჩთან

უძველეს ქვებზე წინაპრების მიერ დატოვებული გაფრთხილება



„სამი გოგო ერთდროულად მიყვარდა"...

ყველა საყვარელი ქალი — ერთ ინტერვიუში



როგორ დაატყო ცოლმა ხელი დათო მესხიშვილს

პირდაპირ ეთერში გამხელილი სიყვარული

ISSN 1987 - 5029

## სამხედრო აღლუმი ტოტალიტარიზმის ატრიბუტი თუ დემოკრატიის ნიშანი?!

BRITISH CENTRE

www.britishcentre.ge



**ბრიტანული ცენტრის ახალი ფილიალი გაიხსნა ქუთაისში ტიციან ტაბიძის №1 და ქუთაისელებსაც ეძლევათ საშუალება შეისწავლონ ინგლისური 4-ჯერ უფრო სწრაფად.**

ქალანის მეთოდი არის სწრაფი, მხიარული და იოლი გზა ინგლისური ენის შესასწავლად, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტების სმენისა და სასაუბრო უნარ-ჩვევების გასაუმჯობესებლად.

**მეთოდი ეფექტურია** ყველა ასაკისა და განათლების მქონე სტუდენტისთვის. ის დაფუძნებულია ორ უმთავრეს კრიტერიუმზე: განმეორებასა და სწრაფ ტემპზე, რაც არის წარმატების გარანტი. ინგლისური ენის შესწავლისას სტუდენტებს ეხარჯებათ ნაკლები დრო და ფული, რადგან ისინი ინგლისურს შეისწავლიან 4-ჯერ უფრო სწრაფად სხვა მეთოდებთან შედარებით.

**ბრიტანულ ცენტრში** ყოველდღე გაიუმჯობესებთ გამოთქმას, ისწავლით ინგლისურ ენაზე მოსმენასა და მეტყველებას ჩვეულებრივ სასაუბრო ტემპში; ინტონაციასა და გრამატიკულ უნარ-ჩვევებს; სალაპარაკო გამოცდილებას ჯგუფური მუშაობის მეთოდით; სკოლა საშუალებას გაძლევთ, ჩაირიცხოთ როგორც დილის, ისე შუადღის და საღამოს ჯგუფებში.

**სწრაფი საუბარი:** მასწავლებელი პირველივე გაკვეთილიდან ელაპარაკება სტუდენტებს ინგლისურად სწრაფ ტემპში, რაც სტუდენტებს გაცილებით მობილიზებულს ხდის.

**საშინაო დავალებები:**

ქალანის მეთოდის მიხედვით სტუდენტებს თითქმის არ ეძლევათ საშინაო დავალებები. მაქსიმალური დატვირთვა ხდება გაკვეთილის მიმდინარეობის პროცესში.

**ექვსი საცდელი გაკვეთილი** სკოლაში ჩარიცხვამდე თქვენ შეგიძლიათ, უფასოდ დაესწროთ ექვს საცდელ გაკვეთილს.

ქ. თბილისი: რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
აღმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915 ჰაკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

ქ. ბათუმი: იმნაძის ქ. №2 ტელ: 7 31 22
ქ. ქუთაისი: ტიციან ტაბიძის №1 ტელ: 4-30-17

Elos სილამაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი



## სხეულზე პროცედურები

**Elos — ეპილაცია** წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სიწითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

## სახის პროცედურები

**Elos გაახალგაზრდავება** — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალებას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აკნეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს.
ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!

Oxford MEDICAL
PRIVATE CLINICS

ჩაეწერეთ უფასო კონსულტაციაზე

29 00 66 29 47 47

თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

# ახალი ესთეტიკური ცენტრი N-lines თქვენს სამსახურში



**თბილისში თენგიზ აბულაძის 30 ნომერში, კიდევ ერთი სილამაზის სახლი გაიხსნა. ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკური ცენტრი N-lines-ი დაინტერესებულ მომხმარებელს უამრავ საინტერესო მომსახურებას ხელმისაწვდომ ფასებში სთავაზობს. გაზაფხულდა და ზამთრის სიცივისგან შეწუხებული ქალბატონები, თავის მოვლას უფრო მეტ დროს უთმობენ, სწორედ ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ კლინიკა N-lines-ზე მოგვეყოლა და მის დამფუძნებელ ქალბატონ ნინო ჯავახიშვილს ვესაუბრეთ.**

**— ქალბატონო ნინო, თქვენი კლინიკა ქალბატონების გალამაზებას ემსახურება...**

— დიახ, რადგან სიბერე ძალიან ცუდი სიტყვაა, ლამაზად დაბერება კი — ყველა ქალბატონისთვის სასურველი მდგომარეობა. ჩვენი მთავარი მიზანია, რომ ადამიანმა თავისი სიმწიფის ყველაზე მაღალ მწვერვალში ღრმა ნაოჭების, პიგმენტური ლაქების, მოწყენილი თვალების, მოხრილი ხერხემლის, დაცვენილი თმის, გამომშრალი და დამჭკნარი კანის გარეშე, ლამაზად, ამაყად და ბედნიერად შეაღწიოს.

**— როგორ მიმართავდით თქვენს პოტენციურ მომხმარებლებს?**

— ძვირფასო ქალბატონებო, გახსოვდეთ, ქალს მხოლოდ სამი ასაკი აქვს: ბავშვობა, ახალგაზრდობა და მუდმივი ახალგაზრდობა. თუმცა ეს დევიზი მამაკაცებსაც ახალისებს. ნუ გამიწყრებიან, თუ მხოლოდ ქალებს მივმართავ, რადგან ჩვენ მუდმივად გვესაჭიროება ლამაზი, თბილი და გულწრფელი ქათინაურები. სწორედ ამიტომაც „ვიწამებთ" თავს. ხშირად ხუმრობით ჩემს კაბინეტს „ინკვიზიციის" ოთახს ვუწოდებ; სინამდვილეში, ეს ოთახი მხოლოდ სილამაზისა და ბედნიერების ოთახია. დიახ, ბედნიერი და მადლიერი პაციენტები, ჩემი თავდაუზოგავი შრომის, დაუსრულებელი ძიებისა და სიახლეების დანერგვის მოტივაციაა.

**— რა პროცედურები ტარდება თქვენს კლინიკაში?**

— კოსმეტოლოგია, ლაზერული ეპილაცია, ტანის კორექცია, თმის ცვენის მკურნალობა, ხელისა და ფეხის მოვლა.

**— შეგიძლიათ, თითოეულ პროცედურაზე მოკლედ გვესაუბროთ?**

— კოსმეტოლოგიით დავიწყებ.

1. ჩვენ ვმკურნალობთ და ლიკვიდაციას ვახდენთ, შემდეგი პრობლემების: აკნე, სებორეა, ვირუსული და პარაზიტული ინფექციები, პაპილომები, პიგმენტური ლაქები (ქლოაზრები), მეჭეჭები, კეთილთვისებიანი ხალები (მუქი ყავისფერი, წითელი, ბრტყელი), ქსანტელაზმები, მილიუმები (კანქვეშა ცხიმოვანი წარმონაქმნები).
2. ასაკოვანი კანის მოვლა: არასასურველი ღრმა ნაოჭების შევსება, წვრილხაზოვანი ბადის მოცილება, გრავიტაციული პტოზი, თვალის მიმდებარე ნაოჭების, შუბლის ჰორიზონტალური ნაოჭების, მიმიკური ნაოჭების, ტუჩის გარშემო ვერტიკალური ნაოჭების კორექტირება.



ტუჩის, წარბის, ყვრიმალების, ნიკაპის კორექცია.
ჩვენ ვიყენებთ შემდეგ მეთოდებს:
1. ოზონოთერაპია
2. მეზოთერაპია
3. ფილერები (შემავსებლები)
4. ბოტულინის ტოქსინი
5. პერმანენტული მაკიაჟი (ტატუაჟი)
6. სხვადასხვა სახის პილინგი — ღრმა ქიმიური, საშუალო, ზედაპირული
7. ინდივიდუალურად შერჩეული მკურნალობის კურსი
8. კრიოთერაპია (თხევადი აზოტი)
9. არასასურველი თმის მოცილება ეპილაცია — ელექტრო, თერმული კოაგულაციით (ნემსით).
10. აპარატურული კოსმეტოლოგია, ულტრაბგერითი მკურნალობა დარსონვალიზაციით იონოფორეზი, ფონოფორები.
11. სახის და დეკოლტეს ზონის სხვადასხვა ტიპის მასაჟი (კლასიკური, პლასტიკური, ჟაკე).

**— თუ არ ვცდები, თქვენს კლინიკაში მომხმარებელს პირსინგის გაკეთების ფუფუნებაც აქვს.**

— დიახ, ჩვენთან კეთდება პირსინგი: ჭიპზე, ცხვირზე, წარბზე, ყურზე... ასევე ვაკეთებთ წარბის კორექციას პინცეტით, ვაქსინგს (თმის მოცილება ცვილის საშუალებით სხვადასხვა ზონაში).

**— ლაზერულ ეპილაციაზე ვისაუბროთ.**

— მოგეხსენებათ, ალექსანდრიტის ლაზერის საშუალებით ეპილაცია უმტკივნეულო და ეფექტური საშუალებაა. რაც მთავარია, ჩვენთან ყველაზე ხელმისაწვდომი ფასებია.

ხელები — 30 ლ + იმპულსი – 6 თ.
ფეხები — 180 ლ (მუხლამდე 55 ლ)
იღლია — 45 ლ.
ტუჩი — 15 ლარი.
კისერი — იმპულსი — 60 თ.
ბიკინი — 45 ლ. + იმპულსე 60 თ.

**— დაბოლოს, ქალბატონო ნინო, რა არის მაინც სილამაზისთვის მთავარი?**

— გაინტერესებთ, სილამაზის და ახალგაზრდობის მთავარი ფორმულა? ურთიერთსიყვარული და კეთილგანწყობა გარშემო მყოფთა მიმართ. ნუ დაგენანებათ ღიმილი, კეთილი გრძნობები და სურვილები. გაეცით ბევრი სითბო და ის აუცილებლად დაგიბრუნდებათ.

**დამატებითი ინფორმაციისთვის ნინო ჯავახიშვილის ესთეტიკური ცენტრ Nlines-ს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ნომრებზე: 22-12-11, 51-99-71.**

# მხოლოდ 4 დღე!

# მხოლოდ წიგნის ფესტივალზე!




ეს აქციები ყველას ახსოვს
წიგნები პრესასთან ერთად
განსაკუთრებულ ფასად!
თუ რომელიმე ცალი
გამოგრჩათ, არ გამოტოვოთ
წიგნის ფესტივალი!
ყველა წიგნი
აქციის ფასად!
ასეთი შანსი ჯერ არ გქონიათ!

და სხვა...

**26-დან 29 მაისამდე!**

**„ექსპო ჯორჯია", მე-11 პავილიონი. „პალიტრა L" სტენდი.**

**წერეთლის გამზ. №118**

№21 (572)
26 მაისი —
1 ივნისი. 2011 წ.
ფასი 1 ლარი

კვირის პალიტრა
გზა

## ქვეყანა





### ობამა ბიონსეს ახალმა კლიპმა აღაფრთოვანა

აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა ბიონსეს ახალი კლიპით — Run The World აღფრთოვანებული დარჩა. „მისით ძალიან ვამაყობ, ის მშვენიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა ქალია და შეუძლია, მსოფლიოს ქალებისთვის სამაგალითოდ იქცეს“, — განაცხადა მიშელ ობამამ.

6


■ მინიატიურები 5
რევოლუცია არა, ისა!

■ ქრელი მსოფლიო 6

■ ხუთშაბათიდან ხუთშაბათამდე 7

■ რაკურსი 11

■ კრიმინალური ქრონიკა 12

■ წარმატება 13

■ მისია 14
რა განიცადა იაპონიის ელჩმა ცუნამის შეტყობისას და რა აოცებს ყველაზე მეტად ჩვენს პატარა ქვეყანაში

■ პროექტი 17
„გურჯი ხათუნი“ — „პალიტრა მედიის“ ახალი პროექტის „პირველი მერცხალი“

■ წყვილი 18
პირდაპირ ეთერში გამხელილი სიყვარული

■ პირადი ცხოვრება 20
„ხელოვნების ნიმუშები“ ზაზა იაქაშვილის ცხოვრებაში

■ ამალუა 22
როდის „მტრობენ“ ერთმანეთს ოთარ ტატიშვილი და ლევან ზაგაშვილი

■ ვარსკვლავები 24

■ გემოვნება 26
როდის გრძნობს თავს
შიშვლად ნინო კურატაშვილი


## სახე





### „ხელოვნების ნიმუშები“ ზაზა იაქაშვილის ცხოვრებაში

„სიყვარული იცი, რა არის? როცა ადამიანს თვალებში უყურებ და ამ დროს მთლიანად სავსე ხარ — მისი მზერის გარდა, არაფერი გინდა; როცა უყურებ, როგორ მიირთმევს საჭმელს და შენ ერთი ლუკმაც არ გადაგდის ყელში...“

20

27895

## ცხოვრება

### როგორია უჯაროდ დარჩენილი გენერლის ცოლობა...



67 წლის კაცი ვარ და 67 წუთიც არ მიცხოვრია ვინმეს იმედად. ყოველთვის საკუთარი თავისა და მარჯვენის იმედი მქონდა. მთელი ჩემი დღე და მოსწრება მიწას ვამუშავებ.

34

## გზა ვნილები

### როგორი ბიჭები იცვლიან შეყვარებულს ხშირ-ხშირად



„იცოდე, თუ იმ პოპულარულ ბიჭს არ შეეშვები, თავს ყულფში თავადვე გაყოფ. თუ უკვე თავში აუვარდა, დარწმუნებული ვარ, შენ ზედაც არ შემოგხედავს მანამ, ვიდრე მინიმუმ, მინისტრი ან შოუბიზნესის მოკაშკაშე ვარსკვლავი არ გახდები...“

66

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

■ ასპარეზი 28

ჩხუბი, რომელიც სულიერად აჯანსაღებს

■ ემიგრანტი 30

შუაგულ ევროპიდან — ხარაგაულის კულტურის სახლში

■ თემა 31

როცა ბავშვი მანიპულირების ინსტრუმენტად იქცევა

■ გვიმრავლოს! 34

■ მომლოცველები 36

წმინდა ნინოს წყალში „სამჯერ გაცოცხლებულები“ ანუ საქართველოს სიყვარული უკრაინულად

■ თინეიჯერული პონტები 37

■ ისტორიის ლაბირინთები 40

1918 წლის 26 მაისი და იმჟამინდელი ევროპა

■ ავტო 44

■ ერუდიტი 46

■ საკითხავი ქალებისათვის 48

■ ჯანმრთელობა 50

წონაში მატება გსურთ?..

■ წვეთი პოეზია 52

■ რეალური 53

მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)

■ მისტიკური დეტექტივი 56

რუსუდან ბერიძე. ხაფანგი (გაგრძელება)

■ რომანი 60

სვეტა კვარაცხელია. ნაადრევი ენძელები (გაგრძელება)

■ გზავნილები 64

დაგვიანებული შურისძიება

■ ყველა ერთისათვის 66

■ მობილი-ზაცია 68

■ სამყარო 76

■ გასართობი 78

■ ასტროლოგია 80

■ სკანვორდი 81

■ საფირმო კროსვორდი 82


## სამყარო



### 1918 წლის 26 მაისი და იმჟამინდელი ევროპა

ქართველი ერის ისტორიაში ეს უდავოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმხანად არც ერთი ქართული პოლიტიკური პარტია დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად მზად არ იყო.

40

## ბიბლუსი



### ხაფანგი



ორდენიძემ მაგიდის უჯრიდან იონა იოსებიძის დღიური ამოიღო და მონიშნულ გვერდზე გადაშალა, მაგრამ ერთი გვერდის წაკითხვაც კი ვერ მოასწრო, რომ კაბინეტში ისევ ანდრომ შეყო თავი:

— პრობლემა გვაქვს, შეფ.

56

## ტაიმ-აუტი



### სამყაროს სუსტი სქესი მართავს

მერი მაკელისი თავისი ქვეყნის ისტორიაში მეორე ქალი-პრეზიდენტია, რომელმაც ხელისუფლება ასევე ქალბატონისგან — მერი რობინსონისგან ჩაიბარა.

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
პასუხისმგებელი რედაქტორი: მარი ჯაფარიძე
მენეჯერი: მათე კბილაძე

დიზაინი: ანა უთურგაიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.



# რევოლუცია არა, ისა!

**შესავლის ნაცვლად** დღეს 26 მაისია, გილოცავთ, ოღონდ მაინტერესებს, ამ მილოცვას რა ხასიათზე მყოფი ხვდება საქართველო — მე ხომ სამშაბათს, 24-ში ვწერ ამ „პროვოკაციას“ და არ ვიცი, თქვენ რომელ საქართველოში წაიკითხავთ მას — „სახალხოკრებისტულ“-გაპრესისთავისუფლებულ-გადემოკრატიულებულ-გაეროვნებულ-ბურჯანაძისტულ-კდემამოსილში, თუ ისევ „ნაცმოძრაობისტულ“-დემოკრატიისშუქურისტულ-ისტორიაშვიდიწლისწინდაწყებულისტურ-მსოფლიოშიყველაფერშიპირველისტურ-მიშისტურ-ძალიანმაგრულში?!

ვერც იმას ვისმენ, — „ბელა ჩაოს“ ღიღინებთ, თუ „მიშა მაგარიას“?..

მე კი სულაც არ „მეღიღინება“ — აგერ, ამწუთას სოზარ სუბარმა ბრიფინგზე ბრძანა, — ირაკლი ოქრუაშვილი აღარ ჩამოვა, ძლივს გადავარწმუნეთ, იწევდა ჩამოსასვლელად, მაგრამ პარტიამ უბრძანა და დაგვმორჩილდაო!..

ეეეჰ, მგონი ვხვდები, — „ბელა ჩაოს“ კი არა, იმას მღერით, მეორეს...

ისე, რო ვცდებოდე?! ქართული პარტიის (თუ „ქართული პარტიის“, თუ „ქართული“ პარტიის, ან იქნებ სულაც „ქართული“ „პარტიის“) ზემოთ ხსენებული განცხადება „ოქრობიჭის“ აღარჩამოსვლის შესახებ ტაქტიკური სვლა რომ იყოს მტრების დასაბნევად და ყურადღების მოსადუნებლად (ჰმ, მაგ 26-ში მართლა თუ უკვე ჩამოსულია და მიშაც გაქცეული, „გამაოქროსბიჭებს“ კარგად)?!

მიშამ, მაგალითად, 26-ში დილას ჩამოვალ უნგრეთიდანო და აგერ, ამ დილას ჩამოფრინდა — ეტყობა, „ვერ გაქაჩა“ უნგრეთმა. ისე, მეც ნამყოფი ვარ უნგრეთში — ბუდაპეშტი ლამაზია, მაგრამ ქალები მეც არ მომეწონა (ისედაც მიშისტობას მაბრალებენ ამ ბოლო დროს და ახლა ამასაც მომამატებენ ბრალდებად — ქალებშიც ერთნაირი გემოვნება გაქვთო. არ დაიჯეროთ — არც ერთი ჩვენი მინისტრი და მინისტრის მოადგილე ქალი არ მომწონს. არც კაცი).

ქალები რა შუაშიაო? — იკითხავს ვინმე ინტრიგანი და იმ შუაშია, რომ უნგრეთიდან უკრაინაში გამოიარა, არც პრეზიდენტს შეხვედრია იქ, არც — პრემიერს და არც — იულია ტიმოშენკოს (მით უმეტეს, რომ ეს უკანასკნელი დღეს სამართალდამცავებმა დააკავეს). მხოლოდ ეგ იყო — ინტერვიუ მისცა ერთ-ერთ რიგით უკრაინულ არხს, მაგრამ არა მგონია, რომ ამისთვის პრეზიდენტი უნდა ხლებოდა ჟურნალისტს... ვაჰ, თქვენც გაგახსენდათ, ხო?! აი, ძველთაძველი ანეკდოტი როა, — მარო, მოემზადე, ინტერვიუ უნდა მისცეო!..

მოიცათ! აი, ოქრუაშვილის განცხადება დაიდო ინტერნეტში! რაო?! ციტირებას ვახდენ (თუმცა, სანამ ამას წაიკითხავთ, ალბათ, ათასჯერ გაიმეორებენ): „ძალიან მიჭირს ახლა საუბარი, დანა რომ დამარტყათ, სისხლი არ გამომივა...“ ბურჯანაძის ბრალიაო... მაგისთვის (და მაგისიანებისთვის) პოლიტიკა ბიზნესიაო... აწი, აღარავის არაფერს ვკითხავო... ეეე, კარგი, რა — თუ მოდიხარ, მოდი, თორე, აწი შენ გგონია, შენ გკითხავენ რამეს?!

მოკლედ, საბოლოო რისკზე მივდივარ და წინასწარ ვაცხადებ — მგონი, ჩაისვარეს! მაგრამ თუკი ასე არ მოხდა და თქვენ „ახალ საქართველოში“ ცხოვრობთ, მკითხველო, ჩემი გულისთვის მთელ ტირაჟს არავინ დაბეჭდავს თავიდან და მომიწევს იატაკქვეშეთში გადასვლა და მართლა „გამიშისტება“.

ისე, მე ჭკუა ვერ ვისწავლე, რა — აქეთ ესენი მწამებენ „პროპრეზიდენტულობას“, იქით ის „ნაცბანდა“ მიყურებს ალმაცერად. რა მრჯის, რა მატლიკინებს?! აგერ ქართველი პოპმომღერლები, მეჭრთამე ფეხბურთელები, ზოგიერთი „ზემოდან ნებადართული“ საკრიტიკო თემა, პუტინი, ობამა... — წერე და იყავი ტკბილად, რა! ყველამ მე როგორ უნდა მაჯობოს ჭკუით?!

აი, თუნდაც ქრისტიან-დემოკრატები — ა, ძმაო, ხალხი! დადიან „დაბანილ-დავარცხნილები“, „ოპოზიციურები“, მაგრამ „კონსტრუქციულები“, „ყელშიჰალსტუხმიჭყლეტილები“ და ყველაზე მეტად რა მიკვირს, იცით? ეს ე.წ. შეურიგებელი ოპოზიცია ვერ ხვდება, რომ ხალხს ასეთები უფრო მოსწონს? რატომ ჰგონიათ, რომ ყველა სოციოლოგიური გამოკითხვა ბლეფია და თარგამაძის პარტიას (თუ რაც ჰქვია) მართლა არ უჭერს მხარს იმდენი ხალხი, რამდენიც მთელ დანარჩენ ოპოზიციას ერთად?!

ამიტომ, აალაგეთ ახლა ეგ ნაგავი მანდედან, წადით, დაისვენეთ, მერე გახდით კონსტრუქციულები, რესპექტაბელურები,



ცოტა პარლამენტშიც შედით, ცოტა მიშასაც მიეფერეთ და იქნებ რამე გამოვიდეს — ხომ ხედავთ, ამ ხალხს მოსწონს ასე ცხოვრება! გამომიხვედით თქვენც თუთაშხიები — ხომ მოხვდათ მოსახვედრი მაგას და მის ძმაკაცს?! მოგვეშვით, რა — „გვევასება“ ეს სეთური და რა გინდათ?! ლამაზია, მაღალი და თვითმფრინავის „ტარება“ იცის!

**P.S.** ზამბია — არის ასეთი ქვეყანა აფრიკაში. რასისტი არ ვარ, მაგრამ აფრიკელებთან ბოდიში და, მაინც მგონია, რომ დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების „ამბავში“, საქართველო ცოტათი წინ მაინც უნდა იყოს ზამბიასთან შედარებით.

ჰოდა, ამ აფრიკულ ზამბიაში პარლამენტიც ჰყოლიათ, ხუთი პარტიაც ყოფილა იმ პარლამენტში და არც ერთ მათგანს 26%-ზე მეტი ადგილი არ ჰქონია იქ — ეძახე ახლა ზამბია.

P.P.S. **უი, მართლა, „სიკვდილსაც დავიწყებია“ — ნოღაიდელი სად არის, ხომ არავინ იცით?..**

***პროვოკატორი***

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com



# ქვეყანა

## ბრიტანეთი ერაყიდან გადის



„დიდმა ბრიტანეთმა ერაყის ომში რვაწლიანი მონაწილეობა დაასრულა — ბრიტანელი ჯარისკაცები სახლში დაბრუნდნენ“, — განაცხადა ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრმა ლიამ ფოქსმა. ამჟამად ერაყში 170 ბრიტანელი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი რჩება. ისინი ერაყის საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეებს უტარებენ მეცადინეობებს. 2003 წელს ოპერაციის ფარგლებში, დიდმა ბრიტანეთმა ერაყში 46 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი შეიყვანა. არმიის დიდმა ნაწილმა ქვეყანა ჯერ კიდევ 2009 წელს დატოვა. ოპერაციის დროს ბრიტანეთმა ერაყში 178 სამხედრო მოსამსახურე და თავდაცვის სამინისტროს ერთი სამოქალაქო ჩინოვნიკი დაკარგა. ■

## ობამა ბიონსეს ახალმა კლიპმა აღაფრთოვანა

აშშ-ის პირველი ლედი მიშელ ობამა ბიონსეს ახალი კლიპით — Run The World აღფრთოვანებული დარჩა. „მისით ძალიან ვამაყობ, ის მშვენიერი, ნიჭიერი ახალგაზრდა ქალია და შეუძლია, მსოფლიოს ქალებისთვის სამაგალითოდ იქცეს“, — განაცხადა მიშელ ობამამ. შეგახსენებთ, რომ ბიონსემ დაჯილდოების ცერემონიაზე Billboard Music Awards -2011 ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის „ათასწლეულის ჯილდო“ მიიღო. სწორედ ამ ცერემონიაზე უჩვენეს მისი კლიპიც, რომელმაც პირველი ლედი აღაფრთოვანა. ლაპარაკი იმ ვიდეორგოლზეა, სადაც ვარსკვლავმა „თბილისი-ცხინვალი-გორის“ ტრაფარეტი გამოიყენა. ■



## იულია ტიმოშენკო დააკავეს

პეჩორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამართალდამცავებმა უკრაინის ყოფილი პრემიერ-მინისტრი იულია ტიმოშენკო დააკავეს. სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელის — ოლეგ პუშკარის თქმით, გენერალური პროკურატურის გამომძიებელმა სასამართლოს იმის გამო მიმართა, რომ ტიმოშენკო გამოძიებას ხელს უშლიდა. ექსპრემიერი სასამართლოში ბადრაგის თანხლებით მიიყვანეს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე 480 მილიონი ევროს არამიზნობრივად ხარჯვის ბრალდებით აღიძრა. ■


რადიო თავისუფლება

უსმინეთ პროგრამას
„თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება
— რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა,
საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge


## აბრამოვიჩმა მიტოვებული სობჩაკი დაამშვიდა

რუსი ტელეწამყვანი ქსენია სობჩაკი, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატ სერგეი კაპკოვთან დაშორებიდან ერთი კვირის შემდეგ, კანში გაემგზავრა. ტელეწამყვანი თავის მეგობარს — მილიარდერ რომან აბრამოვიჩს იახტაზე ესტუმრა, რომელიც ამჟამად კანის ლაჟვარდოვან სანაპიროზეა გაჩერებული. ქსენია „გლამურულ“ წვეულებებს სისტემატურად სტუმრობს და შესანიშნავად გამოიყურება. ამბობენ, რომ ის კანში ახალი ოლიგარქის საძებნელად ჩავიდა. ტელეწამყვანმა დეპუტატ კაპკოვთან ერთი წელი იცხოვრა. პრესაში არაერთხელ გავრცელებულა ინფორმაცია ქსენიას ფეხმძიმობისა და წყვილის მოსალოდნელი ქორწინების შესახებ. ქალ-ვაჟი ფსიქოლოგთან სპეციალურ კურსსაც გადიოდა, თუმცა ურთიერთობის შენარჩუნებაში მას ესეც ვერ დაეხმარა. დაშორების ინიციატორი კაპკოვი იყო. თავის ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში ქსენიამ განაცხადა, რომ კაპკოვს მეუღლეობისთვის ღირსეულ კანდიდატად არ მიიჩნევდა. ■



# სამხედრო აღლუმი — ტოტალიტარიზმის ატრიბუტი თუ დემოკრატიის ნიშანი?!

**26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 20 წლისთავი ქალაქის ცენტრალურ მოედანზე სამხედრო აღლუმით აღინიშნება. ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა. ასოციაციის — „სამართალი და თავისუფლება“ დირექტორი ირაკლი სესიაშვილი აცხადებს, რომ სამხედრო აღლუმი არა დემოკრატიული, არამედ ტოტალიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელი აქციაა...**

*ლალი პაპასკირი*



— მერამდენე წელია, ვუკიჟინებ ხელისუფლებას — ფორმა, რომელსაც ის დამოუკიდებლობის აღსანიშნავად იყენებს, დემოკრატიული ქვეყნისთვის მიუღებელია. ეს არის საბჭოთა პერიოდსა და „ცივი ომის“ ეპოქაში დაბრუნების მცდელობა, როცა ხელისუფლება ძალის დემონსტრირებას ახდენდა და ტოტალიტარული რეჟიმის მიმართ შიშს ნერგავდა. ახლაც იგივე ხდება — შეიარაღებული ძალების წარმოჩენით, მიხეილ სააკაშვილი საკუთარი უძლეველობის დემონსტრირებას ცდილობს... უკვე წლებია, აღლუმები დემოკრატიულ ქვეყნებში აღარ იმართება, სამაგიეროდ, პაკისტანში, ინდოეთში, რუსეთსა და აფრიკის ქვეყნებში სამხედრო აღლუმს მასშტაბური სახე აქვს... მაშინ, როცა დემოკრატიულ ქვეყნებს ვბაძავთ, ძალის დემონსტრირება კარგს არაფერს მოგვიტანს... ამ საკითხს არაპოლიტიკური თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ, პირადად მე, როგორც ერთი ჩვეულებრივი ქართველი, ვერ ვგრძნობ, რომ 26 მაისი — სახალხო დღესასწაულია. არადა, ხელისუფლება თავად უნდა იყოს დაინტერესებული იმით, რომ საზეიმო განწყობილება შექმნას და საზოგადოება ამ დღესასწაულის არა მაყურებლად, არამედ მონაწილედ აქციოს. ამისთვის კი სამხედრო აღლუმი სულაც არ არის საჭირო.

— **თქვენი აზრით, მაშ რა ფორმით უნდა აღინიშნოს?**

— ეს უნდა იყო სახალხო დღესასწაული, სადაც სამხედრო მოსამსახურეები მონაწილეობენ, მაგრამ ისინი ხალხისგან იზოლირებული კი არ უნდა იყვნენ, არამედ საშუალება უნდა ჰქონდეთ, თავიანთ ოჯახის წევრებსა და საყვარელ ადამიანებს შეხვდნენ. ამ დღეს უფასოდ დასვენების საშუალება უნდა ჰქონდეთ... დასავლეთ ევროპაში, სადაც მოჩვენებითი კი არა, ნამდვილი დემოკრატიაა, ქვეყნის დამოუკიდებლობის დღეს, სადღესასწაულო შოუს სახე აქვს. იქაც გამოჰყავთ ძველი და თანამედროვე სამხედრო ტექნიკა, იმართება გამოფენები, მაგრამ იქ მისულ ადამიანებს დღესასწაულის მონაწილეებთან თავისუფლად მისვლისა და გასაუბრების საშუალება აქვთ. იტალიაში ტრადიციულ სამოსში ჩაცმულები გამოდიან, მუსიკა უკრავს და გარშემო სასიამოვნო გარემოა. მონაწილეების გამოსვლა თეატრალიზებულია და საინტერესო სანახაობას წარმოადგენს. ადგილობრივებსა და ტურისტებს იქ გამოტანილი იარაღის დათვალიერება და სამხედრო მანქანებში ჩასხდომაც კი შეუძლიათ. რაც მთავარია, იქაურობა შემოღობილი არ არის... საქართველოში კი გადაკეტავენ რუსთაველის გამზირს, ღობის მიღმა იმათ შეუშვებენ, ვინც თვითონ უნდათ, საზოგადოება კი შორიდან აყოლებს თვალს, თუ როგორ ჩამოატარებენ სატვირთო მანქანებს...

— **როგორ — სატვირთო მანქანებს?..**

— ასეა — წინა წლებში სატვირთო მანქანები და ჯავშანტექნიკა ჩამოატარეს... კი, ბატონო, ყველაფერი გამოფინონ, მაგრამ ამით ვის რას ვუმტკიცებთ?!. ეს ყველაფერი რამდენიმე ადამიანისთვის არის განკუთვნილი; შემდეგ, აღლუმს ჩაიბარებს პრეზიდენტი, რომელიც მოგვახსენებს, — თურმე რა კარგი და ყოჩაღი ხელისუფლება გვყოლია და დღესასწაულიც ამით მთავრდება...

— **აღლუმზე სამხედრო ფორმაში ჩაცმული „სუხიშვილების“ მოცეკვავეებიც გამოვლენ...**

— დიახ, როგორც ამბობენ, მათ ცეკვაში ხორუმის ელემენტებიც იქნება. თვითმფრინავების გადაფრენაც ძალიან ლამაზი სანახაობაა, მაგრამ რა საჭიროა ამისთვის ცენტრალური გამზირის გადაკეტვა? ხომ შეიძლება, ღონისძიება ვაკის პარკში ან სადმე სხვაგან ჩატარდეს?!.

— **ბატონო ირაკლი, ამ აღლუმზე ქართული წარმოების ჯავშანმანქანას — „დიდგორსაც“ წარმოგვიდგენენ...**

— მივესალმები იმ ფაქტს, რომ სამხედრო მრეწველობის სფეროში ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ სხვა საკითხია, რამდენად რაციონალურია ამ მანქანების წარმოება. თუ საქართველოს შეიარაღებული ძალებისთვის 30 ცალი საკმარისია და ამის გამო ქარხანას ამუშავებენ, რა აზრი აქვს?.. ვინმემ გამოთვალა, რა ჯდება მისი წარმოება და როგორი ტექნიკური მონაცემები აქვს?!. ■

**რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და ხელოვნური განაყოფიერების კლინიკა „ინ ვიტრო“**

გთავაზობთ სამედიცინო მომსახურების ფართო არჩევანს: უშვილობის მკურნალობა (როგორც ქალთა, ასევე მამაკაცთა), IVF „ინ ვიტრო“ განაყოფიერება, ICSI - ინტრაციტოპლაზმური სპერმის ინექცია, TESA - ტესტიკულური სპერმის ექსტრაქცია, დონაცია-სუროგაციის პროგრამა, საშვილოსნოსშიდა ინსემინაცია, ემბრიონების კრიოპრეზერვაცია, ბლასტოცისტის კულტივაცია, გინეკოლოგიურ დაავადებათა სკრინინგი და მკურნალობა და სხვა. თქვენს განკარგულებაშია უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი კვლევითი ლაბორატორია.

მისამართი: ლუბლიანას 2 / 6
ტელ: 15 77 77. 8 (68)405050
e-mail: info@invitro.ge
ვებ-გვერდი: invitro.ge

# ბურჯანაძემ ოქრუაშვილს მხდალი უწოდა



„სამწუხაროა, რომ საქართველოში მამაკაცებს არ ჰყოფნით ვაჟკაცობა, თავის გადაწყვეტილებებზე თავად აგონ პასუხი, გადაწყვეტილებები ან არ განაცხადონ, ან ბოლომდე მიიყვანონ და ყოველთვის პოულობენ ვინმეს, ვისაც შეუძლიათ გადააბრალონ თავიანთი სიმხდალე და სისუსტე", — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ მას შემდეგ, რაც ირაკლი ოქრუაშვილმა საქართველოში ჩამოსვლა გადაიფიქრა. ბურჯანაძე ამბობს, რომ მას აინტერესებდა, როგორ ჩამოვიდოდა ოქრუაშვილი საქართველოში — ძალისმიერი მეთოდით თუ მშვიდობიანად. „ლევან გაჩეჩილაძესა და სოზარ სუბარს ვკითხე. მათ მითხრეს, რომ ოქრუაშვილის გეგმების შესახებ არაფერი იციან. ჩემი შეკითხვა იყო ერთადერთი — როგორ აპირებს ოქრუაშვილი ჩამოსვლას, მშვიდობიანად, როგორც პოლიტიკოსი, თუ აპირებს ცხინვალიდან ან საიდანღაც შემოსვლას და ძალისმიერი მეთოდების გამოყენებას? „მაესტროში" მან განაცხადა, რომ ყველა მეთოდით აპირებს ბრძოლას. საქართველოში არ აღმოჩნდება არც ერთი ჭკუათამყოფელი ადამიანი, რომელიც იტყვის, რომ ეს კითხვები არ უნდა დამესვა", — აღნიშნა ბურჯანაძემ. „ქართული პარტიის" ლიდერების თქმით, ოქრუაშვილმა საქართველოში ჩამოსვლა „სახალხო კრებასთან" პოზიციების შეუთანხმებლობის გამო გადაიფიქრა. ■




# ტუღუში მოძალადეების დასჯას მოითხოვს



სახალხო დამცველის აპარატი საპროტესტო აქციებზე მომხდარი ინციდენტების გამოძიებას მოითხოვს. გიორგი ტუღუშის თქმით, მისი წარმომადგენლები უკვე შეხვდნენ აქციის მონაწილეებსაც და დაკავებულებსაც. „მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ვის წინააღმდეგ გამოიყენებს ძალადობას. არც ერთი მომხდარი ფაქტი რეაგირების გარეშე არ უნდა დარჩეს და დამნაშავეები უნდა დაისაჯონ", — აღნიშნავს ტუღუში და დასძენს, რომ ბოლო დღეებში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს სახალხო დამცველის 2011 წლის ანგარიშში აუცილებლად ასახავს. ■

# აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტს ანქვაბი ცვლის

„რია ნოვოსტის" ინფორმაციით, აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელი, სერგეი ბაღაფში ჯანმრთელობის გაუარესების გამო, დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევს და მის მაგივრად პრეზიდენტის ფუნქციას სეპარატისტთა ვიცე-პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი ასრულებს. როგორც გაირკვა, ბაღაფშს გაუკეთეს ოპერაცია მარჯვენა ფილტვზე. ■



# „ბელა, ჩაო" თუ „ნინო, ჩაო"?..

„დარწმუნებული ვარ, რომ ის იტალიური სიმღერა, რომელიც აქციებზე ისმის — „ბელა, ჩაო" — მცირედით ტრანსფორმირდება და გადაიქცევა „ნინო, ჩაოდ", — აღნიშნა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ნუგზარ წიკლაურმა. მისი თქმით, „პურის პრინცესას" უპასუხისმგებლო და ექსტრემისტულ ქმედებებს ძალიან მალე მოეღება ბოლო და გზა ცივილიზებული ოპონირების პროცესსა და არჩევნებს გაეხსნება. ■

# ბინ ლადენი ნარკომანი ყოფილა

„ბინ ლადენი „მოსიარულე გვამი" იყო" — ასეთი დასკვნა ოთხმა პათოლოგანატომმა ნომერ პირველი ტერორისტის გვამის გაკვეთის შემდეგ გააკეთა. მათი თქმით, ბინ ლადენს გული აწუხებდა, თირკმლები ქრონიკული დაავადების გამო განადგურებული ჰქონდა, დაზიანებულ თირკმლებში კი კისტა აღმოაჩნდა. ექიმების დასკვნით, „ალ-ქაიდას" ლიდერს 1 წლის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი. პათოლოგანატომთა დასკვნის მიხედვით, ბინ ლადენს ხელებზე აშკარად ეტყობოდა, რომ ის ნარკოტიკების აქტიური მომხმარებელი იყო. ნანემსრების კვალი ფეხებზეც კი აღმოაჩნდა. გარდა ამისა, ტერორისტი დიაბეტითაც იყო დაავადებული. ■



# ისტორიული სამართლიანობის აღდგენა — რუსეთთან დაპირისპირების ფასად

**„ჩვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯს შესაძლოა, კავკასიაში გეოპოლიტიკური ძვრები მოჰყვეს“, — ეს განცხადება ექსპერტმა კავკასიის საკითხებში, მამუკა არეშიძემ მას შემდეგ გააკეთა, რაც საქართველოს პარლამენტმა რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზთა გენოციდის აღიარების შესახებ რეზოლუცია დაამტკიცა. რეზოლუციის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ითვალისწინებს ჩერქეზების მიმართ რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას რუსეთ-კავკასიის ომის დროს (1763-1864 წლები), როდესაც რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობამ წინასწარ დაგეგმა და განახორციელა ჩერქეზული ტერიტორიების ეთნიკური ნიშნით წმენდა, ხოლო მათგან დაცარიელებულ ტერიტორიებზე მიზანმიმართულად მოხდა სხვა ეთნიკური ჯგუფების ჩასახლება.**

**რა ტიპის გეოპოლიტიკური ძვრები შეიძლება მოჰყვეს ამ გადაწყვეტილებას? — ამის გარკვევას მამუკა არეშიძესთან საუბრისას შევეცადეთ.**

*ხათუნა ბახტურიძე*



**— ბატონო მამუკა, ეთანხმებით თუ არა საპარლამენტო უმრავლესობის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ რეზოლუცია ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ემსახურება?**

— საქართველომ მართლაც, გამოიჩინა პოლიტიკური ნება, ჩაბმულიყო ისტორიული სამართლიანობის აღდგენისთვის ბრძოლაში. რუსეთმა ნამდვილად განახორციელა გენოციდი, ჩერქეზი ერის დაახლოებით 95% ფიზიკურად გაანადგურა ან სამშობლოდან განდევნა, ტერიტორია კი საკუთარ იმპერიას მიუერთა. კავკასიაში დარჩენილი ჩერქეზები 3 სხვადასხვა ერად დაყო — ადიღებად, ყაბარდოელებად და ჩერქეზებად. დღეს ეს ხალხი რუსეთის 4 რეგიონში ცხოვრობს (ადიღე, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩაეთ-ჩერქეზეთი და კრასნოდარის მხარე). კრემლის ასეთი ქმედება საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება და დასაგმობია. საქართველო მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, ვინც ჩერქეზების გენოციდი ოფიციალურად აღიარა. შეუძლებელია, ამ ფაქტს დადებითი შედეგი არ მოჰყვეს.

**— დადებითი შედეგი რა შეიძლება იყოს?**

— პირველ რიგში, ჩერქეზების გულს მოვიგებთ...

**— ჩერქეზების გულის მოგება რას გვარგებს?**

— ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩერქეზული დიასპორა ძალიან ძლიერი და გავლენიანია თურქეთში, სირიაში, იორდანიაში, ისრაელში, კანადაში, ამერიკასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. გარდა ამისა, უფლება გვეძლევა, ჩერქეზებისგან მხარდაჭერა მოვითხოვოთ, თუ ჩვენს ქვეყანაში 1992-1993 წლებში მომხდარი მოვლენების მსგავსი რამ გამეორდება. სხვათა შორის, ამ ნაბიჯით ჩვენ არა მარტო ჩერქეზების, არამედ სხვა ჩრდილოეთკავკასიელების გულსაც მოვიგებთ და ჩვენი პოზიციებიც საგრძნობლად გამყარდება ჩრდილოეთ კავკასიაში. თუ პროცესი გაგრძელდება და ყველა იმ ერის გენოციდს ვაღიარებთ, რომლის დეპორტაციაც რუსეთმა 1829-1944 წლებში განახორციელა, მაშინ კავკასიურ ერთიანობასაც ჩაეყრება საფუძველი.

**— ფიქრობთ, რომ გროზნო და სოხუმი თბილისისგან, რუსეთის მიერ ჩეჩნებისა და აფხაზების გენოციდის აღიარებას მოითხოვს?**

— გროზნო — არა, მაგრამ საზღვარგარეთ მცხოვრებმა ჩეჩნურმა დიასპორამ ეს უკვე მოითხოვა. საქართველოს პარლამენტს გენოციდის აღიარების თხოვნით მიმართეს ასევე ინგუშების არასამთავრობო ორგანიზაციებმაც...

სოხუმმა კი 1998 წელს მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც, აფხაზმა ერმა XIX საუკუნეში ტრაგედია გადაიტანა — დოკუმენტში გენოციდზე ლაპარაკი საერთოდ არ არის. გამორიცხული არ არის, რომ გენოციდის აღიარება ევროპაში მცხოვრებმა აფხაზურმა დიასპორამ მოითხოვოს. სამწუხაროდ, რეზოლუციის მიღებას მხოლოდ დადებითი შედეგები როდი მოჰყვება, ჩვენ ისეთი ნაბიჯი გადავდგით, რომ შესაძლოა, სამხრეთ კავკასიაში ჩვენთვის არასასურველი გეოპოლიტიკური ცვლილებებიც მოხდეს. ჩერქეზების გენოციდი მოსკოვისთვის ერთ-ერთი ყველაზე სუსტი წერტილია. კრემლი ამ ნაბიჯის გამო ღიად ვერ დაგვიპირისპირდება, მაგრამ ჩვენს დასასჯელად შეფარვით იმოქმედებს.

**— ღიად რატომ ვერ დაგვიპირისპირდება?**

— იმიტომ, რომ ამით რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ჩერქეზებს აიმხედრებს, მათი განაწყენება უკვე ისედაც მოახერხა. რამდენიმე კვირის წინ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ჩერქეზული ორგანიზაციების ნაწილმა განაცხადა, — საქართველო რუსეთის შიდა საკითხებში არ უნდა ერეოდესო, — და გენოციდის აღიარების მოთხოვნით დუმას მიმართა. დუმის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში მოსმენა კი მოეწყო, მაგრამ

სიახლე! კარდიოლოგიური სამსახური
cardiology.ge
ჩვენ გადავწყვიტეთ მაღალკვალიფიციური სამედიცინო მომსახურება ყველასათვის ხელმისაწვდომი გავხადოთ!
თბილისი, თევდორე მღვდლის 9. II სართული.
პაციენტთა მიღება წინასწარი ჩაწერით.
მაღალკვალიფიციური ექიმები: კარდიოლოგი, ენდოკრინოლოგი,
კვლევები თანამედროვე აპარატურატურაზე.
ექიმის კონსულტაცია 15 ლარი.
ტელ: 345433, 897787856.
www. cardiology.ge

ჩერქეზები განზილებულები დატოვეს. რუსეთის ხელისუფლებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არაგონივრულ პოლიტიკას ახორციელებს: თავისუფლად შეეძლო, ეს საკითხი თავადვე მოეგვარებინა ჩერქეზებთან და საქართველოსთვის ეს ინიციატივა წაერთმია. მისი მორიგი არაკეთილგონივრული ნაბიჯი ახლა საქართველოს დასჯის მცდელობა იქნება. ადვილი შესაძლებელია, კრემლის წაქეზებით, გენოციდის აღიარება სომხებმაც მოგვთხოვონ (როგორც ვიცი, საქართველოში მოქმედმა სომხურმა ორგანიზაციებმა ამ მოთხოვნით უკვე მიმართეს კიდეც პარლამენტს). ასეთ შემთხვევაში, დილემის წინაშე აღმოვჩნდებით: თუ სომხების გენოციდს ვაღიარებთ, მტრად მოვიკიდებთ მეზობლებსა და სტრატეგიულ პარტნიორებს — თურქეთსა და აზერბაიჯანს, თუ არ ვაღიარებთ, მაშინ სომხეთთან ურთიერთობას გავიფუჭებთ. ერევანს თავისუფლად შეუძლია თქვას, რომ სომხები ისევე არიან გენოციდის მსხვერპლნი, როგორც ჩერქეზები. ე.ი. გვინდა თუ არა, სომხებთან დაპირისპირება მოგვიწევს.

— **საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ნუგზარ წიკლაური ამბობს: „სომხეთი და თურქეთი დღეს თანამშრომლობის პოზიტიურ აღმავლობას განიცდიან და პროცესში მესამე პირის ჩართვა მათივე ინტერესებში არ შედის“.**

— რა პოზიტიურ აღმავლობაზეა საუბარი? ზაფხულის შემდეგ სომხურ-თურქული ურთიერთობები გაყინულია. უფრო მეტსაც გეტყვით — რამდენიმე თვის წინ თურქეთის ქალაქ ყარსში სომხურ-თურქული მეგობრობის ძეგლის დემონტაჟი განახორციელეს. ჩემი აზრით, ბევრად უკეთესი იქნებოდა, თუ მოსალოდნელ საფრთხეებს გავითვალისწინებდით, ჩერქეზების გენოციდის ფაქტს პოლიტიკურ შეფასებას არ მივცემდით და ამას უბრალოდ ჩერქეზი ხალხის ტრაგედიად შევაფასებდით. ბოლოს და ბოლოს, პროცესი მაინც გაგვეწელა... საფრანგეთის პარლამენტი 23 წლის განმავლობაში განიხილავდა სომხების გენოციდის აღიარების საკითხს. ჩვენც შეგვეძლო, არ ავჩქარებულიყავით და ეს თემა სოჭის ოლიმპიადის წინა პერიოდში რუსეთის თავზე დამოკლეს მახვილივით დაგვეკიდა.

— **როგორ გგონიათ — ჩერქეზთა გენოციდის აღიარების პროცესს ევროპა მხარს არ დაუჭერს?**

— სხვათა შორის, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ევროპის წახალისებით აღიარა ჩერქეზების გენოციდი. ამერიკულმა და ევროპულმა ორგანიზაციებმა ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყეს ამ საკითხზე მსჯელობა. 1998 წელს ჩერქეზების გენოციდთან დაკავშირებით პირველი მოსმენა გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტში გაიმართა. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტმა უამრავი პუბლიკაცია მიუძღვნა ამ თემას. 2008 წელს, აგვისტოს ომის დაწყებამდე, პან გი მუნის მეუღლემ ანუ გაეროს პირველმა ლედიმ გაეროს შენობაში ჩერქეზული ფოლკლორის საღამო მოაწყო. ასეთი მასშტაბური ღონისძიებები უმიზეზოდ არ ტარდება. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ დასავლეთმა ჩერქეზეთის გენოციდის აღიარებაზე კულუარებში დიდი ხნის წინ დაიწყო მუშაობა. რადგან ევროპა და ამერიკა ამ საკითხით ასე არიან დაინტერესებულნი, ჩვენს ხელისუფლებას შესაძლებლობა ეძლევა, მათი დახმარებით, სომხეთთანაც მოახერხოს მოლაპარაკება და თურქეთთანაც, მაგრამ ამას დიდი ძალისხმევა და კარგად გააზრებული ნაბიჯების გადადგმა სჭირდება.

შესაძლოა, მკითხველი დავაბნიე, მაგრამ მე ყველა ის პოზიტიური და ნეგატიური შედეგი დაგისახელეთ, რაც საქართველოს მიერ ჩერქეზების გენოციდის აღიარებას შეიძლება მოჰყვეს. დარწმუნებული რომ ვიყო, ჩვენს ხელისუფლებას მოსალოდნელი რისკები გააზრებული აქვს, რუსეთის ხრიკებისგან თავდაცვისთვისაც მზად არის და ისიც განსაზღვრული აქვს, თუ როგორ უნდა განავითაროს ურთიერთობა სომხეთსა და თურქეთთან, ორივე ხელით დავუჭერდი მხარს ჩერქეზების გენოციდის აღიარებას. ■




# პუტინის ხელი სტროს-კანის საქმეში



საერთაშორისო სავალუტო ფონდის ექსხელმძღვანელი დომინიკ სტროს-კანი ვარაუდობს, რომ ის საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის შეთქმულების მსხვერპლი გახდა. „ვგრძნობ, რომ პუტინი სარკოზის შეეკრა, რათა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მანამდე გამაძევონ, ვიდრე არჩევნებში საკუთარ კანდიდატურას წამოვაყენებ. თუ მე გამაგდებენ და ღირსეულად არ წავალ, ამით ყველა წაგებული დარჩება“, — განაცხადა სტროს-კანმა. პოლიტოლოგების თქმით, ნიუ-იორკის სასტუმრო Sofitel-ში მომხდარი ინციდენტი ხელს აძლევს რუსეთსა და მის მოკავშირეებს, რომლებსაც საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ახლა თავიანთი კანდიდატის გაყვანა შეუძლიათ. ერთი კვირის წინ რუსეთის ფინანსთა მინისტრმა ალექსეი კუდრინმა განაცხადა, რომ BRICS-ის ქვეყნები საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობაზე თავიანთი კანდიდატის წამოყენებას აპირებენ — ეს ყაზახეთის ეროვნული ბანკის ამჟამინდელი თავმჯდომარეა. ■

რუბრიკა მოამზადა **ხათუნა ბახტურიძემ**
გამოყენებულია ინტერნეტპორტალ ambebi.ge-ს მასალები

# ოღონდ იზეიმოს სამართლიანობამ და თუნდაც დაინგრეს ქვეყნიერება

**„საქართველოში არც ისე ცუდადაა ყველაფერი, როგორც ოპოზიცია ამბობს და არც ისე კარგად, როგორც ხელისუფლება გვარწმუნებს", — ამბობს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი. მისი თქმით, „დღეს რომ ქვეყანაში პოლიტიკური, ეკონომიკური კრიზისია და დემოკრატია არ არსებობს, ამაში ხელისუფლება და საზოგადოება ერთნაირად დამნაშავეა. ნებისმიერი ერი საკუთარი ქვეყნის ისტორიას თავად ქმნის... სწორედაც რომ საზოგადოების ბრალია, ხელისუფლებაში უკეთესი ხალხი რომ ვერ მოიყვანა და საკუთარ ქვეყანაში უკეთესი სიტუაცია რომ ვერ შექმნა". ქვეყანაში არსებულ კრიზისულ მდგომარეობას წერეთელი დროებით მოვლენად მიიჩნევს და უკეთესი მომავლის იმედს არ კარგავს. ის ქართველ ერს დამოუკიდებლობის დღესთან ერთად, პარლამენტის მიერ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ანუ — ჩერქეზების გენოციდის აღიარებას ულოცავს და კანონმდებლებს თურქეთის მიერ სომხების გენოციდის აღიარებისკენ მოუწოდებს.**

*ხათუნა ბახტურიძე*



**ირაკლი წერეთელი:**

— 26 მაისი ქართველი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ისტორიული თარიღია, ვიდრე კითხვებს დამისვამთ, გთხოვთ, საშუალება მომცეთ, მთელ ქართველ ერს, ჩვენი ქვეყნის ყველა მეგობარსა და კეთილი ნების ადამიანს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე მივულოცო, კონკრეტულად ქართველებს კი — სამხედრო, პოლიტიკური, სოციალური, სულიერი გაძლიერება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ვუსურვო. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ახლა ქართველებს რუსეთის დამპალი იმპერიის მიერ მიტაცებული ძირძველი ქართული ტერიტორიების დაბრუნებისთვის ბრძოლა გვმართებს და არა ერთმანეთთან დაპირისპირება.

— **ბატონო ირაკლი, ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენი მოთხოვნა, სომხების გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით, ქვეყნისთვის საფრთხის შემცველია?**

— თუ ქართველები შიშითა და ძრწოლით ვივლით, არაფერი გამოვა. მე ამაყი ვარ იმის გამო, რომ მსოფლიოო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის საქართველო პირველი სახელმწიფოა, რომელმაც ოფიციალურად აღიარა რუსეთის დამპალი იმპერიის მიერ ჩერქეზი ხალხის გენოციდი. ჩემს ქვეყანას გულწრფელად ვულოცავ ამ დიდ მორალურ და პოლიტიკურ გამარჯვებას. ვფიქრობ, ჩვენ არც თურქების მიერ სომეხი ერის გენოციდის აღიარების უნდა შეგვეშინდეს. ყველა მოვლენას საკუთარი სახელი უნდა დავარქვათ. ადამიანებს, რომლებსაც სულ რაღაცის ეშინიათ, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ერის, რომაელების გამონათქვამს შევახსენებ: „ოღონდ იზეიმოს სამართლიანობამ და თუნდაც დაინგრეს ქვეყნიერება".

— **შიში და დიპლომატია განსხვავებული ცნებები ხომ არ არის?**

— რატომღაც, თანამედროვე საქართველოში შიშს დიპლომატიით ნიღბავენ. ბოლშევიკებსაც კარგად ეხერხებოდათ უწესო ქმედებების შენიღბვა. ამხანაგი კამო პარტიაში ფულის შეტანის მიზნით, ყაჩაღურ თავდასხმებს აწყობდა. ამ კაცმა ბანდიტური გამოხდომის შესანიღბავად, სიტყვა „ექსპროპრიაცია" მოიგონა. მოდი, შიშის შესანიღბავად დიპლომატობას ნუ დავიბრალებთ და ყველაფერს თავისი სახელი დავარქვათ.

— **იმ ოპოზიციონერ ლიდერებსაც მშიშრებად ხომ არ მიიჩნევთ, რომლებიც ხელისუფლების წინააღმდეგ რადიკალური მოთხოვნების წამოყენებასა და რევოლუციის მოწყობას, დიპლომატიურ გარიგებებს არჩევენ?**

— არა, ეს სხვა საქმეა. ქართველებმა ერთმანეთთან დაკავშირებით კეთილგონივრული და კეთილშობილური გადაწყვეტილებები უნდა მივიღოთ. ვიზიარებ იმ ოპოზიციონერ ლიდერთა პოზიციას, რომლებიც ფიქრობენ, რომ ხელისუფლებასთან ურთიერთობისას დიპლომატიური რესურსი ბოლომდე უნდა ამოიწუროს. ისე, მიტინგებისა და დემონსტრაციების წინააღმდეგი არა ვარ; ვფიქრობ, რომ საქართველოს ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, ჩაატაროს მშვიდობიანი, შეუიარაღებელი საპროტესტო აქცია, ნებისმიერი, თუნდაც სრულიად უმართებულო მოთხოვნით. ხელისუფლებას მშვიდობიანი დემონსტრანტების დარბევის უფლება არა აქვს.

— **„სახალხო კრების" მოთხოვნები რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?**

— ვიზიარებ მათ პოზიციას იმ კუთხით, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობაა და არ არსებობს დემოკრატია, მაგრამ მხარს არ ვუჭერ, რადგან ნინო ბურჯანაძე რამდენჯერმე ეახლა პუტინს კრემლში. რუსეთის იმ-



პერიის მესვეურებთან კეთილგანწყობილ ურთიერთობაში მყოფი პოლიტიკოსები ჩემთვის მიუღებელნი არიან. ისე, სიმართლე რომ გითხრათ, „სახალხო კრების“ აქციაზე არც არავის მივუწვევივარ, ძალით ხომ არ მივუვარდები?! როგორც სიყვარული, ისე ყველა სახის ურთიერთობა ორმხრივი უნდა იყოს. თავმოყვარე კაცი იმ ქალს ცოლად არ მოიყვანს, რომელსაც არ უყვარს.

— **რომ მიგიწვიონ, მიხვალთ?**

— მივალ, მაგრამ რასაც ვფიქრობ, იმას ვიტყვი. არ დავმალავ, რომ „სახალხო კრების“ ლიდერებს, მათი პრორუსული ორიენტაციის გამო, არ ვენდობი.

— **ოპოზიციურ ძალებს შორის ვინმეს თუ ენდობით?**

— რატომ უნდა ვენდობოდე?! კაცი ცოლს ენდობა, ოპოზიციონერ ლიდერებს შორის კი ჩემი ცოლი არც ერთი არ არის...

— **მაშინ კითხვას სხვაგვარად დაგისვამთ: ოპოზიციონერი ლიდერები, როგორც ხელისუფლებას, ისე ერთმანეთს, რუსეთის აგენტობაში ადანაშაულებენ. თქვენი აზრით, რომელი პოლიტიკური ძალა არ ემსახურება რუსულ საქმეს?**

— მე რატომ არავინ მიყენებს ასეთ ბრალდებას?.. ახლა ჩემი მეგობრის, რუსლან მიქაბერიძის ლექსი გამახსენდა: „ამგვარი პრეცედენტები მასებს ბოზობას აჩვევს,/ ბოზი ბოზზე რომ შეიტანს სასამართლოში სარჩელს/ და ორი ბოზის ბოზობას მესამე ბოზი არჩევს/.“ სამწუხაროდ, დღეს ქართული პოლიტიკური სპექტრი პოლიტიკური მეძავების არმიადაა გადაქცეული, რომლებიც ერთმანეთის მიმართ „ჩემი შენ გითხარის“ პრინციპით მოქმედებენ. ყველაფრის მიუხედავად, ხელი მაინც არ მაქვს ჩაქნეული; იმედი მაქვს, რომ ხელისუფლებაშიც და ოპოზიციაშიც მოიძებნებიან ღირსეული ადამიანები. არ იფიქროთ, რომ მხოლოდ სხვებს ვკიცხავ და ჩემს თავს უბიწოდ წარმოვაჩენ. თავის დროზე მეც ძალიან ბევრი პოლიტიკური შეცდომა დავუშვი.

— **დღეს არსებული სიტუაციიდან გამოსავალს რაში ხედავთ?**

— დღეს არსებული სიტუაციიდან გამოსავალი მაშინ გამოჩნდება, თუ საზოგადოება ღირებულებებს გადასინჯავს და ეროვნულ ძალას დაუჭერს მხარს, რომელიც ხელისუფლებასაც ღირსეულად შეებრძოლება, გარეშე მტერსაც საკადრის პასუხს გასცემს და ფულზეც არ გაიყიდება.

■



# ძიძა მცირეწლოვანი ბავშვის ცემისთვის გაასამართლეს

დატვირთული სამუშაო რეჟიმის გამო, ხშირად წყვილები დამხმარედ ძიძას ეძებენ და მას საკუთარ შვილზე ზრუნვას ანდობენ. ძიძის შერჩევა ძალზე ფაქიზი საკითხია და ამას ადამიანი მართლაც დიდი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს. ფაქტობრივად, ძიძა ძალიან ბევრ დროს ატარებს პატარასთან იმ ასაკში, როცა იგი პიროვნებად ყალიბდება. უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მართლაც ვის ხელში აღმოჩნდება თქვენი შვილი. ძიძის არჩევისას დაშვებული შეცდომა შესაძლოა, საბედისწერო აღმოჩნდეს...

ცოტა ხნის წინ, თბილისის საქალაქო სასამართლომ ახალგაზრდა ქალი საკმაოდ მძიმე ბრალდებით გაასამართლა. მის წინააღმდეგ საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის ნაწილით აღიძრა. კერძოდ, მას წამებაში ედებოდა ბრალი. წინასწარი შეცნობით — არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის სისტემატური ცემა, რამაც მისი ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია.

ცაცა თბილისში ერთ-ერთ ოჯახში ძიძად მუშაობდა. დაზარალებულებს, ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, ვინაობის დასახელება არ სურთ, ამიტომ მხოლოდ სახელებით გაგაცნობთ. საქმის მასალების მიხედვით, 2011 წლის იანვარში გიორგიმ და მისმა მეუღლემ, ირინამ მცირეწლოვანი შვილისთვის მომვლელად ცაცა აიყვანეს. ძიძას თავისი ფუნქცია ჰქონდა. მშობლების სახლში დაბრუნებამდე, მთელი დღის განმავლობაში ბავშვზე მას უნდა ეზრუნა. წყვილი რას წარმოიდგენდა, მათ შვილს, მოვლის ნაცვლად, ძიძა ცემას თუ დაუწყებდა?! მოგვიანებით ამის დადგენა წყვილმა შეძლო და გაარკვია, რომ სამწუხაროდ, ახალგაზრდა ქალი პატარა ნიკოლოზს სისტემატურად და უმიზეზოდ სცემდა. უფრო მეტიც, თურმე ბავშვს საკვებს არ აძლევდა. ამის შემდეგ მიმართეს შესაბამის სამსახურს და ფაქტზე რეაგირება მოსთხოვეს. გამოძიების მტკიცებით, ასეთმა ქმედებამ პატარას ფიზიკური და ფსიქიკური ტანჯვა გამოიწვია.

■

# ცოტნე გამსახურდიას ახალი პროცესი

თბილისის სააპელაციო სასამართლო ცოტნე გამსახურდიას ადვოკატების საჩივარს იხილავს. ისინი მოსამართლე ზვიად ესებუას გამოტანილი განაჩენის გაუქმებასა და გამსახურდიას გამართლებას ითხოვენ. შეგახსენებთ, ციხეში მყოფ ცოტნეს ახალი ბრალდება წაუყენეს, კონტროლიორ ხვიჩა ბასოშვილისთვის ქრთამის მიცემაში დასდეს ბრალი და 5 წელი მიესაჯა; ძველ სასჯელს ახალი დაემატა და 13 წელი და 2 თვე აქვს შეფარდებული. სასამართლო სხდომას ცოტნე გამსახურდიაც დაესწრო და საკმაოდ ვრცელი განცხადება გააკეთა. მან სისტემაში გამეფებულ უკანონო ქმედებებზე ისაუბრა. რამდენიმე საათის განმავლობაში ცოტნე გამსახურდია ფეხზე იდგა. ადვოკატმა ქეთი ბექაურმა განმარტა, რომ იგი ვერ ახერხებდა დაჯდომას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. დეტალების გარკვევა სხდომის შემდეგ ბექაურთან ვცადეთ.

ქეთი ბექაური: „იცით, 67 დღე იშიმშილა ცოტნე გამსახურდიამ და ციხეში პატიმრების ცემა-წამებას აპროტესტებდა. ეს შიმშილობა მის ჯანმრთელობაზე აისახა. უკვე თვეებია, ცოტნეს გადაადგილება უჭირს, საშინელი ტკივილები აქვს და ტკივილგამაყუჩებლებს იკეთებს. ვერც ჯდება და ვერც წვება, ამიტომ ძირითადად, ფეხზე დგომა უწევს. მას ხერხემალზე შეექმნა პრობლემა. დისკოზი დაუდგინდა, ასევე — პოტრუზია. ვფიქრობთ, ქირურგიული ჩარევა გახდება საჭირო. ჩვენ ციხის სამკურნალო დაწესებულებაში ადეკვატურ მკურნალობას ვერ ვიღებთ. თოდუას კლინიკაში გამოკვლევა ჩაუტარდა და ამ დღეებში გადმოგვცემენ საბოლოო დასკვნას. ამის შემდეგ ექიმების კონსილიუმი უნდა შედგეს, რათა ზუსტი დიაგნოზი დადგინდეს. ის არ ენდობა ციხის საავადმყოფოს მედპერსონალს. მათ არ მივცემთ უფლებას, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში რაიმე ქირურგიული ჩარევა ჩაუტარდეს. ალბათ მოვითხოვთ მის გადაყვანას ჩვეულებრივ საავადმყოფოში“.

■

*რუბრიკა მოამზადა* **თეა ხურცილავამ**

# „ძალიან ამაყი ვარ ასეთი დასასრულით!“

**საფეხბურთო გუნდმა „ზესტაფონმა“ 20 წაუგებელი მატჩის შემდეგ ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე მოიპოვა წლევანდელი სეზონის საუკეთესო გუნდის ტიტული და საქართველოს ჩემპიონატიც ღირსეულად, მართლაც საჩემპიონო თამაშით დაასრულა: საკუთარ მოედანზე გამანადგურებელი ანგარიშით — 4:0 „ვიტ-ჯორჯიას“ სძლია. „ზესტაფონის“ მთავარ მწვრთნელს, გია გეგუჩაძეს ინტერვიუ საჩემპიონო მედლების მიღებამდე ორი დღით ადრე ჩავწერეთ.**




*ირმა ხარშილაძე*

**— გია, გილოცავთ ჩემპიონობას — ეს ერთი და სხვა ათასი!**

— დიდი მადლობა! ახლა „შემაჯამებელი“ სიტყვა უნდა ვთქვა?.. რასაკვირველია, სეზონზე ცუდადაც ვითამაშეთ და კარგადაც: ზოგიერთი მატჩი, ცუდი თამაშის მიუხედავადაც, შედეგიანად დავასრულეთ, ზოგიერთი კარგად ვითამაშეთ და უშედეგოდ. და მაინც, ბედნიერი ვარ, რომ ასეთ „დახუნძლულ“ სეზონზე ყოველთვის საფეხბურთოდ და მოგებისთვის განწყობილები პატიოსნად სათამაშოდ გავდიოდით მოედანზე.

**— „პატიოსნად“ ტყუილად არ გიხსენებია: ჩემპიონატი საკმაოდ სკანდალურად დასრულდა — სხვადასხვა კლუბის ხუთ ფეხბურთელს გაყიდული თამაშებისთვის სამუდამო დისკვალიფიკაცია მისცეს. „ზესტაფონი“ როგორ გადაურჩა ამ სკანდალს?**

— „ზესტაფონი“ მე და ჩემმა სამწვრთნელო შტაბმა დავაკომპლექტეთ ფეხბურთელებით და თავიდანვე შევუთანხმდი მათაც და კლუბის ხელმძღვანელობასაც, კონკრეტულად — ილია კოკაიას (რომელმაც სრულად მომანდო ფეხბურთელების შერჩევა და არასდროს ჩარეულა მათთან მუშაობის პროცესში), რომ სუფთა ხელებით, გულით და პატიოსნად მივაღწევდით დიდ წარმატებას. დღეს კი ძალიან ამაყი ვარ ასეთი დასასრულით. მეტს ვერაფერს გეტყვით!

**— უმაღლეს შედეგს მიაღწიეთ და მაინც, რას იტყვი გუნდის თამაშზე და საერთოდ, ჩემპიონატზე?**

— საქართველოს პირველობა „ბუნებით“ საკმაოდ რთულია. მე შემოქმედებითი, კრეატიული ფეხბურთის მოყვარული ვარ და გუნდისთვისაც ასეთი თამაშის მიმდევარ ფეხბურთელებს ვარჩევ. მიყვარს მოთამაშე, რომელიც მუდამ შეტევასა და მოგებაზე ფიქრობს. რეალურად კი საქართველოს პირველობა ასეთი არ არის. ხშირად შემოქმედებითი, ლამაზი ფეხბურთის საჩვენებლად მოედნის საფარი არ გვიწყობდა ხელს, შესაბამისად შედეგის მისაღწევად უფრო პრაგმატულები ვხდებოდით. ესეცაა მიზეზი, რომ ფაქტობრივად, არც ერთი ჩვენი მოგებული თამაში არ მომწონს, არც ერთია ისეთი, როგორსაც უნდა თამაშობდეს ჩემი გუნდი.

**— ბევრი სკეპტიკურად უყურებდა „ზესტაფონის“ და გია გეგუჩაძის გამარჯვებას და საკმაოდ მწვავედაც გამოხატავდა თავის ურწმუნობას, ხშირად ჩემი კოლეგებიც დაუნდობლები იყვნენ და წაბორძიკებასაც არ მოგიტევებდნენ.**

— ყველას საკუთარი აზრი აქვს და მისი ნებაა, დაიჯერებს თუ არა. დღეს ჩემპიონები ვართ — მთავარი ესაა. გულშემატკივარი კი, ხომ იცი, ხან ბრაზობს, ხან — გეფერება. ჩემპიონატის განმავლობაში ემოციური უარყოფითი გამოხდომებიც ყოფილა და, მაგალითად, თბილისის „დინამოსთან“ თამაშის დროს მე თვითონ არ მეყო ნერვები, თავი ვერ მოვთოკე და ერთ-ორ ადამიანს „შევეპასუხე“. ერთს კი ვიტყვი: მართლაც ერთგული გულშემატკივარი გვყავდა. თუნდაც უკვე ჩემპიონებმა, ბოლოსწინა მატჩი რომ წავაგეთ ბოლნისში, თამაშის შემდეგ მაინც მოვიდნენ ჩვენი გულშემატკივრები, ვისაც გუნდი მართლა უყვარს და ჩვენი სჯერა და მოგვილოცეს. თუმცა ზოგიერთს ისიც კი უთქვამს, „ხელოვნურად“ დათმეს თამაშიო. მანამდეც, ფოთისა და ბოლნისის გუნდებს ზესტაფონში რომ ვერ მოვუგეთ, იმწამს ჩავარდნად ჩაგვითვალეს და ჟურნალისტები მყისვე კრიზისზე ალაპარაკდნენ. არადა, ეს ხომ ფეხბურთია, შემოქმედებაა და წინასწარ როგორ განსაზღვრავ შედეგს, თუ სუფთად თამაშობ, რასაკვირველია.

**— ნუთუ „ზესტაფონის“ მოგება-წაგებისას ჭორადაც არაფერი უთქვამთ?**

— ამბიციურად ნათქვამი გამომივა, მაგრამ ამისკენ მიბიძგებ: „ზესტაფონს“ ისეთი მთავარი მწვრთნელი ჰყავს, რამის თქმა გამორიცხულია. გავიმეორებ: ბედნიერი კაცი ვარ, რომ ჩემს გუნდს არასდროს არაფერი შეხებია და ეს ერთ მუშტად შეკრული გუნდი მიზნის მისაღწევად ძალებს არ ზოგავს. სხვათა შორის, გუნდის „შესაკვრელად“, ერთსულოვნების მისაღწევად, ბევრი ეტაპი გავიარეთ.



ვარჯიშის მიღმა, ხან ზესტაფონის თეატრში დავდიოდით, ხან ეკლესიაში ან ისტორიული ადგილების, არქეოლოგიური ძეგლების დასათვალიერებლად. ერთხელ კი... ამ ამბავს ხმამაღლა პირველად ვყვები: „ზესტაფონი“ პირობითად ორადაა გაყოფილი: „რეალის“ და „ბარსელონას“ გულშემატკივრებად. ჩემპიონობამდე ერთი თვით ადრე შესაბამის ორ გუნდად დავყავი, განსხვავებული ფორმები ჩავაცვი და გავაჯიბრე. შედეგზე არაფერს გეტყვით, არცაა მნიშვნელოვანი. უფრო საინტერესო სხვა შედეგი იყო: ბიჭებმა 20 კილოგრამი ხორცი იყიდეს და იქეიფეს, თუმცა ვიცი, ბევრი ღვინო არ დაულევიათ. ქეიფისკენ თვითონ ვუბიძგე — თითო ჭიქა დავალევინე, სალერღელი ავუშალე და მიხარია, რომ „მიმიხვდნენ“. მე კი „შემოვეცალე“, რადგან მინდოდა, უჩემოდ და ერთად ყოფილიყვნენ, ესაუბრათ, აზრები გაეზიარებინათ და... ასეც მოხდა...

— **გუნდს ალბათ, ფულადი პრემიაც ეკუთვნის ჩემპიონობისთვის, არა?**



— ეს კლუბის დებულებაში წერია, თუმცა თანხა არაა მითითებული. რაოდენობას კლუბის ხელმძღვანელი, ილია კოკაია წყვეტს. ისე, საოცარია, არა? ჩვენი ბიჭები ისე მიიწევდნენ ჩემპიონობამდე, იმდენად კარგი ადამიანები და კარგი ფეხბურთელები არიან, ერთხელაც არ უკითხავთ, ჩემპიონობაში რას გადაგვიხდიან, რა გვეკუთვნისო? ამითაც ბედნიერი ვარ — რომ ჩემი ბიჭები თანხის გამო კი არა, უბრალოდ, ფეხბურთს თამაშობდნენ და ასე გაიმარჯვეს! სწორედ ამას ვულოცავ თითოეულს.

— **გია, დამოუკიდებელი საქართველოს საფეხბურთო ისტორიაში ერთადერთი მწვრთნელი ხარ, რომელმაც ქვეყნის პირველი გუნდი (იმხანად თბილისის „დინამო“) საკვალიფიკაციო ეტაპს იქით — უეფას თამაშებზე გაიყვანე. საამისოდ რა შანსები აქვს იმერულ კლუბს?**

— რატომაც არა. ჩვენ ბოლომდე ვიბრძოლებთ გამარჯვებისთვის! ■

*მისია*

# რა განიცადა იაპონიის ელჩმა ცუნამის შეტყობისას და

## რა აოცებს ყველაზე მეტად ჩვენს პატარა ქვეყანაში

**2 წელია, საქართველოში ცხოვრობს და მუშაობს. ქვეყანა თავად არ აურჩევია — ხელმძღვანელობამ გამოგზავნა, მაგრამ იაპონიის ელჩი საქართველოში — მასაიოში კამოჰარა ამით უკმაყოფილო სულაც არ არის. უამრავი მეგობარი გაიჩინა, ქართულ ტრადიციებსაც მშვენივრად შეეწყო და ვიოლინოს დაკვრასაც სწავლობს. ჩვენ შორის საკმაოდ გულღია საუბარი გაიმართა. ბუნებრივია, მის სამშობლოში მარტში დატრიალებულ მოვლენებსაც შევეხეთ.**

მარი ჯაფარიძე

**მასაიოში კამოჰარა,** *იაპონიის სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი საქართველოში:*

— 1950 წელს, ტოკიოში დავიბადე. 10 წლის ვიყავი, როდესაც მამა ვენაში ელჩად გადაიყვანეს. მშობლებთან ერთად 4 წელი იქ ვცხოვრობდი. მამა არ გახლდათ პროფესიონალი დიპლომატი — განათლებით იურისტი იყო, მაგრამ იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ელჩად მიავლინა. იმ პერიოდში კარგად შევისწავლე გერმანული ენა. თუმცა დიდი ხანია, ამ ენაზე აღარ მილაპარაკია და ცოტა დამავიწყდა კიდეც. 1 კვირა საკმარისი იქნება, რომ აღვიდგინო. ცოტა ხანს ინგლისში მომიწია ცხოვრებამ და იქ დავიწყე რუსული ენის შესწავლა. შემდეგ მოსკოვში, იაპონიის საელჩოში მიმავლინეს და ენის ცოდნა ბოლომდე დავხვეწე. 1980 წლის ზაფხულში ტოკიოში დავბრუნდი და 6 წლის განმავლობაში იქ ვმუშაობდი. შემდეგ ტაილანდში ვცხოვრობდი 2 წელი და 6 თვე, ბანგკოკიდან ისევ ვენაში გავემგზავრე და 4 წელი იქ ვიმუშავე. 1993 წელს იაპონიაში დავბრუნდი, 2 წელი იუსტიციის სამინისტროში ვმუშაობდი, მომდევნო 2 წელი — საგარეო საქმეთა სამინისტროში; შემდეგ — კვლავ მოსკოვში, იაპონიის საელჩოში. იქიდან ისევ ვენაში, ჩვენს წარმომადგენლობაში გადამიყვანეს, სადაც 3 წელზე მეტი ვიმუშავე. ვადის ამოწურვის შემდეგ ტოკიოში დავბრუნდი და კვლავ იუსტიციის სამინისტროში დამასაქმეს, იქიდან — საგარეო საქმეთა სამინისტროში გადამიყვანეს და მოგვიანებით შორეულ აღმოსავლეთში კონსულად გამიშვეს. საქართველოში 2009 წლიდან ვიმყოფები.

— **იაპონური ძალზე რთული ენაა. თქვენთვის გერმანული და რუსული ენების შესწავლა ალბათ დიდ სირთულესთან არ იქნებოდა დაკავშირებული.**

— თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ძალიან გამიჭირდა. დღეში 10 საათის განმავლობაში ვმეცადინეობდი — ვკითხულობდი ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს, ვუყურებდი გადაცემებს რუსულ ენაზე... წლები დამჭირდა, რომ სრულყოფილად შემესწავლა. ძალზე ძნელია, ენის ცოდნა შეინარჩუნო, თუ მას არ იყენებ.

— **თითქმის მთელი ცხოვრება სამშობლოსგან შორს გაქვთ გატარებული. ეს ალბათ იოლი არ არის. თქვენი ოჯახიც საქართველოში ცხოვრობს?**

— ჩემი მეუღლე აქ იყო და რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა იაპონიაში, რადგან ჩვენი შვილი რუსეთში აპირებდა გამგზავრებას.

— **ალბათ დიდი შვილები გყავთ...**

— დიახ. 2 ვაჟი მყავს, ორივე ბიზნესმენია...

— **მამის კვალს არ გაჰყვნენ?**

— არა, რადგან ბავშვობიდან იციან, რომ მამას ძალზე ბევრი საქმე და მცირე ხელფასი აქვს...

— **ქართული ენა თუ შეისწავლეთ?**

— არა, ეს ძალზე რთული ენაა. ვცდილობ, რაღაც ფრაზები ავითვისო, მაგრამ ძალიან მიჭირს. საქართველოში პირველად 1985 წელს ჩამოვედი. მაშინ იმ დელეგაციის წევრი გახლდით, რომელიც მოსკოვში სავაჭრო შეთანხმების გასაახლებლად იყო ჩასული (ხელშეკრულების გაახლება ყოველ 5 წელიწადში ხდება). მაშინ ბატონი ედუარდ შევარდნაძე საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ახალი დანიშნული გახლდათ. დელეგაციის პროგრამაში თავიდანვე იყო ჩადებული, რომ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ქალაქი უნდა მოგვენახულებინა. გადაწყდა, რომ ახალი მინისტრის პატივსაცემად, საქართველოში ჩამოვსულიყავით და თბილისი გვენახა. 2-3 დღე დავყავით, მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ აქ უკეთესად ცხოვრობდნენ, ვიდრე მოსკოვში. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ მომიწია ჩამოსვლამ. თუ არ ვცდები, ეს 1988 წელს იყო — იაპონური ფილმების ფესტივალს ვატარებდით. მაშინ მთელი ქვეყანა უკიდურეს გასაჭირში იყო, ელექ-

ტროენერგია კვირაში ერთხელ მოდიოდა, ქუჩები ჩაბნელებული იყო და განსაკუთრებულად არაფერი დამამახსოვრდა. ახლა აქ ძალზე კარგი მდგომარეობაა, ყველაფერი შეიცვალა და თავსაც უსაფრთხოდ ვგრძნობ. გუშინ წავიკითხე, რომ (*ინტერვიუ 19 მაისსაა ჩაწერილი. — ავტ.*) ევროსაბჭოს მონაცემებით, კრიმინოგენული სიტუაცია საქართველოში გაცილებით უკეთესია, ვიდრე — გერმანიაში.

— **აქ მეგობრები გყავთ?**

— დიახ, საკმაოდ ბევრი მეგობარი შევიძინე — ქართველებიც და არაქართველებიც. ძალზე სტუმართმოყვარე ხალხი ხართ, ყველას უნდა, რომ თავისთან დამპატიჟოს, მაგრამ ვერ ვახერხებ ყველგან სტუმრობას, რადგან საკმაოდ გადატვირთული სამუშაო გრაფიკი მაქვს.

— **თუ არსებობს თბილისში ადგილი, სადაც თავს, როგორც სამშობლოში, ისე გრძნობთ?**

— არა, ასეთი ადგილი არ არსებობს, რადგან ჩვენ განსხვავებული კულტურა გვაქვს... სხვა ტრადიციები, ბუნებაც კი...

— **ნოსტალგია გაწუხებთ?**

— არა, რადგან 6 თვეში ერთხელ, 2 კვირით მივდივარ ხოლმე სამშობლოში. წლეულს სექტემბერშიც 3 კვირით ვაპირებ წასვლას.

— **ცოტა ხნის წინ თქვენს ქვეყანას თავს დაატყდა სტიქია, რომელსაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და დასახლებული პუნქტები მიწასთან გაასწორა. ამ დროს სად იმყოფებოდით?**



**იაპონიის ელჩი საქართველოში მასაიოში კამოჰარა**

— ამ დროს იაპონურ ტელეარხს ვუყურებდი. გადაცემა შეწყვიტეს და გამოაცხადეს, რომ ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მაშინვე პირდაპირ ეთერში ჩართეს სტიქიის ზონა. პირველივე ცუნამი ვნახე... დანარჩენ მოვლენებსაც თვალყურს ვადევნებდი და საკუთარი თვალით ვხედავდი, როგორ ნადგურდებოდა ყველაფერი. მეტყველების უნარი დავკარგე, თვალებს არ ვუჯერებდი... 3-4 საათის შემდეგ გამოაცხადეს, რომ ტოკიოშიც ძლიერი მიწისძვრა მოხდა. მაშინვე ელექტრონული ფოსტით წერილი გავუგზავნე შვილებს, რომ მათი მდგომარეობა გამეგო. ყოველივე ამის შემდეგ გადავწყვიტე, საელჩოს მუშაობა არ შემეფერხებინა და ჩვეულებრივი რეჟიმით გვემუშავა, რადგან იაპონიისთვის მეტის გაკეთება არ შემეძლო, გარდა იმისა, რომ ჩემთვის დაკისრებული მისია შემესრულებინა. 1 კვირის შემდეგ დამავალეს სამძიმრის წიგნის გახსნა და ეროვნული დროშის დაშვება. მაშინ ვიფიქრე, რომ მუშაობის ჩვეულებრივ რეჟიმში გაგრძელება არ შეიძლებოდა, რადგან გარდაცვლილებისთვის პატივი უნდა მიგვეგო. თუმცა რამდენიმე, წინასწარ დაგეგმილი ღონისძიების გადადება ვერ მოხერხდა. ბოლო ოფიციალური მიღება 25 მარტს გვქონდა. ჩვენ, იაპონელებს ასეთი ტრადიცია გვაქვს: გარდაცვლილს 49 დღის განმავლობაში ვგლოვობთ. ასე იყო ამ შემთხვევაშიც. 49 დღის შემდეგ ჩვენც დავუბრუნდით ჩვეულ რეჟიმს, ისევე, როგორც იაპონიაში. გლოვის დღეებში სამსახურში მუქი პიჯაკითა და პერანგით დავდიოდი. მუსიკის მოსმენაც კი არ მინდოდა... ახლა უკვე გამოვედი მდგომარეობიდან. საქართველო ჩემს ქვეყანას 1 მილიონი დოლარით დაეხმარა. მადლობელი ვარ თანადგომისთვის. მიხარია, რომ აღდგენითი სამუშაო უკვე დაიწყო და ხალხი და ქვეყანა ჭრილობების მოშუშებას შეუდგა. ამ რეგიონში უძველესი ქვებია, რომლებზეც 1000 წლის წინ გაკეთებული წარწერები იუწყება: „ნუააშენებთ სახლებს ამ ქვის ქვემოთ"... ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვცეს ინფორმაცია და არ გავითვალისწინეთ. ახლა აღარ აპირებენ წლების წინ მიღებული გამოცდილების უგულებელყოფას — იქ საცხოვრებელ სახლებს აღარ აშენებენ...

— **ყველაზე მეტად რის უკმარისობას გრძნობთ საქართველოში?**

— ყველაზე მეტად უმი თევზი მაკ-



ლია. ეროვნული კერძებით სტუმრების გამასპინძლებას ვერ ვახერხებ — საქართველოში არსად იშოვება ზღვის ის თევზი, რომელიც ამ კერძების მომზადებას სჭირდება, იაპონურ რესტორანშიც კი ექსპორტით შემოაქვთ. ყველა სუშიზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს არაა ერთადერთი კერძი, რომელიც უმი თევზით მზადდება და არც ყოველდღე მივირთმევთ მას. გაცილებით გემრიელი რაღაცების მომზადება შეიძლება.

— **ქართული სამზარეულო მოგწონთ?**

— კი, ძალიან, მაგრამ ქართული კერძების ჭამა ყოველდღე არ შემიძლია. ეს ჩემთვის ძალზე მსუყე და ნოყიერია... ხინკალი შემიძლია ვჭამო ყოველდღე და დღეში — რამდენჯერმე. ძალიან მიყვარს.

— **რით დაინტერესდით პირველ რიგში, როდესაც საქართველოში ჩამოხვედით?**

— სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურას თითქმის არ ვიცნობ. შარშან ქართველმა ავტორმა იაპონურ ენაზე ნათარგმნი საბავშვო ზღაპრები მაჩუქა. აუცილებლად წავუკითხავ შვილიშვილს, როდესაც გაიზრდება. ის ჯერჯერობით ძალზე პატარაა საამისოდ — შარშან დაიბადა.

— **რაიმემ თუ გაგაოცათ ჩვენს ქვეყანაში?**

— საქართველო პატარა ქვეყანაა, თუ არ ვცდები, სულ 4 მილიონი ადამიანი ცხოვრობს და ტერიტორიის 20% ოკუპირებულია... ამ პატარა ქვეყანაში ადამიანების ნიჭმა გამაოცა: მსახიობები, მხატვრები, მუსიკოსები — საოცრად ნიჭიერები არიან. 2 წლის წინ, ქართველ მუსიკოსთან, ახალგაზრდა მამაკაცთან ვიოლინოზე დაკვრის შესწავლა დავიწყე. შემდეგ მას გაუმართლა და სასწავლებლად გერმანიაში გაემგზავრა. ახალი პედაგოგი მყავს, ახალგაზრდა ქალბატონი... საოცრად ნიჭიერია... ძალიან მომწონს ქართული ბალეტი. ქალბატონ ნინო ანანიაშვილს ჯერ კიდევ აქ ჩამოსვლამდე ვიცნობდი. მისი მეუღლე, საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე იაპონიაში ვიზიტით გახლდათ ჩასული და ისიც ახლდა. მოვიხიბლე მისით.

— **რატომ გადაწყვიტეთ ვიოლინოზე დაკვრის შესწავლა?**

— წინათ ვიოლონჩელოზე ვუკრავდი, მაგრამ ეს ძალზე დიდი ზომის ინსტრუმენტია ელჩისთვის — აქეთიქით სატარებლად ძნელია... 20 წლის წინ, როდესაც ვენაში ვმუშაობდი, ჩემმა უმცროსმა შვილმა, რომელიც მაშინ 9 წლის იყო, ვიოლინოზე დაკვრის შესწავლა მოინდომა. ვინაიდან პატარა იყო, ჩვეულებრივი ზომის ინსტრუმენტზე ვერ დაუკრავდა და შესაბამისად, ორი, სხვადასხვა ზომის შევიძინე. რადგან დიდი ინსტრუმენტი დროებით უქმად იდო, გადავწყვიტე, მე შემესწავლა. დავიქირავე იაპონელი მასწავლებელი, მაგრამ სამწუხაროდ, მოუცლელობის გამო, მაშინ კარგად ვერ დავეუფლე. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე, სწავლა გამეგრძელებინა.

— **ნიჭიერი მოსწავლე ხართ?**

— არა, საშინელი... ძალიან უნიჭო ვარ. ვცდილობ, ყოველდღე დავუკრა, ვიმეცადინო, მაგრამ დრო არ მყოფნის.

— **დატვირთული სამუშაოს მიუხედავად, ალბათ დასვენებას მაინც ახერხებთ.**

— პერსონალური მძღოლი მყავს, რომელსაც ყოველ კვირადღეს მივყავარ ექსკურსიაზე. თითქმის მთელი საქართველო მოვიარე, რაჭის გარდა. ზაფხულში აუცილებლად წავალ იქაც. მიყვარს ამ შესანიშნავი ადგილების დათვალიერება... წინა კვირას თელავში ვიყავი, ერთი კვირის წინ — ყაზბეგში. ბათუმში ბევრჯერ ვარ ნამყოფი. კიდევ ერთხელ ვაპირებ ვარძიაში წასვლას.

— **ქართული გვარ-სახელების დამახსოვრება გიჭირთ?**

— ძალიან. თითქმის შეუძლებლად მიმაჩნია მათი წარმოთქმა და დამახსოვრება.

— **იაპონურად მოლაპარაკე ქართველს თუ შეხვედრიხართ?**

— არა, და ძალიან მწყდება გული. მინდა, ქართველი ხალხი ჩემი ქვეყნის კულტურას ახლოს გაეცნოს. სწორედ ამის გამო, კვირაში ერთხელ თავისუფალ უნივერსიტეტში იაპონური ენის მეცადინეობას ვატარებ. ვცდილობ, ქართველ ხალხს იაპონური კულტურა გავაცნო და შევაყვარო. მეუღლეს იაპონური თოჯინების დიდი კოლექცია აქვს. ვთხოვე, ქარვასლაში გამოფენა მოეწყო. ჰოდა, 10 დღის განმავლობაში 5 ათასმა ადამიანმა მოინახულა, რაც საკმაოდ ბევრია ქართული მასშტაბისთვის. შარშან მარტში იაპონური ფილმების ფესტივალი ჩავატარეთ, აგვისტოში კი, მიუხედავად იმისა, რომ შესაფერისი სეზონი არ იყო, ნო-თეატრისა და ჩაის ცერემონიის სპეციალისტები მოვიწვიეთ, რომლებმაც თბილისსა და ბათუმში ამ სფეროებში მასტერკლასები ჩაატარეს. შემოდგომაზე, თბილისობის დღესასწაულზე მოვიწვიეთ კიმონოს ოსტატი, რომელმაც თავისი კოლექცია წარმოადგინა. თოჯინების გამოფენაც კიდევ ერთხელ მოვაწყვეთ. ტოკიოდან აიკიდოსა და კარატეს ოსტატები ჩამოვიყვანეთ. სულ მალე კი იაპონიიდან მორაგბეები ჩამოდიან, რომელთაც ქართველ მორაგბეებთან და სპორტის მინისტრთან ერთად საელჩოში მოვიწვევ. ქართულ-იაპონურ მატჩზე კი იაპონიის გუნდს ვუგულშემატკივრებ.

— **თუ იცით, საქართველოში რამდენი იაპონელი ცხოვრობს?**

— დაახლოებით 20. იაპონიაში გაცილებით მეტი ქართველია, ვიდრე საქართველოში — იაპონელი. ჩემს თანამემამულეებს ხანდახან ვხვდები. მათ შორის 2 სტუდენტია, რომლებიც ქართულ ენას სწავლობენ. დანარჩენები ბიზნესმენები არიან.

— **ყველა უცხოელი აღნიშნავს, რომ თბილისის ქუჩებში მანქანით მოძრაობა უჭირს, რადგან ქართველი მძღოლები საგზაო მოძრაობის წესებს არ ემორჩილებიან. თქვენც ასე ფიქრობთ? როდესაც საჭეს თავად მართავთ, გიჭირთ გადაადგილება?**

— მინდა გითხრათ, რომ შორეულ აღმოსავლეთში გაცილებით ცუდი სიტუაციაა. თბილისში წესრიგს ყველა მძღოლი არღვევს, მაგრამ ავარიის შედეგად დაზარალებულთა რიცხვი გაცილებით მცირეა.

— **კარგი მძღოლი ხართ?**

— ვფიქრობ, რომ — კი, მაგრამ მეუღლე თბილისში საჭესთან დაჯდომის უფლებას არ მაძლევს. ხანდახან სახლსა და საელჩოს შორის მიწევს დამოუკიდებლად მოძრაობა, როცა მძღოლის შეწუხება არ მინდა.

— **თქვენი პროფესიის გამო გამუდმებით გიწევთ ერთი ქვეყნიდან მეორეში გამგზავრება. ასეთი „მომთაბარე“ ცხოვრება არ გღლით?**

— პირიქით, ძალიან საინტერესოა, რადგან ახალ-ახალ კულტურას, ხალხს, ტრადიციებს ვეცნობი.



ჩვენმა წინაპრებმა გადმოგვცეს ინფორმაცია და არ გავითვალისწინეთ

— **ქართულ ტრადიციებს უკვე გაეცანით?**

— კი, გავეცანი და მომწონს კიდეც. განსაკუთრებით — სუფრის ტრადიციები (*იცინის*).

— **როგორც ვხედავ, ხშირად გიწევთ ქართულ სუფრასთან ქეიფი...**

— ყოველდღე. თუ მე არ მყავს სტუმარი, თავად მივდივარ მეგობრებთან.

— **ალკოჰოლთან „მეგობრობთ“?**

— თუ ნახევარი ლიტრი ღვინო დავლიე, თავს კარგად ვგრძნობ, მეორე დღესაც თავი

არ მტკივა და არც „პახმელია“ მაქვს, მაგრამ როგორც წესი, საქართველოში არ გამოდის ასე ცოტა სასმლის დალევა. განა ვინმე მაძალებს?! როცა ვსვამ, პროცესი მსიამოვნებს, მაგრამ შემდეგ მთელი დღე ვუნდები „მკურნალობას“. ჭაჭა მწარეა, სასმელებიდან ღვინო და კონიაკი მირჩევნია.

**— ქართველი მეგობრები უეჭველად იმასაც გასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ებრძოლოთ „პახმელიას“...**

— კი, მასწავლეს — რომ დილით ჭაჭა უნდა დავლიო (*იცინის*).

**— თქვენზე რომ იყოს დამოკიდებული, რომელ ქვეყანაში წახვიდოდით სამუშაოდ?**

— ისეთ ასაკში ვარ, მალე პენსიაში გავალ. მართალია, ელჩებისთვის არ არსებობს დაწესებული ასაკობრივი ზღვარი — თუ როდის უნდა გავიდეს პენსიაში (რაც უფრო ასაკში შედიხარ, მეტ გამოცდილებას იძენ და გამოცდილი ელჩი ყველა ქვეყანას სჭირდება), მაგრამ უკვე 61 წლის ვარ, შესაძლოა, 4-5 წელი კიდევ ვიმუშაო და ამ წლების ვენაში გატარებას ვისურვებდი, რადგან იქ დიდი ხნის განმავლობაში ვცხოვრობდი და ბევრი მეგობარი მყავს. იქ თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ჩვენთვის არ არსებობს წესი — რამდენი წელი უნდა ვიმუშაოთ ერთ ადგილას, მხოლოდ ის ვიცით, რომ 2 წელზე ნაკლები არ ვიქნებით ამა თუ იმ ქვეყანაში. ჩინოვნიკებისთვის ბევრი სულელური წესი არსებობს, რომელსაც უნდა დაემორჩილო.

**— მაგალითად?**

— მაგალითად, კარადის, მაცივრის ყიდვა რომ მინდოდეს, თუ ეს ნივთი დაშვებულ ზღვარზე ძვირი ღირს, მისი ფასი სულ ცოტა, 2 მაღაზიაში უნდა დავადგინო, შევადარო და სადაც უფრო იაფია, იქ შევიძინო. დიდ ქალაქებში ეს შესაძლებელია, მაგრამ თბილისი პატარა ქალაქია და მუდმივად ერთსა და იმავე მაღაზიაში გიწევს ამა თუ იმ ნივთის შეძენა. თუ ისე მოხდა, რომ მაღაზიას კონკურენტი ჰყავს, მას სწყინს და შემდგომში თანამშრომლობაზე უარს ამბობს.

**— რის ყიდვას გთხოვთ ხოლმე მეუღლე ყველაზე ხშირად?**

— ჩემი მეუღლე ძირითადად, თვითმფრინავის ბილეთის ყიდვას მთხოვს ხოლმე, რომ ტოკიოში გაემგზავროს...

**— იუმორის კარგი გრძნობა გაქვთ. შეგიძლიათ, იაპონურ ანეკდოტს მომიყვეთ?**

— ჩვენში ეს ჟანრი თითქმის არ არსებობს, გვაქვს ხუმრობები, რომლებიც არც ისე მოსწრებულია... მე ძალიან მიყვარს საბჭოთა კავშირის დროინდელი ანეკდოტები. მეგობრებს ხშირად ვთხოვ, რომ მომიყვნენ. ■

# „გურჯი ხათუნი“

## — „პალიტრა მედიის“ ახალი პროექტის „პირველი მერცხალი“

**უკვე წელიწადია, „პალიტრა მედია“ სხვადასხვა ჟურნალთან ერთად, წიგნებს გამოსცემს და ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასად სთავაზობს მკითხველს. ამის წყალობით, არაერთმა ახალგაზრდამ, კომპიუტერის ნაცვლად, წიგნს მოჰკიდა ხელი და ქართველი თუ უცხოელი მწერლების შემოქმედებას გაეცნო. ერთი-ერთი ბოლო პროექტია — „ახალი ქართული ლიტერატურა“, რომელიც ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად მაისში დაიწყო და ყოველთვე ახალი თაობის მწერალთა ნაწარმოებებს შესთავაზებს მკითხველს. პირველად, დათო ტურაშვილის კრებული — „გურჯი ხათუნი“ და თორმეტი მოთხრობა გამოიცა...**

***ნათია ჭიჭიძე***



*ავტორის თქმით, „გურჯი ხათუნი“ ეძღვნება უცხოეთში მცხოვრებ ქართველ ქალებს — ყველაზე სევდიან ემიგრანტებს დედამიწაზე... როგორც ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, 13 წლის გურჯი ხათუნის ბედით ისე იყო დაინტერესებული, რომ ამის გამო ოსმალეთში გაემგზავრა, ქართველი დედოფლის ნაკვალევზე 10 დღე სოფელ-სოფელ იარა და მუზეუმებსა და არქივებში მისთვის საინტერესო არაერთ ხელნაწერს მიაგნო. სწორედ ეს ხელნაწერები გამოიყენა ნაწარმოების წერისას. ავტორს მიაჩნია, რომ წიგნის დაწერა მშენებლობას ჰგავს, სწორედ ამიტომ, თბილისში ერთ-ერთ მშენებარე სახლს მიაგნო, რომლის წინაც უკვე აშენებული კორპუსი იდგა. იმ კორპუსის ერთ-ერთ ოთახში, ფანჯარასთან მოიკალათა და იმ სახლის მშენებლობასთან ერთად საკუთარი ნაწარმოების აგებას შეუდგა...*

*დავინტერესდი, ქართველი საზოგადოება იცნობს თუ არა დათო ტურაშვილის ამ ბრწყინვალე ნაწარმოებს და ამის გასარკვევად თბილისში არსებულ ლიტერატურულ კაფეებს მივაშურე.*

**ნინო ასლამაზიშვილი,** *ფილოლოგი:*

— ტურაშვილის შემოქმედებას როგორ არ ვიცნობ?! პირველად მისით მაშინ დავინტერესდი, როდესაც სპექტაკლი „ჯინსების თაობა“ ვნახე. სამწუხაროდ, შინ მისი არც ერთი წიგნი არ მომეპოვებოდა, ამიტომ ბიბლიოთეკას მივაკითხე. ვერ ვიტყვი, რომ მისი ყველა წიგნი წაკითხული მაქვს, მაგრამ მისი შემოქმედებიდან „გურჯი ხათუნი“ ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ნაწარმოებია. საერთოდ, ისტორიული რომანები ძალიან მხიბლავს. რასაკვირველია, რუსუდან მეფის ასულის, თამარის ოსმალეთში გათხოვების ამბავიც ვიცოდი, თუმცა ტურაშვილის „გურჯი ხათუნის“ წაკითხვის შემდეგ, მასზე ბევრი ისეთი ინფორმაცია შევიტყვე, რომელიც მანამდე არსად დაწერილა. უნდა ვაღიარო, ამ ნაწარმოებმა სევდა მომგვარა. მიუხედავად ამისა, სულ ცოტა ხნის წინ, ერთხელ კიდევ გადავიკითხე.

**გიორგი ბოლქვაძე,** *ეკონომისტი:*

— ახალი ქართული ლიტერატურით ძალზე დაინტერესებული ვარ. თითქმის ყველა თანამედროვე მწერლის შემოქმედებას ვეცნობი. სიმართლე რომ გითხრათ, მათი წაკითხვა ძირითადად, აქ, ლიტერატურულ კაფეში მიხდება. ძალიან გამიხარდა, „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები რომ დაიბეჭდება. ამ ჟურნალს მაინც ყოველთვიურად ვყიდულობ და მასთან ერთად, წიგნსაც 5 ლარად თუ შევიძენ, არაჩვეულებრივი იქნება. მიმაჩნია, რომ ყველა ოჯახის ბიბლიოთეკაში, როგორც კლასიკოსების, ასევე თანამედროვე მწერლების წიგნებიც უნდა ინახებოდეს. რა ვიცით, რომ მომავალში ეს მწერლებიც კლასიკოსებად არ იქნებიან აღიარებულნი?.. რაც შეეხება „გურჯი ხათუნს“, დათო ტურაშვილის შემოქმედებას საკმაოდ კარგად ვიცნობ და რასაკვირველია, ეს ნაწარმოებიც წაკითხული მაქვს. უნდა გითხრათ, რომ მისი კითხვისას ცრემლიც კი მომერია. ახლა, როცა საზღვარგარეთ ამდენი ქართველი ცხოვრობს, ქართველი მეფის ასულის ბედმა კიდევ უფრო

გაგრძელება იხ. გვ. 75

# პირდაპირ ეთერში

# გამხელილი სიყვარული

**დათო მესხიშვილისა და ანი მაღლაკელიძის ახალშეუღლებული წყვილი იტალიურ ეზოში, პატარა, მაგრამ გემოვნებით მოწყობილ ბინაში ცხოვრობს. ანის ქმრის სახლში ბევრი რამ უცვლელად დაუტოვებია, თუმცა რაღაც-რაღაცები მაინც გაუახლებია და იქაურობა გაულამაზებია. დათოს და ანის შინ ვესტუმრე და დიდხანს ვისაუბრეთ მათი სამომავლო გეგმების შესახებაც და იმაზეც, თუ როგორ მოხიბლეს ერთმანეთი, რა აღმოაჩინეს დაოჯახების შემდეგ და საერთოდ, რა დამსახურება მიუძღვის ლვედებს მათ დაახლოებაში.**

*ნინო ჯავახიშვილი*



— ამ სახლში დაქორწინებამდე დათო მარტო ცხოვრობდა და ბუნებრივია, მოსვლისთანავე რაღაცები შევცვალე. ცვლილებები ორივეს გვახალისებს და გვახარებს. ჩვენს მყუდრო ბინაში თავს კარგად ვგრძნობთ. არაჩვეულებრივად კარგი მეზობლები გვყავს. ხომ იცით, იტალიურ ეზოებში უფრო მეტად არის შემორჩენილი ძველებურად თბილი, მეზობლური ურთიერთობა. აქაურობა ახლახან ვაკურთხებინეთ კიდეც. მოკლედ, დავტრიალდი და ჩემი ხელი დავატყვე აქაურობას (*იცინის*)...

— **ესე იგი, ძნელი ყოფილა პატარძლობა?**

— სხვათა შორის — არა. როდესაც ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, ძალიან მარტივია, ერთმანეთის მოვლა და გაფრთხილება. სასიამოვნოა საყვარელ ადამიანზე ზრუნვა და მისთვის თუნდაც ელემენტარული რამის გაკეთება. მრავალრიცხოვან ოჯახში რომ გვეცხოვრა, ალბათ უფრო რთული იქნებოდა ყველასთან ურთიერთობის აწყობა.

— **მშობლები როგორ შეხვდნენ თქვენს გადაწყვეტილებას?**

— სანამ გადავწყვეტდით, ერთად დაგვეწყო ცხოვრება, მანამდე ვიცნობდი დათოს მშობლებს და მანაც მოინდომა ჩემების გაცნობა. ორივე ისეთ ასაკში ვართ, თვითონაც შეგვეძლო დამოუკიდებლად მიგვეღო გადაწყვეტილება, მაგრამ როგორც წესი და რიგი იყო, ისე გავაკეთეთ — მშობლები დავაფასეთ და ჩვენს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აზრი ვკითხეთ. გულწრფელად გეტყვი, რომ ჩემი დედამთილ-მამამთილი ძალიან კარგი ადამიანები არიან. მათგან თავიდანვე კეთილგანწყობილება, სითბო და სიყვარული ვიგრძენი და თავი შემაყვარეს. ეზოში ერთად ვრგავთ ხოლმე ყვავილებს, ხეებს. ახალგაზრდები არიან და ჩვენ შემოგვნატრიან. ასე რომ, დედამთილ-მამამთილშიც ძალიან გამიმართლა.

— **ანი, თქვენმა ამბავმა უხმაუროდ ჩაიარა. ჯვარი თუ დაიწერეთ?**

— ჯვარს დავიწერთ, მაგრამ გრანდიოზული ქორწილის გადახდას არ ვაპირებთ. ზაფხულში ტაო-კლარჯეთის მონახულებას ვგეგმავთ. ახლა ძალიან დაკავებულები ვართ და დასვენებას ვერ ვახერხებთ.

— **როგორც ვიცი, გაცნობიდან ძალიან მალე მიიღეთ ერთად ყოფნის გადაწყვეტილება. მიამბე, როგორ მოხდა ეს ყველაფერი?**

— შარშან, ოქტომბერში გავიცანით ერთმანეთი და დაახლოებით ექვს თვეში დავქორწინდით კიდეც. მაშინ ძალიან აქტუალური იყო ლვედების თემა და დათო რადიოში ჩემს გადაცემაში მივიწვიე. მალევე დავმეგობრდით, რადგან ბევრი საერთო აღმოგვაჩნდა — ინტერესის სფერო, გემოვნება (სხვათა შორის, კულინარიულიც კი), აზროვნება... ერთმანეთს ვხვდებოდით. მოკლედ, კარგად „ავეწყეთ“ და მალე სიყვარულიც მოვიდა... თანაც ძალიან ძლიერად შეგვიყვარდა ერთმანეთი. დათო ჩემგან განსხვავებით, იმდენად აქტიური ადამიანია, რომ სიურპრიზებისა და აქტიურობების შემდეგ გამოსავალიც კი აღარ დამიტოვა... ისე უცებ განვითარდა მოვლენები, ველარც კი ვიხსენებ, როდის რა მოხდა.

— **ალბათ ის მაინც გახსოვს კარგად, 14 თებერვალს დათო „დღის შოუს“ პირდაპირ ეთერში რომ შეიჭრა და საქვეყნოდ განაცხადა: ქალი, რომელიც მიყვარს, თქვენთან მუშაობს და ის ანი მაღლაკელიძეაო. ელოდი ასეთ აღიარებას?**

— მაგ დღეს რა დამავიწყებს? საერთოდ, ძალიან ემოციური და რომანტიკული ბუნების ვარ. სიყვარულის გარეშე ვერაფერს ვაკეთებ ვერც სახლში და ვერც სამსახურში. ამიტომაც ღმერთის წყალობად მივიჩნევ ამ გრძნობას და ბედნიერი ვარ, რომ მომავალში შვილიშვილებისთვის მოსაყ-

ოლი ბევრი რამ მექნება, თუნდაც — ეს ამბავი. უბედნიერესი ვიყავი. ან რომელ ქალს არ ესიამოვნებოდა, სიყვარულის ამგვარი გამოხატვა? სახლში გადაცემას ვუყურებდი. ვიცოდი, დათო იყო სტუმრად მიწვეული, მაგრამ არ ველოდი, თუ საქვეყნოდ განაცხადებდა — მიყვარხარო. შოკში ჩავვარდი. ვინ აღარ მირეკავდა. სიყვარულის დღეს ამაზე კარგი საჩუქარი რა იქნებოდა?

— **ხშირად გაოცებს თავისი საქციელით?**

— ცდილობს, ყოველდღიურად გაალამაზოს და სიახლე შემატოს ჩვენს ურთიერთობას. ვხედავ, როგორ ცდილობს და როგორი მონდომებულია, რომ კარგი და მყარი ოჯახი ააშენოს. ჩვენ მეგობრული, გახსნილი ურთიერთობა გვაქვს და ერთმანეთს არაფერს ვუმალავთ.

*ამ დროს დათომ ცოტა ხნით შემოირბინა სახლში, მომიბოდიშა — ძალიან მოუცლელი ვარ და მე მალე გამათავისუფლეთ, კვლავ თქვენ ისაუბრეთო.*

— ახალგაცნობილი ადამიანის შესახებ ყველაფერი გაინტერესებს — როგორი გემოვნება აქვს, სად დადის, რას უსმენს, რას კითხულობს, ჩაცმის როგორი სტილი აქვს და ასე შემდეგ. ეს ეტაპი ჩვენს ურთიერთობაში საერთოდ არ ყოფილა, რადგან ყველაფერი დაემთხვა. ფეხბურთში ხდება ხოლმე, როდესაც გუნდები პირველ ტაიმს კარგად არ თამაშობენ, ამბობენ, ერთმანეთს ზვერავენ, არ იხსნებიანო. ჩვენ დაზვერვითი სამუშაოები არ ჩაგვიტარებია. პირდაპირ მეორე ტაიმზე გადავედით და გოლებიც გავიტანეთ... უნდა ვაღიარო, რომ ანი თავიდან მომეწონა, შემდეგ დამაინტერესა და თავიც შემაყვარა. ბევრი საერთო გვაქვს, უკვე საჭმელიც კი ერთნაირი მოგვწონს. ძმარი, ტარხუნის ლიმონათი და ქინძი მიყვარს და ანიმ აღმოაჩინა, რომ თურმე ეს ყველაფერი თვითონაც უყვარდა, მაგრამ აქამდე ვერ ხვდებოდა (*იცინის*). ხუმრობის გარეშე გეტყვი, რომ ანისთან ცხოვრება საინტერესოა — მისგან ბევრ რამეს გაიგებ და ისწავლი. ასე რომ, სარგებლის მომტანი ცოლქმრობა გვაქვს. რაც არ ვიცოდი აქამდე, ახლა ვსწავლობ და ეს ანის დამსახურებაა. უნდა ვაღიარო, რომ მან შემცვალა. უფრო ორიენტირებული გავხდი ოჯახზე — თუ ხელფასს ადრე დაუფიქრებლად ვხარჯავდი, ახლა ნაუცბადევ გადაწყვეტილებებს აღარ ვიღებ და მასთან ვათანხმებ, ოჯახისთვის რა შევიძინოთ. სიმართლე გითხრა, არ მეგონა, ოჯახი ასეთი სასიამოვნო და კარგი რამ თუ იქნებოდა.

**ანი:**

— მე ნინოს ვუთხარი, რომ შენ რომანტიკული ხარ.

**დათო:**

— ეს, სხვათა შორის, აქამდე არ ვიცოდი, მაგრამ რაკი ანი ამბობს, ალბათ გამოვავლინე ასეთი ბუნება და ესეც მისი დამსახურებაა. ვფიქრობ, რომანტიკული რაღაც მიზეზების გამო ხდება კაცი, უფრო ზუსტად — სიყვარულის გამო...

— **პირველი ბიჭი დავგეგმეთო, მითხარით. ბევრი შვილის ყოლას აპირებთ?**

— ეს ხუმრობით, თორემ რაც იქნება — იქნება. ალბათ ორი ან სამი, 10-ს და 12-ს ვერ შეგპირდებით... მე თანახმა ვარ, ბავშვები ანის დაემსგავსონ...

— **მოგეწონა ანი დიასახლისის ამპლუაში?**

— არაჩვეულებრივად გემრიელი ხელი აქვს და მის გაკეთებულ სადილს ბევრს გეახლებით, თუმცა ჭამა-სმის არაფერი მეტყობა. ალბათ ამიტომაც მეუბნებიან, ცოლის ხელი დაგეტყო და ცოტა მოკეთდიო. ჭამასაც თავი რომ დავანებოთ, პირადი ურთიერთობები დალაგებული და აწყობილი მაქვს, რის გამოც უფრო ძლიერი და მობილიზებული ვარ და ვგრძნობ, ყველაფერი კარგად იქნება... ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდში ვარ...

— **ამჟამად რას საქმიანობ?**

— ქალაქის მერიის წარმომადგენელი ვარ, საკრებულოში. გარდა ამისა, პირველ არხზე მიმყავს გადაცემა — „ავტოპილოტი“, რადიო „იმედზე“ კი — „გზაჯვარედინი“. მოკლედ, ბოლო ორი წელია, რაც საგზაო უსაფრთხოების თემით დავინტერესდი და ვფიქრობ, ბევრი რამ კარგისკენ შევცვალეთ. მინდა, მძღოლები მიხვდნენ, რომ მაგალითად, ღვედი დაჯარიმების შიშით კი არა, იმიტომ უნდა გაიკეთონ, რომ 70%-ით დაცული იყვნენ და გადარჩენის დიდი შანსი ჰქონდეთ. გარდა ამისა, ყველას სადღაც აგვიანდება და ყოველ წუთში არღვევენ მოძრაობის წესებს, თან გაიძახიან: რა ვქნათ, ასეთი მენტალიტეტი გვაქვსო. ეს არ მესმის. მეც დამირღვევია წესები, მაგრამ რაკი მაშინ უგუნური ვიყავი, იგივე გავიმეორო?



სარგებლის მომტანი ცოლქმრობა გვაქვს...

სტატისტიკური თვალსაზრისით, შედეგი შესამჩნევია — 2009 წლის მონაცემებით, დედაქალაქში გარდაიცვალა 33 ადამიანი. 2010 წელს კი იმავე პერიოდში — 12 ადამიანი. თითქმის სამჯერ შემცირდა. ეს კი ცუდი სულაც არ არის.

— **წამყვანის ამპლუაში თავს როგორ გრძნობ? შეიძლება ითქვას, რომ ანის პროფესიაშიც ჩაეზიარე.**

— თავიდან ცოტა ვინერვიულე, რადგან ჩვენი მაყურებელი პრეტენზიულია — ის უნდა ილაპარაკო, რაც მას სურს. შეიძლება, სულაც არ მოსწონებოდათ, ვიღაც ჭკუის სწავლებას რომ დაუწყებდათ. ამიტომაც ვეცადე, დატუქსვითი კი არა, ანალიტიკური ხასიათის გადაცემა გამეკეთებინა. ხშირად გაისმის საყვედურები — წესები იმიტომ გაამკაცრეს, ბიუჯეტში ფული რომ შეუვიდეთო. კი, ბატონო, მაგრამ არ დაარღვიონ წესები და ბიუჯეტსაც არ შეავსებენ. ასე არ სჯობს?

— **ანი, მითხარი, გამოცდილი მძღოლი ვარო. დათოს შენ მიმართაც თუ აქვს შენიშვნები?**

— 10-12 წელია, რაც საჭესთან ვზივარ. მანქანის სიყვარული გენეტიკურად მომდგამს. მამაჩემი მოყვარული „გონშიკი“ იყო. დედაჩემიც იმ პერიოდიდან მართავდა მანქანას, ქალი საჭესთან ჯერ კიდევ იშვიათობა რომ იყო. ინტერესთან ერთად ალღოც აღმომაჩნდა და ახლა ველარ წარმომიდგენია, უმანქანოდ როგორ გავძლებ. დარღვევებიც მქონია და დავჯარიმებულვარ კიდეც, მაგრამ ძირითადად წესრიგის მოყვარული მძღოლი ვარ. „ხულიგანი“ არ ვარ. დათო ზედმეტად მოწესრიგებულია. უცებ შენიშნავს, მაგალითად, ერთი ხაზიდან მეორეში თუ გადავედი და შენიშვნას მაძლევს. მეც ვუჯერებ, კანონმორჩილი ადამიანი ვარ... თავდაჯერებული ვარ საჭესთან. ბევრჯერ შევუქივარ სხვებს... დათო კი მეუბნება, რა შენიშვნებსაც გაძლევს, ისინი თუ გაითვალისწინე, უკეთესი მძღოლი იქნებიო.

— **ბედნიერებას გისურვებთ!** ■

# „ხელოვნების ნიმუშები“ ზაზა იაქაშვილის ცხოვრებაში

**სიყვარული რომ ამოუცნობი რამ არის და მისი სიტყვებით გადმოცემა შეუძლებელია, ეს ალბათ ყველამ კარგად იცის. ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, ვისაც ეს გრძნობა ერთხელ მაინც არ გამოუცდია. სამწუხაროდ, ცნობილ ადამიანებს ხშირ შემთხვევაში, პირად გრძნობებზე საუბარი არ სურთ, მაგრამ გამონაკლისებიც არსებობენ. მსახიობ ზაზა იაქაშვილს დიდი სასიყვარულო გამოცდილება აქვს, თუმცა მიაჩნია, რომ ის „ერთადერთი“ გრძნობა ჯერ არ განუცდია და ყველაფერი წინ აქვს. საბედნიეროდ, ზაზა, სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, საკმაოდ გულახდილი რესპონდენტია...**

*ნათია ჟივიძე*

— **ალბათ გახსოვს, პირველად როდის შეგიყვარდა...**

— რასაკვირველია, მახსოვს. საერთოდ, იღბლიანი ადამიანი ვარ, როგორც პროფესიაში, ისე — სიყვარულშიც. რაც საკუთარი თავი მახსოვს, სულ ვიღაც მიყვარს და ჩემდამი ინტერესს საწინააღმდეგო სქესისგანაც ვგრძნობ... პირველად საბავშვო ბაღში შემიყვარდა. მართლაც საოცარი გოგონა იყო, ბდღვრიალა, ცისფერი თვალები და ქერა, ხვეული თმა ჰქონდა. მოსაკლავი ვარ — მისი სახელიც კი არ მახსოვს. ის კი მახსოვს, რომ თოჯინას ჰგავდა. მაშინ ვერ ვგრძნობდი, რომ ის გოგონა მიყვარდა. უბრალოდ, ვერ ვხვდებოდი, რა მემართებოდა. სულ იმ ბავშვთან ყოფნა მინდოდა. პატარაობაში მადას არ ვუჩიოდი — ჩემი წილი ტკბილეული ვინმესთვის რომ დამეთმო, საერთოდ წარმოუდგენელი იყო, მაგრამ იმ გოგოს ტკბილეულსაც ვუნაწილებდი და საჭმელსაც. ეს ჩემი მხრიდან დიდი გმირობა იყო. კარგად მახსოვს, ერთხელ ეს გოგონა რაღაცაზე ტიროდა. დიდი ხნის განმავლობაში ვეხვეწებოდი, ტირილის მიზეზი ეთქვა, მაგრამ ვერ ან არ მითხრა. ავდექი და მეც ტირილი დავიწყე. შენ რაღა გატირებსო? — მკითხა. სანამ შენ არ გაჩუმდები, მეც მანამდე ვიტირებ-მეთქი, ვუპასუხე... ვცდილობდი, რომ მასთან არც ერთ ბიჭს არ ეთამაშა. ახლოს არავის ვაკარებდი. მიუხედავად ამისა, მაშინ მაინც ვერ ვხვდებოდი, რატომ ვიქცეოდი ასე და რა მჭირდა. სამწუხაროდ, საბავშვო ბაღის მერე იმ გოგონას აღარ შევხვედრივარ. სახელიც კი აღარ მახსოვს და ისიც არ ვიცი, მას რა ბედი ეწია.



**ერთბაშად სამი გოგონა მიყვარდა. ძალიან დაბნეული ვიყავი და გრძნობებში ვერ ვერკვეოდი**

— **შემდეგი, ცოტა უფრო სერიოზული სიყვარული ალბათ სკოლის ასაკში გეწვია...**

— მართალი ხარ. თანაც აბსოლუტურად სერიოზულად, ერთბაშად სამი გოგონა მიყვარდა. ძალიან დაბნეული ვიყავი და გრძნობებში ვერ ვერკვეოდი. სამივეზე ერთნაირად ვფიქრობდი და რა მექნა?

— **ეს სამი გოგონა ერთმანეთს თუ ჰგავდა?**

— არა. სამივე აბსოლუტურად სხვადასხვანაირი იყო. მაშინ მეექვსე კლასში ვიყავი, ის გოგონები მერვე კლასში სწავლობდნენ.

— **მათ იცოდნენ შენი გრძნობების შესახებ?**

— არა. საკუთარ გრძნობებს კარგად ვმალავდი. რომელიმე მათგანის გაცილება თუ მინდოდა, ვაცილებდი, ოღონდ ვამბობდი, რომ მეც იქით მივდიოდი, რაღაც საქმე მქონდა; იმას კი არ ვეუბნებოდი, შენ გაცილებ-მეთქი — თავმოყვარე ბიჭი ვიყავი. უთავმოყვარეო ადამიანს არც მამაკაცი სცემს პატივს და არც — ქალი. კაცი ყოველთვის შენს სიმაღლეზე უნდა იდგე, რომ ქალისთვის საინტერესო იყო. დამეთანხმები ალბათ, რომ თავმოყვარე მამაკაცი ქალს გაცილებით მეტად მოსწონს და მეტ პატივს სცემს.

— **ქალის ფსიქოლოგია კარგად იცი?**

— არ ვიცი. შეიძლება ვინმემ თქვას, ქალის ფსიქოლოგია კარგად ვიციო? არა მგონია.

— **როგორც თქვი, ქალებში ყოველთვის გიმართლებდა და მათი გულების დაპყრობას ყოველთვის ახერხებდი.**

— კი, ნამდვილად ასე იყო, თუმცა მათ გამო რამდენჯერმე გავლახულვარ კიდეც. მეექვსე კლასში რომ ვიყავი და ის სამი გოგონა ერთდროულად მიყვარდა, მათი თანატოლი ბიჭები სერიოზულად არ აღმიქვამდნენ და ამას ძალიან კარგად ვიყენებდი. ისეთი გოგონები იყვნენ, რომ მხოლოდ ჩვენს სკოლელებს კი არ უყვარდათ, არამედ სხვა სკოლებიდანაც აკითხავდნენ, მაგრამ ფარ-ხმალს არ ვყრიდი. მერე იმ სამიდან ერთი მაინც მიხვდა, რომ მიყვარდა.

— **იმ სამი გოგონას სახელი გახსოვს?**

— როგორ არ მახსოვს, მაგრამ არ გეტყვი... გარკვეული პერიოდის შემდეგ ჩემს გრძნობებში გავერკვიე და მივხვდი, რომ იმ სამიდან ერთ-ერთი მართლაც ძალიან მიყვარდა. ისიც ხვდებოდა, რა გრძნობაც მქონდა მის მიმართ. გაგიკვირდება და, მისგანაც წამოვიდა საპასუხო გრძნობა, მაგრამ ეს სიყვარული არარეალური იყო, რადგან მაშინ ორი წლით დიდი გოგოს სიყვარული საზოგადოებაში დიდ გამოხმაურებას გამოიწვევდა... სკოლა ჩემზე ორი წლით ადრე დაამთავრა. მერე ერთი-ორჯერ კურორტზეც შევხვდით, მაგრამ ჩვენი ურთიერთობა არ გაგრძელებულა. რამდენიმე წლის წინ, ახალი წლის დღეებში, ერთ-ერთ სუპერმარკეტში ჩემს შვილებთან ერთად შევდიოდი, ის კი თავის შვილებთან ერთად გამოდიოდა. იცი, რა დამემართა? ის ხომ თავის დროზე ჩემთვის ძალიან ძვირფასი ადამიანი იყო, არ შეიძლებოდა, ეს ყველაფერი უკვალოდ დაკარგულიყო. რა თქმა უნდა, სასაცილო იქნება, რომ ვთქვა, მის მიმართ გრძნობა შემომრჩა-მეთქი. უბრალოდ, მისი დანახვისას ბავშ-

ვობა გამახსენდა. სუპერმარკეტში ერთმანეთს ვერც კი გამოველაპარაკეთ. ხმაც არ ამოგვიღია. ერთმანეთი თვალებით მოვიკითხეთ... ეს უბრალოდ, მეგობრული შეხვედრა იყო...

— **სერიოზულად როდის შეგიყვარდა?**

— მიმაჩნია, რომ ყოველთვის სერიოზულად მიყვარს ხოლმე...

— **როდის მიხვდი, რომ ის — ის იყო?**

— როცა ჩემი მეუღლე, ნინო აბაშიძე შემიყვარდა. თეატრალურ ინსტიტუტში ცოტა გვიან ჩავაბარე და ნინოც იქ გავიცანი. ის ჩემზე ოთხი წლით უმცროსი იყო. ნინოც პროფესიით მსახიობია, თუმცა ამ პროფესიას არ გაჰყოლია. დაახლოებით ორი წლის მანძილზე მართლა ვმეგობრობდით და ჩვენ შორის სერიოზული არაფერი ხდებოდა, მაგრამ ერთ დღესაც ორივეს ერთბაშად დაგვარტყა თავში ის, რომ ერთმანეთი გვიყვარს. აი, ამაშიც გამიმართლა. ხომ შეიძლებოდა, მას ეს არ ეგრძნო? ნახევარ წელიწადში დავქორწინდით...

— **კი, მაგრამ ორწლიანი ურთიერთობის შემდეგ ასე რით მოგხიბლა, რომ მისმა სიყვარულმა უცებ „დაგარტყა თავში“?**

— ხომ არიან მამაკაცები, რომლებსაც ლურჯი თვალები მოსწონთ, შავი ან თაფლისფერი? ჩემს უფროს ქალიშვილს ჩემსავით მწვანე თვალები აქვს, უმცროსს კი — თაფლისფერი. მიუხედავად ამისა, ორივე მათგანს უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ფერს კი არა აქვს მნიშვნელობა, მანდილოსანში მთავარი — მისი მზერაა, რომელშიც მისი სულის „შიგთავსი“ ჩანს. ნათქვამია, კაცს თვალებით უყვარს და ქალს — ყურებითო. ამ გამონათქვამს ნაწილობრივ ვეთანხმები კიდეც, თუმცა ქალის კარგი გარეგნობა ზუსტად ერთ კვირაში ჰბეზრდება კაცს. მთავარია, ამ გარეგნობის მიღმა რა არის...

— **შეყვარებული ზაზა როგორია?**

— საერთოდ, რომანტიკული ადამიანი ვარ. ძალიან მიყვარს ქალისთვის სიურპრიზების მოწყობა. ჩემთვის იცი, რა არის ყველაზე მნიშვნელოვანი? ემოციების გაცვლა-გამოცვლა რომ ხდება, როგორც მაგალითად, მაყურებელსა და მსახიობს შორის. მსახიობის პროფესია სიყვარულზეა დაყრდნობილი. ისე ძალიან უნდა გიყვარდეს შენი მაყურებელი, როგორც შენი რჩეული მანდილოსანი. თუ ასეა, მაშინ ყველაფერს გააკეთებ, ბოლომდე გააკეთებ და მთელი გულით ითამაშებ. ეს ყველაფერი კი გაგაბედნიერებს.

— **ვიცი, რომ კარგად მღერი. რა სიურპრიზი გაგიკეთებია მეუღლისთვის? თუ გიმღერია მისთვის?**

— მიმღერია კიდეც და ლექსიც წამიკითხავს. კარგად მახსოვს, პირველად რომ მოვიდა ჩემთან სტუმრად, ჩემი ხელით მოვამზადე რომანტიკული ვახშამი და სუფრაც მე გავაწყვე.

— **სანთლის შუქიც გექნებოდათ ალბათ...**

— არა, შუადღე იყო და სანთლები არ დაგვჭირდა. სანთლის შუქი თვალებიდან უნდა მოდიოდეს და მაშინ ყველაფერი კარგად იქნება. ნინოს სიტყვებს გეტყვით, რომლის გამოც მას დიდ პატივს ვცემ. ასე მითხრა: შენ შეიძლება, სიურპრიზი გამიკეთო შემოდგომის ყვითელი ფოთლით და ამან ბოლომდე ამავსოს, სხვამ კი რაიმე ძვირფასი საჩუქარი მომიძღვნას, რომელსაც ჩემთვის არავითარი ფასი არ ექნებაო. ნინო ძალზე მგრძნობიარე ადამიანია.

— **ნინოც არანაკლებ რომანტიკული ყოფილა. რატომ დამთავრდა თქვენი ურთიერთობა, რატომ დაგენგრათ ოჯახი?**

— რთული შეკითხვაა, რადგან ამ შეკითხვაზე პასუხი არ მაქვს. ჩვენ შორის ნამდვილად სერიოზული არაფერი მომხდარა. მიუხედა-



ვად ამისა, მაინც დავშორდით. თუმცა დღემდე შესანიშნავი ურთიერთობა გვაქვს, დღემდე მეგობრები ვართ და არაფერში ერთმანეთს პრობლემას არ ვუქმნით.

**— დიდი ხნის წინ დაშორდით ერთმანეთს?**

— უკვე ექვსი წელი გავიდა.

**— როცა ნინო მოიყვანე ცოლად, მაშინ ასეთი პოპულარული არ ყოფილხარ. ახლა პოპულარუ-**



**ნებისმიერ ქალს, როგორც შეუდარებელ და განუმეორებელ ხელოვნების ნიმუშს, ისე ვუყურებ და მათთან დამოკიდებულებაც ასეთივე მაქვს**

**ლიც ხარ და თავისუფალიც. ბევრი თაყვანისმცემელი გყავს?**

— ხომ იცი, რა დაკავებულიც ვარ? ხშირად მიწევს ქუჩაში სიარული, სადაც ჩემს მაყურებელს ვხვდები და მისგან დიდ სიყვარულსა და თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ. მსახიობისთვის ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს...

**— ზაზა, თაყვანისმცემლებში ქალები ვიგულისხმე...**

— გასაგებია. ჩემი თაყვანისმცემლები ქალბატონებიც არიან, მამაკაცებიც და ბავშვებიც.

**— მაშინ პირდაპირ გკითხავ, ქალები გაწუხებენ?**

— როგორ შეიძლება, მამაკაცი ქალის საქციელმა შეაწუხოს?!

**— გეტყობა, მექალთანე ხარ...**

— ნებისმიერ ქალს, როგორც შეუდარებელ და განუმეორებელ ხელოვნების ნიმუშს, ისე ვუყურებ და მათთან დამოკიდებულებაც ასეთივე მაქვს. გინდ მექალთანე მიწოდე და გინდ სხვა რამ... ნება შენია.

**— ახლა შეყვარებული ხარ?**

— არა.

**— აბა, ვინ არის ის გოგონა, ვისთან ერთადაც მეც არაერთხელ მინახავხარ?**

— ეგ რომელია?

**— არ ვიცი. შენ უნდა მითხრა. არ გახსოვს, ვისთან ერთად დადიხარ ყველაზე ხშირად?**

— როგორ არ მახსოვს, მაგას რა დამავიწყებს (*იცინის*). რომ არ მოგატყუო, არ ვიცი, ვისზე მელაპარაკები. ალბათ ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი მეგობარი იქნება.

**— მეგობრებს ისე არ ეხუტებიან, როგორც შენ იმას ეხუტები ხოლმე...**

— შენც ხომ იცი, რომ ძალიან თბილი ადამიანი ვარ. ასეთი მომენტების გარეშე, ღმერთმა ნუ მაცოცხლოს. ამწუთას შეყვარებული არა მყავს, მაგრამ მიუხედავად ამისა, მარტო მაინც არასოდეს ვარ.

**— მეუღლის მერე არავინ გყვარებია?**

— არა. რომ მყვარებოდა, ახლა ჩემ გვერდით იქნებოდა.

**— ამდენწლიანი გამოცდილების შემდეგ, იმის ახსნა მაინც თუ შეგიძლია, რა არის სიყვარული?**

— ამის განსაზღვრა ძალიან ძნელია. გულში ვგრძნობ სიყვარულს, მაგრამ სიტყვებით გადმოცემა არ შემიძლია. თუმცა მაინც შევეცდები: სიყვარული იცი, რა არის? როცა ადამიანს თვალებში უყურებ და ამ დროს მთლიანად სავსე ხარ — მისი მზერის გარდა, არაფერი გინდა; როცა უყურებ, როგორ მიირთმევს საჭმელს და შენ ერთი ლუკმაც არ გადაგდის ყელში; როცა შეგიძლია, ქორწინებიდან 30-40 წლის შემდეგ მას მაინც „ჩემო პატარავ" დაუძახო; როცა ვერ დაიძინებ, სანამ არ ჩაეხუტები და მის მუცელს ხელს არ დაადებ; როცა შეიძლება, ღამით დაგესიზმროს, გაიღვიძო და თქვა, — რა ბედნიერებაა, რომ ის ჩემს ცხოვრებაში არსებობს!.. ჯერჯერობით, მსგავსი განცდა არ მქონია და იმედია, ოდესმე ამ ყველაფერს გამოვცდი... ■

**ლევან ზაგაშვილს ოთარ ტატიშვილი კარგა ხანს „აპარებდა" — ლატარიის ყოველი გათამაშებისას, მასთან დაკავშირებულ ახალ-ახალ თავგადასავალს პირდაპირ ეთერში ჰყვებოდა... არც ისე დიდი ხნის წინ, საზოგადოებისათვის უკვე კარგად ცნობილი გვარ-სახელის მქონე ადამიანი გადაცემაში — „ღამის შოუ ოთარ ტატიშვილთან ერთად", „ექსპერტის" როლში მოგვევლინა.**

*ეთო ყორღანაშვილი*

— თუ დამიჯერებთ, ისიც არ ვიცოდი, რომ ლატარიის გათამაშება ოთარს უნდა წაეყვანა. სახლში ვიყავი, მეძინა. უეცრად ტელეფონმა დარეკა და მეუღლემ გამაღვიძა. მისი მშობლები უცხოეთში არიან და გაოცებულან, თქვენ შორის რა ხდებაო?! თურმე ოთარს ეთერში უთქვამს, ლევან, გუშინ რომ ვილაპარაკეთ, ისე არაა, ცხოვრება სხვანაირიაო და ა.შ. მას მერე გავიგე, რომ ეთერში ჩემზე იყო ლაპარაკი. ნამდვილად არ ვიცი, ოთარმა საერთოდ მე რატომ ამირჩია.

**— ალბათ, განსაკუთრებული მეგობრობა გაკავშირებთ. ხშირად აღნიშნავდა, — ჩემი ძმაკაცი, ლევან ზაგაშვილიო...**

— სამეგობრო წრეში ერთმანეთი ყველას ერთნაირად გვიყვარს, მე ასე ვფიქრობ. მართალია, ოთარის მშობლები დღემდე შუათანა შვილს მეძახიან, მაგრამ სამეგობროში განსაკუთრებული არ ვარ, ყველას კარგი ურთიერთობა გვაკავშირებს.

**— ოთართან ხშირი კონტაქტი**




**ოთარის მშობლები დღემდე შუათანა შვილს მეძახიან**

# როდის „მტრობენ“ ერთმანეთს ოთარ ტატიშვილი და ლევან ზაგაშვილი

**გაქვთ? მის მიერ ეთერში მოყოლილი თქვენი თავგადასავლები რეალობას შეესაბამებოდა?**

— სტუდენტობის დროს ერთმანეთის სახლში „ვცხოვრობდით“, მაგრამ ბოლო დროს ნაკლებად ვურთიერთობთ. ჩემ შესახებ ეთერში მოყოლილ ამბებს რაც შეეხება, ალბათ მათი მეხუთედიც არაა სიმართლე.

**— თქვენი „გაპარება“ მიზნად რას ისახავდა? ნუთუ თავისი გადაცემისთვის „ექსპერტად“ გამზადებდათ?**

— ალბათ, უბრალოდ, ერთ-ერთი მეგობრის გვარ-სახელი აირჩია. შეიძლება, ჩემ ნაცვლად, ზურა ოქროპირიძე ან კახა მოსიძე ყოფილიყო, შესაბამისად, „ექსპერტიც“ ერთ-ერთი მათგანი იქნებოდა. ჩემი აზრით, ასეა. გულში რა უდევს, არ ვიცი (*იცინის*).

**— როცა გადაცემაში „ექსპერტის“ ამპლუაში მიგიწვიეს, ამ წინადადებას როგორ შეხვდით?**

— ვერ ვიტყვი, რომ არ გამიხარდა. როცა გადაცემაში მიმიწვიეს, სიამოვნებით დავთანხმდი.

**— საერთოდ, რა გამოცდილების საფუძველზე აკეთებთ მიმოხილვებს?**

— (*იცინის*) საქართველოში ყველა ექსპერტია!

**— რისი?**

— აბსოლუტურად ყველაფრის! შემიძლია, მიმოხილვა ხახვით დავიწყო და უმაღლესი პოლიტიკით დავამთავრო, შუაში ფეხბურთის თემასაც ჩავურთავ...

**— გარდა „ექსპერტობისა“, რას საქმიანობთ?**

— დღესდღეობით, ერთ-ერთ კლინიკაში ვმუშაობ. „წარმოშობით“ ექიმი ვარ. ერთი პერიოდი, ჩემი პროფესიით ვმუშაობდი. დაახლოებით 12 წელია, რაც ხან ბიზნესში ვარ, ხან — მენეჯერულ საქმიანობას ვეწევი. კლინიკაშიც ერთ-ერთ მენეჯერულ თანამდებობაზე ვმუშაობ.

**— ოთართან თქვენი ნაცნობობა როგორ დაიწყო, ჯგუფელები ხომ არ იყავით?**

— ჩვენი ნაცნობობა სამედიცინო უნივერსიტეტიდან დაიწყო. ორივე „მოსამზადებელზე“ მოვხვდით. ჯგუფელები არ ვყოფილვართ, მაგრამ ალბათ, რამდენიმე ერთნაირმა ადამიანმა ერთმანეთი ვიპოვეთ. მალევე დავმეგობრდით და დღემდე ერთად მოვდივართ.

**— როგორც ვიცი, „კავეენშიც“ თამაშობდით.**

— დიახ, „კავეენის“ გუნდის წევრები ვიყავით, მთელი უნივერსიტეტი გვიცნობდა. პურმარილი არ გვაკლდა, ხან ვინ გვეპატიჟებოდა, ხან — ვინ. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ცუდი დრო იყო, შეიძლება ითქვას, ჩვენს თავს ვირთობდით. კარგი სტუდენტები ნამდვილად არ ვყოფილვართ (აკადემიურ მოსწრებას ვგულისხმობ). მე ქირურგიული განხრით ვსწავლობდი, დანარჩენ საგნებს მხოლოდ ერთი დღისთვის — გამოცდისთვის ვმეცადინეობდი.

**— როგორი მეგობარია ოთარი, ძმაკაცობაში არასოდეს „ჩაჭრილა“?**

— ძალიან ცუდი! იცით, როგორ არის საქმე? მას უნდა, რომ ჩემი მეგობარი იყოს, მე — არა (*იცინის*)! რა თქმა უნდა, ვხუმრობ. ოთარი ძალიან კარგი, ერთგული მეგობარია. მისი მამის ძმაკაციც ვარ, დედა კი ჩემი დაქალია.

**— რაზე კამათობთ ან კამათობდით?**

— ალბათ — ფეხბურთზე. ამ საკითხში ერთმანეთს ახლაც ვუპირისპირდებით, მით უმეტეს — ბოლო პერიოდში: მე „მანჩესტერის“ გულშემატკივარი ვარ, ოთარი — „ბარსელონასი“. მე და ოთარ ტატიშვილი 28 მაისს ერთმანეთის აბსოლუტური მტრები ვიქნებით!..

**— კიდევ რა საკითხებში ვერ თანხმდებით?**

— შეიძლება, სხვადასხვა აზრი გვქონდეს, მაგრამ „ერთნაირად ვიყურებით“.

**— ბოლო დროს ოთარი ბევრ საქმეს შეეჭიდა. თქვენც უკვე, მენეჯერობასთან ერთად, „ექსპერტის“ როლიც მოირგეთ. სატელევიზიო სფეროში თქვენი შესაძლებლობების გაფართოებას ხომ არ აპირებთ?**

— მართალი გითხრათ, არა მგონია. ოთარი ამდენ ადგილას რომ მუშაობს, ეს მის ნიჭიერებაზე მეტყველებს. მეტსაც გეტყვით — მე ასეთი ჯერ არა ვარ (*იცინის*). ჩემთვის



ძალიან მხიარული ოჯახი მაქვს, მით უმეტეს – 2 ბიჭის ხელში

2 სამსახური საკმარისია.

**— ბოლო დროს თქვენი „ექსპერტული“ მიმოხილვა არ მომისმენია. რა ხდება?**

— გადაცემაში რომ მივედი, მითხრეს: როცა დაგვჭირდები, მაშინ მოხვალო. მაინცდამაინც ყველა გადაცემაში არ უნდა ვყოფილიყავი.

**— მიმოხილვებში ჰონორარს იღებთ თუ წამყვანს მეგობრულად უდგახართ მხარში?**

— ჰონორარს ვიღებ. ოთარის გარდა, გადაცემაზე ძალიან მაგარი ბიჭების გუნდი მუშაობს. ტელევიზიაში მათი მიწვევით უფრო ვარ.

**— ვატყობ, ოთარი „პარის“ განხრით კიდევ ერთ პროფესიას შეითავსებს... ვიდრე თქვენს გვარს ვახსენებდი, თავად მკითხეთ — რა გვარი ვარო? რადგან ეს მკითხეთ, ალბათ, ჩემი არ იყოს, გვარად „ძაგაშვილი“ კიდევ ბევრ ადამიანს ეგონეთ. ეს იმედს მაძლევს, რომ ყრუ არ ვარ...**

— სხვათა შორის, თავად ოთარი ხუმრობს ხოლმე — ალბათ, ჩემი „პრონანსის“ ბრალიაო (*იცინის*).

**— თქვენს ოჯახზეც მოგვიყევით — ცოლშვილიანი ხართ?**

— დიახ. მყავს მეუღლე — თეა შუკაკიძე, 2 ვაჟი — ილია და ნიკოლოზი, დედა — ქეთევანი, რომელიც ცალკე ცხოვრობს. ძალიან მხიარული ოჯახი მაქვს, მით უმეტეს — 2 ბიჭის ხელში. დამღლელი სამუშაოს შემდეგ, მათთან „გამკლავება“ ცოტა რთულია, მაგრამ ძალიან საყვარლები არიან. „შეკრული“ ოჯახი ვართ. ჩემი მეუღლე ძალიან მიყვარს, ულამაზესია! მას ამას იშვიათად ვეუბნები, ახლა კი თქვენი ჟურნალის მეშვეობითაც ვეტყვი...

■

# ჯეინ ფონდამ პოდიუმზე ახალგაზრდა მოდელები დაჩრდილა





რამდენიმე ხნის წინ კანის კინოფესტივალის წითელ ხალიჩაზე ჯეინ ფონდას გამოჩენამ ნამდვილი აჟიოტაჟი გამოიწვია. იგივე განმეორდა, როდესაც 73 წლის მსახიობმა და მოდელმა ნაომი კემპბელის მიერ მოწყობილ საქველმოქმედო ფეშენშოუში მიიღო მონაწილეობა და ახალგაზრდა გოგონები დაჩრდილა. კანის სავაჭრო ცენტრ Forville Market-ში მოწყობილი ჩვენების „Fashion For Relief“ პოდიუმზე ჯეინ ფონდა თავდაპირველად მარტო გამოჩნდა, შემდეგ კი ნაომის მიერ, დომენიკო დოლჩესა და სტეფანო გაბანას დახმარებით შექმნილ მაისურებში გამოწყობილი გოგონების თანხლებით გამოვიდა. აღსანიშნავია, რომ ჯეინ ფონდა პოდიუმზე გამოსულ ყველაზე ხანდაზმულ მოდელზე მინიმუმ 25 წლით უფროსია, მაგრამ პუბლიკის ყურადღება სწორედ ასაკოვანი მოდელისკენ იყო მიპყრობილი. მაყურებელი ვარსკვლავის მომდევნო გამოჩენას მოუთმენლად ელის, რადგან არავინ იცის, კიდევ როგორ სიურპრიზს შესთავაზებს თაყვანისმცემლებს... ■

# ლეონარდო დი კაპრიო და ბარ რაფაელი კვლავ დაშორდნენ



ქალების კერპი ლეონარდო დი კაპრიო ფილმის „დასაწყისი“ ვარსკვლავს, ებრაელ მოდელ ბარ რაფაელის დაშორდა და კვლავ მარტოხელა მამაკაცთა რიგს შეუერთდა. „ეს მეგობრული დაშორებაა. ურთიერთობა ისევ აქვთ და კვლავაც მეგობრებად რჩებიან, მათი გზები კი გაიყო. ჯერჯერობით ღუზის ჩაშვებას არც ერთი მათგანი არ აპირებს და ორივე კარიერაზე ზრუნავს“, — იუწყება ShowbizSpy წყვილის დაშორების შესახებ. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს ლეონარდო დი კაპრიო და ბარ რაფაელი ოთხწლიანი რომანის შემდეგ, 6 თვის განმავლობაში დაშორებულნი იყვნენ და მხოლოდ 2010 წელს შერიგდნენ.

„არ ვიცი, დავქორწინდები კი საერთოდ? იმდენი დანგრეული ოჯახი მინახავს, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ბედნიერად ცხოვრობდნენ, შემდეგ კი დაშორდნენ... ასეთი ამბები მუდამ თავზარს მცემს“, — აღიარებს დი კაპრიო. ■

# მონათესავე სულები

პოპის დედოფალ მადონნას და მსოფლიოში ცნობილ მომღერალ ლედი გაგას ერთმანეთს ისედაც ხშირად ადარებენ, ახლა კი ირკვევა, რომ მათ მსგავსი სცენური იმიჯის გარდა, წინაპრებიც აერთიანებთ!

როგორც გამოცემა The Daily Mail იუწყება, გენეალოგმა კრის ჩაილდმა ორივე მომღერლის გენეალოგიური შტო გამოიკვლია და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისინი ერთმანეთის შორეული ბიძაშვილები — მეცხრე თაობის ნათესავები არიან. მათი საერთო წინაპარი საფრანგეთიდან კვებეკში 1600-იან წლებში გადასახლდა.

აღსანიშნავია, რომ გაგამ ერთ-ერთ ინტერვიუში თავი მადონნას შეადარა: „ორივე იტალიური წარმოშობის ამერიკელი ქალები ვართ, ორივეს კარიერა ნიუ-იორკის ანდერგრაუნდ-სცენაზე დაიწყო, სახელი ორივემ მას შემდეგ მოვიხვეჭეთ, რაც თმა ქერად შევიღებეთ. ვფიქრობ, ბევრი რამ გვაქვს საერთო, პირველ რიგში — გამბედაობა, ორივე უშიშრები ვართ“.

2009 წელს ლედი გაგას კონცერტის შემდეგ მადონნამაც აღიარა, რომ იგი ამ ეპატაჟური ვარსკვლავის ფანატია. ■





# არნოლდ შვარცენეგერმა აღიარა, რომ უკანონო შვილი ჰყავს



არნოლდ შვარცენეგერისა და მარია შრაივერის განქორწინების ნამდვილი მიზეზი ბოლოს და ბოლოს, გაირკვა! 25-წლიანი ქორწინების შემდეგ წყვილის დაშორება კალიფორნიის ყოფილი გუბერნატორის აღიარებამ გამოიწვია. როგორც აღმოჩნდა, არნოლდ შვარცენეგერი 10 წლის განმავლობაში მალავდა, რომ უკანონო შვილი ჰყავს.

2011 წლის დასაწყისში შვარცენეგერმა მეუღლეს გაუმხილა, რომ მას უკანონო შვილი ჰყავს, რომელიც ერთ-ერთ მოსამსახურესთან შეეძინა. ამ აღიარების შემდეგ მარიამ განქორწინების გადაწყვეტილება მიიღო.

მსახიობმა ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელიც გამოცემამ The Times გაავრცელა: „გუბერნატორის პოსტის დატოვების შემდეგ ცოლს ის ამბავი გავუმხილე, რომელიც 10 წლის წინ მოხდა. კარგად მესმის, რომ ამან ოჯახის წევრებსა და ახლობლებს შორის მრისხანება და იმედგაცრუება გამოიწვია. ჩემს საქციელს გამართლება არ აქვს და სრული პასუხისმგებლობა მეკისრება იმ ტკივილის გამო, რომელიც ოჯახის წევრებს მივაყენე. გულწრფელად ვინანიებ და მარიას, ბავშვებსა და ოჯახს პატიებას ვთხოვ, საინფორმაციო საშუალებებს კი ვთხოვ, ამ მძიმე დროს მარიას და ბავშვებს პატივისცემით მოექცნენ".

ხანმოკლე დუმილის შემდეგ კომენტარი მარია შრაივერმაც გააკეთა: „ამ მძიმე დროს, როგორც დედა, პირველ რიგში შვილებზე ვზრუნავ. გთხოვთ, პატივისცემა და თანაგრძნობა გამოიჩინოთ, ვიდრე ჩვენი ცხოვრების მოგვარებას ვცდილობთ. სხვა კომენტარი არ იქნება!"

ცნობილია, რომ სიმართლის გამჟღავნების შემდეგ, მოსამსახურე ქალი, რომელმაც შვარცენეგერების ოჯახში 25 წელი იმუშავა, დაითხოვეს. ამ ხნის განმავლობაში არნოლდ შვარცენეგერი უკანონო შვილს, რომლის სახელი გასაგები მიზეზების გამო არ ხმაურდება, ფინანსურად უზრუნველყოფდა.

არნოლდ შვარცენეგერსა და მარია შრაივერს ოთხი შვილი ჰყავთ: 21 წლის კეტრინ იუნისი, 19 წლის კრისტინა მარია ავრელია, 17 წლის პატრიკი და 13 წლის კრისტოფერი. ■

# ჯონი დეპის გასაოცარი გულუხვობა



მსახიობი ჯონი დეპი ახალი ფილმის „პირქუში ჩრდილები" გადაღებებში მონაწილეობს. გადამღებმა ჯგუფმა ლონდონის გარეუბანში დაიდო ბინა. ცნობილი მსახიობი მეუღლესთან, ვანესა პარადისთან და შვილებთან ერთად ესკოტის ერთ-ერთ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დაბინავდა, პრესტიჟულ რესტორნებში სიარულზე რატომღაც უარი განაცხადა, მაგრამ არა იმიტომ, რომ ამისათვის საკმარისი ფული არა აქვს. იგი საღამოებს ადგილობრივ პაბში ატარებს და ოფიციანტებს სერიოზული საჩუქრებით ახარებს.

ასე მაგალითად, ჯონი დეპმა პირველ საღამოს ოფიციანტს გასამრჯელოდ 450, მეორე დღეს კი 600 დოლარი აჩუქა. უნდა ითქვას, რომ პაბში მისული დეპი მუდამ ცდილობს, შეუმჩნეველი დარჩეს და ხალხის ყურადღება არ მიიპყროს. ■

# ანჯელინა ჯოლი ახალი სვირინგის არსს განმარტავს

აპრილის დასაწყისში პრესაში გავრცელებულ ფოტოსურათებზე ჩანს, რომ ანჯელინა ჯოლის მარცხენა მხარს ახალი სვირინგი ამშვენებს. მსახიობის ექვსი შვილის დაბადების ადგილების აღმნიშვნელ კოორდინატებს ახალი, მეშვიდე სიმბოლო დაემატა და მაშინვე გავრცელდა ხმა, რომ ენჯისა და ბრედის ოჯახს კიდევ ერთი ბავშვი შეემატებოდა. ჭორების გასაფანტად ჰოლივუდის ვარსკვლავმა ახალი სვირინგის არსის განმარტება გადაწყვიტა.



„როგორც ცნობილია, ეს სიმბოლოები გრძედსა და განედს მიგვანიშნებს... ეს ბრედის დაბადების ადგილია", განაცხადა მსახიობმა გამოცემა Extra-სთვის მიცემულ ინტერვიუში. როგორც ცნობილია, ბრედ პიტი ოკლაჰომას შტატის ქალაქ შაუნიში დაიბადა და ის ამბავი, რომ ანჯელინას მხარზე გამოსახული შვილების დაბადების ადგილის აღმნიშვნელი კოორდინატების სია სწორედ ამ ადგილის კოორდინატებმა დააგვირგვინა, შესაძლოა იმის ნიშნავდეს, რომ ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა — ექვსი შვილი საკმარისია, მეტი ბავშვის ყოლა საჭირო არ არის! საგულისხმოა, რომ იმავე ინტერვიუში ანჯელინამ ამჟამად მეშვიდე ბავშვის შვილად აყვანის შესაძლებლობა სრულიად გამორიცხა და განაცხადა, რომ „ახლა ამის დრო არ არის". ■



რუბრიკა მოამზადა ნატო მანჯავიძემ

# როდის გრძნობს თავს შიშვლად ნინო კურატაშვილი

**ქართულ ტელევიზიებს ერთი უცნაური ჩვეულება აქვთ — როგორც კი ეთერში ახალი ტიპის, რეიტინგული გადაცემა გამოჩნდება, ყველა არხი ცდილობს, მიჰბაძოს. მნიშვნელობა არა აქვს, უცხოური გადაცემიდან იქნება კოპირებული თუ — არა. ერთ დროს ქართულ ტელევიზიებში პოლიტიკური ტოქშოუების ბუმი იყო, ახლა გასართობი გადაცემები სჭარბობს პოლიტიკურს. განსაკუთრებული სიმრავლე დღის შოუებში იგრძნობა. დღის შოუებიდან ერთ-ერთი პირველი — „სამოთხის ვაშლები“ იყო, რომელიც მესამე წელია, ეთერში გადის. კონკურენტი გადაცემებიდან იმით განსხვავდება, რომ წამყვანები მშვიდები არიან და ეთერში იშვიათად კამათობენ. „სამოთხის ვაშლების“ ფერად და მწვანე ვაშლებით გაფორმებულ სტუდიაში გადაცემის ერთ-ერთ წამყვანს, ნინო კურატაშვილს შევხვდი და გემოვნებაზე ვესაუბრე.**

*მერი კოგიაშვილი*

**— „სამოთხის ვაშლების“ ტიპის გადაცემები უკვე თითქმის ყველა ქართულ არხზეა. მოგწონს, ასეთ კონკურენციაში რომ გიწევს მუშაობა?**

— კონკურენცია თავისთავად კარგია. გამოდის, რომ „სამოთხის ვაშლები“ წარმატებულია, რადგან სხვა არხებს მსგავსი პროექტის გაკეთების სურვილი გაუჩნდათ.

**— ხშირად უყურებ სხვა არხებზე კონკურენტ გადაცემებს?**

— შეძლებისდაგვარად. თუ სახლში ვარ, ვცდილობ, თვალი მივადევნო ხოლმე. „სამოთხის ვაშლები“ უკვე რამდენიმე წელია, არსებობს და უკვე იმდენ თემაზე გვისაუბრია, რომ „იმედზე“, „მზესა“ და „რუსთავი 2“-ზე ამ თემების გამეორება თავისთავად მოხდება. მათ ხშირად ჰქონიათ თემები, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. ძალიან საინტერესოა მათი პოზიციის მოსმენა.

**— შეგიძლია, გულახდილად გვითხრა, რომელი უფრო მოგწონს?**

— ვერ გეტყვით. ყველა განსხვავებულია, ფორმატითა და წამყვანებით. ამ შემთხვევაში რა თქმა უნდა, სუბიექტური ვიქნები.

**— შენამდე „სამოთხის ვაშლები“ ნატო ნიჟარაძეს და რუსკა მანჯგალაძეს მიჰყავდათ. იცნობ მათ?**

— რუსიკოსთან ერთად „ალიონში“ ვმუშაობდი. ნატო ნიჟარაძე ჩემი ახლო მეგობარი არაა, მაგრამ ვიცნობ.

**— რამდენიმე წელი ეკრანზე არ ჩანდი. ამ პერიოდში რას საქმიანობდი?**

— ძირითადად ვაკვირდებოდი, როგორ იზრდებოდა ჩემი შვილი. რამდენიმე წელი ჩემს მეუღლესთან და შვილთან ერთად გავატარე. მარიამი მალე ხუთი წლის გახდება. ინტერესიანი და აქტიური ბავშვია. უკვე ბაღში დადის და ამიტომ როგორც ამბობს, თავისი სამსახური აქვს. მეც გამიჩნდა სურვილი, რომ ჩემი საქმე გამეგრძელებინა. ამ გადაცემის წამყვანებს და პროდიუსერებს წლების ურთიერთობა გვაკავშირებს. რამდენჯერმე მიმიწვიეს სხვა გადაცემის წამყვანად, მაგრამ იმის გამო, რომ ბავშვთან ვატარებდი დროის უმეტეს ნაწილს, უარი ვთქვი შემოთავაზებაზე.



**— როგორი ფორმატის გადაცემებში გიწვევდნენ?**

— რადგან წინათ საინფორმაციოში ვმუშაობდი, ისევ ამ ტიპის გადაცემაში მიწვევდნენ. ჩემთვის უცხო იყო „სამოთხის ვაშლების“ მსგავსი გადაცემის წაყვანა, მიუხედავად იმისა, რომ ერთ დროს „ალიონში“ ვმუშაობდი. ყველაზე მეტად ჯგუფის შემადგენლობამ მომხიბლა, ვისთან ერთადაც უნდა მემუშავა და გადაცემის ეთერში გასვლის დროს.

**— საინფორმაციოს ტიპის გადაცემას აღარასდროს დაუბრუნდები?**

— დღევანდელი გადასახედიდან, „სამოთხის ვაშლების“ ტიპის გადაცემაში მუშაობას ვარჩევდი. კარგად ვიცი საინფორმაციო გადაცემაში მუშაობის როგორი რიტმია. იქ რომ მუშაობ, იმას ნიშნავს, რომ შენი თავი მთლიანად გადაცემას უნდა მიუძღვნა და ოჯახის წევრები დაივიწყო. მაშინ, როდესაც არც ქმარი მყავდა და არც შვილი, ამ რეჟიმს მიჩვეული ვიყავი და დღეს ეს უკვე წარმოუდგენლად მეჩვენება.

**— ყოველდღიურად სატელევიზიო მაკიაჟის გაკეთება არ გღლის ხოლმე?**

— იმდენი ხანია, ტელევიზიაში ვმუშაობ, რომ მაკიაჟის გაკეთებას მიჩვეული ვარ. ყოფილა შემთხვევა, რომ მინდოდა, სახე დამესვენებინა და უმაკიაჟოდ გამოვსულვარ ქუჩაში. ამ დროს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს შიშველი ვიყავი.

**— ხვეული თმა გაქვს. მოგწონს ასეთი ტიპის თმა?**

— ბავშვობიდან მინდოდა, რომ სწორი თმა მქონოდა. ვნატრობდი, ნეტავ, ისეთი საშუალება მოიგონონ, რომ თმა გამისწორონ-მეთქი. მაშინ მოდაში დახვეული თმა იყო და ყველა იხვევდა. დღეს სწორი თმა სანატრელი აღარაა. როდესაც ძალიან მბეზრდება ერთნაირი ვარცხნილობა, ვისწორებ ხოლმე.

**— შარვალს ანიჭებ უპირატესობას თუ კაბას?**

— ამ შეკითხვაზე დაფიქრებაც არ დამჭირდება. ჩემს გარდერობში შარვლები სჭარბობს კაბებს. რატომღაც ბავშვობიდან შარვლები უფრო მიყვარდა. ბოლო დროს კაბის ჩაცმის სურვილი ხშირად მიჩნდება, მაგრამ იშვიათად ვიცვამ.

**— შენს გარდერობში რა ფერის სამოსი ჭარბობს?**

— კრემისფერი, ყავისფერი და მწვანე. შავიც მიყვარს ისევე, როგორც ყველას. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი გარდერობი მკვეთრი ფერებით გამოირჩევა. „სამოთხის ვაშლებში“ რაც დავიწყე მუშაობა, სურვილი გამიჩნდა, რომ დიდი და ფერადი აქსესუარები მქონოდა. საჭიროებიდან გამომდინარე, გემოვნება შემეცვალა. ადრე ფერადი

სამკაულები და ფერადი ტანისამოსი მაინცდამაინც არ მიყვარდა. ახლა, როცა ეთერში ვარ, არ შეიძლება, გადაცემა შავ სამოსში გამოწყობილმა წაიყვანო. ხასიათზეც ბევრი რამაა დამოკიდებული. როცა კარგ ხასიათზე ხარ, ცდილობ, უფრო ფერადი სამოსი ჩაიცვა.

**— როგორი ჩანთები მოგწონს?**

— რა თქმა უნდა, დიდი, რადგან ბევრი რამის ჩაწყობა მიწევს. ჩანთაში ისეთი ქაოსი მაქვს ხოლმე, რომ მობილურს ვერ ვპოულობ (*იცინის*).

**— ბინა საკუთარი გემოვნებით მოაწყვე?**

— ბინის მოწყობისას ჩემი ოჯახის ყველა წევრის გემოვნებაა გათვალისწინებული. არ მიყვარს, როდესაც ბინაში ბევრი ავეჯი დგას და სუნთქვის საშუალება არაა. ბავშვობიდან მიყვარდა ხატვა. მე და ჩემი მეუღლე ნახატებს ხშირად ვყიდულობთ. ჩემი აზრით, ნახატები სახლში თბილ გარემოს ქმნის. ჩემს სახლში ნათელი და პასტელის ფერები ჭარბობს.

**— სიმყუდროვის შესაქმნელად მუსიკას ხშირად უსმენ?**

— მუსიკა მიყვარს, მაგრამ სიმართლე რომ გითხრა, როდესაც მანქანაში ვარ, მაშინ ვუსმენ ხოლმე. ჩემს შვილს უყვარს სიმღერა და ბაღში რა სიმღერასაც ასწავლიან, მთელი დღის განმავლობაში მღერის. მარიამი ძალიან მუსიკალურია, მისი თხოვნით ტელევიზორი ხშირად მუსიკალურ არხზეა ჩართული.

**— შენ მღერი?**

— ჩემთვის მიმღერია, მაგრამ სამწუხაროდ, კარგად არ გამომდის. სიმღერა რომ შემეძლოს, ვერავინ გამაჩუმებდა.

**— კითხვა გიყვარს?**

— ბოლო დროს ვერ ვახერხებ. სულ „სამოთხის ვაშლებთან" დაკავშირებულ თემებზე ვკითხულობ ხოლმე. გადაცემის თემები ერთი კვირით ადრე ვიცით და ვცდილობ, იმ თემაზე რაც შეიძლება, ბევრი ინფორმაცია მოვიპოვო. შეიძლება, ეს ცოდნა მერე გადაცემაში საერთოდაც აღარ გამოვიყენო, საუბარი ისე მიდის ხოლმე. ამ ყველაფრის პარალელურად, კითხვისთვის სამწუხაროდ ვეღარ ვიცლი.

**— გყავს საყვარელი მწერალი?**

— მიჭირს რომელიმე მწერალი გამოვარჩიო. ქართველი მწერლებიდან ბევრი მომწონს. ბევრი რუსი მწერალი ძალიან საინტერესოა. უცხოელი მწერლებიდანაც იმდენი არიან, ვინც მომწონს, რომ ყველას ჩამოთვლა შორს წამიყვანს. ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა მწერლები მომწონდა. ასაკთან ერთად იცვლება წიგნების მიმართ ჩემი დამოკიდებულებაც.

**— წიგნის საყვარელი გმირი გყავს?**

— პატარა რომ ვიყავი, წიგნებს ბაბუაჩემის დახმარებით ვარჩევდი. ბაბუა პერსონაჟებს ჩემთან აიგივებდა. ოჯახში ყველაზე პატარა ვიყავი. აქედან გამომდინარე, სულ მეუბნებოდა, დიდი სახლის პატარა დიასახლისი ხარო. ერთი სული მქონდა, როდის წავიკითხავდი ჯეკ ლონდონის ამ ნაწარმოებს. წიგნის ყველა დეტალს ვუკვირდებოდი, რადგან მთავარი მოქმედი გმირი საკუთარ თავთან გაიგივებული მყავდა. ნებისმიერი წიგნის წაკითხვისას, ვინც მთავარი და დადებითი მოქმედი გმირია, ის გიყვარს.



მარიამი მალე ხუთი წლის გახდება

**— სამზარეულოსთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?**

— ვფიქრობ, რომ როცა რომელიმე კერძის გაკეთების სურვილი გაქვს, წარმოუდგენელია, ვერ გააკეთო. სახლში საჭმელს ყოველთვის ბებია ან დედა ამზადებდნენ. მე სამზარეულოში ცოტა დროს ვატარებ. პატარა რომ ვიყავი, იშვიათად, ნამცხვარს ვაცხობდი.

**— მოსწონდათ შენი გამომცხვარი ნამცხვარი?**

— რა თქმა უნდა, მაშინ ოჯახის წევრები სულ მაქებდნენ, მაგრამ მათ შეფასებას ეჭვის თვალით ვუყურებდი. გასულ აღდგომას ჩაქაფული ყველასგან დამოუკიდებლად მოვამზადე. მხოლოდ ის ვიკითხე, როგორ გავაკეთო-მეთქი? ჩემი მომზადებული ჩაქაფული ძალიან მალე გათავდა. აქედან გამომდინარე, დავიჯერე, რომ მართლა გემრიელ საჭმელს ვამზადებ, როცა ვინდომებ. მთავარია, კარგი მასწავლებელი მყავდეს.

**— მამაკაცებთან დაკავშირებით შენი გემოვნება როგორი იყო? ამ გემოვნებას აკმაყოფილებს შენი მეუღლე?**

— ამ მხრივ როგორი გემოვნებაც მქონდა, ზუსტად ისეთია ჩემი მეუღლე — აკო კვარაცხელია. ადამიანი როცა გიყვარს, ისეთი გიყვარს, როგორიც არის. იდეალური ცოტა ფართო ცნებაა. ზოგისთვის რაც მისაღებია, ჩემთვის შეიძლება არ იყოს სასურველი. ამ შემთხვევაში გარეგნობას მგონი საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა. არ მომწონს, მამაკაცებს რომ ეკითხებიან, ქერა გოგო უფრო მოგწონს თუ შავგვრემანიო?! ჩემი შვილი ჩემს მეუღლეს ჰგავს გარეგნულად და ამით ძალიან კმაყოფილი ვარ. ■





# ცხოვრება

## ჩხუბი, რომელიც სულიერად აჯანსაღებს...

**როცა შენი საქმე გიყვარს, ცდილობ, ემსახურო მას და ბოლომდე დაიხარჯო. ისიც დიდი ხანია, თავდაუზოგავად შრომობს... სპორტის სახეობაში წარმატების მისაღწევად, ბევრი ოფლი უნდა ღვარო. სწორედ ასეთია კონტაქტური კარატე გოჯუ-რიუ. საქართველოს არაერთგზის და ორგზის მსოფლიოს ჩემპიონს — ლევან როგავას, ამ სახეობაში მსოფლიო დონის ოსტატი, მეათე დანის მფლობელი — ჰიგაონა მორიო საუკეთესო სპორტსმენად მიიჩნევს და აღიარების ნიშნად, სამახსოვრო საჩუქრითაც დააჯილდოვა.**



### „მუხლებში ჩამივარდა და მეხვეწებოდა – ნუ მომკლავთო!“

*ლალი პაპასქირი*

— კარატეს ის სახეობა, რომელშიც ვვარჯიშობ, ოკინავური გოჯუ-რიუ გახლავთ. ის საუკუნეების წინ, იაპონიის კუნძულ ოკინავაზე ჩამოყალიბდა და აქამდე უძველესი სახით შემორჩა. სპორტის ამ სახეობაში ადამიანის სულისა და სხეულის შერწყმა ხდება. დიდი მნიშვნელობა აქვს სუნთქვისა და მოძრაობის შეწყობას. თავდაპირველად, სანამ გოჯუ-რიუთი უფრო სერიოზულად დავინტერესდებოდი, ის მხოლოდ ჩხუბი მეგონა. დროთა განმავლობაში კი მივხვდი, რომ ის, ჩხუბთან ერთად, დიდ სულიერ დატვირთვასაც ითვალისწინებს, რომელიც „სხვანაირ“ ცხოვრებას გასწავლის.

**— მაინც როგორს?**

— ადამიანს, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად აჯანსაღებს და აძლიერებს... მისი მიმდევარი, ნებისმიერ პრობლემას მშვიდად, ემოციის გარეშე ეკიდება და სძლევს. გარდა ამისა, ამ სახეობას ასაკობრივი შეზღუდვა არა აქვს — სპორტსმენი რაც უფრო ასაკში შედის, მით მეტად ულრმავდება გოჯუ-რიუს პრინციპებს და მასში მეტ სიახლეს პოულობს.

**— როგორც ვიცი, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი ხართ, თუმცა მანამდე საკმაოდ რთული გზა განვლეთ...**

— მართალია: 13 წლის ვიყავი (90-იან წლებში), კარატეზე სიარული რომ დავიწყე. მოგეხსენებათ, მაშინ როგორი რთული პერიოდი იყო — დარბაზში ელემენტარული სავარჯიშო პირობებიც კი არ გვქონდა. ზამთარ-ზაფხულ, მინებჩამსხვრეულ ოთახში, ფეხშიშველები ვვარჯიშობდით. ვარჯიშის შემდეგ, შხაპი ჩვენთვის ფუფუნება იყო, მაგრამ ზოგადად ქვეყანაში მძიმე სიტუაცია იყო და ამას შეგუებული ვიყავით. ასეთი პირობების მიუხედავად, ხელი მაინც არ ჩამიქნევია... ჯერ საქართველოში გამართულ შეჯიბრებებში ვმონაწილეობდი, შემდეგ კი — მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოვედი. მსოფლიოს ჩემპიონატამდე, ფლორიდის შტატში ღია ტურნირი იმართებოდა და რადგან ეს პირველი გასვლითი ტურნირი იყო, იქ საკუთარი თავის გამოცდა მინდოდა... მესამე ადგილი დავიკავე, მაგრამ შტატის შიდა ტურნირზე ასეთი შედეგი სახარბიელო ნამდვილად არ ყოფილა... ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის თავდაუზოგავად უნდა მევარჯიშა. ჩემპიონატი ორლანდოს შტატში იმართებოდა და მასში 1500-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა... მოკლედ, გამიმართლა — მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი და იმ დღემ მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება... მერე ისევ თავდაუზოგავ შრომას მივუბრუნდი და 2004 წელს თურქეთში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე, საშუალო წონაში, პირველი ადგილი დავიკავე...



**24 ივნისს მიწვეულები ვართ ბაქოში – იქ კონტაქტურ კარატეში მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება**

— **ალბათ წაგიგიათ კიდეც–**

— თუ არ წააგე, მოგების გემოს ვერ გაიგებ... ორთაბრძოლის დროს, ფიზიკურთან ერთად, მნიშვნელოვანია ფსიქოლოგიური მზადყოფნა. ტატამზე ასულმა, რამდენიმე წამში, მოწინაალმდეგის შესაძლებლობები უნდა შეაფასო...

— **გარდა იმისა, რომ ჩემპიონი გახდით, რა მოგიტანათ ამ სახეობამ?**

— გოჯუ-რიუმ ჩემი ცხოვრება მთლიანად შეცვალა. შეიძლება, კარატეს ვილაც მხოლოდ თავდაცვის საშუალებად მიიჩნევს, მაგრამ მას სხვა სულიერი სიღრმეები ახლავს — ბევრ ცხოვრებისეულ ამბავს სხვა თვალით დაგანახვებს... გამონაკლისი შემთხვევების გარდა, რინგზე დაწყებული დაპირისპირება გარეთ არასდროს გამომყოლია. აგრესია სავარჯიშო დარბაზში ან რინგზე რჩება და იქიდან დადებითი ემოციით დამუხტული გამოვდივარ...



ჰიგაონა მორიოსთან ერთად

## სამივე აშკარა უპირატესობით დავამარცხე. მათ შორის იყო რუსეთის ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი – ბოგდან კურილკო

— **ლევან, ქუჩაში არასდროს დაგჭირვებიათ, საკუთარი ფიზიკური მონაცემები გამოგეყენებინათ?**

— 90-იან წლებში იყო ასეთი შემთხვევა: მე და ჩემს მეგობარს წინ უცნობი ბიჭები გადაგვიდგნენ — ქურთუკები გაიხადეთო!.. ვეცადეთ, ყველაფერი მშვიდობიანად მოგვეგვარებინა; მაგრამ არ გამოვიდა და იძულებულები გავხდით, „სხვანაირად დავლაპარაკებოდით"... ისე, უკონფლიქტო ადამიანი ვარ, არავისთვის არაფრის მტკიცება არ მჭირდება.

— **უკრაინაში გამართულ სემინარზე გვიამბეთ — ვინ მიგიწვიათ იქ და რას ითვალისწინებდა?**

— აპრილში ქალაქ დნეპროპეტროვსკში ჩატარდა ევროაზიის სემინარი ოკინავური გოჯუ-რიუ კარატე-დოს ეგიდით. მას ლეგენდარული ოსტატი, X დანის მფლობელი ჰიგაონა მორიო თავის მოსწავლეებთან ერთად უძღვებოდა. ეს სენსეი (მასწავლებელი) ოკინავური წარმოშობის ოსტატია და მთელ მსოფლიოში 3 საუკეთესო მებრძოლს შორის არის დასახელებული; სპორტის ამ სახეობაში რანგით პირველ ნომრად მიიჩნევა. მაგრამ იმდენად თავმდაბალი და მოკრძალებული პიროვნებაა, რომ საშუალო დონის სპორტსმენებსაც კი, როგორც თანატოლებს, ისე ეპყრობა. ამჟამად 73 წლის არის და მის მიერ შესრულებული ილეთები და მოძრაობები რომ ნახოთ, გაოცდებით... მისი ორგანიზატორობით გამართულ სემინარზე, ევროპისა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან 250-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. ვარჯიშებიც ჩაგვიტარეს და ლექციებიც წაგვიკითხეს. ბოლოს კი დაჯილდოებისა და ხარისხის მინიჭების ცერემონიალი ანუ გამოცდა გაიმართა. ჩემთან ერთად იყვნენ ჩემი მოსწავლეებიც — თორნიკე კილაძე და სურენ ვართანიანი (სურენი შავი ქამრის მფლობელი გახდა). მე დანი მომანიჭეს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის იყო, რომ ლეგენდარულმა ოსტატმა — ჰიგაონა მორიომ, სიგელის გარდა, სიმბოლური სამახსოვრო საჩუქარი — ჰალსტუხი და ოქროს სამკერდე ნიშანი გადმომცა.

— **რუსეთის წარმომადგენლები სემინარში მონაწილეობდნენ? თქვენთან როგორი ურთიერთობა ჰქონდათ? როგორც ვიცი, სპორტსმენები ერთმანეთს პოლიტიკური და ეთნიკური ნიშნით არ არჩევენ...**

— რუსეთს ამ სემინარზე ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა ჩამოყვანილი. გამოცდაზე სამ რუს სპორტსმენს შევხვდი. როგორც აღნიშნეთ, სპორტსმენები ერთმანეთს ეთნიკური ნიშნით არასდროს ვარჩევთ, მაგრამ ამ ეროვნების წარმომადგენლებს პოსტსაბჭოთა ხალხების, განსაკუთრებით კი ქართველების მიმართ ისეთი აგრესია აქვთ, რომ ხშირად ტატამზეც და მის მიღმაც გამოხატავენ... საბედნიეროდ, გამიმართლა და უკრაინის სემინარზე სამივე აშკარა უპირატესობით დავამარცხე. მათ შორის იყო რუსეთის ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორი — ბოგდან კურილკო. იგი ჩხუბის დროს მუხლებში ჩამივარდა და მთხოვა — „ნე უბივაიტე მენია, პოჟალუისტა!" მაშინ გაღიმების თავიც არ მქონდა, შემდეგ კი ამაზე კარგად ვიხალისე...

— **ვიცი, რომ მოსწავლეებიც გყავთ, თან, მუდმივად მონაწილეობთ შეჯიბრებებში. ამდენ საქმეს ერთდროულად როგორ ასწრებთ?**

— მირჩევნია, მუდმივად ფორმაში ვიყო, ვვარჯიშობდე, შეჯიბრებისთვის ვემზადებოდე ან ბავშვებთან ვმუშაობდე... საკმაოდ ბევრი მოსწავლე მყავს, მათ შორის, გოგონებიც არიან. ყველა მათგანთან ინდივიდუალური დამოკიდებულება მაქვს. შეიძლება, ყველა პროფესიონალი სპორტსმენი ვერ გამოვიდეს, მაგრამ ისინი დარბაზში მეგობრებისა და უფროსებისადმი პატივისცემას სწავლობენ.

— **ლევან, სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— 24 ივნისს მიწვეულები ვართ ბაქოში — იქ კონტაქტურ კარატეში მსოფლიოს ჩემპიონატი იმართება, სადაც სხვადასხვა ასაკის ადამიანები მონაწილეობენ და ჩემი მოსწავლეებიც აპირებენ ძალების მოსინჯვას...

— **თქვენი პატარა შვილიც სპორტის ამ სახეობას ეუფლება?**

— დიახ, 5 წლის ალექსანდრე მყავს. ჩემს მოსწავლეებთან ერთად, მასაც ვავარჯიშებ, მაგრამ ჯერ იმდენად პატარაა, რომ საკუთარ დადებით თვისებებს ვერ აცნობიერებს (*იღიმება*)...

■



# შუაგულ ევროპიდან — ხარაგაულის კულტურის სახლში

**დარეჯან მელიავა საფრანგეთში დაბადებული და გაზრდილი ქართველია. ის ხარაგაულის რაიონის კულტურის ცენტრში სტუმრობის დროს გავიცანი, ცენტრის თანამშრომლები ფანდურზე დაკვრას, ქართულ სიმღერებს და ცეკვებს ასწავლიდნენ. ბუნებრივია, დავინტერესდი, ცოტა ხანს ვუსმინე, როგორ მღეროდა, მერე კი გავეცანი და ინტერვიუ ვთხოვე. დარეჯანმა თხრობა დიდი ბაბუის გახსენებით დაიწყო...**

## „გაისად რომ ჩამოვალ, ქართული უფრო კარგად მეცოდინება“

თამუნა კვინიკაძე

**დარეჯან მელიავა:**

— არ ვიცი, ჩემი დიდი ბაბუა — საშა მელიავა საქართველოდან საფრანგეთში 1929 წელს რატომ წავიდა, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე ადამიანი რომ იყო, ეს ვიცი. მისი აქედან გამგზავრების მიზეზიც ალბათ ის გახდა, რომ არსებულ რეჟიმს ვერ შეეგუა. გადმოცემით ვიცი, რომ 20 წლის იყო, როცა საქართველოდან წავიდა. არ ფიქრობდა, რომ უცხო ქვეყანაში სამუდამოდ დარჩენა მოუწევდა. მას სამშობლოში მოხუცი დედა და ოჯახი ელოდებოდნენ, მაგრამ სამწუხაროდ, დაბრუნება ვერ შეძლო. მთელი ცხოვრება საქართველო ენატრებოდა; საბოლოოდ კი სამშობლოში გარდაცვლილი „დაბრუნდა“ — მისი ფერფლი მშობლიურ ბათუმში ჩამოვიტანეთ.

— **საფრანგეთში რას საქმიანობდა?**

— სხვა ქართველებთან ერთად, ლორენსის რეგიონში მაღაროში მუშაობდა. სწორედ იქ გაიცნო ფრანგი ქალი — ლორე მურელი, ერთმანეთი შეუყვარდათ და 1935 წელს დაოჯახდნენ. მალე პირველი შვილი შეეძინათ, მამაჩემი კი 1939 წელს დაიბადა. ცოტა ხანში ომიც დაიწყო. ბაბუა საფრანგეთის არმიაში იბრძოდა და ტყვედ ჩავარდა. საბედნიეროდ, ცოცხალი გადარჩა... მამამ ქართული ენა არ იცოდა, იმიტომ, რომ როდესაც პატარაობაში ლაპარაკს სწავლობდა, იმ წლებში ბაბუა ტყვედ იყო ჩავარდნილი. ბავშვს ფრანგი ბებია ზრდიდა და ქართულს ვინ ასწავლიდა?! ჩემი უმცროსი ბიძები კი ქართულად ლაპარაკობდნენ, ეს ბაბუის დამსახურება გახლდათ. ოჯახში შვილებს, რძლებს, შვილიშვილებს ძალიან უყვარდათ ბაბუა, ყველა ქართულად მიმართავდა, „მამას“ ეძახდნენ. ქართულ ცეკვებს არაჩვეულებრივად ცეკვავდა და შთამომავლებსაც ასწავლიდა. ბაბუის სურვილით, ყველა შვილიშვილს ქართული სახელები გვქვია. თავიდანვე ასე იყო — ფრანგები როგორც კი ჩვენს სახელებს გაიგებდნენ, მაშინვე ჩვენი წარმომავლობით ინტერესდებოდნენ, ეს დღემდე ასეა. ყველას ვპასუხობთ, რომ ქართველები ვართ. მართალია, ქართულად ვერ ვლაპარაკობთ, მაგრამ ვუსმენთ ქართულ მუსიკას, სუფრაზე ხშირად ქართული კერძები გვაქვს... სამწუხაროდ, ბაბუას არ ვიცნობდი — მისი გარდაცვალებიდან 5 წლის შემდეგ დავიბადე. დედას ნათქვამი აქვს, — მამაშენმა ცოლად რომ მომიყვანა, სუფრაზე ქართული კერძები ჰქონდათ, ქართულ სადღეგრძელოებს სვამდნენ, გაოცებული დავრჩიო... დედის დამსახურებაა, რომ საქართველო მიყვარს, მას მამამთილთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. დღემდე განვიცდი იმას, რომ ბაბუას არ ვიცნობდი. მან შვილები საფრანგეთში ქართველებად გაზარდა, ტრადიციების სიყვარული ჩაუნერგა. ჩემი უმცროსი ბიძა გარეგნულად მამას ძალიან ჰგავს. ის ხშირად დადის საქართველოში.

— **თვითონ როდის ჩამოხვედი პირველად საქართველოში?**

— როგორც კი ამის საშუალება მომეცა, კონკრეტულად — 1991 წელს, როდესაც საზღვრები გაიხსნა... ეს ქვეყანა აქ ჩამოსვლამდეც მიყვარდა და მენატრებოდა. საფრანგეთიდან მეგობრები გამომყვნენ. მანამდე, ჩვენი ოჯახის ნათესავის, ცნობილი კინორეჟისორის — თამაზ მელიავას ოჯახს დავუკავშირდი. ამ ოჯახმა მიმასპინძლა.

— **აქ ჩამოსვლის შემდეგ, საქართველოზე როგორი შთაბეჭდილება შეგექმნა?**

— საზღვარი რომ გადმოვლახე, მიწაზე დავემხე და 3 საათი ვტიროდი. მეგობრებმა ჩემი დაწყნარება ვერ შეძლეს.

— **შენს საქციელზე როგორი რეაქცია ჰქონდათ?**

— მიცნობდნენ და ეს არც გაჰკვირვებიათ. ერთ-ერთი მათგანი რუსი იყო — აი, ის კი გაოცებული მიყურებდა. მერე ბათუმიდან ქუთაისში გავემგზავრე: ბაბუას სკოლა ქუთაისში ჰქონდა დამთავრებული. ამ ქალაქში თვალი ვიღაც კაცს მოვკარი, რომელსაც ქუდი ეხურა, რომელიც ბაბუას მივამსგავსე და ავღელდი... მერე უზომოდ ბევრს ვიღიმოდი, მიხაროდა, რომ სამშობლოში ვიყავი. მეორედ, 1994 წელს, მამასთან ერთად ჩამოვედი. მამას გავაცანი 3 წლის წინ ჩემთან დამეგობრებული ქეთევან მგელაძე, რომელიც შემდეგ ცოლად შეირთო. 1998 წელს ჩემი პატარა და — თინა დაიბადა, ის დედითაც და მამითაც ქართველია, პარიზში ცხოვრობს. ჩემი უფროსი და კი პირველად თბილისში მივლინებით ჩამოვიდა — ის მოდელებთან მუშაობს, საფრანგეთში ამ საქმიანობითაა დაკავებული. შუათანა და ყოველ ზაფხულს აქ არის, ახლაც სააღდგომოდ ჩამოვიდა...

— **საფრანგეთში რას საქმიანობ?**

— ანიმაციური ფილმებისთვის ვწერ სცენარებს და მუსიკას; ქუჩის წარმოდგენებს ვაფორმებ, ვუკრავ ტამტამზე. უფროს დასთან და საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ მეგობართან ერთად ტრიო მაქვს ჩამოყალიბებული. ვმონაწილეობ ქუჩის ფესტივალებში. მე და ჩემს დას მუსიკის სიყვარული მამამ ჩაგვინერგა, სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც მღეროდა და სიმღერით წავიდა ამ ქვეყნიდან. მამას ძალიან უყვარდა შატილი. მართალია, ქართულად ვერ საუბრობდა, მაგრამ იქაურებთან ახლობლობდა, მათთან ერთად სვამდა ღვინოს — ქართველი კაცისთვის ეს ხომ ბევრს ნიშნავს. მა-

მას სურვილი იყო, გარდაცვალების შემდეგ მისი ფერფლი ბათუმში ჩამოგვეტანა და მამამისის გვერდით დაგვეკრძალა. ეს სურვილი ავუსრულეთ. მესამედ საქართველოში ჩემს დებთან და ქეთევანთან ერთად დავბრუნდი და მამას ნეშტი ჩამოვასვენეთ.

— **ხარაგაულში როგორ მოხვდი?**

— შარშანდელ ზაფხულს ჯგუფთან ერთად, რამდენიმე რეგიონში ფილმის გადასაღებად ჩამოვედი. ვიყავი ხარაგაულში, ბათუმში, შავშვებსა და ჯოყოლოში. ბათუმში ქუჩაში მიტოვებულ ბავშვებთან გვქონდა ურთიერთობა, შავშვებში — ოსეთიდან დევნილებთან, ჯოყოლოში — მუსლიმან ქალებთან. ეს ყველაფერი ძალიან რთული და მძიმე იყო. ხარაგაულში ახალგაზრდებს შევხვდი, რომლებსაც უყვართ ფრანგული ენა და ფლობენ კიდეც. მუსიკაში კლასიკურ განათლებას იღებენ. ბავშვებმა ჩემი დავალებით ჩანახატები გააკეთეს და ამ ჩანახატების მიხედვით, მათთან ერთად, ფილმისთვის სცენარი დავწერე. ხარაგაულში გავიცანი ზაზა ლურსმანაშვილი, რომელიც არაჩვეულებრივად ცეკვავს; მოვისმინე ხალხური სიმღერები, ვნახე ულამაზესი ბუნება, დიდი ხეები და გარშემო მთები. აქ სტუმართმოყვარე და თბილი ხალხი დამხვდა. ქართულ სამზარეულოზე გავგიჟდი: ხაჭაპური, ხინკალი, საცივი, ფხალი, ჩაქაფული, ლობიო... კიდევ რა გითხრა? მაგარია... მაშინ ხარაგაულში 3-4 დღე დავრჩი და მივხვდი, ეს მცირე დრო იყო. ვთქვი, აუცილებლად დავბრუნდები-მეთქი და აი, ახლა აქ ვარ.

— **ფანდურზე დაკვრას სწავლობ?**

— ქართული სიმღერის მრავალხმიანობით აღტაცებული ვარ, ფანდური საოცარი ინსტრუმენტია. მინდა, კარგად შევისწავლო. სიმღერის გარდა ქართულ ცეკვასაც ვსწავლობ.

— **ახლა რომელი სიმღერების შესრულება შეგიძლია?**

— „შენმა სურვილმა დამლია“, „ვაჟკაცო, მთაში გაზრდილო“, „შაირი“, „ჩემი მზე და ჩემი ბუნება“ (იცინის)... უკვე 10-ზე მეტი სიმღერა ვიცი, ძალიან მიხარია.

— **საფრანგეთში ამ სიმღერებს მეგობრებს ასწავლი?**

— რა თქმა უნდა. ვიცი, საქართველო უფრო მეტად მომენატრება.

— **დაოჯახებული ხარ?**

— არა.

— **როდის დაგვიბრუნდები?**

— გაისად — მაისში. გპირდებით — რომ ჩამოვალ, ქართული უფრო კარგად მეცოდინება.

— **გელოდებით.**

■

# როცა ბავშვი მანიპულირების ინსტრუმენტად იქცევა

## შვილი – ვისთვის ჯირმშოა და ვისთვის – გამორჩენის საშუალება

**ბოლო პერიოდში საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტი გახშირდა. უფრო სწორად, მსგავსი რამ ალბათ ყოველთვის ხდებოდა, მაგრამ მისაქციელში მომხდარი ტრაგედიის შემდეგ (დედას 5 წლის შვილი ცემით შემოაკვდა), მედიასაშუალებებმა მოსახლეობას მოუწოდეს, ძალადობის ნებისმიერი გამოვლინების შემთხვევაში რომელიმე ტელეკომპანიას დაუკავშირდნენ და ამის შესახებ ამცნონ. შესაბამისად, თითქმის ყოველ საღამოს, საინფორმაციო გამოშვებები მსგავსი ფაქტის გაშუქებით იწყება...**

ნათია ჟივიძე



*ამ თემის დაწერა ერთმა შემთხვევამ შთამაგონა. რამდენიმე დღის წინ, რედაქციიდან გამოსულმა, გამსახურდიას გამზირზე შეგროვილი ხალხი შევნიშნე. იქვე საპატრულო და „სასწრაფო დახმარების“ მანქანებიც იდგნენ. რასაკვირველია, დავინტერესდი, თუ რა ხდებოდა და ბრბოს მეც შევუერთდი. სიტუაციის „მთავარი გმირი“, 20 წლის გოგონა, მიწაზე იწვა და ტიროდა; არ მინდა საავადმყოფოში, შინ წამიყვანეთო, — ამბობდა. თურმე, საწყალს, სამშობიარო ტკივილები დასწყებია, თვითმხილველებს „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა გამოუძახებიათ, მაგრამ გოგონა არაფრით თანხმდებოდა სამშობიაროში გადაყვანაზე. მეც დედა ვარ და რასაკვირველია, გოგონას ბედმა ამაღელვა. მივუახლოვდი და ვუთხარი, დაგეხმარები, ავტომობილში ჩაგსვამ-მეთქი. მაშინვე ცრემლიანი თვალებით შემომხედა, მომეხვია და მითხრა, თუ დახმარება გინდა, შინ წამიყვანე, ტანსაცმელი გამომაცვლევინე და მერე წავიდეთ სამშობიაროშიო. ჩემთან ერთად, კიდევ ერთი გამვლელი ქალიც სთხოვდა, ჩვენთვის დაეჯერებინა, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ვიღაცას ხელში დაახლოებით წლინახევრის ბავშვი ეჭირა, რომელიც მოულოდნელად ატირდა. თურმე იმ გოგონას შვილი ყოფილა და დედა ასეთ მდგომარეობაში რომ დაინახა, გაუცნობიერებლად მასთან ყოფნას ითხოვდა. დედამ შვილი გულში ჩაიკრა, კიდევ ერთხელ შემომხედა მუდარით და მთხოვა, ჩემს შვილს ვერ დავტოვებ, გთხოვ, შინ წამიყვანეო. სხვა გამოსავალი არ მქონდა. ტაქსი გავაჩერე, ის გოგონა შვილთან ერთად და კიდევ ერთი გამვლელი ქალი მანქანაში ჩავსვი, მეც წინ მოვკალათდი და გზა ქალაქის ერთ-ერთი გარეუბნისკენ ავიღეთ. რასაკვირველია, დავინტერესდი, თუ რატომ გაჯიუტდა ის გოგო და ექიმებს სამშობიაროში არ გაჰყვა. მიპასუხა, შემეშინდა, ბავშვი არ წაერთმიათ ჩემთვისო. გავოცდი, — ვინ წაგართმევს საკუთარ შვილს-მეთქი! მან კი თავისი ამბავი მიამბო:*

— ნელი მქვია. სამი წლის წინ გავთხოვდი. ვერ ვიტყვი, რომ ჩემი ქმრის მიმართ დიდი გრძნობა მქონდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ დედა ადრევე გარდამეცვალა, მამაჩემს კი ძალზე რთული ხასიათი აქვს, თან გამუდმებით სვამს და მასთან ერთად ცხოვრება უკვე აუტანელი იყო. ამიტომ, როგორც კი თემომ ცოლობა შემომთავაზა, მაშინვე დავთანხმდი... მალევე დავორსულდი და გოგონა შემეძინა. სამწუხაროდ, ქეთის ძვალსახსროვანი სისტემის პრობლემები აქვს, ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე წლინახევრისაა, მაინც ვერ დადის. მე კი იმის საშუალება არ მაქვს, ბავშვს ვუმკურნალო და მასაჟის კურსი ჩავუტარო. მამაჩემის უხასიათობას კი გამოვექეცი, მაგრამ უარეს დღეში აღმოვჩნდი. ჩემი მეუღლის ოჯახს ძალიან უჭირს და ოჯახის ყველა წევრი მათხოვრობით ვირჩენთ თავს. ჩემს უმცროს მულს ორი შვილი ჰყავდა და ჩემი დედამთილის დაჟინებული თხოვნით, ორივე მათგანი უპატრონო ბავშვთა სახლში ჩააბარა. რაც ქეთი გამიჩნდა, მას მერე დედამთილი სულ მოითხოვს, რომ ესეც ბავშვთა სახლში მივიყვანო. რასაკვირველია, არ ვთანხმდები, რადგან ქეთიზე ძვირფასი არავინ მყავს. ეს კი იმის მიზეზი გახდა, რომ დედამთილი მეც და ჩემს შვილსაც თითქმის ყოველ-

დღე გვცემს. ჯერ კიდევ ქეთიზე ორსულობისას არ მიბრალებდა და ელემენტარული რამის გამო მცემდა. დედამისის ენის გამო, ჩემს ქმარსაც არაერთხელ ვუცემივარ. მგონია, რომ ამიტომაც არ არის ჩემი შვილი ჯანმრთელი... მიუხედავად ჩემი ასეთი ყოფისა, ბავშვს მაინც ვერ დავთმობ, ამიტომ იძულებული ვარ, ყოველ დილით ბავშვთან ერთად ამხელა მანძილი გამოვიარო და სამათხოვროდ გამსახურდიას გამზირზე დავჯდე, რადგან ყველაზე ხალხმრავალი ადგილია. თან უკვე წლებია, მანდ ვზივარ, ხალხი მცნობს და მეხმარება. აი, ეს ქალბატონიც (გვერდზე მჯდომზე მიმითითა) იქ მუშაობს; ყოველდღე ფულსაც მაძლევს და ჩემი შვილისთვის საკვებ პროდუქტსაც ყიდულობს. მითხრა, შენი შვილი ჩემს შვილს ჰგავს ძალიან და ასე გულგრილად ვერ ჩავუვლიო.

**— კი, მაგრამ თუ ასეთ მდგომარეობაში ხარ, რატომღა ცხოვრობ ამ ხალხთან და კიდევ ერთ შვილს რატომღა აჩენ?**

— აბა, როგორ მოვიქცე?! წასასვლელი არსად მაქვს. მამაჩემთანაც ზუსტად იგივე მდგომარეობა მელოდება. ისიც კი არ იცის, რომ მეორე შვილზე ვარ ორსულად, თორემ ცემას არც ის მომაკლებდა. ქეთის მერე, კიდევ ერთხელ ვიყავი ფეხმძიმედ. მაშინვე აბორტი გავიკეთე. ახლა კი, უკვე ოთხი თვის ვიყავი, როცა ჩემი ორსულობის ამბავი შევიტყვე და აბორტი დაგვიანებული იყო.

**— ახლა უკვე 9 თვის ხარ და მშობიარობის დრო გაქვს? მუცელი თითქმის არ გეტყობა...**

— არა, 6 თვის ვარ. რა ვიცი, ეტყობა, ნაადრევი მშობიარობაა. სიცხესა და სიცივეშიც მთელი დღე გარეთ ვარ და ამსიმძიმე ბავშვი სულ ხელში მიჭირავს. ალბათ ნაყოფმა ვერ აიტანა ასეთი დატვირთვა.

**— შენი ოჯახის წევრები ახლაც გცემენ ხოლმე?**

— რა თქმა უნდა. ახლაც იმიტომ გთხოვეთ შინ წამოყოლა, რომ ჩემი დედამთილი ამ ამბავსაც თავისებურად „გადათარგმნის“ და ისევ მცემს. მე კი აღარ შემიძლია ამდენი ცემის ატანა.

**— ქალაქში ათასი თავშესაფარი არსებობს, სადაც შენს შვილთან ერთად რამდენიმე თვის მანძილზე მაინც დაგაბინავებენ. მე ჟურნალისტი ვარ და დაგეხმარები, რომელ თავშესაფარსაც აირჩევ, იქ მიგყვები...**

— დიდი მადლობა, მაგრამ არ მინდა...

*— ამასობაში, გოგონას სახლსაც მივუახლოვდით. მთელი ჩვენი დიალოგი ტაქსის მძღოლმაც მოისმინა და ამ ამბავმა იმდენად შეძრა, ფულს არც გვართმევდა. მერე უკან მჯდომმა ქალბატონმა ხუთლარიანი მომაწოდა. ტაქსიში რომ ვსხდებოდით, ვიღაცამ ჩამიდო ხელში და ეს მაინც აიღოსო... ვიდრე ჩვენ ნელის მანქანიდან გადმოსვლაში ვეხმარებოდით, ჭიშკარში ახალგაზრდა ბიჭი გამოჩნდა. ვკითხე, ნელის მეუღლე შენ ხარ-მეთქი? არაო, მიპასუხა და მაშინვე ეზოში გაუჩინარდა. ორიოდე წუთში ისევ გამოყო თავი. გაბრაზებულმა ვუთხარი, იქნებ მოგვეხმარო და ნელი შინ შეგვაყვანინო-მეთქი. კეთილი ინება და გოგონას ხელი მოჰკიდა. ეზოში რამდენიმე ბარაკი დაგვხვდა, რომელიც ჭუჭყისა და ნესტისგან ნახევრად დანგრეულ მდგომარეობაში იყო. ნელი ერთ-ერთ მათგანში შევიყვანეთ და იქ მყოფ ქალბატონებს ვთხოვეთ, გამოცვლაში დახმარებოდნენ, ჩვენ კი ისევ ეზოში გამოვედით (ოთახში ჩვენი ფეხზე დასადგომი ადგილიც კი არ იყო) და „სასწრაფო დახმარების“ ბრიგადა კიდევ ერთხელ გამოვიძახეთ. მათ მოსვლამდე კი ჩემმა თანამგზავრმა ტირილით მიამბო, როგორ უჭირდა ყოველდღიურად ნელის შვილის ყურება, რადგან თვითონაც სწორედ მისი ხნის შვილი ჰყავდა და ქეთის საკუთარ შვილს ადარებდა:*

— რომ გავიგე, ძვლების პრობლემა ჰქონდა, წამალიც კი ვუყიდე, ნელის მივეცი და თან ვასწავლე, ბავშვისთვის რა დოზით უნდა მიეცა. ხომ გინახავს მათხოვრები, რომლებიც საკუთარ შვილებს მხოლოდ საარსებო წყაროს მოსაძიებლად იყენებენ. ნელი ასეთი არ არის. უნდა ნახო, ბავშვს როგორ უვლის, პამპერსს უცვლის ქუჩაში, თვითონ მშიერია და ბავშვს აჭმევს. სულ გულში ჰყავს ჩახუტებული და ეფერება. ამის გამო გამიჩნდა მათი მისამართით სიბრალულის გრძნობა და ამიტომ ვეხმარები ყოველდღიურად...

*საუბარი „სასწრაფო დახმარების“ მანქანის სირენის ხმამ შეგვაწყვეტინა. ნელი ავტომობილში მოვათავსეთ. ექიმების ბრიგადამ გადაწყვიტა, რომ მისი ნათესავები ჩვენ ვიყავით და ისე, რომ არც არაფერი უკითხავთ, პირდაპირ მიგვითითეს, თუ სად უნდა დავმსხდარიყავით. ნელიმ გვთხოვა, ბავშვი აქ არ დამიტოვოთ, წამოიყვანეთ, თორემ ჩემს მოსვლამდე, გააშვილებენო. რასაკვირველია, ამაზე ჩვენც და ექიმებმაც უარი ვუთხარით. დავამშვიდე, შენი ხელმოწერის გარეშე, არც ერთი ბავშვთა სახლის დირექცია ბავშვს არ მიიღებს-მეთქი. მიუხედავად ამისა, გოგონა მთელი გზა ტიროდა, ვაიმე, სად დავტოვე ჩემი შვილიო. მისი ყურადღება სხვა თემაზე რომ გადამეტანა, შევეკითხე, შენი მეუღლე შინ არ იყო-მეთქი?*

**— როგორ არ იყო! ვერ დაინახე, ჩემი მაზლი ჩვენი დანახვისთანავე შინ რომ შევარდა? თავისი ძმა გააფრთხილა. ის კი დაიმალა, პასუხისმგებლობა თავიდან რომ აეცილებინა. შენ არ იცნობ მაგათ და არ იცი, რისი გამკეთებლები არიან.**

— შენ ხომ იცნობ და მაინც ვერაფრით ვხვდები, რატომ იტან ამდენ ტკივილს, — კვლავ ვერ დავმალე აღშფოთება. ნელიმ კი ჩემი საყვედური ისევ უპასუხოდ დატოვა. ამასობაში, სამშობიაროშიც მივედით. იქ მყოფმა ექიმებმა, როგორც კი გაარკვიეს, რომ გოგონა მათხოვარი იყო, არც დაზღვევა ჰქონდა, არც რაიმე სახის პოლისი და მით უფრო — არც ფული, პირველ რიგში ის იკითხეს, მკურნალობის ფულს თქვენ აანაზღაურებთ თუ არაო. სამწუხაროდ, არც მე და არც ჩემს თანმხლებ ქალბატონს იმდენი თანხა არ აღმოგვაჩნდა, რომ მკურნალობის ხარჯები აგვენაზღაურებინა. ექიმმა ნელი გასინჯა და გვითხრა: ნაყოფს გული სუსტად უცემს, სიკვდილის საფრთხე ემუქრება; პირველ რიგში, ექოსკოპიაა საჭირო, მერე კი — სათანადო მკურნალობაო. ვთხოვეთ, იქნებ ექოსკოპია მაინც გადაუღოთ უსასყიდლოდ, ხომ ხედავთ, ფული რომ არ აქვს-თქო. ეგ ჩვენი პრობლემა არ არისო, მიპასუხა და ოთახიდან გავიდა. მორიგე ექიმმა, ნელის ჰკითხა, — უახლოეს წარსულში ხომ არ წაიქეცი ან ხომ არ ინერვიულე, ნაყოფი რატომ არის ასეთ მძიმე მდგომარეობაშიო? გოგონა მხოლოდ მაშინ გამოტყდა, რომ წინადღეს ქმარს კიდევ ერთხელ უცემია ჯოხით...

*მოკლედ, სამშობიარომ ნელი არ მიიღო. იმით დაამშვიდეს, რომ ის ტკივილები ნაადრევი მშობიარობის კი არა, ნაყოფის ცუდად ყოფნის გამო ჰქონდა და უკან გამოუშვეს. რა უნდა გვექნა? გოგონას ტაქსის ფული მივეცით და შინ გავისტუმრეთ. მას მერე კი მოსვენება დავკარგე. თვალებიდან არ ამომდის პატარა ქეთი, რომელიც დედის ავადმყოფობის გამო შიშისგან გაფართოებული თვალებით შემოგვყურებდა; რომელსაც ერთადერთი გულშემატკივარი — დედა „წავართვით“ და თვითონ კაცმა არ იცის, ვის ხელში დავტოვეთ...*

*ამ ამბავმა წინა დღეებში ნანახი, კვლავ გამსახურდიას გამზირზე მომხდარი ფაქტი გამახსენა. მაშინ სამსახურიდან შინ ვბრუნდებოდი. ახალგაზრდა ქალი ერთ-ერთი ბრენდული მაღაზიის წინ თავის ორიოდე წლის ბიჭუნასთან ერთად იჯდა და მათხოვრობდა. უცებ ბავშვი წაიქცა და ლოყა ბორდიურს ჩამოარტყა. მაშინვე სისხლი წასკდა. ბავშვმა ტირილი დაიწყო, დედამ კი მუჯლუგუნების რტყმითააყენა, ისევ ბორდიურზე ჩამოსვა და მოდურად ჩაცმულ მამაკაცს ხელი გაუწოდა. მამაკაცმა ქალბატონის გაწვდილი ხელი არც კი შეიმჩნია და დედა-შვილს უბრად ჩაუარა. ბავშვი კვლავ ტიროდა, დედა კი გვერდში ჩქმეტდა და უყვიროდა, ახლავე გაჩუმდიო. ჩანთიდან ამოღებული ხელსახოცი, რომელიც ბავშვისთვის სისხლის ჩამოსაწმენდად მოვიძიე, ხელში შემეყინა. მივხვდი, თუ ბავშვთან დასახ-*

*მარებლად მივიდოდი, დედამისის რისხვას ვერ გადავურჩებოდი. აცრემლებული გავუყევი ქუჩას... თუმცა ის ტრაგიკული დღე ამით არ დასრულებულა. სტატისტიკის დეპარტამენტის კიბის წინ, ექვსიოდე წლის ბიჭუნას თხელი პლედი გაეშალა, თვითონ ამ პლედში გახვეულიყო და ყველა გამვლელს მუდარით სავსე თვალებით აცილებდა. დროდადრო კი საშინლად ახველებდა. როგორც ჩანდა, ბრონქები ძალზე გაცივებული ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ცივ მიწაზე იწვა და დახმარებას ითხოვდა. მაშინვე მასთან მივედი და ვთხოვე, ამდგარიყო.*

— რას გიშლით, დეიდა, ეს ჩემი „ადგილია“, — თვალზე ცრემლები მოადგა.

— **„ადგილს“ არ გართმევ. უბრალოდ, გაცივებული ხარ და ცივ მიწაზე რომ წევხარ, კიდევ უარესად გახდები.**

— ნუ გეშინია. სულ ასე ვწევარ და ჯერ არაფერი მომსვლია, — „დამამშვიდა“ ბავშვმა.

— **შენი დედიკო სად არის?**

— არ ვიცი, ალბათ „ვაგზალზე“.

— **იქ ცხოვრობთ?**

— არა, დედაჩემის „ადგილი“ იქ არის. ისიც მათხოვრობს.

— **გაცივებული რომ ხარ და ახველებს, დედაშენმა ეს არ იცის?**

— მე სულ მომდის სისხლი ცხვირიდან და სულ ვახველებ. რა ვქნა, აბა, შინ ფული რომ არ მივიტანო, დედა მცემს.

— **თვითონ გიშვებს სამათხოვროდ?**

— რა თქმა უნდა. თვითონაც მუშაობს. სხვისი დედებივით უსაქმურად კი არ ზის, მაგრამ პატარა და-ძმა მყავს და მათაც ხომ უნდათ ჭამა. მე კი დედას მათ გაზრდაში ვეხმარები... — მივხვდი, რომ ბავშვთან საუბრის გაგრძელებას აზრი აღარ ჰქონდა. კიდევ ერთხელ ვთხოვე, კიბეზე ჩამომჯდარიყო და ისე ემათხოვრა, მაგრამ კვლავ უარი მივიღე. სხვა რა გზა მქონდა, ბიჭუნას მიწაზე დადებულ ყუთში ფული ჩავუდე და შინისკენ გზა განვაგრძე. სწორედ მეორე დღეს მოხდა ის ფაქტი, რომელიც სტატიის დასაწყისში გიამბეთ. ამიტომ გულმა აღარ მომითმინა, რამდენიმე დღის შემდეგ, გამსახურდიას გამზირზე ის გულგრილი დედა მოვძებნე, გვერდით ჩამოვუჯექი და საუბარი გავუბი:

— **ეს ერთი შვილი გყავთ?**

— არა, ეს მესამეა, ლამაზო. ორი უფროსი ბიჭი მყავს. ისინი უკვე 8 და 10 წლისანი არიან და საკუთარ თავს თვითონ მიხედავენ. ხან ყვავილებს ყიდიან, ხან კი მათხოვრობენ და თავს ირჩენენ. ეს ჯერ პატარაა, რომ ქუჩაში მარტო გამოვუშვა. რა იცის ამან მათხოვრობის.

— **მათხოვრობასაც ცოდნა სჭირდება?**

— თუ დახმარება გინდა, დამეხმარე, თუ არა და, წადი აქედან. რატომ მისვამ ამდენ შეკითხვას?

— **ამას წინათ შევესწარი, რომ შენი შვილი წაიქცა. ლოყიდან სისხლი ჩამოსდიოდა, შენ კი ამ ფაქტმა საერთოდ არ აგაღელვა...**

— შენ, ეტყობა, შვილი არ გყავს და არ იცი, რომ ბავშვები სულ ეცემიან და სულ რაღაც სტკივათ.

— **შვილი მყავს და მის ტკივილს ძალიან განვიცდი...**

— კარგი, რა. არ გეზარება ჩემთვის ჭკუის სწავლება? ეს ჩემი შვილია და როგორც მინდა, ისე მოვუვლი. შენ შენსას მიხედე, — უკმეხად მომიგო ქალმა, ბავშვს ხელი წამოავლო, ქუჩის საპირისპირო მხარეს გადავიდა და იქიდანაც კი მესმოდა, მის მიერ წარმოთქმული სალანძღავი სიტყვები, რომლებიც ჩემთვის იყო განკუთვნილი...

*გადავწყვიტე, ამ საკითხთან დაკავშირებით ფსიქოლოგის მოსაზრებაც მომესმინა. ქალბატონ* ***ხათუნა მუზაშვილს*** *ოფისში ვეწვიე. ჩემი თემის გმირების შესახებ ვუამბე და მათ საქციელზე კომენტარის გაკეთება ვთხოვე.*

— სულ ცოტა ხნის წინ, ერთი საინტერესო კვლევა ჩატარდა: მათხოვრებს შესთავაზეს, რომ თვეში 300 ლარს გადაუხდიდნენ და ქუჩაში აღარ უნდა ემათხოვრათ. უნდა აღვნიშნო, რომ ბევრ ადამიანს, რომლებიც დილიდან საღამომდე ოფისში სხედან და შრომობენ, სწორედ 300 ლარი აქვთ ანაზღაურება; მათ კი შინ ჯდომაში ეძლეოდათ ეს თანხა. ნაწილი ამ შემოთავაზებას დათანხმდა, ნაწილმა კი უარი განაცხადა. თუმცა ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ რომლებმაც ის 300 ლარი აიღეს, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ ქუჩაში გამოვიდნენ და მათხოვრობა განაგრძეს. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადამიანს, რომელსაც უჭირს და მათხოვრობს (შესაძლოა, გაუცნობიერებლად), ეს მოსწონს. ზოგიერთი ადამიანი ქუჩაში შემთხვევითაა მოხვედრილი და თუკი საარსებო წყარო გამოუჩნდება, აღარ იმათხოვრებს. მაგრამ მათხოვრების დიდი ნაწილი ამ ყველაფერს მიჩვეულია; მათ უკვე მსხვერპლის პოზიცია აქვთ, გაბრაზებულები არიან მთელ სამყაროზე; უნდათ ყველას ყველაფერი წაღლიტონ, რადგან მიაჩნიათ, მათ რომ არ გაუმართლათ, ამაში დამნაშავე აბსოლუტურად ყველა ადამიანია... სინამდვილეში კი გამოსავალი ნებისმიერი სიტუაციიდან არსებობს. თუ ადამიანი ძალიან მოინდომებს, მიზანს აუცილებლად მიაღწევს...

რაც შეეხება თქვენ მიერ მოყვანილ მაგალითებს, ბოლო ორი შემთხვევა, რასაკვირველია, ძალადობაა. მიჭირს ამის თქმა, მაგრამ მაინც მიმაჩნია, რომ ბევრ ქალს შვილის გაჩენის უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეს. უნდა არსებობდეს გარკვეული ეტაპი, რაც ამ ფენის ქალბატონებმა უნდა გაიარონ, შვილის გაჩენის ნებართვა რომ მიეცეთ. ასეთი ქალები თავიანთ ცხოვრებასაც იმახინჯებენ და შვილსაც აზარალებენ; მათ შვილი მხოლოდ იმიტომ გააჩინეს, რომ აბორტის ფული არ ჰქონდათ, და არა იმიტომ, რომ მათ ეს უნდოდათ. თუკი ქალს ეცოდინება, რომ გარკვეული ეტაპების გავლამდე შვილის გაჩენის უფლება არ ექნება, მიეცემა სტიმული — გამოსწორდეს და რაღაც შეცვალოს თავის ცხოვრებაში. სამწუხაროდ, საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტების მიმალვა და ჩაფარცხვა ხდება. ასეთ შემთხვევებში, გარშემო მყოფები ამბობენ, — ყოჩაღ, მიუხედავად ყველაფრისა, ქალმა ოჯახი შეინარჩუნაო. მაპატიეთ, მაგრამ ასე შენარჩუნებული ოჯახი დიდ საზიზღრობად მიმაჩნია, რადგან თუკი ქალი ოჯახის წევრებისგან ფიზიკურ შეურაცხყოფას სისტემატურად იტანს, ის ნამდვილად ფიქრობს, რომ ამის ღირსია — წინააღმდეგ შემთხვევაში, ოჯახში ვერ გაჩერდებოდა. შესაძლებელია, ერთხელ მსგავსი ფაქტი მოხდეს კიდეც, მაგრამ ქალი, რომელსაც მიაჩნია, რომ ამას არ იმსახურებდა, რეციდივს აღარ დაუშვებს. მათზე ხშირად უთქვამთ, — საცოდავიაო. მე კი მიმაჩნია, რომ ადამიანი იშვიათად არის საცოდავი, თუნდაც ისევ მათხოვრების მაგალითი ავიღოთ: შეიძლება ითქვას, რომ ისინი თავიანთი მდგომარეობით სპეკულირებენ... თუკი ერთ ნაბიჯსაც გადადგამენ მდგომარეობის გამოსასწორებლად, მაშინ მართლაც ღირსები არიან, რომ ასეთ ყოფაში არ იცხოვრონ...

*თემის შესავალში უკვე აღვნიშნე, რომ ჟურნალისტები (და არა მარტო) საზოგადოებას მსგავსი ძალადობის ფაქტების გამომზეურებისკენ მოუწოდებენ. აი, გამოვამზეურე სამი ამბავი, მაგრამ საკითხავია, მათ ან მათნაირ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებს ეშველებათ რამე?! მთელ ამ მონათხრობში სასიამოვნო მხოლოდ ის არის, რომ სხვა, მსგავს სიტუაციაში მყოფი დედების უმეტესობისგან განსხვავებით, ნელის საკუთარი შვილი ყველაფერს ურჩევნია და მიუხედავად სიდუხჭირისა, ბავშვს გასასხვისებლად მაინც ვერ იმეტებს. მაგრამ როგორ მოევლება ასობით მოზარდს, რომლებსაც ყველაზე ახლობელი ადამიანების — მშობლების სახითაც არ ჰყავთ პატრონი?.. თავს ვერ დავიმშვიდებთ ტრივიალური ფრაზით — რომ ამაზე მთელი საზოგადოებაა პასუხისმგებელი. როგორ უნდა მოიქცეს საზოგადოება, როცა თავად ოჯახი, დედ-მამა წირავს ბავშვს უბადრუკი ყოფისთვის?! რა ბერკეტები შეიძლება გამოიყენოს მათი ნორმალური ცხოვრებისკენ მოსაბრუნებლად?..* ■

# „მეამაყება, შვიდი შვილის დედა რომ ვარ“

## როგორია უჯაროდ დარჩენილი გენერლის ცოლობა...

გენადი და მერი ჟორჟოლიანების მრავალშვილიანი ოჯახი სამტრედიის რაიონის სოფელ ბაშში ცხოვრობს. ამ შრომისმოყვარე და გამრჯე კაცმა შვიდი თავისი და ერთიც სხვისი შვილი აღზარდა, ყველა გზაზე დააყენა და ეს ყველაფერი მხოლოდ საკუთარი შრომითა და მარჯვენით შეძლო. ზოგი შვიდ შვილს კი არა, შვიდ წიწილასაც ვერ ზრდის, რადგან მუდამ სხვისი ხელის შემყურეა და გარჯა ეზარებაო, — მითხრა საუბრისას და „მერსედესზე“ მიმითითა, — აი, ეს მანქანა ჩემია; გარდა ამისა, ჩემს შვილსაც ვუყიდე და სიძეებსაც ვაჩუქე, ყოველ სეზონზე ერთი მანქანის სამყოფი ფული რომ არ ვიშოვო, ისე როგორ იქნებაო?! — სიამაყით მითხრა (სხვათა შორის, ეს ინტერვიუც ოჯახის უფროსთან და მის მეუღლესთან სწორედ ამ მანქანაში, გურიაში მიმავალმა გზად, სამტრედიაში ჩავწერე)... როდესაც განვლილ ცხოვრებაზე მათ თხრობას ვუსმენდი, ვფიქრობდი — სიამაყის მიზეზი მართლაც რომ ბევრი აქვს ამ ხალხს და ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ძლიერი ქართული ოჯახები-მეთქი!

ნინო ჯავახიშვილი



67 წლის კაცი ვარ და 67 წუთიც არ მიცხოვრია ვინმეს იმედად

**— თავდაპირველად, თქვენი შეუღლების შესახებ მიამბეთ.**

— თანასოფლელები ვართ, მაგრამ მერი 10 წლით უმცროსია ჩემზე. ჯარიდან რომ ჩამოვედი, შემთხვევით სოფლის ავტობუსში შევხვდი. დანახვისთანავე მომეწონა, მაგრამ მეექვსე კლასში იყო და დაოჯახებაზე როგორ ვიფიქრებდი?! ჩემდა გასახარად, მერვე კლასიდან საბუთები გამოიტანა და პროფტექნიკუმში გააგრძელა სწავლა. ცოლად რომ მოვიყვანე, ის 16 წლის იყო, მე კი — 26-ის.

**— მშობლებმა როგორ მიიღეს ეს ამბავი? მაშინ ხომ ისე ხშირი არ იყო ნაადრევი ქორწინება, როგორიც დღესაა?**

**მერი კაშია-ჟორჟოლიანი:**

— დედაჩემი 18 წლის იყო, რომ დაქვრივდა და მალე მეორედ გათხოვდა. როცა გავთხოვდი, სიმართლე გითხრათ, პროტესტი არ გამოუთქვამს... 17 წლისას შემეძინა პირველი შვილი და ამის შემდეგ თითქმის ყოველ მესამე წელს ოჯახში ახალი წევრი გვემატებოდა. ხომ იცით, 2-3 წლამდე ბავშვს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. 7 შვილი გავზარდე და თითქმის 21 წელი ნორმალურად არ მძინებია. ამას ვინ ჩივის? სამ ბავშვს ცერებრული დამბლის დიაგნოზი დაუსვეს. ბავშვების სამშობიაროში დატოვება შემომთავაზეს, რის გამოც ექიმებს ისეთი ამბავი დავაწიე, თქვენი მოწონებული! გაუკვირდათ: მეხუთე გოგო შეგეძინათ და გაგიჭირდებათ ასეთი ავადმყოფი ბავშვების მოვლაო. — სადაც სხვები გაიზრდებიან, იქაც ეს გაიზრდება-მეთქი, — ვუპასუხე. სხვადასხვა საავადმყოფოში თვეობით ვმკურნალობდით და ალბათ ასეთი დიდი მცდელობის შედეგად და ღმერთის წყალობით, გონებრივად ჩამორჩენილი არც ერთი არ არის. ეგ არის, რომ მარჯვენა მტევანი დამოკლებული აქვთ და მარცხენა ხელით აკეთებენ ყველაფერს. უფროსი გოგო დიზაინერია, კარგად ხატავს; დანარჩენებიც მუშაობენ. წელან მკითხეთ — სიამაყის გრძნობა არ გაქვთო? ყოველგვარი თავმდაბლობის გარეშე გიპასუხებთ, — ჩემი შვილები მარტომ გავზარდე და რა თქმა უნდა, მეამაყება, შვიდი შვილის დედა რომ ვარ. ჩემი უფროსი ქალიშვილი 40 წლის ხდება, უმცროსი ბიჭი კი — 23-ის. უკვე ოთხგზის სიდედრ-სიმამრი ვართ და სხვათა შორის, ორი სიძე გერმანელი გვყავს.

**— ვაჟი, რომელსაც მამამისის სახელი — გენადი დაარქვით, ექვსი ქალიშვილის შემდეგ შეგეძინათ. თავიდანვე გინდოდათ ბევრი შვილი გყოლოდათ თუ გვარის გამგრძელებლის გამო გარისკეთ?**

— ალბათ ორივე მიზეზის გამო. ერთი და მყავს, ისიც დედაჩემის მეორე ქორწინებიდან და ყოველთვის მინდოდა, ბევრი შვილი გამეჩინა. ამაზე მეტი სიმდიდრე რა უნდა იყოს?!

**გენადი ჟორჟოლიანი:**

— მართალია, მეფური გვარი არ მაქვს, მაგრამ მემკვიდრე მაინც მინდოდა. კიდევ კარგი, ჩემზე უმცროსი ქალი მოვიყვანე ცოლად, თორემ ვინ დამიჯერებდა და შვიდ შვილს ვინ გამიჩენდა?

**— ალბათ ძალიან რთული იყო ამხელა ოჯახის რჩენა. მით უმეტეს იმ წლებში, როდესაც ყველას უჭირდა. თუ გეხმარებოდათ ვინმე?**

— 67 წლის კაცი ვარ და 67 წუთიც არ მიცხოვრია ვინმეს იმედად. ყოველთვის საკუთარი თავისა და მარჯვენის იმედი მქონდა. მთელი ჩემი დღე და მოსწრება მიწას ვამუშავებ. ერთ ჩემს მეგობარს ხუთი გოგო ჰყავს, მეორეს — ექვსი. ვერც ერთმა ვერ „გააკეთა“ ბიჭი. კაცო, ყველაფერს გულის დადება და შრომისმოყვარეობა უნდა, აბა! ზარმაც კაცს არაფერი გამოუვა. შრომა კი თავიდანვე მიყვარდა. ჯარიდან რომ ჩამოვედი, ერთი ხელი კოსტიუმი სანატრელი მქონდა, მაგრამ ახლა არც მე მაკლია არაფერი და არც ჩემს შვილებს. კომუნისტების დროს „კოლექტივში“ მძღოლად ვმუშაობდი. მალე ბრიგადირად დამნიშნეს და ნაყოფიერი მუშაობისთვის „ჟიგული-07“ მომცეს თავის ფასში (მაშინ ძალიან ძვირი ღირდა). „06“ უკვე მყავდა. კომუნისტების დროს ორი მანქანა ხუმრობა ხომ არ იყო?! სეზონი არ გასულა ისე, რომ ერთი მანქანის ფული

არ მეშოვოს. კაციშვილი ვერ იტყვის, გენადის დავეხმარეო, იქით ვეხმარები სხვებს...

**მერი:**

— სამი შვილი მყავდა, დედამთილი რომ გარდამეცვალა. ჩემი დამხმარე, გენადის გარდა, არავინ ყოფილა. მახსოვს, ქვეყანა რომ აირია, უთენია ვდგებოდი და სამტრედიაში ფეხით ჩავდიოდი პურის რიგში ჩასადგომად, ბავშვები მშივრები რომ არ დარჩენილიყვნენ. სახელმწიფოსგან არანაირი დახმარება არ მიგვიღია. რამდენიმე თვით გამგეობა პროდუქტით დაგვეხმარა — ეს იყო და ეს. დახმარებას ვინ ჩივის?! მეუბნებოდნენ, თქვენ თქვენი შვილებიც გეყოფათ, რაღად გინდათ, სხვისას რომ ზრდით, ინტერნატში ჩააბარეთო. გავბრაზდი: თუ მაძლევთ დახმარებას, ნუ დამამადლით, მომეცით; თუ არა და, თქვენი არაფერი მინდა-მეთქი.

— **მერვეს ვის შვილს ზრდით, ისიც მითხარით.**

— ჩემს დისშვილს. მესამე კლასში იყო, დედამისი საზღვარგარეთ რომ წავიდა და ამის შემდეგ მასზე არაფერი ვიცოდით. ბავშვს მარტოს როგორ დავტოვებდი?! დღემდე ჩვენთან ცხოვრობს. სავალდებულო სამხედრო სამსახურის შემდეგ კონტრაქტს მოაწერა ხელი და კომანდოს ბატალიონში მსახურობს.

— **ბატონო გენადი, ამჟამად რას საქმიანობთ?**

— ჰექტრობით მიწას ვამუშავებ და საზამთროს ვთესავ. ყველაფერს თვითონ ვაკეთებ: დიდი მეფეები ჯარს წინ მიუძღოდნენ!.. მე თუ სახლში წამოვწვები, ჩემს საქმეს სხვები გააკეთებენ?! მიწას ხელს რომ მოჰკიდებ, არ უნდა უღალატო. 25-30 ჰექტარი მიწა დამიმუშავებია, სხვადასხვა ადგილას დამითესავს საზამთრო, იმის შიშით, რომ ერთგან თუ წვიმა ან მზე გამიფუჭებს, მეორეგან ხომ მოვა მოსავალი-მეთქი?! ვიცოდი, ფეხი რომ დამცდენოდა, ბაღნები მშივრები დამრჩებოდნენ. მათ გამო ვიკლავდი შრომით თავს, თორემ ერთი ქალისა და ორი ბაღანას შენახვას რა უნდა?! რომ ამბობენ, მიწაში არაფერი „ყრიაო," მეცინება. საქმე თუ არ გეზარება, მიწაც გაცხოვრებს. იცით, რა მიკვირს? თუკი საქართველოს არც ერთი დიდი ქვეყანა აღარ დაეხმარა, მშივრები უნდა დავრჩეთ?! ხალხო, ყველა თავის საქმეს თუ არ გააკეთებს, ქვეყანას როგორ ავაშენებთ?! მახსოვს, ხარებით დაგვიმუშავებია მიწა, ტრაქტორები რომ არ იყო. ახლა კი, ტრაბახით არ ვიტყვი, მაგრამ რომ უჭირდა ვიღაცას, ვიფიქრე, დავეხმარები — მიწას მოვუხნავ, დავუფარცხავ და დავუთესავ-მეთქი, — და ასეც მოვიქეცი; იმ ვიღაცამ კი არც გათოხნა, დაეზარა. აი, ეს არის ჩვენი უბედურება... ამიტომაც, როდესაც თამადა ვარ, ყველა მშრომელ კაცს ვუდღეგრძელებ ხოლმე მარჯვენას. მიყვარს ეს სადღეგრძელო. იმ კაცის საქმეც წასულია და მისი ოჯახისაც, ვისაც სხვისი იმედი აქვს. სხვისკენ არ უნდა გაიხედო — შენ იმუშავე და თუ ვინმეს უნდა შენი დახმარება, დაგეხმარება.

— **თამადობა ალბათ თქვენი ენამოსწრებულობის წყალობით ხშირად გიწევთ, არა?**

— (*იცინის*) განთქმული თამადა ვიყავი, მაგრამ დავბერდი და დამაქვეითეს — საქორწინო სუფრებს აღარ მაკარებენ და მხოლოდ ქელეხების თამადობას მანდობენ. ასე, ნელ-ნელა მიმაჩოჩებენ საიქიოსკენ...

— **რას ბრძანებთ, ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ! იქნებ ძველებურად ვეღარ სვამთ და ამიტომ დაგაქვეითეს?**

**მერი:**

— რას ამბობთ?! ძალიან ბევრს სვამდა, უჯარო გენერალივით დარჩებოდა ხოლმე სუფრასთან... სასმელს ახლაც კარგად იტანს.

**გენადი:**

— ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდობაში არავის დავუთვრივარ. დღესაც ბევრს ვაჯობებ. ერთხელ, როგორც მრავალშვილიანს, ისე მადღეგრძელებდნენ. სამადლობელი გადავიხადე: კარგი ქალი შემხვდა და ოჯახიც კარგი შევქმენი; ძალიან დიდი პატივი მცა მერიმ, ამდენი ბაღანა ძუძუთი რომ გამიზარდა; ჩემმა მეზობელმა კი ძუძუ გაიშრო და ახლა მისი ბაღნებიც და ქმარიც, თხაის ძუძუს ეფერებიან-მეთქი... ხალხი სიცილით დაიხოცა. რავა, ტყუილია თუ?! ახლანდელებს ტვინი აქვთ არეული.

— **თქვენმა მეუღლემ მითხრა, გენადის ისეთი იუმორი აქვს, ყველა პრობლემას გაგიმარტივებს და სიცილ-ხარხარში გადაგატანინებსო. გაიხსენეთ რამე.**

— ჩემი ერთ-ერთი გოგო საავადმყოფოში იწვა — ფეხის დაგრძელების ოპერაცია გაიკეთა. ეს სიამოვნება საკმაოდ ძვირი დაგვიჯდა. სანახავად ჩემს მეგობართან ერთად მივედი. შეიცხადა, — ვაიმე, როგორ არის დაბმული საწყალი გოგოო!.. სიცილით ვუთხარი: ჩემო ომარ, ოპერაციის ფული ჯერ არ გადამიხდია და თუ არ გადავიხდი, ასე ეყოლებათ დაბმული, ვინ აუშვებს-მეთქი... ნაბოლარა ვაჟი მერიმ საკეისრო კვეთით გააჩინა. ექიმს ურჩევია, — უკვე შვიდი შვილის დედა ხარ და ოპერაციის შემდეგ ყველაფერს გადავნასკვავთ, რომ აღარ დაფეხმძიმდე, შენც დაისვენებ და ჩვენცო. თურმე ქმრის თანხმობის გარეშე ეს შეუძლებელი იყო. გამოვიდა ექიმი და მკითხა: მშობიარობის შემდეგ ასე და ასე ვაპირებთ და რა აზრის ხარო? დარწმუნებული ხომ არ ვიყავი, ბიჭი იქნებოდა თუ არა; ამიტომაც ვუპასუხე: თუ გოგო გაჩნდა, ხელი არ დააკაროთ და თუ ბიჭი იქნება, გინდათ, თავიდან ბოლომდე გაკერეთ, მაინც აღარაფერში მჭირდება-მეთქი. ჟორჟოლიანი — სვანური გვარია და სვანებზეც მოგიყვებით ჩემს საყვარელ ანეკდოტს. სვანი თბილისში იყო ჩასული. სიდედრთან კონფლიქტი მოუვიდა. გაბრაზებულმა ხელი დაავლო, მეთხუთმეტე სართულზე აიყვანა და იქიდან გადმოაგდო. მოსამართლემ ჰკითხა: კი, მაგრამ დაბალი სართულიდან გადმოგეგდო, მეთხუთმეტეზე რამ აგაყვანინაო? — რომ მოფრინავდა, ვკაიფობდიო, — უპასუხა... იმედი მაქვს, ჩემს ცოლს ექვსი სიძის ხელში ასეთი ბედი არ ეწევა (*იცინის*)...

*აი, ასეთი მხიარული განწყობილებით დავშორდი ჟორჟოლიანების ოჯახს. ბატონი გენადის ნატვრის არ იყოს, ნეტავ, ყველა ქართველს „გაუჭირდეს" ისე, როგორც ამ მუხლჩაუხრელ, ნაჯაფ კაცს „უჭირს"!.. ყველას თავისი საქმე ზედმიწევნით კარგად რომ ეცოდინება, ალბათ ყველაფერი უფრო უკეთესად იქნება...*

■

მეუბნებოდნენ, თქვენ თქვენი შვილებიც გეყოფათ, რაღად გინდათ, სხვისას რომ ზრდით, ინტერნატში ჩააბარეთო



# წმინდა ნინოს წყალში „სამჯერ გაცოცხლებულები“ ანუ საქართველოს სიყვარული უკრაინულად

**„გზის“ ერთგულ მკითხველს ემახსოვრება შარშან ჩვენს ჟურნალში დაბეჭდილი წერილი, სადაც უკრაინელი ანა კოჟინოვას სიზმრის შესახებ მოგითხრობდით: კიევში მცხოვრებ ქალბატონს, რომელსაც ბევრი არაფერი სმენოდა საქართველოზე, 2007 წელს დაესიზმრა ჩვენი ქვეყნის მთიანეთში მდგარი, წმინდა გიორგის სახელობის მამათა მონასტერი და სიზმრადვე ებრძანა, კიევ-პეჩორის მონასტრიდან წამოეღო ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი „პოხვალა კიევსკაია“, დაებრძანებინა ამ მონასტერში და ელოცა, რომ საქართველოში ომი არ ყოფილიყო. ანამ და მისმა მეუღლემ, გენადი კოჟინოვმა ეს მისია მხოლოდ 2008 წლის ივლისის ბოლოს შეასრულეს და ქაშვეთის ეკლესიის მოძღვრის, მამა ვახტანგის დახმარებით, ხატი სიზმრად ნანახ, ლომისის წმინდა გიორგის მამათა მონასტერში დააბრძანეს. ღვთის სასწაულმა ეს ადამიანები საქართველოსთან დაამეგობრა, დააახლოვა მამა ვახტანგთან და ფილმიც კი გადაიღეს: „სიყვარულის ახსნა“.**



*ირმა ხარშილაძე*

*მას შემდეგ ოთხჯერ სტუმრობდნენ ჩვენს მიწა-წყალს, ჯვარიც დაიწერეს ქაშვეთის ეკლესიაში, ამჯერად ანუ მეოთხედ უკვე ცხრამეტნი ჩამოვიდნენ — ანა თავის სტუდენტებთან (ის რეჟისორია და ხელოვნების სკოლაში სამსახიობო ოსტატობას ასწავლის), მათ მეგობრებთან და გენადისთან ერთად, ახლაც განსაკუთრებული მისიით: საქართველოზე შეყვარებულმა ორმა ახალგაზრდამ, ალიონამ და ჟენიამ მაინცდამაინც ქაშვეთში, მამა ვახტანგთან ჯვრისწერა მოისურვა. ამ რიტუალს მეც დავესწარი, ლხინის სუფრასთანაც მიმიპატიჟეს და უკრაინელთა ძალიან ლამაზ ქართულ ქორწილში კარგადაც მოვილხინეთ. მამა ვახტანგის კურთხევით, ახალდამეგობრებულ კიეველებთან ერთად, გელათი, მოწამეთა, მარტვილისა და ბოდბის მონასტრებიც მოვილოცე და გამოსამშვიდობებელ ბანკეტზეც აღმოვჩნდი წეროვანში, ლამაზ ქართულ ოჯახში, რომელმაც 19 სტუმარს უმასპინძლა.*

*ანასა და გენადიზე აღარაფერს ვამბობ — დანარჩენებიც მათსავით თბილი და მოსიყვარულე ადამიანები აღმოჩნდნენ. როგორ შეიკრიბნენ სხვადასხვა პროფესიისა და ინტერესის მქონე ადამიანები და რამ გააერთიანა ისინი?.. უმრავლესობა, ანასა და გენადის უბნელია; ორი მათგანი ხელოვნების სკოლაში სწავლობდა, შემდეგ თავისი მეგობრებიც გააცნეს ანას და ასე „გამრავლდნენ“. ზოგს მშობლებთან ჰქონდა პრობლემები, ზოგს — თანატოლებთან, ვინ — შეყვარებული იყო, ვინ — სიყვარული დაკარგა... მოკლედ, იკრიბებოდნენ ერთ ოთახში და ათას რამეზე საუბრობდნენ, ანა და გენადი კი უსმენდნენ, ურჩევდნენ, რწმენის ძალასა და მართლმადიდებლობაზე უამბობდნენ და გზაზე აყენებდნენ. დროთა განმავლობაში ძალიან დამეგობრდნენ. მართლმადიდებლობის და ერთმანეთის სიყვარულმა გააერთიანა და გააძლიერა. ბევრს მოგზაურობდნენ უკრაინაში, ათვალიერებდნენ და მოილოცავდნენ წმინდა ადგილებს და უფლის ნებამ საქართველომდეც ჩამოიყვანა.*

**მამა ვახტანგი:**

— მე და ჩემი მეუღლე, დალი კიევში რომ ჩავედით, ანა და გენადი აეროპორტში დაგვხვდნენ და ჩვენი ქართველი მეგობრის სახლში წაგვიყვანეს — იქ უნდა დავრჩენილიყავით რამდენიმე დღით. არაჩვეულებრივი ბინა იყო, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე სკამი იდგა სამზარეულოში, მისაღებ ოთახში კი — ჟურნალების მაგიდა და დივანი. ანამ და გენადიმ ბარგი რომ შეგვატანინეს, ერთი მოათვალიერეს იქაურობა, მერე კი დაგვემშვიდობნენ, — ახლა დაისვენეთ და საღამოს გამოგივლითო. საღამოს მართლაც გვესტუმრნენ, უკვე მოსწავლეებთან ერთად და... სკამებითა და თავიანთი პურმარილით (*იცინის*). ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ გავოცდებოდი! მართლაც, ძალიან „ქართულად“ დამხვდნენ. მე თბილისიდან ღვინო მქონდა წაღებული და შეხვედრაც ჩვენებურად — ქართულად აღვნიშნეთ. იმ ხალხს არაფერი შეშლია. ახლობლობა იციან, მეგობრობა იციან, რაც მთავარია, მორწმუნეები არიან და იმიტომაც ვართ აქ, მათთან ერთად.

*ერთმა კვირამ სწრაფად გაირბინა. ამ მოკლე დროში იმდენი იმოგზაურეს და იმდენი ადამიანი გაიცნეს, სუვენირებით სავსე ჩანთებიც ელვისუსწრაფესად დაუცარიელდათ, სამაგიეროდ, ზღვა შთაბეჭდილებით აივსნენ. ამბობდნენ, თითქოს გული გაგვიფართოვდა, აბა, ამდენი არაჩვეულებრივი ადამიანის სითბო და სიყვარული ხომ უნდა დაგვეტიაო.*

ვერ ივიწყებენ ასაკოვან ქართველ ქალბატონს, ქაშვეთის ეკლესიაში, ალიონასა და ჟენიას ჯვრისწერის შემდეგ რომ გამოელაპარაკა და მეორე დღისთვის თბილისის ერთად დათვალიერება შესთავაზა და ექსკურსიამძღოლობაც იკისრა. გაოგნებულები იყვნენ: წარმოგიდგენიათ, უსასყ-

გაგრძელება იხ. გვ. 43




საქართველოზე შეყვარებულმა ორმა ახალგაზრდამ, ალიონამ და ჟენიამ მაინცდამაინც ქაშვეთში, მამა ვახტანგთან ჯვრისწერა მოისურვა

# ვინ არიან „გაფცქვნილები“ და „მეორადი ქალიშვილები“

## ანუ რით სჯობია ქალაქელი სოფლელს

**თბილისელების უმეტესობა ქალაქის იმიჯის შელახვას რაიონიდან ჩამოსულებს აბრალებს. ჰოდა, ამიტომაც, „გზის“ №19-ში შემოგთავაზეთ თემა: რით სჯობია თბილისელი კაცი ე.წ. სოფლელს ან პირიქით — რითაა უკეთესი რაიონში მცხოვრები ადამიანი ე.წ. დედაქალაქელ სვეტზე და საერთოდაც, რა განსხვავებაა მათ შორის? ამ თემას ბევრი მკითხველი გამოეხმაურა. უმეტესობა წუხდა იმის გამო, რომ ქალაქელებსა და სოფელში მცხოვრებლების ასეთი დაყოფა ხდება; ბევრმა ისიც მომწერა: ცუდი და კარგი ხომ ყველგანაა და როგორ შეიძლება, ქალაქელებმა ხელი სოფლელებზე რომ შეიხოცონო? თუმცა, ფაქტი ჯიუტია — თბილისელებს არ უნდათ იმის დაჯერება, რომ შესაძლოა, გარყვნილი ადამიანი მათ მეზობლად ან სულაც, ოჯახში ცხოვრობდეს.**

ლიკა ქაჯაია



**ქეთო,** *18 წლის:*

„მე რაიონიდან გახლავართ, მაგრამ სიმართლე მიყვარს და ამიტომაც ვაღიარებ, რომ მართალია, რასაც ზოგიერთ სოფლელზე ამბობენ — ანუ დედაქალაქში რაიონიდან ჩასული ბევრი გოგონა საკუთარ თავს თავისუფლებით ტკბობის უფლებას აძლევს და ისეთ რაღაცებს აკეთებს, რასაც მისი მშობლები სიზმარშიც ვერ ნახავენ. მაგალითად, ჩემი მამიდაშვილი სასწავლებლად რომ წავიდა, მასზე პატიოსანი არავინ გვეგონა, მაგრამ თურმე, ქალაქში მყოფმა ისე „აიწყვიტა“, რომ არა მარტო ქალიშვილობა, არამედ სინდისიც დაკარგა — უამრავი პარტნიორი გამოიცვალა და ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ვერ გაარკვია, ვინ იყო მისი შვილის მამა. თუმცა ყველა ჩემი მამიდაშვილის მსგავსად ხომ არ იქცევა? ქალაქში ჩასული ბევრი სოფლელი რჩება პატიოსან ადამიანად. მერწმუნეთ, თბილისშიც ბევრია ისეთი თავაშვებული გოგო, რომელიც ვითომ პატიოსანია, მაგრამ ათას სისაძაგლეს სჩადის... ალბათ, სკვერებში „მოზასავე“ გოგონებისა და ბიჭების უმეტესობა მართლაც, რაიონიდანაა, რადგანაც მათ იმდენი ფულიც კი არა აქვთ, რომ მაგალითად, კინოში ან კაფეში შევიდნენ; ქალაქელებს კი, როგორც წესი, ამის პრობლემა არა აქვთ — მშობლები აქვე ჰყავთ და გოგოს, სხვა თუ არაფერზე, ფინჯან ყავაზე მაინც დაპატიჟებენ, ან სულაც, სახლში ან მეგობრის ბინაში აიყვანენ... ასე რომ, სოფლიდან ჩამოსულ შეყვარებულ წყვილებსაც, რომლებიც ერთმანეთს ამა თუ იმ სკვერში ხვდებიან, არ გაემტყუნებათ. ბოლოს და ბოლოს, ფულის მოპარვასა და იმ ფულით შეყვარებულის სადმე დაპატიჟებას ისევ ბაღში, ხალხის თვალწინ „ზასაობა“ სჯობია!“

**რუსპირი** (GREEN):

„მაშინ, როდესაც შავკანიანებთან თეთრკანიანთა ბრძოლა თითქმის ზანგების გამარჯვებით დასრულდა და ახლა, როცა აშშ-ს ფერადკანიანი პრეზიდენტი უდგას სათავეში, საქართველოში სოფლელებისა და ქალაქელების სხვადასხვა კონტექსტში მოხსენიება, მათი „ტომებად“ დაყოფა მგონი, მხოლოდ და მხოლოდ სიგოიმის გამოხატულებაა და სხვა არაფერი... რა გინდათ, თქვათ, რომ ქალაქში ყველანი უმწიკვლო, შეუბღალავი რეპუტაციის მქონე გოგონები ხართ და ყველა ის, ვინც სახალხოდ „ზასაობას“ არ ერიდება, სოფლიდან „ჩამოთრეულია“? ბიჭებს ქუჩაში ის სოფლელი გოგონები კოცნიან, რომლებსაც ერთი ცუდად გადაბრუნებული ნაბიჯიც კი სიცოცხლის ფასად უჯდებათ? აბა, დაფიქრდით და გაიხსენეთ, ბოლო დროს, მუცლის დამალვის მიზნით მოკლულთა ან თვითმკვლელი გოგონებიდან რამდენია ქალაქელი? არ იცით? მაშინ, ამ კითხვაზე თავად გიპასუხებთ: — არც ერთი! თქვენ წახვალთ, ბატონო, „იგულავებთ“, დღეში ცხრა პარტნიორს გამოიცვლით, მერე თქვენნაირ დაქალებს სასაცილოდ აიგდებთ, — აქაოდა, ხუთი „პაკლო“ როგორ გყოფნის, მე მაგალითად, შვიდი მყავსო და ამ ყველაფრის შემდეგ, ისევ კოპწია ქალიშვილებად ასაღებთ თავს. რა, ასე არ არის?.. არა, იმას არ ვამბობ, რომ ასეთი რაღაცები სოფელში არ ხდება, მაგრამ ყველა გოგოს ერთ ქვაბში ჩაყრასა და მოხარშვას არა მგონია, გამართლება ჰქონდეს. ბევრი სოფლიდან ჩამოსული ვიცი, რომელიც ქალაქში სასწავლებლად ჩამოდის, მაგრამ თვალი სხვადასხვანაირი გასართობისკენ გაურბის (რაც მისთვის აქამდე უცხო ხილი იყო), მერე კი თანდათანობით, ქალაქის ცხოვრების წესს ულებს ალღოს — სიგარეტს გასინჯავს, კაბის სიგრძეს იმოკლებს... ასეთი გოგო ანუ ახალგამოჩეკილი „სვეცკი“ დამიჯერეთ, ათასჯერ უფრო საშიშია, ვიდრე ცირკთან დაბერებული, „სტაჟიანი ბოზი“, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ სოფლიდან ჩამოსული ყველა გოგო ასე მოიქცევა (ხაზგასმით ვამბობ, რომ სოფელში ცხოვრება სოფლელობას არ ნიშნავს!)? კი, ბატონო, თუ „ქუჩის ქალების“ გამოკითხვას, მათი წარმომავლობის დასადგენად აპირებთ, მაშინ ის საყვარელი, ნაზი, განათლებული ახალგაზრდებიც გამოჰკითხეთ, ვისითაც ვამაყობთ. დიახ, ისინიც სოფლიდან ჩამოსული, რეგიონიდან გადმოსახლებული ადამიანები არიან!.. ამ თემაზე ვსაუბრობთ და მოდი, აქვე ისიც გავიხსენოთ, ადრეულ ასაკში გათხოვილი გოგონებიდან რამდენია სოფლის მკვიდრი

და რამდენი — ქალაქის? 70/30-ზე, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების სასარგებლოდ :). არა, ამით არ ვამაყობ, პირიქით, ამის გამო გულიც კი მწყდება, მაგრამ „მეორადი ქალიშვილებით“ მოტრაბახე ქალაქელებთან შედარებით, „პაწაწა პატარძლები“ აშკარად, ჩემი „კოზირია“ :). P.S. ჯერ კიდევ XX საუკუნეში ილია ჭავჭავაძე წერდა: ერთი ვაზი ყურძენსაც ისხამს და ძაღლყურძენასაცო. ასე რომ, ჯობია, მეც „მოვკეტო“ და თქვენც დადუმდეთ...“

**მაკა,** *16 წლის:*

„ჰმ, ყველაფერს სოფლიდან ჩამოსულებს მართლაც ვერ დავაბრალებთ. მე თბილისელი გახლავართ და შესაბამისად, აქ დაბადებულ-გაზრდილი ბევრი მეგობარი მყავს, მაგრამ მათი უმეტესობა, შეყვარებულებთან ერთად, სწორედაც რომ ბაღსა თუ პარკებს აფარებს თავს. სიმართლე გითხრათ, „ლოვესთან“ ერთად პარკში ხეტიალი მეც მიყვარს და ალბათ, მას ჩემთვის ხალხის თვალწინ „ზასაობა“ რომ შემოეთავაზებინა, უარს ვერ ვეტყოდი, მაგრამ მსგავსი რაღაცები თავად არ მოსწონს; მეტიც: როცა ვსეირნობთ, სულ აქეთ-იქით იყურება, ვინმე ნაცნობმა არ „დაგვთიროსო“ — ანუ ის ჩემზე ზრუნავს, ჩემს სახელს უფრთხილდება. მოკლედ, არა აქვს მნიშვნელობა, ადამიანი საიდანაა, მთავარია, იმდენი შეგნება ჰქონდეს, რომ ყველაფერ ღირებულს არ გადაუსვას ხაზი და იმ ადგილებში, სადაც პატარებსაც ასეირნებენ, შეყვარებული წყვილის საქციელი ზღვარს არ გადასცდეს... სხვათა შორის, ჩემს სახლში ერთ-ერთი რაიონიდან ჩამოსული გოგონა ცხოვრობს. ის ჩემი შორეული ნათესავია, ახლა აქ სწავლობს და ვინაიდან ჩვენზე ახლობელი არავინ ჰყავდა, მამამ ჩვენთან ცხოვრება შესთავაზა. ერთი წელია, აქაა, მაგრამ თავისუფლება თავში ნამდვილად არ ავარდნია. შეყვარებული ჩვენთანაც ხშირად მოჰყავს, მაგრამ არასდროს მინახავს, ერთმანეთს კალთაში ჩასჯდომოდნენ, როგორც ამას ჩემი მეგობრები და მათი „ლოვეები“ აკეთებენ. მე სოფელში მცხოვრებ ადამიანებს უდიდეს პატივს ვცემ და ძალიან გთხოვთ, დედაქალაქის გარყვნილების ქალაქად გადაქცევას მათ ნუ დააბრალებთ“.

**კიკალა:**

„ვაი, ეს რა ესმის ჩემს ყურებს? რატომ გგონიათ, რომ ქალაქელები პარკებში არ „ზასაობენ“? რა, მხოლოდ რაიონიდან ჩამოსულებს მოსწონთ სუფთა ჰაერზე სეირნობა?.. ისე კი, თავმოყვარე გოგო შეყვარებულს ბაღში არ გაჰყვება და მეტიც, მას იქ ხელების ფათურის უფლებას არ მისცემს. ბოლოს და ბოლოს, ბაღები და სკვერები ხომ იმისთვისაა, რომ იქ ხალხმა დაისვენოს, პატარები დარბიან და აბა, მითხარით, პატარა ბავშვმა ასეთი ურცხვი წყვილებისგან რა უნდა ისწავლოს? ან თავად ასეთ „თამამ“ ადამიანებს თუ მოეწონებათ, მათი შვილის თვალწინ ვიღაცებმა სექსი რომ გააჩაღონ?.. მოკლედ, ვიდრე რაიმეს ვიტყვით ან მოვიმოქმედებთ, ყველანი კარგად უნდა დავფიქრდეთ. სოფლელობა და ქალაქელობა არაფერ შუაშია, გარყვნილი ადამიანი შეიძლება, ტყეშიც კი ცხოვრობდეს“.

**ხალვა,** *18 წლის:*

„ვინც იმას ამბობს, რომ თბილისის გარყვნა სოფლიდან ჩასული ადამიანების ბრალია, არა მგონია, სრულ ჭკუაზე იყოს. ჯერ ერთი, თავადვე არ ამბობენ, — რაიონში ჩამორჩენილები და გოიმები ცხოვრობენ, ისიც კი არ იციან, „ზასაობა“ რას ჰქვია, იქაური გოგონები იმით ამაყობენ, ბიჭისთვის რომ არ უკოცნიათო?! მეორეც, თუ რომელიმე რაიონიდან თბილისში სასწავლებლად ჩასული გოგონა ჭკუას დაკარგავს, ეს არა მისი დაბადების ადგილის, არამედ აქ არსებული გარყვნილების ბრალი იქნება!“

**ზურას კნეინა:**

„განსხვავება ის არის, რომ სოფლებში ზრდილობიანი მამაკაცები ცხოვრობენ, თბილისელმა კაცებმა კი ქალის პატივისცემა არ იციან; თან, მათი უმეტესობა „გაჩხერაზე“ ფიქრობს, სოფელში კი პირიქითაა — „წამალდამოკიდებულები“ არ მოსწონთ“.



**უცნობი:**

„ბოლო წერილმა აღმაშფოთა. აბა, რა მნიშვნელობა აქვს, ადამიანი ქალაქში დაბადებულ-გაზრდილი იქნება თუ რაიონში? კარგი და ცუდი, წესიერი და უზნეო ყველგანაა, ჰოდა, ამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ შეიძლება“.

**სანტა:**

„რაიონიდან გახლავართ. მყავს შეყვარებული, რომელიც ასევე, ერთ-ერთი სოფლიდანაა. არ დაგიმალავთ და, მასთან ერთად, პარკში ხშირად ვსეირნობ, მაგრამ სხვების მსგავსად, თავს იმის უფლებას ნამდვილად არ ვაძლევ, რომ საყვარელ ადამიანს ხალხის თვალწინ „ვეჩალიჩო“. ბოლოს და ბოლოს, მე მისი ცოლად მოყვანა მაქვს გადაწყვეტილი, საყვარლად კი არ მინდა... საერთოდ, ეს ყველაფერი უზნეობა მგონია, მაგრამ ასეთი საქციელის გამო ბიჭებს ვერ გავამტყუნებ. ჩემი აზრით, ისინი, ვინც გოგონებს პირდაპირ ბაღში „ფცქვნიან“, პარტნიორებს პატივს არ სცემენ, მათზე სერიოზულად არ ფიქრობენ. მოკლედ, ბიჭს გოგო ოდნავ მაინც თუ მოსწონს, მასთან „ზასაობაზე“ უარს არც ერთ შემთხვევაში არ იტყვის, მის დასამორჩილებლად ყველაფერს გააკეთებს და იკადრებს, მაგრამ ქალს უნდა ჰქონდეს იმდენი ტვინი და შეგნება, რომ ყველას არ მოაფერებინოს. მან ჯერ უნდა გაიგოს, მისგან რა სურთ, მაგრამ... ზოგს მოსწონს თავის მოტყუება, ზოგი კი ამ ყველაფრით, უბრალოდ, ერთობა. ასეთებს კი პატივს ნამდვილად არ ვცემ. დაბოლოს, უზნეო ადამიანი შეიძლება იყოს არა მარტო ქალაქელი, არამედ სოფლის მკვიდრიც და ამ თემაზე კამათი სისულელე მგონია“.

**უცნობი 2:**

„გამარჯობა. პირველ რიგში, შევთანხმდეთ იმაზე, რომ კარგი და ცუდი ყველგანაა. კითხვაზე — რაიონიდან ჩამოსული უფრო ცუდდად იქცევა თუ ქალაქელი? — ასეთი პასუხი მაქვს: ორივე! მე ბევრ ისეთ რაიონელს ვიცნობ, რომელიც თბილისში სასწავლებლად წავიდა თუ არა, „აიწყვიტა“ და ვიცნობ ისეთ პიროვნებასაც, ვინც ქალაქელია, იქაა დაბადებული, მაგრამ მანაც „აიწყვიტა“. მოკლედ, იმის თქმა, რომ ქალაქი რაიონიდან ჩამოსულებმა გარყვნეს, არ შეიძლება!“

**ფლამინგო:**

„ადამიანთა უმრავლესო-

ბას მიაჩნია, რომ სოფლელები აქცევენ ქვეყანას, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მერწმუნეთ, ცუდი და კარგი ყველგანაა! არა აქვს მნიშვნელობა, სად დაიბადე და ისწავლე, მთავარია, ადამიანს შეგნება გქონდეს... და საერთოდაც, ვინ ვართ ჩვენ, სხვა რომ განვსაჯოთ? რა ჩვენი საქმეა, ვინ რას ჩაიცვამს, რას გააკეთებს, სიგარეტს მოსწევს თუ არა? რა თქმა უნდა, გულსატკენია, ახალგაზრდები საკუთარ ჯანმრთელობას რომ არ უფრთხილდებიან, მაგრამ ეს მათი გალანძღვისა და აუგად მოხსენიების უფლებას არ გვაძლევს. სოფლიდან ჩამოსულები და ქალაქში დაბადებულები ერთმანეთს მტრულად არ უნდა ვექცეოდეთ!“

**X-კლასელი ლიზიკო:**

„მე საგარეჯოდან გახლავართ. მინდა, თბილისელებს ვუთხრა: სოფლელებს რაღაცებს ნუ აბრალებთ, რადგანაც ყველაფერი — ჩაცმის სტილიდან დაწყებული, „რომანტიკოსული“ აზრებით დამთავრებული, ქალაქიდან მოდის და სოფლელი გოგონები, თქვენგან განსხვავებით, ბევრად თავშეკავებულები ვართ. მაგალითად, ჩემს სკოლაში სიგარეტს ერთი გოგოც კი არ ეწევა, ბიჭებიც კი გადაეჩვივნენ; თბილისში არსებულ ნებისმიერ სკოლაში კი, გოგონების 80% შვებას სიგარეტსა და ალკოჰოლში პოულობს; ქალაქელები დედაქალაქში ჩასულებს გვაგრძნობინებენ, რომ გოიმები ვართ, მაგრამ ჩვენ, მათგან განსხვავებით, პატიოსნება მაინც გვაქვს. P.S. კარგი და ცუდი ყველგანაა, მთავარი კი ისაა, რომ არსებობენ ბიჭები, რომლებსაც თეთრისა და შავის ერთმანეთისგან გარჩევა შეუძლიათ“.

**უცნობი:**

„გარყვნილება სოფელშიც არის და ქალაქშიც. იცხოვრო ღირსეულად, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს იმას, რომ გქონდეს დიდი ნებისყოფა. მოდი, ერთმანეთს ნუ გავლანძღავთ!“

*დაბოლოს, ვიდრე ჩვენი ერთ-ერთი მგზავნელის, ვინმე მისტერის მესიჯს შემოგთავაზებთ, მინდა, მისი „ესემესის“ შესახებ ჩემი აზრი დავაფიქსირო. ალბათ იტყვით, — ეს რა საჭიროაო? ამას მხოლოდ მას შემდეგ მიხვდებით, როცა თემასთან დაკავშირებით მის მოსაზრებას წაიკითხავთ და მინდა იცოდეთ, რომ ამ ადამიანს კატეგორიულად არ ვეთანხმები, მეტიც — მიმაჩნია, რომ ის თავად მსჯელობს არასწორად და სოფლის მცხოვრებლებზე საოცრად მახინჯი შეხედულება აქვს (ალბათ, თავს „კარენოი“ თბილისელად მიიჩნევს), მაგრამ არ შემეძლო, „მიმებლოკა“ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემთვის არ ეთქვა: რადგანაც თავად თბილისელი არა ხარ, იმიტომაც მომისროლეო... იმედია, მისი მესიჯის დაბეჭდვის გამო თქვენს გულისწყრომას არ დავიმსახურებ...*

**მისტერი:**

„თავგადასავალს ვერ შეგპირდებით, მაგრამ მეგობრისა და საკუთარ თავს გადახდენილ მცირეოდენ შემთხვევებსა თუ შეხედულებებზე გიამბობთ. დავიწყოთ იქიდან, რომ სოფლელს დილით მამალი აღვიძებს, თბილისელს — მაღვიძარა; სოფლელი ზამთარში ფიზიოლოგიური მოთხოვნილების გამო მინიმუმ, 100 მეტრით მოშორებულ და სუნიან საპირფარეშოში მიდის, თბილისელს კი მაქსიმუმ, 3 მეტრის გავლა ესაჭიროება, რათა „დომესტოსით“ ან „უტიონოკით“ მოწესრიგებულ საპირფარეშოს მიაშუროს; საზოგადოებრივ ტრანსპორტში, „პონჩიკის“ ჭამის შემდეგ, მხოლოდ სოფლელი თუ გაიწმენდს ხელს „სიდენიაზე“. ისმის კითხვა: რატომ იქცევა სოფლელი ასე? პასუხი კი ასეთია: იმიტომ, რომ არ გააჩნია კულტურა, მისი შეგნების დონე არის ნული! და რატომ არის ასეთი? იმიტომ, რომ მშობელმა ვერ აღზარდა კარგად, ვერ ჩაუნერგა ის კულტურა, შეგნება და პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელიც ცხოვრებისთვის ერთ-ერთი აუცილებელი და უპირობო მოთხოვნაა! და რატომ ვერ აღზარდა მშობელმა ბავშვი სათანადოდ? იმიტომ, რომ ისიც „კარენოი“ სოფლელი იყო და მანაც არ იცოდა, სად და როგორ უნდა მოქცეულიყო. მხოლოდ სოფლელი თუ იტყვის გაჩერებულ მეტროში: „რა მოხდა, რატომ გავჩერდით, ბენზინი ხომ არ გაუთავდაა?“ :) საკმაო რაოდენობის სათამაშო მოედნის, პარკის, სკვერისა თუ გასართობი ცენტრის არქონის გამო, სოფელში მცხოვრებთა უმრავლესობა სერიალების მაყურებელი ხდება და ბებიაჩემივით, „სირინოზული“ შეხედულებები და წარმოდგენები უყალიბდება... მხოლოდ სოფლელს თუ შეეძლო, ჩემთვის გაცნობიდან რამდენიმე საათის შემდეგ ეთქვა: გინდა, შენი შეყვარებული ვიყოო? ჰმ, „სნიკერსივით“ არ შემომთავაზაა? :)) დაბოლოს, იმ სოფლელთა კატეგორია, რომელიც ამ ყველაფრის არქონასა და ავტომატურად, დაჩაგრულობას გრძნობს, დეპრესიაში ვარდება და ამ ყველაფრისგან თავის დასაღწევად მხოლოდ ერთადერთ გზას ხედავს — ცდილობს, ვინმე თბილისელს „შეეტენოს“ და სწორედ ამიტომაა, რომ სოფლელი გოგო უფრო იოლად დაგთანხმდება ურთიერთობაზე (დედაქალაქში დამკვიდრების მიზნით), ვიდრე — თბილისელი... დაბოლოს, ჩემი აზრით, სოფლელობა არის უიღბლობა!“

*P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: ნაპოვნი დედმამიშვილი ანუ თუ თქვენ წლების განმავლობაში, არაფერი იცოდით თქვენი ძმის ან დის არსებობის შესახებ, მაგრამ ცხოვრებამ ის გაპოვნინათ; ან თუ მსგავსი რამ თქვენს ახლობელს შეემთხვა, მისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajaia@gmail.com.* ■

## „მამაკაცების აღარ მჯერა...“

**აცკა-ნაცკა:**

„გამარჯობა. არც კი ვიცი, ამ წერილს დამიბეჭდავთ თუ არა, მაგრამ მაინც გწერთ, რადგან ძალიან ცუდად ვარ, დეპრესიაში გახლავართ და მხოლოდ თქვენი დახმარების იმედიღა მაქვს. 5 თვეა, რაც ქმარს დავშორდი და შემიყვარდა ადამიანი, რომელიც მეუბნება, რომ მასაც მოვწონვარ, ვუყვარვარ, მაგრამ მის სიტყვებს ვერ ვენდობი. რატომ? მამაკაცების აღარ მჯერა. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე?“ ■

## „ჩემი „ლოვე“ ჩემი ძმა ყოფილა...“

**დუზა:**

„ერთი ბიჭი სიგიჟემდე მიყვარს. 2 წელი „ლოვეები“ ვიყავით, მერე კი დამშორდა. ახლახან გავიგე, რომ ჩემი ძმა ყოფილა, თუმცა მე ის ისევ ძველებურად, სხვანაირად მიყვარს და ვერასდროს ვიფიქრებ, რომ ჩემი ველარასდროს იქნება. P.S. მამას ამას ვერასდროს ვაპატიებ“. ■

***P.S. მაშ ასე, თუ აცკა-ნაცკასა და დუზას წერილების წაკითხვის შემდეგ, მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.*** ■





# 1918 წლის 26 მაისი და იმჟამინდელი ევროპა

მიხეილ ლაბაძე

ზუსტად 93 წლის წინ — 1918 წლის 26 მაისს, ტფილისში, საქართველოს ეროვნულმა კრებამ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართველი ერის ისტორიაში ეს უდავოდ უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ იმხანად არც ერთი ქართული პოლიტიკური პარტია დამოუკიდებლობის გამოსაცხადებლად მზად არ იყო. რუსეთისგან საქართველოს გამოყოფა განსაკუთრებით ქართველ სოციალ-დემოკრატებს ვერ წარმოედგინათ და, ბედის ირონიით, ამ ნაბიჯის გადადგმამ მათ მაინც მოუწიათ. აღსანიშნავია ისიც, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი ნოე ჟორდანია ეროვნულ კრებაზე გამოსვლისას, ცრემლებს ძლივს იკავებდა, მისი თანაპარტიელი კაკი წერეთელი კი, როცა დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ ამცნეს, ისტერიულად აყვირდა: „რას შვრებით, თქვენა ღუპავთ რუსეთის დემოკრატიას!..“; თუმცალა, მოსახდენი მაინც მოხდა.

საინტერესოა ისიც, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებას წინ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტი უძღოდა — 14 მაისს, ქ. ბათუმში ქართულმა დელეგაციამ, რომელიც ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებებს აწარმოებდა, გერმანიის იმპერიას ოფიციალურად სთხოვა, საქართველოზე პროტექტორატი დაემყარებინა. მართალია, იმხანად მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე ასეთი სახელმწიფო ჯერ არ არსებობდა, მაგრამ ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკაც, რომლის შექმნაშიც ინტერნაციონალისტ ქართველ სოციალ-დემოკრატებს უდიდესი წვლილი მიუძღოდათ, უკანასკნელ წუთებს ითვლიდა — ოსმალეთს მისთვის ულტიმატუმი ჰქონდა წაყენებული და, ომის დაწყებით იმუქრებოდა; პარლამენტში კი ბაქოელი მუსავატისტები და სომეხი დაშნაკები ვერაფრით რიგდებოდნენ. მათი გაშველება — როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით — ქართველ სოციალ-დემოკრატებს უწევდათ. ყველა ხვდებოდა, რომ ერთიან ამიერკავკასიას მომავალი არ ექნებოდა.

ბათუმში მიმდინარე ოსმალეთ-ამიერკავკასიის საზავო მოლაპარაკებაზე შუამავლად გერმანია გამოდიოდა, რომლის დელეგაციას გენერალი ოტო ფონ ლოსოვი მეთაურობდა. ოფიციალური ბერლინის მესვეურთაგან მას ევალებოდა, ქართული დელეგაცია როგორმე ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობების აღიარებაზე დაეყოლიებინა. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ გერმანიის იმპერიას კავკასიაში ფეხის მოკიდება იმთავითვე სურდა და, რაღა თქმა უნდა, არ იყო დაინტერესებული იმით, რომ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვან რეგიონში ოსმალეთი გაბატონებულიყო. არადა, ამის საშიშროება ნამდვილად არსებობდა — გარდა იმისა, რომ კარგად შეიარაღებულ ოსმალურ არმიას ამიერკავკასიის სამხრეთი ნაწილი ეკავა, თვით ამ ქვეყნის პარლამენტშიც, ბაქოელი მუსავატისტების სახით, მოკავშირეები ოსმალეთს ბლომად ჰყავდა. ასე რომ, საზავო მოლაპარაკებაზე გერმანიის შუამავლობა შემთხვევითი სულაც არ ყოფილა — ფონ ლოსოვს ოსმალო ჩინოსანთა ამბიციებიც უნდა ჩაეცხრო და დაპყრობილი მიწები გერმანიის სასარგებლოდ დაეთმობინებინა.

ერთი სიტყვით, ოფიციალური ბერლინისა და ქართველი ერის ინტერესები საზავო მოლაპარაკებებზე ურთიერთსასარგებლოდ გადაიკვეთა და, ფონ ლოსოვის დავალებით, ტფილისის გერმანელმა კონსულმა — გრაფმა ფრიდრიხ-ვერნერ ერდმან ფონ შულენბურგმა ქართველ სოციალ-დემოკრატებს ურჩია, ინტერნაციონალიზმი როგორმე დაევიწყებინათ და საქართველოს გადარჩენაზე ეფიქრათ. ამისათვის კი, მხოლოდ ერთი გზა არსებობდა — გერმანიის იმპერიის მფარველობის ქვეშ, დამოუკიდებლობის გამოცხადება. ამიტომაც იყო, რომ სოციალ-



გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ერდმან ფონ შულენბურგი ტფილისში 1918 წელს. მას მკერდზე „ქართული ლეგიონის“ თამარ მეფის ორდენი უკეთია

დემოკრატები, რომლებიც რუსეთის დაშლას მანამდე კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდნენ და, ნიკოლოზ II-ის გადადგომის შემდგომ, კერენსკის დროებით მთავრობაშიც საკმაოდ იყვნენ წარმოდგენილნი, ბოლო წუთამდე ყოყმანობდნენ და, არც კი იცოდნენ, კონსულ შულენბურგისათვის რა პასუხი გაეცათ. შესაბამისად, ჟორდანიას ცრემლებიც სწორედ იმით იყო გამოწვეული, რომ საკუთარ პრინციპებზე უარის თქმა იძულებით უწევდა. ოსმალეთის შემოჭრის საფრთხე აშკარა რომ არ ყოფილიყო, ძნელი სათქმელია, როგორ მოიქცეოდა სოციალ-დემოკრატთა სახელგანთქმული ლიდერი, ვინც თავის დროზე, ეროვნული აზროვნების გამო, წმ. ილია მართალსაც მწვავედ აკრიტიკებდა და „რეაქციონერ თავადს“ უწოდებდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს თაობაზე გერმანელებს იმთავითვე მეტად პრაგმატული ჩანაფიქრი ჰქონდათ — ბუნებრივია, მათ ჩვენი სასარგებლო წიაღისეული და სტრატეგიული მდებარეობა ხიბლავდათ, მაგრამ რუსებისაგან განსხვავებით, სულაც არ ცდილობდნენ, რომ ქვეყანა თავიანთ სამფლობელოდ გადაექციათ; ბერლინის მესვეურთა

უმთავრეს ამოცანას იმდროინდელ ქართველ საზოგადოებრიობაში ძლიერი პროგერმანული ლობის შექმნა შეადგენდა, რათა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის იმპერიის ურთიერთობებს წყალი არასოდეს შესდგომოდა. მოკლედ, გერმანია კავკასიაში გავლენის მოსაპოვებლად, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას დიდ მნიშვნელობას იმიტომ ანიჭებდა, რომ ქართველ ერს არ დაპირისპირებოდა — ბერლინში რუსეთის მაგალითზე, მშვენივრად მოეხსენებოდათ, რომ თუკი საქართველოს პირდაპირ დაიპყრობდნენ, კავკასიაში მშვიდობა არასოდეს დამყარდებოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელი საქართველოს დროშაც და ჰიმნიც გასაოცრად წააგავდა კაიზერის შავ-თეთრ-წითელ ტრიკოლორსა და ცნობილ „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალლეს“-ს, რომელიც გერმანიის იმპერიის არაოფიციალურ ჰიმნად ითვლებოდა, ხოლო ავსტრია-უნგრეთში, უნგრულ ჰიმნთან ერთად, ოფიციალური სტატუსით სარგებლობდა. აღსანიშნავია ისიც, რომ იმხანად პროგერმანული განწყობილება ქართველ საზოგადოებაში მართლაც დიდი იყო; შესაბამისად, გერმანული და ქართული სიმბოლოების მსგავსებაც სათაკილოდ არავის მიაჩნდა. ამასთან, საქართველოში მეტად გავლენიანი და მრავალრიცხოვანი გერმანული დიასპორა არსებობდა — მარტო თბილისში 4 ათასამდე გერმანელი ცხოვრობდა, მთელ ქვეყანაში კი, მათი რიცხვი 14 ათას კაცს აღემატებოდა. ცხადია, ბერლინის მესვეურები თავიანთ ქართულ გეგმებში ერთ-ერთ წამყვან ძალად სწორედ ამ ხალხს სახავდა.

მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება გერმანელების კარნახით მოხდა, ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ახალ მდგომარეობას ალლო მალევე აუღეს და საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას შეუდგნენ. სიმართლე რომ ითქვას, ევროპული ყაიდის სახელმწიფოს ჩვენში სწორედ



ტფილისში ჩამოსული კარლ კაუტსკი და მისი მეუღლე (სხედან ცენტრში) ნოე ჟორდანიასთან (ზის მარცხნიდან მესამე, კაუტსკის გვერდით) და სხვა ქართველ სოციალ-დემოკრატებთან ერთად; 1920 წლის სექტემბერი

მათ ჩაუყარეს საფუძველი და, გერმანელთა წასვლის შემდეგაც კი — მართალია, სულ რამდენიმე წლით, მაგრამ მაინც — დამოუკიდებლობის შენარჩუნება შეძლეს, რითაც ქართველობას შემდგომი ბრძოლისთვის იდეოლოგიურ-სამართლებრივი დასაყრდენი შეუქმნეს. სწორედ ამიტომაა, რომ 26 მაისს ამჟამადაც აღვნიშნავთ, როგორც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღეს.

1918 წლის ნოემბრის პირველ რიცხვებში, გერმანულ ქალაქ კილში იმპერატორის წინააღმდეგ მეზღვაურები აჯანყდნენ. აჯანყება სწრაფად გავრცელდა მთელ გერმანიაში და, 9 ნოემბერს, იმპერატორი ვილჰელმ II იძულებული გახდა, ტახტზე ოფიციალურად უარი ეთქვა. იმავე დღეს, მან გერმანია საერთოდ დატოვა და საზღვარგარეთ გადაიხვეწა, ქალაქ ვაიმარში კი ახალი კონსტიტუციის მისაღებად დამფუძნებელი კრება შეიკრიბა; იქ უმრავლესობას მემარცხენეები — სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები შეადგენდნენ.

გერმანიაში მომხდარი რევოლუციის გამო, გერმანულმა არმიამ კავკასიის დატოვება იწყო, თუმცაღა პროტექტორატი არავის გაუუქმებია. გრაფი შულენბურგი ირწმუნებოდა, რომ ჯარის გაყვანა დროებითი ღონისძიება იყო, საქართველოს მიტოვებას კი გერმანიის ახალი მესვეურები არც კი ფიქრობდნენ. სხვათა შორის, ნოე ჟორდანიამ სულ იოლად დაიჯერა კონსულის ნათქვამი — „ვაიმარის რესპუბლიკის“ (ასე უწოდებდნენ იმ დროს გერმანიის ახალ მთავრობას, რომელიც ქ. ვაიმარში იმყოფებოდა) სათავეში ხომ სწორედ ის სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები იდგნენ, რომელთა დიდ ნაწილსაც „ქართული სოციალ-დემოკრატიის მამა“ პირადად იცნობდა; ჟორდანიას წარმოდგენაც არ შეეძლო იმისა, რომ ევროპული სოციალ-დემოკრატია საქართველოს გაწირავდა — ბოლოს და ბოლოს, მათ ინტერნაციონალისტური პრინციპები თანამოაზრეთა დახმარებას ავალებდნენ.

იმჟამინდელ ქართულ პრესაში საკმაოდ მოიპოვება მასალები, საიდანაც აშკარად ჩანს, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს ევროპელ მემარცხენეთა თანადგომის დიდი იმედი ჰქონდათ. თავის მხრივ, „ვაიმარის რესპუბლიკის“ მესვეურები — მარქსიზმის აღიარებული თეორეტიკოსები, კარლ კაუტსკი და ედუარდ ბერნშტაინი საქართველოს მხარდაჭერას კი ჰპირდებოდნენ, მაგრამ დაპირების იქით საქმე აღარ წასულა — გერმანია დამარცხებული ქვეყანა იყო და საერთაშორისო ასპარეზზე თავადაც ძალზე ცუდად ჰქონდა საქმე. თანაც, გერმანელი მემარცხენეები რუსეთს ერთგვარი შიშნარევი იმედით შეჰყურებდნენ და, რა თქმა უნდა, საქართველოს გამო ზედმეტ აქტიურობას თავს არიდებდნენ. რაც შეეხება გერმანულ ჯარს — 1919 წლის ვერსალის ხელშეკრულებით, მისი რიცხოვნობა შემცირდა, კოლონიური ნაწილები კი (მათ შორის — კავკასიაში მდგომი ქვედანაყოფები) საერთოდ გაუქმდა. გერმანიის სამფლობელოები ომში გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა — დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაინაწილეს. კავკასიაშიც, გერმანელ ჯარისკაცებს მალე ბრიტანელები ჩაენაცვლნენ.

ალსანიშნავია, რომ გრაფი ფრიდრიხ-ვერნერ ერდმან ფონ შულენბურგი, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის მგზნებარე მომხრე იყო, კავკასიაში 1918

გერმანელი ჯარისკაცები ფოთის მახლობლად, 1918 წელი



წლის ბოლოს შემოსულმა ბრიტანელებმა, საქართველოდან კუნძულ პრინკიპოსზე (დღევანდელი ბუიუქ ადა, თურქეთი) გადაასახლეს, საიდანაც ერთი წლის შემდეგ, გერმანიაში ჩავიდა. გრაფი მოგვიანებით წერდა, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „გაწითლება“ მნიშვნელოვანწილად განაპირობა იმან, რომ გერმანია ომში დამარცხდა: „საქმე ის იყო, რომ რუსეთთან გამკლავება ევროპაში გერმანიის მეტს არავის შეეძლო, მაგრამ რადგან მოვლენები სრულიად მოულოდნელად, სხვაგვარად განვითარდა და ჩვენ დავმარცხდით, რუსეთს გაძლიერების საშუალება მიეცა და, ყოფილ სამფლობელოთა უმრავლესობაც უკანვე დაიბრუნა... გერმანიაში რომ ნოემბრის რევოლუცია არ დაწყებულიყო, რუსეთი ველარ გაძლიერდებოდა და, რაც ყველაზე მთავარია — ველარ შემოვიდოდა კავკასიაში, სადაც გერმანიის იმპერიას, ქართველთა წყალობით, ფეხი კარგად ჰქონდა მოკიდებული. ასე რომ, გერმანიის დამარცხებამ შემდგომში საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა გამოიწვია“ — აღნიშნავდა შულენბურგი. სხვათა შორის, იგი 1934-1941 წლებში, მოსკოვში ნაცისტური გერმანიის სრულუფლებიანი ელჩი იყო და, ომის დაწყების მერე, სტალინის ბრძანებით, თურქეთში გააძევეს; ჰიტლერმა კი, 1944 წელს შულენბურგი რუსთა სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით, სიკვდილით დასაჯა.



გერმანიის არმიის კავკასიური შტაბის უფროსი, გენერალი ოტო ფონ ლოსოვი

რთული საერთაშორისო ვითარების მიუხედავად, ქართველ სოციალ-დემოკრატებს ევროპელ თანამოაზრეთა იმედი კვლავაც ჰქონდათ — ჟორდანია საჯარო გამოსვლებისას ყოველთვის აცხადებდა, რომ „ინტერნაციონალიზმის სალი აზრი“ საქართველოს მხარეს იყო და ჩვენი ქვეყანა მარტო არასოდეს დარჩებოდა. არადა, სწორედაც რომ მარტონი ვიყავით: ჯერ ერთი, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა საერთოდ არ გვაღიარებდა და, მეორეც — მემარცხენე პარტიათა ცნობილი გაერთიანება, რომელსაც „ინტერნაციონალი“ ერქვა, იმპერიალიზმის წინაშე უძლური იყო. შესაბამისად, 1918 წლის დეკემბერში, როდესაც ბათუმი ბრიტანულმა ჯარმა დაიკავა, ხოლო ბორჩალოში კი სომხები შემოიჭრნენ, ნოე ჟორდანიას მიერ არაერთგზის ნაქებ ევროპელ მემარცხენეებს სიტყვაც არ დაუძრავთ. ჩვენდა საბედნიეროდ, ქართულმა ჯარმა იმარჯვა და მტრის შემოტევა მოიგერია, რის შემდეგაც ბრიტანელებმა (სომხეთი მათი მოკავშირე იყო) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან აშკარა დაპირისპირებისაგან თავი შეიკავეს და ბათუმის მომავალთან დაკავშირებით, მოლაპარაკების დაწყებაზე დათანხმდნენ. 1919 წელს, აფხაზეთსა და მესხეთ-ჯავახეთში, რუსებისა და ბრიტანელების აქტიური მხარდაჭერით წამოწყებული სეპარატისტული ამბოხებებიც ქართულმა არმიამ ჩააქრო, ევროპაში კი საქართველოს მხარდაჭერით თავი არ შეუწუხებიათ. ჟორდანიას ხელისუფლება იმხანად ქართველმა მხედართმთავრებმა იხსნეს, რომლებიც უფრო პრაქტიკულად აზროვნებდნენ.

1919 წლის გაზაფხულზე, დიდმა ბრიტანეთმა კავკასიაში აქტიურობას თავი ანება, აჭარა ბათუმითურთ საქართველოს დაუბრუნა და ჯარებიც მთელი რეგიონიდან გაიყვანა. პრემიერ-მინისტრმა დევიდ ლოიდ ჯორჯმა საქართველოზე მანდატი (ასე უწოდებდნენ მაშინ დამარცხებულ სახელმწიფოთა ყოფილი სამფლობელოების მართვის უფლებას) იტალიას შესთავაზა. რომში ხსენებული შეთავაზება ძალზე სერიოზულად განიხილეს და, პოლკოვნიკ გაბბას მეთაურობით, ტფილისში საგანგებო დელეგაციაც კი გამოგზავნეს. გაბბამ ნოე ჟორდანია პირველივე შეხვედრისას დაარწმუნა, რომ იტალიას საქართველოს მიმართ მხოლოდ ეკონომიკური ინტერესები ჰქონდა. მალე, რომში ჩვენთან გამოსაგზავნი საექსპედიციო კორპუსიც შედგა, მაგრამ სწორედ ამ დროს მთავრობის შემადგენლობაში ცვლილება მოხდა; იტალიის ახალმა პრემიერ-მინისტრმა ნიტტიმ კი საქართველოს გამო რუსეთთან დაპირისპირება უაზრობად მიიჩნია და მანდატზე უარი თქვა. მოგვიანებით, როცა საქართველო ბოლშევიკებმა დაიპყრეს, პრემიერ-მინისტრი იტალიის მეფემ შეაქო კიდეც — რუსეთთან დაპირისპირებას შენმა შორსმჭვრეტელობამ გადაგვარჩინაო.

როგორც ცნობილია, საქართველოს აღიარება ევროპამ საბოლოოდ მხოლოდ მაშინ გაბედა, როდესაც 1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში ჩვენსა და საბჭოთა რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო. სხვათა შორის, აქვე დავძენ იმასაც, რომ სწორედ ევროპის გააქტიურების გამო, ნოე ჟორდანიამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა — მან რუსეთი მტრად და უპირველეს საფრთხედ აღარ ჩათვალა და ბოლშევიკთა ლეგალიზაცია მოახდინა: „ევროპიული საზოგადოება მხარს გვიჭერს... პოლიტიკურათ უკვე ჩვენ დიდათ კარგი მდგომარეობა გვაქვს, ამიტომ საზღვარგარეთელი მომხრეებიც მოგვიმრავლდა“ — აცხადებდა ის 1920 წლის სექტემბერში, როცა ტფილისს „ინტერნაციონალის“ ერთ-ერთი ლიდერი და გერმანული სოციალ-დემოკრატიის მამა — კარლ კაუტსკი სტუმრობდა; ის საქართველოში ევროპელ მემარცხენეთა დელეგაციასთან ერთად იყო ჩამოსული და თან ახლდა მეუღლეც. საქართველოს ეროვნულ არქივში მოიპოვება უნიკალური ფოტოსურათი, რომელზეც კაუტსკისა და მის მეუღლესთან ერთად, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ელიტაა აღბეჭდილი. სტუმრებმა საქართველოში ათიოდე დღე დაჰყვეს და როგორც წესი, დიდად მოიხიბლნენ ქართული სტუმართმოყვარეობით; როდესაც ისინი უკანვე ევროპაში გაბრუნდნენ, საქართველოში ეჭვიც კი აღარავის შეჰპარვია იმაში, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყანა თავის დამკვიდრებას შეძლებდა. სამწუხაროდ, სულ რაღაც 5 თვის შემდგომ, ქართველ სოციალ-დემოკრატებს იმედი კიდევ ერთხელ გაუცრუვდათ...

*P.S. ამ სტატიის დასასრულს, მინდა კვლავაც გრაფ ფრიდრიხ-ვერნერ ერდმან ფონ შულენბურგის სიტყვები მოვიშველიო: „ევროპამ საქართველოს განწირვით საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი, რადგანაც ამ ქვეყნის გასაბჭოებიდან ოცი წლისთავზე, სტალინმა მთელს ევროპაში გაბატონება მოინადინა... ჰიტლერმა კი, მაშინ სერიოზული შეცდომა დაუშვა — ნაცვლად იმისა, რომ დიდ ბრიტანეთთან და საფრანგეთთან ერთად, მძლავრი ანტიბოლშევიკური ბლოკი შეეკრა, ფლირტი თავად რუსეთთან გააჩაღა. ამიტომაც იყო, რომ სტალინმა ის ისეთ გაუგებრობაში ჩაითრია, საიდანაც თავს ველარ დააღწევს და მთელ ქვეყანასაც დაღუპავს — რუსეთთან მეგობრობის ლოგიკური შედეგი ყოველთვის ასეთია“, — წერდა შულენბურგი 1943 წელს.* ■



ბრიტანული არმიის ინდოელი მეომრები (სიფაები) ბათუმში; 1919 წელი

დასაწყისი იხ. გვ. 36

იდლოდ მოგვატარა თბილისიო! ქორწილში კი იმ ქალბატონს ალიონასთვის უგემრიელესი პასქა უჩუქებია, მის მაზლთან — სერიოჟასთან კი იმდენი უცეკვია, ბიჭისთვის ლამის ქანცი გაუძვრია. Íå æåíùèíà, à çàæèãàëêà-ო, — სიყვარულითა და სითბოთი ასე ახასიათებდნენ. ერთ დღეს გორიც მოუვლიათ და გორის ციხეზე მისი მცველებისთვის უკრაინული კანფეტების ორი შეკვრა უჩუქებიათ, მათ კი იქ მყოფი ტურისტებისთვის ჩამოურიგებიათ. გაოცებულები მიამბობდნენ: ჩვენი მილიცია ასე არასდროს მოქცეულაო. გამორჩეულად კიდევ ის დაამახსოვრდათ, შეღამებულს ნარიყალაზე იქაურმა ბერმა — ციხის გუშაგმა დაკეტილი კარი რომ გაუღო და იქაურობა დაათვალიერებინა, დამშვიდობებისას კი ერთ-ერთ მათგანს — მაშას მარიამ ღვთისმშობლის ხატი აჩუქა. მართლა განსაკუთრებულები ხართ ქართველები, ასეთ სიურპრიზებს უკვე მივეჩვიეთ კიდეც თქვენგანო, — სიცილით მეუბნებოდნენ. ალიონა და ლესია სადიპლომო ფილმისთვის გზადაგზა კადრებსაც იღებდნენ, ფილმის სიუჟეტად კი, რასაკვირველია, საქართველო და ქართველების ყოფა-ცხოვრება აირჩიეს. ამიტომაც დავყავით ნახევარ საათზე მეტი ბოდბის გზაზე, ბაჩოშვილების ოჯახში, სადაც კახელი ქალბატონი დედასპურებს აცხობდა. გოგონებმა ისე დაწვრილებით გამოჰკითხეს მასპინძელს თონეში პურის ცხობის ტექნოლოგია, მგონი, კიევში რომ ვესტუმრები, შინ თონესა და იქ გამომცხვარ დედასპურებს დამახვედრებენ.

*როგორც ყოველთვის, ახლაც მოთმინებით ელოდებოდა გადაღების დასრულებას ჩვენი „მარშრუტკის“ მძღოლი — ბაჩო მესხი, რომელიც, ფაქტობრივად, არ მოსცილებია უკრაინელ მოგზაურებს და ერთი კვირის განმავლობაში მათთან ერთად მოიარა მთა-ბარი:*

— რამდენიმე უკრაინელს თუ შევხვედრივარ ცხოვრებაში, მაგრამ ამდენი კარგი ადამიანი ერთად არ მინახავს. მათი წყალობით, კიდევ ისეთი ადგილები და სიწმინდეები ვნახე, დავით აღმაშენებლის საფლავზეც და მარტვილის მონასტერშიც ემოციას ვერ გავუძელი და... ცრემლები წამომივიდა. ბოდბესთან — წმინდა ნინოს საფლავთან და სასწაულთმოქმედ წყალთან კი საოცარი რამ მაკავშირებს: მე და ჩემს მეუღლეს შვილი არ გვიჩნდებოდა და რამდენიმე ნათესავთან ერთად წავედით, მოვილოცეთ, წყალშიც ვიბანავეთ; რაღაც ხნის შემდეგ ჯერ ერთი შვილი შეგვეძინა, მერე — მეორე (*იღიმის*). ეს ამბავი ჩვენს კიეველებსაც ვუამბე და გაგიჟდნენ. ამიტომაც წამოვიდნენ განსაკუთრებული განცდით ბოდბეში.

*წმინდა ნინოს მონასტერში შესული კიეველი სტუმრები აშკარად აღელვებულები ჩანდნენ: მოწიწებით მიეახლნენ წმინდა ნინოს საფლავს, კარგა ხანს ილოცეს, მერე გაოცებულები უსმენდნენ ტაძარში მოჭიკჭიკე ჩიტების ჟღურტულს და მეკითხებოდნენ, — ნეტავ რას „ლაპარაკობენო“? მეც განვუმარტე: საქართველოში სტუმარმასპინძლობა ჩიტებმაც კი იციან; თქვენი მოსვლა გაუხარდათ და სიხარულს ერთმანეთს უზიარებენ-მეთქი. ბედნიერები გამოვიდნენ ეკლესიიდან და სულ სრიალ-სრიალით ჩავუყევით ატალახებულ ბილიკს წმინდა ნინოს ლოცვით აღმოცენებული წყაროსკენ და განსაბანისკენ. წმინდა წყალში კი ყველამ ვიბანავეთ: ქართველმაც და უკრაინელმაც.*

**მაშა:**

— უკრაინის წმინდა ადგილებში ცივ წყალშიც გვიბანავია, მაგრამ აქ რაღაც განსაკუთრებული განცდა დაგვეუფლა. სიბნელე, იდუმალება და... უფლის სიახლოვე იგრძნობოდა.

**ანია:**

— ფეხის ჩადგმისთანავე ლოცვა დავიწყეთ და ამოსვლამდე სულ ვლოცულობდით. ამიტომ აღარც შეგვშინებია და სიცივესაც თითქოს ვეღარ ვგრძნობდით. დარწმუნებულები ვართ, თუკი რწმენითა და ლოცვით ჩახვალ ასეთ გაყინულ წყალში, არათუ არასდროს გაცივდები და გაცივებულიც რომ იყო, გამოჯანმრთელდები.

**გენა:**

— უკვე მესამედ ვარ აქ და კვლავ — აღფრთოვანებული. გასაოცარი გრძნობაა: სამჯერ ჩავდივარ წყალში, თითოეულ ჩასვლაზე ვყვინთავ და წრეს ვუვლი და თითქოს ყოველი წრის დარტყმით და ჩაყვინთვით ახალ სიცოცხლეს ვიწყებ. დღესაც სამჯერ გავცოცხლდი (*იღიმის*).

**იგორი:**

— ასეთი რამ არასდროს განმიცდია. სამჯერ ჩავყვინთე წყალში და ყოველ ამოყვინთვაზე თითქოს სხეულიდან გამოვდიოდი, თითქოს ვნეტარებდი.

*სულ ბოლოს განსაბანიდან „ახალი სიძე“ — ჟენია გამოვიდა და მთელი ჯგუფი დიდი აჟიოტაჟით შეხვდა. ალიონა კი კისერზე შემოეხვია მეუღლეს და კოცნით დაასაჩუქრა. თავიდან ვერ მივხვდი მიზეზს, თუმცა მალევე თვითონ ჟენია გამომიტყდა:*

— სულაც არ მცივა. ხუთჯერ ჩავყვინთე. საერთოდ, საქართველოში განსაკუთრებული შეგრძნებები დამეუფლა. აქ ყველაფერი უჩვეულოა, ყოველდღიურად, დილიდან საღამომდე, სადაც უნდა წახვიდე, ნებისმიერი ადგილის ნახვისას განსაკუთებული განცდა გეუფლება. წეროვანში, ჩვენი სახლიდან ძილის წინ მთებს რომ გავყურებ, ამითაც გამორჩეულ სიამოვნებას ვიღებ. ახლაც, ამ წმინდა წყალში შესვლით, რაღაც უჩვეულო გრძნობა განვიცადე: ვერ წარმოიდგენთ და, წყლის პანიკურად მეშინია, აქ კი ეს შიში დავძლიე და სამის ნაცვლად, ხუთჯერ ჩავყვინთე (*იღიმის*).

*სამწუხაროდ, ჩვენი უკრაინელები ვერ გავაცილე, მაგრამ კიევიდან გამოგზავნილ პირველივე წერილში თვითონვე აღმიწერეს გამომშვიდობების სცენა: როგორ შეასვა მამა ვახტანგმა გამგზავრებისას, საეკლესიო თასით წითელი ღვინო, როგორ ტიროდნენ მასთან დამშვიდობებისას და როგორ სთხოვა აღელვებულმა მამა ვახტანგმა ბაჩოს, მალე წაიყვანე, თორემ მეც ავტირდებიო. ბაჩომ კი უპასუხა: არ შემიძლია, როგორ წავიყვანო — წასვლა არ უნდათო!.. ასეც იყო. გამგზავრება არც ერთს არ უნდოდა. და წარმოგიდგენიათ, კიევში დამხვდურებს რა ელოდათ?! 19 არაჩვეულებრივი ადამიანის ემოციებისა და შთაბეჭდილებების მოსმენაში გათენებული ღამეები.*

P.S. *„ჩემმა“ უკრაინელებმა კიევიდან უკვე ისიც მომწერეს, — ჩვენი მეგობრები საზაფხულოდ ფულს აგროვებენ და საქართველოსთან შესახვედრად ემზადებიანო.*

■



განვუმარტე: საქართველოში სტუმარმასპინძლობა ჩიტებმაც კი იციან; თქვენი მოსვლა გაუხარდათ და სიხარულს ერთმანეთს უზიარებენ-მეთქი

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ იგანიძე

1. უაგადუგუ ბურკინა-ფასოს დედაქალაქია.
2. ტყლაპივაკე სოფელია ზესტაფონის რაიონში.
3. სიტყვა „Hyundai" კორეულად „აწმყოს" ნიშნავს.
4. ბავშვები ყველაზე სწრაფად გაზაფხულზე იზრდებიან.
5. „დიდება შრომის ხელშია", — ამბობდა ლეონარდო და ვინჩი.
6. ადამიანის სხეულში მობინადრე ბაქტერიების საერთო მასა ორ კილოგრამს აღწევს.
7. მოწევის მავნებლობის შესახებ წარწერა სიგარეტის კოლოფებზე პირველად 1966 წელს გაჩნდა.
8. ანრი მარი რაიმონ დე ტულუზ-ლოტრეკ-მონფა ფრანგი ფერმწერის სრული სახელი და გვარია.
9. ერთი კონა ნიახურის შესაჭმელად ადამიანს უფრო მეტი ენერგია ეხარჯება, ვიდრე მისგან იღებს.
10. კბილის გვირგვინების, ხიდებისა და პროთეზების დასამზადებლად ამერიკელი სტომატოლოგები ყოველწლიურად დაახლოებით 13 ტონა ოქროს მოიხმარენ.
11. ნიღაბს, რომელსაც ეტლით მგზავრობისას ქალები მტვრისგან სახის დასაცავად იფარავდნენ, ვიზაჟი ერქვა. ამ ნიღაბს შიგნიდან ნაწიბური ჰქონდა, რომელიც ქალებს კბილებით ეჭირათ.
12. ერთი კილოგრამი კოკაინის მისაღებად ერთი ტონა კოკას ხის ფოთლებია საჭირო, რომელსაც გოგირდმჟავათი, ბენზინით, ამიაკით, აცეტონით, ეთერითა და მარილმჟავათი ამუშავებენ.
13. „იზ სტრანი ნეპრერივნო უტეკაიუტ მაზგი. ი ნე ტოლკა მაზგი, ზა ადნო უტეკაიუტ ი მიეცი... იესლი უ ნიხ იესტ მაზგი!", — წუხს მიხეილ ზადორნოვი.
14. „ადამიანები კინოში ეძებენ აზრს, რადგან უკვე დიდი ხანია ცხოვრებაში აზრს ველარ ხედავენ", — ამბობს კინორეჟისორი დევიდ ლინჩი.
15. „თენგიზ აბულაძის „მონანიება" შევარდნაძის დაფინანსებული იყო. კინოფირი საკუთარი ხელით ჩამოუტანა ქართველ რეჟისორს", — ჰყვებოდა ლევან ბერძენიშვილი.
16. ნატო ვაჩნაძე ბუნებით მშრომელი და უბრალო ადამიანი იყო. 16 წლის ასაკში იგი ბორბლების საცხის ფაბრიკაში, შემდეგ კი ასანთის ქარხანა „პრომეთეში" მუშაობდა.
17. „ჯელათში ლოცვით დაღლაზე დიდი ოცნება ცხოვრებაში არა ჰქონიაო", — ამბობენ ნიკო ნიკოლაძის შემოქმედების მკვლევარნი.
18. ექვთიმე თაყაიშვილი მთაწმინდის

# „კიას" მოდელი რუსული ბაზრისთვის

კომპანია „კიამ" თავისი ახალი მოდელის პირველი ოფიციალური გამოსახულება გამოაქვეყნა, რომელიც სპეციალურად რუსული ბაზრისთვისაა განკუთვნილი. ამ მანქანის წარმოება სანქტ-პეტერბურგთან ახლოს მდებარე „ჰიუნდაის" ქარხანაში მომავალი წლის მეორე ნახევარში დაიწყება. ამ ეტაპზე ახალი სედანის სახელწოდება და მისი ტექნიკური მახასიათებლები არ გაუმხელიათ. მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ ექსპლუატაციისთვის მოხდება ავტომობილის ადაპტირება რუსულ კლიმატთან და საგზაო პირობებთან. მას აგრეთვე ანტიკოროზიულად დაუმუშავებენ ძარას. აპრილის შუა პერიოდში შანხაის ავტოგამოფენაზე „კიამ" B-კლასის სედანი წარმოადგინა, სახელწოდებით K2. ეს მანქანა სპეციალურად ჩინეთისთვის ახალი თაობის მოდელ Rio-ს ბაზაზეა აგებული და ადგილობრივ საწარმოში გამოვა. თავისი გაბარიტებით ფაქტობრივად, ზუსტად იმეორებს სედან „ჰიუნდაი სოლარისს", რომელიც რუსეთში სანქტ-პეტერბურგთან ახლოს მდებარე ქარხანაში იწყობა. თვით ჩინეთში კომპანია „კია" მოდელ K2-ის აწყობას მიმდინარე წლის ივნისში შეუდგება. ■

# 2000-ცხენისძალიანი სუპერავტო

ამერიკული კომპანია 215 Racing 2000 ცხძ-იანი სუპერავტოს წარმოების დაწყებას გეგმავს. ეს მანქანა ახალი ბრენდით — Mostro Di-Potenza და SF22 სახელით გაიყიდება. ფირმის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრით, ავტოს დასახელებაში ციფრებმა კლიენტს ავიაგამანადგურებელ F-22-ის ასოციაცია უნდა შეუქმნას, ხოლო ასოები აბრევიატურაა სიტყვებისა — Street Fighter (ქუჩის მოჩხუბარი). სუპერავტოს გარეგნობა 2009 წელს დიზაინერმა დანიელ ჩიჩჩილამ და ალბერტო ფერნანდესმა სპეციალური კონკურსის ფარგლებში შეიმუშავეს, რომელიც იტალიურმა მწარმოებელმა „ლამბორჯინიმ" დააფინანსა. შემქმნელებმა თავიანთ მანქანას Lamborghini Indomable უწოდეს. ბოლო 2 წლის განმავლობაში მის გარეგნობაზე, ისევე, როგორც წარმოებაზე, უფლებები, ფირმას — Design 4 Motion ეკუთვნოდა. ცოტა ხნის წინ ისინი ამერიკელებმა გამოისყიდეს და ასეთი სუპერავტოს სერიულ წარმოებაში ჩაშვება გადაწყვიტეს. სიახლის გაბარიტული სიგრძე 4460 მმ, სიგანე — 1905 მმ, სიმაღლე — 1230 მმ, ხოლო ბორბლების ბაზა 2650 მმ-ია. უკანა აძვრის მქონე მანქანას კარბონის მონოკოკი, ნახშირპლასტიკისგან დამზადებული ძარას პანელები, ასევე 9,4-ლიტრიანი, 8-ცილინდრიანი, „ჯენერალ მოტორსის" ორტურბინიანი ძრავა ექნება. მოტორი 2000 ცხძ-ს განავითარებს. აგრეგატი სიჩქარის გადაცემათა სეკვენტური, 6-საფეხურიანი კოლოფით იმუშავებს. მოსალოდნელია, რომ 96 კმ/სთ სიჩქარეს Mostro Di-Potenza SF22 2,5 წამში განავითარებს. მეოთხედ მილს (402 მ-ს) სიახლე 9,5 წამში დაფარავს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე 426 კმ/სთ იქნება. სულ ასეთი მანქანის 50 ეგზემპლარის გამოშვება იგეგმება. შემკვეთებს მის წარმოებაზე 2012 წლიდან მიიღებენ. წინასწარი გადახდა — 1.000 დოლარი, ხოლო მანქანის სრული ღირებულება 950 ათასი დოლარი იქნება. ■





# პუტინმა „გრანტა“ მოიწონა

„ავტოვაზის“ ახალი მოდელით — Lada Granta საცდელი გავლის შემდეგ, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა, ვლადიმირ პუტინმა მომხმარებელს ამ მანქანის აგარაკზე სასიარულოდ გამოყენება ურჩია. „მანქანა კარგია. მაგრამ მომეჩვენა, რომ Lada Kalina უფრო მიმზიდველია“, — აღნიშნა პუტინმა, რომელსაც ვოლგის ავტოქარხნის დირექტორმა იგორ კომაროვმა უპასუხა, რომ პრემიერ-მინისტრმა „კალინას“ სპორტული ვერსია გაატარა, ხოლო „გრანტა“ ჯერჯერობით, საბაზო მოდიფიკაციას წარმოადგენს. ასეთი მანქანის ფასი 220 ათასი რუსული რუბლი იქნება, მაშინ, როდესაც ტოპ-ვერსია 300 ათასი რუბლი ღირს. „გრანტის“ საბარგულის დათვალიერებისას პუტინმა მის მოცულობას გაუსვა ხაზი: „შეხედეთ, რა დიდია — ორი ტომარა კარტოფილი თავისუფლად ჩაეტევა. ხომ ხედავთ, დირექტორი ამბობს, რომ ეს ყველაზე იაფფასიანი ვერსიაა, თუმცა — კარგია. საბოლოოდ, მომეწონა“.



„კალინას“ ბაზაზე აგებული სედან „ლადა გრანტას“ წარმოება მიმდინარე წლის ოქტომბერში დაიწყება, ხოლო გასაყიდად დეკემბერში გამოიტანენ. ის 1,6-ლიტრიანი, 98 ცხძ-იანი ბენზინის ძრავათი და სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფითაა აღჭურვილი. 100 კმ/სთ სიჩქარეს ასეთი მანქანა 12 წამში ავითარებს, სავარაუდოდ, 2012 წლისთვის ბაზარზე „გრანტის“ განსხვავებული ვერსია გამოჩნდება, რომელსაც „ნისანის“ სიჩქარის გადაცემათა ავტომატური კოლოფი ექნება, ხოლო 2013 წელს მსურველები ჰეჩბეკისძარიან მანქანასაც იხილავენ. ყოველწლიურად ვოლგის ავტოქარხანა „გრანტას“ 400 ათასი ეგზემპლარის გამოშვებას გეგმავს. ■

# „ჰიუნდაის“ ახალი სედანი

კომპანია „ჰიუნდაიმ“ მოდელ i40-ის სედანისძარიანი მოდიფიკაციის შესახებ ოფიციალური ფოტოები და დაწვრილებითი ინფორმაცია გაავრცელა. ამ მანქანის პრემიერა ცოტა ხნის წინ ბარსელონის ავტოსალონზე შედგა, ხოლო უნივერსალისძარიანი ვერსია მარტში ჟენევის მოტორშოუზე წარადგინეს.



სედანი „ჰიუნდაი i40“, რომელიც კლიენტებისთვის D-სეგმენტზე იბრძოლებს, სპეციალურად ევროპული ბაზრისთვის რიუსელჰაიმში მდებარე კომპანიის კვლევით ცენტრში შეიმუშავეს. ადრე გავრცელებული ცნობით, ავტომობილის ბორბლების ბაზა 2770 მმ, სავარძლების ბალიშებიდან სახურავის დაშორება — 1025 მმ, სალონის სიგანე მძღოლისა და მის გვერდით მჯდომი მგზავრის მხრების დონეზე — 1455 მმ, ხოლო სივრცე სალონის უკანა ნაწილში ფეხებისთვის 1170 მმ-სა. გაბარიტული სიგრძე — 4,74 მეტრია. კომპანიის მესვეურები ამ მაჩვენებლებს კლასში ერთ-ერთ საუკეთესოდ მიიჩნევენ. სიახლეს კლიენტებს ბენზინის ორი ძრავათი შესთავაზებენ — 115 და 136 ცხძ-იან 1,7-ლიტრიან აგრეგატებს. მათგან უფრო მძლავრი მოტორი „სტარტ-სტოპისა“ და ენერგიის რეკუპერაციის სისტემებთან ერთად, 100 კმ მანძილის დასაფარავად, 4,3 ლ საწვავს მოიხმარს. კმ-ზე ატმოსფეროში $CO_2$-ის გამონაბოლქვი კი 113 გრამს შეადგენს. კომპანია „ჰიუნდაი“ ევროპაში ყოველწლიურად ამ მოდელის 60 ათასი ეგზემპლარის გაყიდვას ვარაუდობს, რომელთაგანაც 25% სედანი იქნება. ■



ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

პანთეონში ილია ჭავჭავაძის გვერდით დაკრძალეს, სადაც ადრე ეკლესიის მაგინებელი სილიბისტრო თოდრია იყო დასაფლავებული.

19. ალექსანდრ გრიბოედოვის და ნინო ჭავჭავაძის ქორწილში სასიმამრო სტუმრებს თექვსმეტი წლის ღვინით გაუმასპინძლდა. ალექსანდრე ჭავჭავაძემ ქალიშვილის დაბადებისას მის სახელზე ქვევრი დაალუქვინა და მისი ქორწინების დღეს მოხადა თავი.

20. ყველაფერში პირველობისათვის მებრძოლი ჩინეთი დღეს ნამდვილი სპორტული გიგანტია. საოცარია ამ ქვეყნის სწრაფვა სპორტული უპირატესობის მისაღწევად. არადა, ასიოდე წლის წინ აქ არაფერი სმენოდათ შეჯიბრების ხასიათის მქონე სპორტის შესახებ. მშვილდის სროლას აქ რიტუალური ხასიათი ჰქონდა, ტანმოვარჯიშეები მაყურებლის გასართობად გამოდიოდნენ სცენაზე, ხელჩართული ბრძოლის ოსტატთა მიზანი სხეულის გაკაჟება და საკუთარი ოსტატობის სრულყოფა იყო, ხოლო მსოფლიოში პირველი გაბერილი ბურთით ფეხბურთის თამაში ჩინელ დიდებულთა გართობის საშუალება გახლდათ.

21. ინგლისელ ფიზიკოს უილიამ ტომსონს ერთხელ ლექციის გადადება მოუწია და დაფაზე დაწერა: „Professor Tomson will not meet his classes today“ („პროფესორი ტომსონი დღეს ვერ შეძლებს თავის კლასთან შეხვედრას“). ხუმარა სტუდენტებმა სიტყვაში „classes“ ასო „c“ წაშალეს და გამოვიდა: „პროფესორი ტომსონი დღეს ვერ შეძლებს თავის საყვარლებთან შეხვედრას“. მეორე დღეს ტომსონმა ნახა წარწერა და ერთი ასო მანაც გადაშალა. გამოვიდა: „Professor Tomson will not meet his asses today“ („პროფესორი ტომსონი დღეს ვერ შეძლებს ვირებთან შეხვედრას“).

22. ერთხელ ედისონმა აინშტაინს შესჩივლა, ვერა და ვერ ავიყვანე თანაშემწეო. ყოველდღე მოდიან ახალგაზრდები, მე მათ უმარტივესი კითხვების სიას ვაძლევ და ვინც ამ კითხვებზე პასუხებს გამცემს, თანაშემწედ აყვანას ვპირდებიო. აინშტაინმა სია გამოართვა და კითხვებს ჩახედა: „რამდენი მილია ნიუ-იორკიდან ჩიკაგომდე?“ — ამ ინფორმაციის პოვნა რკინიგზის ცნობარშია შესაძლებელიო... — კისერი მოიქექა მეცნიერმა. — მეორე კითხვა: „რისგან ამზადებენ უჟანგავ ფოლადს?“ — ეს ინფორმაცია მეტალურგიულ ცნობარში იქნება სანახავიო... — შემდეგ სწრაფად გადახედა დარჩენილ კითხვებს, სია გვერდით გადადო და ხელები გაასავსავა: — „ულაპარაკოდ ვხსნი ჩემს კანდიდატურას!“

# შეყვარებული და ბედნიერი მსახიობის გულახდილობა

**უკვე 3 წელია, ის მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობია. ფართო საზოგადოებამ სერიალით — „გოგონა გარეუბნიდან“ გაიცნო. მისი პერსონაჟი — ლევან ხომერიკი ბევრმა შეიყვარა... გიორგი ვარდოსანიძე ამბობს, რომ ფილმის პერსონაჟს იუმორის გრძნობით ჰგავს, ცინიზმიც ახასიათებს, მაგრამ სხვას გულს არასდროს სტკენს. ბოლო პერიოდში აუდიოწიგნებმა გაიტაცა. უყვარს დეტექტივი; მსოფლიო დრამატურგიის მწვერვალად შექსპირს მიიჩნევს. ბავშვობიდან უყვარს მიხაილ ბულგაკოვი. და საერთოდ, უსმენს, უყურებს და კითხულობს ყველაფერს, რაც „გემოვნებიანია“. ოსკარ უაილდის „დორიან გრეის პორტრეტი“ პირველად 12 წლის ასაკში წაიკითხა, მას შემდეგ — კიდევ ორჯერ და ოცნებად აქვს გადაქცეული, დორიან გრეი განასახიეროს.**

## „ადამიანებს ადვილად ვენდობი, იმედგაცრუებულიც დავრჩენილვარ“

*თამუნა კვინიკაძე*

### პრეამბულის მაგიერ

— **ოსკარ უაილდის ეს გმირი რით გხიბლავს? ის არცთუ ისე „კარგი“ პერსონაჟია.**

— „კარგი“ — არა, მაგრამ საინტერესოა: თავიდან ძალიან სუფთა და მიამიტია, ბოლოს კი ისეთ ადამიანად გადაიქცევა, ლამის სატანას ემსგავსება; აი ამ მეტამორფოზას სიამოვნებით გავივლიდი.

— **თავად თუ ხარ მიამიტი?**

— ადამიანებს ადვილად ვენდობი. იმედგაცრუებულიც დავრჩენილვარ.

— **წიგნი მოგიპარავს?**

— ვთქვაა (*იცინის*)?.. სალვადორ დალის ალბომი მოვიპარე, ოღონდ ეს საქართველოში — არა, ხორვატიაში მოხდა: იმდენი რამ ვიყიდე, წიგნების მაღაზიაში რომ შევედი, აღმოჩნდა, რომ საკმარისი თანხა აღარ მქონდა; ვიფიქრე, თუ დამიჭერენ, დამიჭირონ-მეთქი, ალბომი ავიღე და დაუფარავად, გასასვლელისკენ დავიძარი. სანამ სამშვიდობოს გამოვიდოდი, ბევრი ვინერვიულე, მაგრამ ღირდა. არ ვნანობ, ახლაც იმავეს გავაკეთებდი.

— **„ქეთო და კოტეს“ ახალი ვარიანტის გადაღება იწყება. ვიცი, რომ კოტეს როლზე კასტინგში მონაწილეობა მიიღე. ჯერ ხომ არაფერი გარკვეულა?**

— ჯერჯერობით ცნობილი არაფერია. კოტეს როლს სიამოვნებით შევასრულებდი.

— **სერიალში „გოგონა გარეუბნიდან“ რა ხდება?**

— სეზონზე მუშაობას უკვე ვამთავრებთ. ახლა იმაზეა ლაპარაკი, რომ ამ სერიალის მიხედვით ფილმი გადაიღონ, ისე, როგორც „ერთხელ შუა ქალაქში“. ჯერ მეტს ვერაფერს გეტყვით; ეს იდეაა, ვნახოთ, რა მოხდება.

— **შენი გმირი საზოგადოებამ ძალიან შეიყვარა.**

— ცოტა გაკვირვებული ვარ, თან — ბედნიერიც. როგორც ჩანს, ჩემი გმირი მაყურებელმა იუმორის გამო შეიყვარა, როცა ნიასთან სასიყვარულო ურთიერთობა დავიწყე, ბავშვები მეჩხუბებოდნენ; სწყინდათ, მარის რომ გული ვატკინე. ახლა ძალიან ბედნიერები არიან.

— **სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგანს სწავლობდი?**

— ოროსანი ვიყავი (*იცინის*)... ვხუმრობ, მთლად ასეც არ იყო, მაგრამ ტექნიკური საგნები არ მიყვარდა.

— **წარმოიდგინე, დახურულ მინის ჭურჭელში ანთებული სანთელია მოთავსებული; ჭურჭელი სანთლიანად სწრაფად რომ ავამოძრაოთ, რომელ მხარეს გადაიხრება სანთლის ალი?**

— იმის საპირისპიროდ, რომელ მხარესაც ჭურჭელს ავამოძრავებთ.



— **დარწმუნებული ხარ? ხომ არ დაგავიწყდა, სანთელი სად არის?**

— რა, ასე არ იქნება?

— **ცდები, სანთლის ალი არც ერთი მიმართულებით არ გადაიხრება. რომელ სოფელში დაიბადა იოსებ ნონეშვილი?**

— კახეთში.

— **მე სოფლის დასახელება გთხოვე.**

— კარდანახში.

— **ვაჟა-ფშაველას ერთ-ერთი პოემის პერსონაჟმა — მინდიამ ქაჯებთან ტყვეობის დროს, მალულად მათი საჭმელი მიირთვა. „ესმის დღეიდან ყოველი, რასაც ფრინველნი გალობენ/ ან მცენარენი, ცხოველნი როდის ილხენენ, წვალობენ/“. რისგან იყო სადილი დამზადებული?**

— გველის ხორცისგან.

— **რომელი ქვეყნის მითოლოგიური ღმერთების სახელები ჰქვია მზის სისტემის პლანეტებს?**

— თუ არ ვცდები, რომაულის. ასეა?

— **დიახ. რომელ ქვეყანას აქვს მსოფლიოში ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი?**

— არ ვიცი.

— **კანადას. რომელი პიესა დაიდგა პირველად ქართული პროფესიული თეატრის სცენაზე?**

— გიორგი ერისთავის „გაყრა“.

— **ის თეატრისა და კინოს რეჟისორი იყო. 1913–21 წლებში რუსეთში მოღვაწეობდა. 1922 წელს საქართველოში გახმაურებული სპექტაკლებით — „ცხვრის წყარო“ და „ურიელ აკოსტა“ დაბრუნდა. 1928 წელს ქუთაისში თეატრალური დასი ჩამოაყალიბა. პარალელურად მუშაობდა კინოში. დაასახელე ეს პიროვნება.**

— კოტე მარჯანიშვილი.

— **„ვნების სიმძაფრე შენებაშია და...“**

— (*მაწყვეტინებს*) „...და არა აშენებულით ტკბობაში“.

— **ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?**

— გურამ რჩეულიშვილი. ეს გამონათქვამი ძალიან მომწონს.

— **ახლა ამერიკაში გადავინაცვლოთ.**

— (*იცინის*) ძალიან შორს წავედით.

— **ფილადელფია, სან-ფრანცისკო, ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი — აშშ-ის ამ ქალაქებიდან, რომელი არ მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე?**

— ფილადელფია.

— **„განგაში“, „ხევისბერი გოჩა“, „ნინო“, „დათა თუთაშხია“ — ამ ფილმებიდან რომლისთვის არ დაუწერია მუსიკა რევაზ ლაღიძეს?**

— (*ფიქრობს*) „ნინოზე“ და „დათა თუთაშხიაზე“ ვფიქრობ, მაგრამ სწორი პასუხი რომელია, არ ვიცი.

— **„დათა თუთაშხია“. ცნობილმა ავტომრბოლელმა, შუმახერმა მონაწილეობა მიიღო შემდეგი ლოზუნგის პროპაგანდაში: „10 წამი, რომელმაც შეიძლება გადაარჩინოს თქვენი სიცოცხლე“. რაში უნდა დაიხარჯოს ეს 10 წამი?**

— (*ფიქრობს*) მინიშნებას ვერ მეტყვი?

— **ეს წესი ჩვენში ცოტა ხნის წინ დაინერგა.**

— ღვედის შეკვრა — აბა, სხვა რა იქნება?

— **გამოიცანი. ტრადიციულ იტალიურ პიცაში აუცილებლად უნდა იყოს ახალი პომიდვრის სოუსი, ყველი და მწვანილის ფოთლები. პიცის ამ სამ კომპონენტს აქვს არა მხოლოდ კულინარიული, არამედ სიმბოლური მნიშვნელობა. რა სიმბოლოზეა ლაპარაკი?**

— ეს სადღაც წამიკითხავს — იტალიის ეროვნული დროშის ფერებია.

— **დაასახელე ერთადერთი ძუძუმწოვარი, რომელსაც ფრენა შეუძლია.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ღამურა.**

— აუ! მთელი დღე რომ მეფიქრა, ვერ გამოვიცნობდი.

— **ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რომელია შიშის ღმერთი?**

— არ ვიცი.

— **ფობოსი. რამის ფობია ხომ არ გჭირს?**

— პატარა რომ ვიყავი, დენმა დამარტყა. მას შემდეგ ისე მეშინია, სახლში ნათურა რომ გაფუჭდეს, ვერ გამოვცვლი.

— **საქორწინო ბეჭედს არათითზე ჯერ კიდევ ეგვიპტელი ფარაონების დროს იკეთებდნენ. მაინცდამაინც არათითზე რატომ?**

— ამაზე არასდროს დავფიქრებულვარ.

— **ეგვიპტელები მიიჩნევდნენ, რომ გულთან საგანგებო არხით არის დაკავშირებული. „ქორწინება ბოროტებაა, მაგრამ — აუცილებელი ბოროტება“ — რომელი ცნობილი ფრანგი მწერალია ამ სიტყვების ავტორი?**

— არ ვიცი.

— **სტენდალი. ეთანხმები?**

— არა, როგორ შეიძლება, ქორწინებას ბოროტება უწოდო?!

— **„ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ!/ იმ ერთის პოვნის თუ გახდი ღირსი!../ არა ერთს ისე მოელო ბოლო,/ თვალიც ვერ მოჰკრა გაჩენილს მისთვის./ ერთისთვის ერთი არსებობს მხოლოდ!../ სად არის იგი? — ეს ღმერთმა იცის!/ იმ ერთის ხილვის, იმ ერთის პოვნის, —/ ათასში ერთი გამხდარა ღირსი“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?**

— (*ფიქრობს*) მუხრან მაჭავარიანი.

— **„ის ერთი“ შენ თუ გყავს ნაპოვნი?**

— კი, შეყვარებული და ბედნიერი ვარ. „ის ერთი“ — თამთა შალამბერიძეა, ოღონდ ძალიან გთხოვ, ამ თემაზე სხვას ნურაფერს მკითხავ.

— **ამას დღესასწაულზე, საქორწილო სუფრაზე, ყინვის მომიზეზებით, ნადირობისას და ა.შ. ვაკეთებთ; შეიძლება, ყოველგვარი მიზეზის გარეშეც მოვიმოქმედოთ. რაზეა ლაპარაკი?**

— ალკოჰოლის მიღებაზე.

— **რა სწრაფად მიპასუხე?! ალკოჰოლთან „მეგობრობ“?**

— არა. შეიძლება, ძალიან გადატვირთული სამუშაო კვირის ბოლოს მეგობრებთან ერთად 300 გრამი ვისკი დავლიო, ესეც — თვეში ერთხელ შეიძლება მოხდეს.

— **რატომ? თრობის პროცესი არ მოგწონს?**

— შედეგი არ მომწონს. მეზიზღება, როცა ფხიზლად არა ვარ; თავს აუცილებლად უნდა ვაკონტროლებდე.

— **როცა ალკოჰოლს იღებ, ამას ვერ ახერხებ?**

— როგორც მეუბნებიან, ვერა, საშინელებებს ვაკეთებ; რას? — არ მკითხო.

— **იმის შესახებ თუ გსმენია, რომელ ძვირფას ქვას აგდებდნენ ძველი ბერძნები ღვინოში, თრობის თავიდან ასაცილებლად?**

— არა. აბა, მასწავლე.

— **ამეთვისტოს. ვინ არის გორდონ მეთიუ სამნერი?**

— პირველად მესმის, არ ვიცი.

— **მას ჩვენ მეტსახელით ვიცნობთ. 1952 წელს ნიუკასლში დაიბადა. ბავშვობა გაჭირვებაში გაატარა, მუსიკის სიყვარული დედამ ჩაუნერგა. რომ წამოიზარდა, ბენდ „ფენიქს ჯაზმენში“ ყოფნისას ხშირად შავი და ყვითელზოლიანი პულოვერი ეცვა. ჯგუფის ლიდერმა აღნიშნა, ამ სამოსში ფუტკარს წააგავსო და მეტსახელად უწოდა... ეს სახელი ქართულად ნესტარს ნიშნავს. ამბობენ, მალე ეს ადამიანი საქართველოში ჩამოვაო.**

— სტინგი?

— **რა თქმა უნდა.**

— ეს მეტსახელი თუ იყო, არ ვიცოდი.

— **ზიმბაბვეს ეროვნულ პარკში მოსეირნე ამერიკელმა საფულე დაკარგა. ეს ამბავი სამართალდამცავებს შეატყობინა. ქურდი მალე იპოვეს, მას მიმალვა არც უცდია. მიუხედავად დანაშაულისა, პასუხისგებაში არ მიუციათ. რატომ?**

— რატომ უნდა დაესაჯათ? მას ხომ არ მოუპარავს — იპოვა.

— **„ქურდი“ მაიმუნი იყო... ახალ წელს იაპონელებს თავიანთ სახლებში შეაქვთ ფიჭვის ტოტები, როგორც სიმბოლო დღეგრძელობისა და სიძლიერისა. ქლიავის ტოტები, როგორც მარადიულობის სიმბოლო, და მესამე მცენარე, როგორც სათნოების სიმბოლო. დაასახელე ეს მესამე მცენარე.**

— ვერ გიპასუხებ.

— **ბამბუკი. დაბოლოს: დაასრულე სენეკას ცნობილი გამონათქვამი: „ბედნიერება არასდროს აყენებდა ადამიანს ისეთ სიმაღლეზე, რომ მას არ დასჭირვებოდა...“**

— „...მეგობარი“. ■

# სიზარმაცე - ენერგიის წყარო

**რაოდენ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ფსიქოლოგები დღესდღეობით, სიზარმაცეს ენერგიის წყაროდ მიიჩნევენ. ყოველდღიური ცხოვრების გიჟურ რიტმში აუცილებლად უნდა გამონახოთ დრო საკუთარი თავისთვის და დაისვენოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება დეპრესიაში ჩავარდეთ; ანდა ორგანიზმმა გადაღლას ვერ გაუძლოს და ავად გახდეთ.**



აქამდე სიზარმაცე ადამიანის ერთ-ერთ დაუძინებელ მტრად მიიჩნეოდა. ახლა კი ამბობენ, იზარმაცეთ და დიდხანს იცოცხლებთო. თუ რაიმე საქმის გაკეთება გეზარებათ, ნუ გააკეთებთ, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ ამით არავინ და არაფერი დაზარალდება. ამ დროს ორგანიზმი დასვენებას ითხოვს, რაც მომავალში აუცილებლად აგინაზღაურდებათ.

სიზარმაცე დეპრესიისგანაც დაგიცავთ. უგუნებობა და დეპრესიული განწყობილება ხშირად სეზონური ცვალებადობის დროს ძლიერდება. ზოგი მეტისმეტად აქტიურდება, ზოგიც პირიქით — ზედმეტად ინდიფერენტული ხდება. უსიამოვნო და უკიდურესი მდგომარეობისგან თავის დაღწევის საშუალება სიზარმაცეა. წამოწექით დივანზე, უყურეთ ტელევიზორს... ვინ იცის, იქნებ შინ რომ არ დარჩენილიყავით და მეგობრებთან ან თუნდაც საქმეზე წასვლა არ დაგზარებოდათ, რა უსიამოვნებას გადაჰყროდით.

ზარმაცს ყველაზე წარმატებული იდეები მოსდის. არავისთვისაა საიდუმლო, რომ სიჩქარე და სტრესი შემოქმედებითი საქმიანობის უბოროტესი მტერია. შემთხვევითი არ არის, რომ მწერლები და მხატვრები შთაგონებისთვის ქალაქგარეთ მიემგზავრებიან. ბუნებასთან ურთიერთობა შინაგანი სიმშვიდის მოპოვების უმოკლესი გზაა. შინაგანი სიმშვიდის მდგომარეობაში კი იდეები თავისთავად მოდის.

ზარმაცები სიამოვნებას წვრილმანებისგანაც კი იღებენ. ასე რომ, მოწყენილობის დროსაც შეგიძლიათ აქტიური ცხოვრებისთვის საჭირო ძალით აივსოთ.

ზარმაცი უფრო მძაფრად განიცდის სიყვარულს. თუმცა დროთა განმავლობაში, თავდაპირველი ვნება ქრება. შეეცადეთ, პერიოდულად ერთმანეთისგან შორს იყოთ. ამით საკუთარ გრძნობებსაც გამოცდით და შეხვედრის სიხარულსაც გაიორმაგებთ.

ნუ იჩქარებთ ურთიერთობის გარკვევას. უსიამოვნება სამსახურში, დავა ოჯახში, კამათი მეგობრებთან... სტრესული სიტუაციები პრობლემებს აორმაგებს. ისწავლეთ უსიამოვნებებისგან მოწყვეტა, მათი განყენებულად წარმოდგენა. „დაიზარეთ“ და კამათში ნუღარ ჩაებმებით.

ისწავლეთ თავის ხელში აყვანა. სტრესულ მდგომარეობაში ადამიანი სწრაფად კარგავს მოთმინებას, რაც კონფლიქტს უფრო ამწვავებს გახსოვდეთ: სიმშვიდე და გაწონასწორებულობა ყველაზე ცხარე კამათშიც კი შეუდარებელი იარაღია.

არ დაივიწყოთ ზომიერების გრძნობა. უკიდურესობის თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია, არასოდეს გადახვიდეთ იმ ზღვარს, რომლის იქითაც სიზარმაცე გულცივობად და შეიძლება დანაშაულადაც კი გადაიქცეს.

■

# როგორ შევიღებოთ ტუჩები

**რა თქმა უნდა, ტუჩების შეღებვა არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს, თუმცა ყველაფერი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ტუჩებმა ყურადღება რომ მიიქციოს, აუცილებელია განსაკუთრებული წესების დაცვა.**

პირველ ყოვლისა, ტუჩები სპეციალური ტონით გაიწმინდეთ და მასზე თხელ ფენად კრემი ან ჰიგიენური პომადა წაისვით. პომადამ ტუჩებზე დიდხანს რომ გაძლოს და თავისი პირველადი სახე შეინარჩუნოს, წაისვით სამ ეტაპად.

1. კონტურის ფანქარი ტუჩების მთელ ზედაპირზე წაისვით. არ დაგავიწყდეთ, ფანქრის ფერი პომადისას უნდა ემთხვეოდეს ან ერთი ტონით მუქი იყოს. თუ კონტური მკვეთრად გამოყოფილია, ფუნჯით თანაბრად გაინაწილეთ და წაისვით (უმჯობესია, ფუნჯით) პომადის პირველი ფენა;

2. ტუჩებიდან ხელსახოცით ზედმეტი პომადა მოიშორეთ და მსუბუქად მიიფრქვიეთ პუდრი;

3. განსაკუთრებით ხაზგასმით რომ წარმოაჩინოთ ტუჩების ფორმა, პომადის კიდევ ერთი ფენა წაისვით. უფრო ღია პომადით ქვედა ტუჩის შუა ნაწილი გამოკვეთეთ.

## პომადის ფუნჯი

როცა ფუნჯით მუშაობთ, ყველაზე მცირე ნაოჭიც იღებება; ხოლო როცა ჩვეულებრივ პომადას ისვამთ, პირს



ჭიმავთ და ამ დროს ტუჩების კონტურის დეფორმაცია ხდება. გარდა ამისა, ფუნჯით სხვადასხვა ფერის შერჩევა შეიძლება (პროფესიონალები ტუჩებს ერთი ფერით არასოდეს ღებავენ). ერთი ფერის მაკიაჟი სახეს უფერულს ხდის. სახეს რელიეფურობა რომ მიეცეს, საჭიროა შუქ-ჩრდილების თამაში. გაიკეთეთ მუქი კონტური, ტუჩებზე კი ღია ფერის პომადა ან პრიალა ტუჩსაცხი წაისვით.

### კონტურის ფანქარი

* კონტურის ფანქრით ტუჩებს ხაზი შემოავლეთ. დაიწყეთ ზედა ტუჩის ცენტრიდან — კუთხეებისაკენ.
* ქვედა ტუჩის ხაზი მარცხენა კუთხიდან მარჯვენა კუთხემდე გაატარეთ. ხაზი თანაბარი და ზუსტი რომ იყოს, მოკლე შტრიხები შემოავლეთ.
* ზედა და ქვედა ტუჩის ხაზები კუთხეებში უნდა შეერთდეს. თუ ხაზი არ გამოდის, შეგიძლიათ ერთმანეთზე მჭიდროდ გადაბმული წერტილებით გააგრძელოთ.
* ტუჩები დიდი რომ გამოჩნდეს, კონტური ტუჩების ბუნებრივი ხაზის ზევით გაატარეთ. ■



### ინდოელი ქალების ნატურალური კოსმეტიკა

ცხიმიანი კანის მოსავლელად ლიმონი იდეალური საშუალებაა. აიღეთ 1 სადილის კოვზი ლიმონის წვენი და ამდენივე ხაჭო. ერთმანეთში კარგად აურიეთ და სახეზე დაიდეთ. გაიჩერეთ 20 წუთი. ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ.

სახეს შესანიშნავად წმენდს და ჭიმავს კვერცხის ცილა. წაისვით სახეზე და 15 წუთი გაიჩერეთ. მოიცილეთ ლიმონის წვენგარეული თბილი წყლით.

მშრალი კანისთვის შესანიშნავი გამწმენდი საშუალებაა ვარდის ფურცლების, გვირილისა და ოხრახუშის ნაყენი. ■

*რუბრიკა მოამზადა*
*ეკა ბუნთაიშვილმა*

*რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი*

# წონაში მატება გსურთ?..

**მკითხველის თხოვნით გთავაზობთ რჩევებს წონაში მატებასთან დაკავშირებით.**



სამედიცინო თვალსაზრისით, სხეულის მასისა და სიმაღლის თანაფარდობა ფასდება მასის ინდექსით. ამ ინდექსის დასადგენად წონა უნდა გაიყოს სიმაღლის კვადრატზე (კგ/მ$^2$): ნორმალურია: 18.5-24.9, მსუქანია: 25.0-29.9; ძალიან მსუქანია: 30.0 ან მეტი; ძალიან გამხდარია: 18.5 ან ნაკლები.

როდესაც ადამიანს წონის დეფიციტი აქვს და წონაში მომატება სურს, მაგრამ ვერ იმატებს, აუცილებლად უნდა გაირკვეს ამის მიზეზი, ანუ — კარგად ჭამს და ვერ იმატებს თუ მადა აქვს დაკარგული. თუმცა ორივე შემთხვევაში ექიმთან ვიზიტია საჭირო.

აღსანიშნავია, რომ შეიძლება, ადამიანი კარგად იკვებებოდეს, მაგრამ დღის განმავლობაში უწევდეს იმდენი ფიზიკური შრომა (ან ვარჯიში), რომ საკვების სახით მიღებულ კალორიებს და მეტსაც ხარჯავდეს (ასეთ შემთხვევაში იგი წონაში ვერ მოიმატებს, პირიქით — შეიძლება, დაიკლოს კიდეც). თუ ადამიანი ერთი შეხედვით, ცოტას ჭამს, მაგრამ დღის განმავლობაში ენერგიას საერთოდ არ ხარჯავს, მაშინ არ არის გამორიცხული წონაში მატება. გარდა ამისა, შეიძლება, ცოტას ჭამდე, მაგრამ კალორიულს (პურ-ფუნთუშეული, ცხოველური ცხიმი) და იმატებდე, ან შეიძლება ბევრს ჭამდე, მაგრამ — ნაკლებად კალორიულ პროდუქტებს (მაგალითად, ბოსტნეულს) და ეს წონაზე არ აისახებოდეს ან იკლებდე.

თუ წონაში მომატება გსურთ, მაშინ უნდა გაზარდოთ საკვების კალორიულობა და რაციონში შეიტანოთ ცილებითა და ნახშირწყლებით მდიდარი პროდუქტები. იკვებეთ ხშირ-ხშირად, საკვები საგულდაგულოდ დაღეჭეთ. სთხოვეთ მას, ვინც თქვენს კვებაზე ზრუნავს, სუფრა მადის აღმძვრელად გამოიყურებოდეს.

ვისაც წონაში მომატება უნდა, ვურჩევთ, 2-3 კვირის განმავლობაში მიიღოს კალციუმის ქლორიდის 10%-იანი ხსნარი — თითო ს/კ 4-ჯერ დღეში და პოლივიტამინური პრეპარატი (მაგალითად: უნდევიტი, იუნიკაპი და სხვ.)

კიდევ რამდენიმე რჩევას მივცემთ წონაში მატების მსურველებს:

* მოახდინეთ მადის სტიმულირება — ყოველი კვების წინ დალიეთ ბოსტნეულის ან ხილის წვენი, კარგია უალკოჰოლო ლუდიც.
* ჭამეთ დღეში 5-6-ჯერ მაინც, კვებასა და კვებას შორის, ერთნაირი შუალედები დაიცავით.
* ნასადილევს დაისვენეთ, მშვიდად დაჯექით ან წამოწექით, მიეცით ორგანიზმს საკვების კარგად მონელების საშუალება.

ვისაც მომატება სურს, მისი მენიუ, როგორც უკვე გითხარით, უნდა იყოს ცილოვან-ნახშირწყლოვანი. ამასთან, მიღებული ცილების ნახევარს უნდა შეადგენდეს ხორცი, თევზი, კვერცხი. განსაკუთრებით სასარგებლოა ქათამი, მის ნაზ ხორცს ორგანიზმი ადვილად ითვისებს, მისი შემადგენელი ცილები კუნთებს სათანადო ფორმის მიღებაში ეხმარება. ყოველდღე ჭამეთ ხაჭო და თან — მაღალი ცხიმიანობის, ასევე დალიეთ რძე, ჭამეთ მაწონი.

შეგიძლიათ მოამზადოთ სპეციალური ცილოვანი კოქტეილი. გახსენით 100 გ ხაჭო ერთ ჩ/ჭ ნაღებში, დაამატეთ ერთი ს/კ მურაბა ან თაფლი, ყველაფერი კარგად აურიეთ და მიირთვით; გემრიელიცაა და სასარგებლოც.

**ცხიმები:** მზესუმზირას, ზეითუნის ან სიმინდის ზეთით კარგად შეაზავეთ სალათები. მათში შემავალი E ვიტამინი დადებითად მოქმედებს

ორგანიზმში მიმდინარე ნივთიერებათა ცვლაზე.

ცხიმოვანი ქსოვილის განვითარებას ცილებთან ერთად, ნახშირწყლებიც უწყობს ხელს. ამიტომ ჭამეთ თეთრი პური და მაკარონი, კარტოფილი, შაქარი, თაფლი, ტკბილეული.

ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენი ყოველდღიური კვების რაციონი იყოს დაბალანსებული და ვიტამინებისა და მიკროელემენტების შემცველიც. საჭიროების შემთხვევაში მიიღეთ ვიტამინო-მინერალური კომპლექსი.

დღეში 2-3 ლ სითხე დალიეთ. ეს შეიძლება იყოს: ჩაი რძით, ყავა ნაღებით, წვენები და წყალი.

მიუხედავად იმისა, რომ წონაში მომატება გჭირდებათ, ვარჯიშზე არ უნდა თქვათ უარი. დილა დაიწყეთ დილის გამამხნევებელი ვარჯიშით, ძილის წინ ისეირნეთ სუფთა ჰაერზე და ძალიან კარგი იქნება, თუ დაკავდებით სპორტით, მაგალითად, ივლით ცურვაზე.

სიგარეტი, ალკოჰოლი და მით უმეტეს ნარკოტიკები კატეგორიულად იკრძალება.

მნიშვნელოვანია ღამის სრულფასოვანი ძილი.

ახლა წონაში მოსამატებელ დიეტასაც შემოგთავაზებთ:

**მენიუ 1:**

**საუზმე** — ერთი თეფში ჰერკულესის ფაფა თაფლითა და ნიგვზით, ან ხაჭო ჩირით, კარაქიანი პური ყველით და ფინჯანი კაკაო.

**სამხარი** — ხილის წვენი, ძეხვის ბუტერბროდი და იოგურტი.

**სადილი** — მადის აღსაძვრელად ჯერ სალათა მიირთვით, შემდეგ — კალორიული წვნიანი, 1 ნაჭერი პური, ხორცის ან თევზის დიდი ნაჭერი, გარნირად, ნაღების კარაქით შეზავებული კარტოფილის პიურე ან მაკარონი. ტრაპეზი დაასრულეთ დესერტით და ნაღებიანი ყავით.

**მეორე სადილი** — 1 ნაჭერი პური, სალათა ახალი ბოსტნეულისგან და ცხიმიანი იოგურტი.

**ვახშამი** — ომლეტი ლორით ან პომიდვრით, 1 ნაჭერი პური; დალიეთ რძე, ძილის წინ კი ჭამეთ ვაშლი ან მსხალი.

**მენიუ 2:**

**საუზმე:** 1 თეფში ბრინჯის ფაფა დამზადებული დაბალცხიმიან (0.5%) რძეზე (1/2 ერთ.), 1 ნაჭერი პური, 1 ნაჭერი ყველი, ჩაი ან ყავა.

**სადილი:** 1 დესერტის თეფში ბოსტნეულის სალათა მზესუმზირის ზეთით, 1 დესერტის თეფში ბარდის წვნიანი, 1 ნაჭერი უცხიმო ხორცი, 1/2 დესერტის თეფში წიწიბურას ფაფა, 2 ნაჭერი პური, 1 ჩ/ჭ წვენი.

**ვახშამი:** 1 ნაჭერი პური, 1 დესერტის თეფში ბოსტნეულის წვნიანი ზეითუნის ზეთითა და მოხარშული კარტოფილით, 1 ულუფა თევზი, ჩაი.

**ძილის წინ:** 1/2 ჩ/ჭ კეფირი.

თუ ამის შემდეგაც, წონაში არ მოიმატებთ, მაშინ მიმართეთ თერაპევტს და ჩაიტარეთ სრულფასოვანი გამოკვლევა.

■

# ფიტოთერაპია

**1. კლიმაქსის დროს:**

1) 1 ს/კ წითელი კუნელის მშრალ ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყენეთ 2 საათით თბილ ადგილას (მაგალითად, ღუმელში), გაფილტრეთ, მიიღეთ ნახევარი ს/კ 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე.

ბ) აიღეთ ბოსტნის წალკა (მატიტელა), 20 გ-ს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. მიიღეთ 1 ს/კ 3-ჯერ დღეში.

**2. შარდმდენი ეფექტის მიღების მიზნით:**

აიღეთ გულყვითელას და კვრინჩხის ყვავილები, არყის ფოთლები და ჭინჭარი — თანაბარი რაოდენობით. ნარევის 1 ს/კ დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ 10 წუთის განმავლობაში, გააცივეთ და გაწურეთ. მიიღეთ დილით 1 ჩ/ჭ ჭამის წინ.

**3. ელენთის ტკივილის დროს:**

ა) უებარ საშუალებად ითვლება ბროწეულის წვენი, რომელიც უნდა მიიღოთ 1 ან ნახევარი ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში ტკივილის გაქრობამდე.

ბ) კარგია აგრეთვე კომბოსტოს წვენი, უნდა მიიღოთ შემთბარი სახით, ნახევარი ჩ/ჭ 2-3-ჯერ დღეში ჭამამდე 1 საათით ადრე.

**4. თავბრუსხვევის დროს:**

ა) აიღეთ სამკურნალო ბარისპირას 1 ს/კ ბალახი და დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი. შეფუთეთ და 2 საათით დააყენეთ. შემდეგ გაფილტრეთ, მიიღეთ ჭიქის 1/3 3-4-ჯერ დღეში ჭამამდე.



ბ) 2 ს/კ მანანის ბალახს დაასხით 1 ლ წყალი, ადუღეთ 10-15 წუთი, შეფუთეთ და დააყენეთ მთელი ღამით. დილით გაფილტრეთ და დალიეთ, როგორც ჩაი. სვით აგრეთვე წყლის მაგივრად, სურვილისამებრ, დღის ნებისმიერ დროს; მკურნალობის კურსი 3 თვეა. შემდეგ 2-3 კვირით შეისვენეთ და კვლავ გაიმეორეთ.

**5. ფაღარათის დროს:**

აიღეთ 4 ს/კ ალთეს ფესვები, დაასხით 500 მლ ანადუღარი ცივი წყალი. დააყენეთ თავდახურულ ჭურჭელში ერთი დღე-ღამით, შემდეგ გაფილტრეთ. მიიღეთ ჭიქის 1/4 4-5-ჯერ დღეში.

**6. მარილების დაგროვების დროს:**

ა) 1 ს/კ კამა აადუღეთ 1 ჩ/ჭ რძეში, დალიეთ ცხელივე, ერთბაშად, 1 მიღებაზე. მკურნალობის კურსის ხანგრძლივობა 10 დღეა.

ბ) 4 ცალი ლიმონის ქერქი და 100 გ ნიორი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაასხით 2 ლ ანადუღარი ცივი წყალი და გააჩერეთ 2 დღე-ღამე დახურულ მომინანქრებულ ჭურჭელში. შემდეგ ნარევი გაწურეთ და დალიეთ 50 გ ყოველ დილით უზმოზე.

**7. პოტენციის დაქვეითების დროს:**

ა) ნიგოზი დააქუცმაცეთ, შეურიეთ იმდენივე თაფლი. მიიღეთ რძესთან ერთად 2 ჩ/კ 2-3-ჯერ დღეში, ჭამიდან ნახევარი საათის შემდეგ. მკურნალობის კურსი 20-30 დღეა.

ბ) თანაბარი რაოდენობით შეურიეთ ერთმანეთში დაქუცმაცებული ქინძი და ოხრახუში (ახალი ან გამხმარი) და მიიღეთ საჭმელთან ერთად, 1 ს/კ ყოველდღიურად.

გ) ჟოლო დაასველეთ არაყში, შემდეგ გაახმეთ, მიიღეთ ყოველ დილით 2 ს/კ.

**8. ქვედა კიდურების ტკივილის დროს:**

წყალში აადუღეთ დიდი რაოდენობით ჭრელი სამყურა. რომ გაცივდება, გაწურეთ ნაყენი და დაუმატეთ 1 ს/კ ნავთი. გაიკეთეთ ფეხის აბაზანა რამდენჯერმე საღამოს განმავლობაში.

**9. თორმეტგოჯა ნაწლავის ანთების (დუოდენიტის) დროს:**

ა) 2 ჩ/კ მუხის დაქუცმაცებულ ქერქს დაასხით 2 ჩ/ჭ ცივი ანადუღარი წყალი, დააყენეთ 8 საათით, გაფილტრეთ, მიიღეთ ყლუპ-ყლუპად დღის განმავლობაში.

ბ) 2 ჩ/კ კალენდულას ყვავილს დაასხით 2 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყენეთ 1 საათით, გაფილტრეთ. მიიღეთ ნახევარი ჩ/ჭ 4-ჯერ დღეში.

გ) 1 ს/კ შინდის ნაყოფს დაასხით 1 ჩ/ჭ ცხელი წყალი. ადუღეთ ნახევარი საათი, გაფილტრეთ ცხელ მდგომარეობაში და ცოტა ხანი ისევ ადუღეთ. მიიღეთ ნახევარი ჩ/ჭ 3-ჯერ დღეში.

**10. ჰეპატიტის დროს:**

კარგად დააქუცმაცეთ წითელი მოცვის ტოტები, 1 ს/კ კოვზს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, დააყენეთ ნახევარი საათი და გაფილტრეთ. მიიღეთ 2-3 ს/კ 4-5-ჯერ დღეში.

**11. ნერვული აგზნებადობის დროს:**

აიღეთ კატაბალახას (ვალერიანის) დაქუცმაცებული ფესვები 2,5 ს/კ და დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე წყალი, ადუღეთ ნელ ცეცხლზე 15 წუთი. შემდეგ გააგრილეთ და გაფილტრეთ. მიიღეთ 2-3 ს/კ 3-4-ჯერ დღეში ჭამის შემდეგ. ნაყენი სასარგებლოა აგრეთვე უძილობის, შაკიკისა და ნევროზის დროს. ■

# დიეტა და რეჟიმი ყაბზობის დროს

**აუცილებელია:**

* სულ ცოტა 1,5 ლიტრამდე სითხის მიღება; სითხის უდიდესი ნაწილი უნდა იყოს წყალი;

* რეგულარული ვარჯიში ან ფეხით სიარული დღეში 30 წუთის განმავლობაში — სულ მცირე, კვირაში 5 დღის განმავლობაში;

* ბოჭკოთი მდიდარი საკვები: ბოსტნეული — ჭარხლის, ისპანახის ფოთლებისაგან მომზადებული საკვები, პარკოსნები, ლობიო, ბარდა, სტაფილო, მწვანილი; ჭვავის პური, კაკალი, თხილი, შვრია, ქერი; ხილი — ვაშლი, შავი ქლიავი, ლეღვი, გარგარი, ატამი, ციტრუსები. გაითვალისწინეთ, რომ კანგაცლილ ხილში ბოჭკოს შემცველობა ნაკლებია;

* საკვებისათვის ხორბლის ქატოს დამატება.

**უნდა შეიზღუდოს:**

* კოფეინით მდიდარი სასმელი — მუქი ჩაი, ყავა, შოკოლადი;

* ბოჭკოთი ღარიბი საკვები — ბრინჯი, მაკარონი, ვერმიშელი, თეთრი პური, ყველი;

* საფაღარათოების მიღება.



**ბოჭკოს შემცველობა ზოგიერთ საკვებში:**

გამომშრალი ბარდა, 1 ჩ/ჭ (მზა სახით) — 16,3 გ;

ოსპი, 1 ჩ/ჭ (მზა სახით) — 14, 6 გ;

ლობიო, 1 ჩ/ჭ (მზა სახით) — 13,1 გ;

ხორბლის ქატო, 0,5 ჩ/ჭ — 8,4 გ;

შვრია, 1 ჩ/ჭ — 4,0 გ;

სტაფილო, 0,5 ჩ/ჭ (მზა სახით) — 2,3 გ;

კარტოფილი, გამომცხვარი, კანიანი — 2,5 გ;

კარტოფილი, გამომცხვარი, კანგაცლილი — 1,4 გ;

ვაშლი კანგაუცლელი — 2,7 გ;

მსხალი კანგაუცლელი — 0,5 ცალი — 3,1 გ;

მსხალი კანგაცლილი — 0,5 ცალი — 2,5 გ;

შავი ქლიავი — 3 ცალი — 3,0 გ;

თეთრი პური, 1 ნაჭერი — 1,9 გ;

არაქისი, 10 ცალი — 1,4 გ.

გაითვალისწინეთ, რომ ბოჭკოს მიღება რეკომენდებულია დღის განმავლობაში შემდეგი დოზით:

51 წლის ასაკამდე: მამაკაცები — 38 გ; ქალები — 25 გ;

51 წლის შემდეგ: მამაკაცები — 30 გრამი; ქალები — 25 გ;

თუ ამ ფონზე ყაბზობა მაინც აღინიშნა, აუცილებელია ვიზიტი გასტროენტეროლოგთან. მანამდე კი შეგიძლიათ, გამოუვალ შემთხვევაში მიიღოთ საფაღარათო საშუალება (შერჩევაში დაგეხმარებიან ფარმაცევტები), მაგრამ ეს ძალიან იშვიათი უნდა იყოს. ■

P.S. **პატივცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე:** nino.char@yahoo.com.

თემატური წიგნები
ჟურნალ „ოჯახის მკურნალთან" ერთად
19 მაისიდან
წიგნი №4




სერიის მომდევნო თემები:
№5 ყველაფერი სტენოკარდიისა და ინფარქტის შესახებ
№6 ყველაფერი ჰეპატიტების შესახებ
№7 ყველაფერი ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების შესახებ

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## გაზაფხულის უვერტიურა

ისევ მაისობს სამაიის იასამანი,
მზე ტყეებისკენ მწვანე მზითვებს მიეზიდება.
დავტოვე ჩემი მწუხარების მყუდრო სავანე,
ისევ მაისობს სამაიის იასამანი.
ღმერთო! სამშვინველს გაზაფხულის მიეც დიდება
და ბროწეულის ბაღებისკენ გზები სავალი.
მზე ტყეებისკენ მწვანე მზითევს მიეზიდება,
ისევ მაისობს სამაიის იასამანი.

*რატი ამაღლობელი*

# სახსოვარი



## მიხეილ ჯავახიშვილი

◆ „ადამიანი ერთსა და იმავე ალაგას მეორეჯერ აღარ წაიქცევა, მაგრამ სამაგიეროდ, ყოველი ნაბიჯი წასაქცევი ალაგია და ამიტომ ნურავინაც ნუ დაიფიცებს, ამას იქით აღარ წავიქცევიო“.

◆ „ადამიანის დასამარებისთვის ორი ხერხი არსებობს. პირველი — დუმილი, მეორე — გამომჟღავნება. მე გამოვთქვი აზრი, რომ შეიძლება, დუმილი სჯობს“.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### კ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-20, 2011

**კუტალი** — ხის ჭურჭელი (ტუჩიანი) წყლისათვის.

**კუტიკარი** — პატარა ჭიშკარი.

**კუტკუტი** — ზოგი ფრინველის ხმიანობა (მწყრის კუტკუტი).

**კუტმატი** — კუტი პური და მისი ნატეხები.

**კუფხალი** — მტევნის რტო, რომელზეც 2-3 კიმპალია.

**კუშტი** — მოღუშული, პირქუში, მკაცრი, უკმეხი.

**კუშტულა** (კუთხ.) — გიდლის ვიწრო ბოლო.

**კუწენი** — ლობიოს დაბეგვის შემდეგ დარჩენილი ძირი და ღერო ფოთლებითურთ.

**კუწუბო** — თითოეული ნაკვთი, წვერი რაიმე დაკბილული ნივთისა, ქსოვილისა და სხვა.

**კუწუწი** — 1. უმწიფარი, შემოუსვლელი თავთავის (ოდოშის) ღერო; 2. იგივეა, რაც ნაქუჩი (მარცვალგაცლილი სიმინდის ტარო).

**კუჭვა** — შემოუსვლელი კაკლის დანით ჭრა და გულის ამოღება.

**კუჭ-კუჭი** — ხმადაბალი, გულიანი სიცილი.

**კუჭმაჭი** — შიგნეული (ქათმისა, საკლავისა).

**კუჭურა** — თუში ქალის თავსაბურავის ნაწილი, ჩიხტისნაირი (იკეთებენ მანდილის ქვეშ).

**კუხი** — იგივეა, რაც ისრიმი (უმწიფარი ყურძენი).

**კუხუნი** — ქუხილის მსგავსი ხმა ზღვის ღელვისა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მორიგანი
## აჩრდილთა დედოფალი

დასაწყისი იხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-20, 2011

მარი ჯაფარიძე

იქიდან წამოსულმა ლაშას მივაკითხე, რომ მიღებული ინფორმაცია გადამეცა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებაში დამხმარებოდა.

ყურადღებით მომისმინა.

— იცი, საქმე რა არის? მგონია, რომ პოლიციელების პირველი „სასტავი“ „ტრუხა“ იყო. ეგენი სავარაუდოდ, მკვლელები იყვნენ, რომლებმაც სცენა გაითამაშეს, თითქოს მოკლული ბინიდან ჩამოასვენეს და შემდეგ, უფროსის ბრძანებით, უკანვე დააბრუნეს. აუცილებლად უნდა ნახო ის გოგონა, რომელიც ოლეგთან მეგობრობდა და იქნებ რამენაირად ისიც გაარკვიო, ვინ არიან ის ადამიანები, ვინც თავს გამომძიებლებად ასაღებენ და მეზობლებისგან ამბებს იგებენ.

— ეჰ, უშენოდ ამ ამბავს თავს ვერ გავართმევ, — ამოვიოხრე, რადგან ეს ყველაფერი ძალზე რთულად მომეჩვენა.

მერჩივნა, დამნაშავეების დაკავების სპეცოპერაციაში მიმეღო მონაწილეობა, ვიდრე ასეთი ჩახლართული საქმე გამომეძიებინა.

ლაშასთან ერთად მარეხის მოსაძებნად წავედი. შინ დაგვხვდა და არც გაჰკვირვებია, როცა ვუთხარით, ვინ ვიყავით და რა საქმე გვქონდა.

— ოლეგის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი, — შინ შეგვიპატიჟა და თავადვე დაიწყო ლაპარაკი, როგორც კი მის მიერ მითითებულ ადგილებზე დავსხედით.

— როგორც ვიცი, ახლო მეგობრები იყავით.

— დაქორწინებას ვაპირებდით, მაგრამ მისი საქმიანობის შესახებ არანაირი ინფორმაცია არ მქონდა. არასოდეს დავინტერესებულვარ, რას აკეთებდა — ვიცოდი, რომ ჟურნალიტი იყო და საქართველოს შესახებ ისტორიული მასალებით იყო დაინტერესებული. მთელი ქვეყანა ლამის ფეხით ჰქონდა მოვლილი. მეც მუდამ თან დავყვებოდი. სურათებს იღებდა და თავის რედაქციაში გზავნიდა.

— მის მიერ მომზადებული რომელიმე სტატია თუ წაგიკითხავთ?

— არა, არ წამიკითხავს, არ დავინტერესებულვარ.

— საქართველოში მეგობრები ჰყავდა?

— ძალზე ცოტა. 2-3 ადამიანთან ახლობლობდა. ნაცნობი კი ბლომად ჰყავდა. მაღალ ეშელონებშიც იცნობდა ხალხს.

— კონკრეტულად, შეგიძლიათ გვითხრათ, ვის?

— არა, გვარები არ ვიცი, რადგან რამდენჯერმე ვკითხე და შევატყვე, რომ გაღიზიანდა. გულს არ ვუწუხებდი კითხვებით და ცხვირს არ ვყოფდი იქ, სადაც ჩემი საქმე არ იყო.

— იმაზე არ გიფიქრიათ, რატომ აღიზიანებდა თქვენი შეკითხვები?

— ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, რას საქმიანობდა, ვის იცნობდა ან ვისთან დადიოდა საქმიან შეხვედრებზე. მე ის მიყვარდა და სულ ეგ იყო. კრიმინალს ამაში ვერ ვხედავ.

— რა თქმა უნდა, ეგ დანაშაული არ არის, მაგრამ ლოგიკურია, რომ კითხვები გაგჩენოდათ.

— ყველაფერი გითხარით, რაც ვიცოდი. ველარაფრით დაგეხმარებით.

— წავიდეთ, მარგო, — ლაშა წამოდგა და წინ გამიძღვა, — რას ფიქრობ მარეხზე? — მკითხა, როდესაც მანქანაში ჩავსხედით.

— მგონია, მან გაცილებით მეტი იცის და იქნებ ოლეგის საქმეების მონაწილეც კია. 3 დღეა, დავდივარ, საქმის გარშემო კი ახალი ვერაფერი გავიგე. ინფორმაცია თითქოს მაქვს, მაგრამ ამ დროს, არაფერიც არ ვიცი — ერთმანეთთან ვერ ვაკავშირებ. ალბათ კარგა ხანი დასჭირდება გორგალის გამოხსნას. პიკაპი მაინც რომ გვეპოვნინა, კარგი იქნებოდა. საქართველოში არც ერთ პოლიციის მანქანას არა აქვს ისეთი სანომრე, რომელზეც „პოლიცია“ წერია.

— ჰოო, პიკაპი თუ იპოვე, ჩათვალე, რომ საქმე გახსნილი გაქვს. ერთი რამ ვერ გავიგე, შენ რატომ დაგავალეს ამ მკვლელობის გამოძიება?

— ეჰ, ჩემო ლაშა, ეგ თუ გავიგე, ჩათვალე, რომ საქმე გახსნილი მაქვს, — ხელი უიმედოდ ჩავიქნიე, — მაგრამ ვინ მეტყვის? დამავალეს და — მორჩა, ახსნა-განმარტება არავის მოუყოლებია, — ამიტომ და ამიტომ უნდა გახსნა მკვლელობაო.

— იქნებ მანდაა ძაღლის თავი დამარხული? შეძლებ, გაიგო, კონკრეტულად ვინ გადაწყვიტა, რომ საქმე შენთვის დაევალებინათ?

— შევეცდები. სამსახურში მიმიყვანე, ოლეგის ფოსტას უნდა ჩავუჯდე ისევ და ბოლომდე „გადავქექო“ ყველაფერი. იქნებ მოსკოვში მოგიწიოს წასვლამ. გზის ხარჯს მე აგინაზღაურებ.

— კარგი, თუ საჭირო იქნება, თანახმა ვარ.

სამსახურში მისული კაბინეტში განვმარტოვდი და ვცადე, ყველაფერი მშვიდად გამეანალიზებინა, მაგრამ თავში ისეთი დომხალი მქონდა, რომ აზრი მეფანტებოდა.

მაგიდას მივუჯექი და ვცადე, საქმის გარშემო არსებული ყველა ინფორმაცია ფურცელზე გადამეტანა და დამელაგებინა. არც ამით გამოვიდა რამე. ყველაფერს თავი დავანებე და ოლეგის ფოსტას ჩავუჯექი.

**ეს როგორ უნდა მომხდარიყო? ადამიანი გარდაცვლილი იყო და მოსკოვში ელექტრონული ფოსტით წერილებს გზავნიდა!**

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ამ მისამართიდან იმ დილით გაგზავნილი წერილი დამხვდა.

ეს როგორ უნდა მომხდარიყო? ადამიანი გარდაცვლილი იყო და მოსკოვში ელექტრონული ფოსტით წერილებს გზავნიდა! შინაარსიც საინტერესო აღმოჩნდა: ვიღაც წერდა, რომ ოლეგი მოკლეს; ჰყვებოდა ყველაფერს, რაც საქმის გარშემო იცოდა და ჩემთვის საინტერესო რამდენიმე დეტალიც აღმოვაჩინე, კერძოდ — ატყობინებდა, სად იქნებოდა მეორე დღეს და რა დავალება უნდა შეესრულებინა. მივხვდი, რომ ოლეგის გარდაცვალების შემდეგ მას დაევალა საქმის ბოლომდე მიყვანა. ეს კი რადიკალურად ცვლიდა ყველაფერს.

ცხადი იყო, რომ ბოლოს გადაცემული ცნობების უმეტესობა სწორედ იმ ტვირთს ეხებოდა, რომლის ფოტოებიც ვნახე. ფოტო გავადიდე, მანქანის ნომერი ამოვწერე, რომ მეორე დღეს პატრონის ან მძღოლის ვინაობა დამედგინა — იქნებ მათგან მაინც გამეგო რამე.

წერილებში არსად იყო მითითებული ადრესატის ვინაობა. ტექსტი პირდაპირ მისალმებით იწყებოდა და შემდეგ მშრალი ინფორმაცია მოჰყვებოდა. ჯერ დავაპირე, იმავე მეილზე ოლეგის ფოსტით წერილი გამეგზავნა, მაგრამ მერე გადავიფიქრე. ჯობდა, ადგილზევე გამერკვია რაღაცები და მერე გადავწვდომოდი მოსკოვს. გადავწყვიტე, წერილში მითითებულ ადგილას დავხვედროდი ოლეგის „მემკვიდრეს“ და მასთან დაახლოება მომეხერხებინა.

მოგვიანებით ლევანმა შემოიხედა ჩემთან და მითხრა, წავედითო. კომპიუტერი გამოვრთე და უხალისოდ ავედევნე უკან.

— მარგო, ამ ბოლო დროს გატყობ, რომ ჩემთან ურთიერთობას თავს არიდებ. რამე ხდება?

— არა, არაფერი. რაც მოსკოვიდან ჩამოვედი, იმის მერე ამ ჟურნალისტის მკვლელობაზე ვმუშაობ და ჯერ თავი ვერაფერს დავადგი. დილიდან საღამომდე მაგ საქმის გარშემო ინფორმაციას ვაგროვებ და ხელთ არაფერი მაქვს.

— მერე, რჩევა მაინც არ გჭირდება? მაგისთვის მაინც შემეხმიანე ხანდახან.

— ლევან, მანქანის ყიდვა მინდა, — საუბრის თემა შევცვალე.

— დიდი ხნის წინ შემოგთავაზე, გიყიდი-მეთქი, მაგრამ უარი მითხარი.

— შენი ნაყიდი არ მინდოდა, შენთან იმის გამო არა ვარ, რომ ასეთი ძვირად ღირებული საჩუქრები მიძღვნა. ფუფუნებასა და სხვის მზრუნველობას ბავშვობიდანვე არა ვარ მიჩვეული. მირჩევნია, საკუთარ თავზე თავად ვიზრუნო.

— და ახლა ფული საიდან გაქვს? როგორ მოაგროვე იმდენი, რომ მანქანის ყიდვას აპირებ?

— დედაჩემს აგარაკი გაუყიდია, რომელიც მოსკოვის გარეუბანში გვქონდა და ახლა, შვებულებით რომ ვიყავი ჩასული, ფული მომცა, — ბუნებრივია, ფულის „წარმოშობის“ რეალური ვერსია დავუმალე.

— ხვალ წავიდეთ ბაზრობაზე და ვიყიდოთ. თუმცა გამიხარდებოდა, მე რომ გიკეთებდე ამ საჩუქარს.

— ხვალ არ მცალია, მთელი დღე დაკავებული ვიქნები. უახლოესი დღეებისთვის გადავდოთ ეგ საქმე — ორივე რომ მოვიცლით, იმ დროისთვის.

— ხვალ კვირაა, რა საქმე გაქვს?

— რა და — რაც შემომტენეთ, ის. წითელ ხიდზე უნდა წავიდე, საქმის შესახებ რაღაც დეტალები გავარკვიო.

ლევანს ბოლომდე არასოდეს ვენდობოდი. შესაძლოა, სწორედ ეს უნდობლობა იყო მიზეზი, რის გამოც ეს კაცი ვერ შევიყვარე. თუმცა არც სანდროს ვენდობოდი, მაგრამ ის მაინც მიყვარდა.

სასხვათაშორისოდ მოვუყევი ლევანს საქმის გარშემო მოძიებული ფაქტები. რაღაც რჩევები მომცა...

მეორე დილით ადრიანად გამოვედი მისი სახლიდან და ლაშას დავურეკე. მის გარეშე არ მინდოდა, რაიმე ნაბიჯი გადამედგა, რადგან საკმაოდ გონივრულ რჩევებს მაძლევდა.

გადაწყდა — მისი მანქანით წავედით წითელ ხიდზე, სადაც ის იდუმალებით მოცული ადამიანი ჯერ უნდა ამომეცნო, შემდეგ — გამეცნო.

სავარაუდოდ, რუსი უნდა ყოფილიყო და არ უნდა გამჭირვებოდა მისი ცნობა. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდი იყო და წინასწარ შეგუებული ვიყავი იმ ფაქტს, რომ შესაძლოა, გავწბილებულიყავი, მაგრამ რას დავეძებდი?

ადგილზე მისულმა იქაურობა მოვათვალიერე. უამრავი ადამიანი ირეოდა... საზღვარზე გადამსვლელი მანქანების უზარმაზარი რიგი იდგა. მე და ლაშა მანქანიდან გადავედით და ცალ-ცალკე გავუყევით რიგს. ყურადღებით ვაკვირდებოდი ყველა ადამიანს, ვისაც სლავური იერი ჰქონდა. ლაშას მზერას გადავაწყდი. უფრო სწორად, მუქი სათვალის მიღმა მის მზერას ვერ ვხედავდი, მაგრამ მივხვდი, დაჟინებით მიყურებდა. თავით ჩემს ზურგს უკან მანიშნა. ახალგაზრდა, წაბლისფერთმიანი მამაკაცი ბორდიურზე შემდგარიყო, დიდობიექტივიანი ფოტოაპარატი მოემარჯვებინა და სურათებს იღებდა. ნელ-ნელა მივუახლოვდი და მისგან 2-3 მეტრის მოშორებით, ბორდიურზე ჩამოვჯექი. ისეთი სახე მივიღე, თითქოს ძალიან დაღლილი ვიყავი. ახლა რაიმე მიზეზი მჭირდებოდა, რომ გამოვლაპარაკებოდი. ისევ ლაშა მოვძებნე თვალებით: როცა ჩემი მხედველობის არეში იყო, თავს მშვიდად და დაცულად ვგრძნობდი. მან ისევ შეუმჩნევლად მანიშნა, ჩემგან მარჯვნივ გამეხედა. უზარმაზარი ტრაილერი იდგა, რომლის საბარგულის ორივე კარი ღია იყო და საბაჟო კონტროლს გადიოდა. ამ მანქანაში ზუსტად ისეთი ტვირთი იყო, როგორიც ოლეგის მიერ გადაღებულ ფოტომასალაზე. ჩემ სიახლოვეს მდგარი მამაკაცის ობიექტივიც სწორედ ამ მანქანისკენ იყო მიმართული.

დავრწმუნდი, რომ ლაშას ვარაუდი სწორი იყო და იმ კაცს „ჩაავლო“, რომელიც გვჭირდებოდა. ამ მომენტის ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. მამაკაცი უცერემონიოდ, მოურიდებლად შევათვალიერე. ჩემი მზერა იგრძნო და შემომხედა. ხელით მოვიჩრდილე და გავუღიმე. უხმოდ შებრუნდა, მაგრამ რამდენჯერმე გამომხედა — გადაამოწმა, ისევ ვუყურებდი თუ არა.

— ტურისტი ხართ? — დუმილი დავარღვიე და გამოველაპარაკე.

— დიახ, — მოკლედ მიპასუხა.

— ალბათ, რუსი.

— დიახ.

— მეც მოსკოველი ვარ, რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ჩამოვედი.

ამ სიტყვებმა ჯადოსნურად იმოქმედა: მამაკაცმა გამიღიმა, რამდენიმე კადრი კიდევ გადაიღო და გვერდით მომიჯდა.

ერთმანეთს გავეცანით. შემდეგ შემომთავაზა, — თუ თბილისში ბრუნდები, ჩემი მანქანით წაგიყვანო. ბუნებრივია, დავთანხმდი. ასე იოლად თუ შევძლებდი ყველაფერს, არ მეგონა. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, ამ მცირე წარმატებამ არ გაგათამამოს და შეცდომები არ დაუშვა-მეთქი.

მამაკაცს საშა ერქვა და საკმაოდ საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. შინ დამპატიჟა. უარი არ მითქვამს. ვერაზე ცხოვრობდა — ოროთახიან, მყუდრო ბინაში. მთელი საღამო საუბარში გავატარეთ. წასასვლელად

რომ მოვემზადე, დარჩენა შემომთავაზა. უარი ვუთხარი იმ მიზეზით, რომ ქართველი ბოიფრენდი მყავდა და არ მაპატიებდა, თუ სხვა მამაკაცთან ღამის გასათევად დავრჩებოდი.

მართალია, იმ დღეს საქმის შესახებ ჩემთვის საინტერესო და საგულისხმო ვერაფერი გავიგე, მაგრამ რაც მთავარი იყო — გაცნობა შედგა.

ახლა კი ლაშა უნდა მენახა და მისთვის ყველაფერი მომეყოლა.

მანამდე სამსახურში შევიარე. კვირადღე იყო, მაგრამ ვიცოდი, ლევანი იქ იქნებოდა და პირდაპირ მის ოთახში შევიჭერი.

— ლევან, იცი, რჩევა მჭირდება და მაინტერესებს, ვინ დამავალა ამ საქმის გამოძიება?

— მაგას მნიშვნელობა არა აქვს.

— საქმის კურსში მინდა ჩავაყენო და შემდგომი დავალებები მივიღო, — უკან დახევას არ ვაპირებდი.

— მე მომიყევი და გადავწყვიტოთ შენთვის საინტერესო საკითხები.

— ვერ ვიგებ, რა უდგას წინ იმის თქმას, ვისგან მივიღე დავალება! „საშინელი“ საიდუმლოა?

— კი, მარგო, საიდუმლოა.

ლევანს იმ დღეს მომხდარი ამბები უკმაყოფილო სახით, მაგრამ დაწვრილებით მოვუყევი და პასუხის მოლოდინში გავჩუმდი, მაგრამ მეორე დღისთვის გადადო — როგორც ჩანს, ვიღაცას უნდა მოსთათბირებოდა.

სამშაბათს დილით შემატყობინეს, რომ საქმე ჩამომართვეს და სხვას გადასცეს, მე კი ჩემი უშუალო მოვალეობების შესრულება უნდა გამეგრძელებინა.

ამის გამო ლევანთან უკმაყოფილება გამოვთქვი, მაგრამ იქვე გამაჩუმა — რასაც გეტყვიან, ის უნდა გააკეთო, შენი მოვალეობა ეგააო.

სხვა გზა არ მქონდა — ლევანს თავი მოვაჩვენე, თითქოს ჩემთვის სულერთი იყო, ვინ გამოიძიებდა მაგ საქმეს, მაგრამ სინამდვილეში სულაც არ ვაპირებდი, ფარ-ხმლის დაყრას. ისეთ აზარტში ვიყავი შესული, ახლა, როცა ყველაზე საინტერესო „ადგილამდე“ ვიყავი მისული, ჩემი შეჩერება არ შეიძლებოდა.

ჩემი და საშას ურთიერთობა გაგრძელდა. ცოტა ხანში დავმეგობრდით კიდეც. ერთ საღამოს „გულახდილი“ საუბარი გადავწყვიტე და ცოტა ვიწუწუნე იმის გამო, რომ ძალზე ცოტა შემოსავალი მქონდა და საარსებოდ ძლივს მყოფნიდა: იმედი მქონდა, რომ ის რაიმე საქმეს შემომთავაზებდა, რაც საშუალებას მომცემდა, იქ ჩამეხედა, რისი ინტერესიც მქონდა.

საშამ ისეთი კითხვები დამისვა, მივხვდი, ანკესზე წამოეგო. მაგრამ იმ დღეს არაფერი უთქვამს. მეორე დილით ოლეგის ფოსტა შევამოწმე და მისი წერილი აღმოვაჩინე. შეფს სწერდა, აქ მოსკოველი, რუსი გოგონა გავიცანი, რომელსაც ჩვენს საქმეში დახმარების გაწევა შეუძლიაო.

რომ შენ თანადგომა გჭირდება. თუ ერთმანეთს მხარში არ ამოვუდექით, სხვა არავინაა ჩვენი პატრონი. მინდა, ერთი საქმე შემოგთავაზო. თუ თანახმა იქნები და კეთილსინდისიერად შეასრულებ, შესაბამისად გადაგიხდიან.

— ერთჯერადი საქმეა?

— არა, მაგრამ ყველაფერი პირველი დავალების შესრულებაზე იქნება დამოკიდებული.

— რა უნდა გავაკეთო?

— სოხუმში უნდა წახვიდე და

**ლევანს რამდენიმე დღით დავეთხოვე იმ მიზეზით, ლაგოდეხში უნდა წავიდე და მამა მოვინახულო-მეთქი და ზუგდიდისკენ მიმავალ გზას დავადექი. იქ უკვე მელოდა ის ადამიანი, ვინც აფხაზეთში გადამიყვანდა და საჭირო ხალხს დამაკავშირებდა.**

გამელიმა... სწორედ ის მოხდა, რაც მე მინდოდა. ახლა მთავარი იყო, რა პასუხს მიიღებდა.

2 დღის შემდეგ კვლავ შევამოწმე ფოსტა:

„გიტოვებთ უფლებას, კადრი თქვენი შეხედულებისამებრ გამოიყენოთ. მომდევნო მოვლენებზე პასუხისმგებლობა თქვენ დაგეკისრებათ. გადაამოწმეთ მისი ვინაობა“.

წერილს თან ერთვოდა დოკუმენტაცია, სადაც მითითებული იყო ჩემი მოსკოვური საცხოვრებელი ადგილის მისამართი, სკოლა, სადაც ვსწავლობდი და წელი, როდესაც საქართველოში ჩამოვედი.

ამ ფაქტმა ცოტა შემაშფოთა, მაგრამ იმედი მომეცა, რომ რადგან ჩემზე ინფორმაციის გადამოწმება საშას მიანდვეს, მის გაცურებას შევძლებდი.

საშასთვის თავიდანვე ჩემი რუსული გვარი მქონდა ნათქვამი (მამის გვარი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მივიღე), ამ გვარზე ინფორმაციას თუ მოიძიებდა, ეტყოდნენ, რომ ვაჭრობის სამინისტროში ვმუშაობდი, რადგან ლალის ვყავდი „ლევად“ გაფორმებული და ხელფასსაც ვიღებდი. შინაგან საქმეთა სამინისტროში კი მოგვიანებით, ქართული გვარით ვიყავი დარეგისტრირებული.

რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც საშასთან სახლში მივედი, საქმიანი სახით მითხრა ახალი ამბავი.

— იცი, დავფიქრდი და მივხვდი, ერთ კაცს შეხვდე. მერე ის მოგცემს დავალებას.

— კი, მაგრამ სოხუმში როგორ გადავალ?

— ზუგდიდში ჩახვალ, იქ დაგხვდებიან და გადაგიყვანენ.

— საშა, შენ რა, აგენტობას მთავაზობ? — გაოცებული სახე მივიღე.

— დაახლოებით სწორად მიხვდი, მაგრამ მთლად მასე არაა. თვითონ დაინახავ, როცა საქმეში ჩაიხედავ. თუ თანახმა ხარ, ზეგისთვის გაემზადე, უნდა გაემგზავრო.

საგონებელში ჩავვარდი. სამსახურისთვის რა უნდა მექნა?! ხომ უნდა ამეხსნა რამდენიმე დღით ჩემი გაუჩინარების მიზეზი? არადა, არც ამ სიტუაციის ხელიდან გაშვება მინდოდა. უამრავ საინტერესო ინფორმაციას მოვიპოვებდი. ისიც კი ვიფიქრე, ლევანს ხომ არ გავუმხილო სიმართლე და ვუთხრა, რასაც ვაპირებ-მეთქი? — მაგრამ მერე გადავიფიქრე. ჯობდა, დამოუკიდებლად მემოქმედა.

ლაშა სასტიკი წინააღმდეგი იყო ჩემი ასეთ საქმეში გარევისა, მაგრამ ყური არ ვუგდე.

ლევანს რამდენიმე დღით დავეთხოვე იმ მიზეზით, ლაგოდეხში უნდა წავიდე და მამა მოვინახულო-მეთქი და ზუგდიდისკენ მიმავალ გზას დავადექი. იქ უკვე მელოდა ის ადამიანი, ვინც აფხაზეთში გადამიყვანდა და საჭირო ხალხს დამაკავშირებდა.

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ხაფანგი



დასაწყისი იხ. „გზა" №19-20

რუსუდან ბერიძე

## თავი III

## ლალი

ლალისგან გაბრიყვებულმა თემომ ერთი ამოიოხრა და შემდეგ ისევ კომპიუტერს მიუჯდა. ის იყო, რომანის დასაწყისის გაშალაშინება უნდა დაეწყო, რომ მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ვიღაც დაფარული ნომრით იყო შემოსული. „ლალი იქნება, — გაიფიქრა მან, — დამიწყებს ახლა მობოდიშებას".

— მაინც გამაცურე, ხომ? — ყურმილში პირველმა ჩასძახა სხიერელმა. — მოიცა, კიდევ ჩამივარდები ხელში და ნახავ, რაც მოგივა.

— უკაცრავად, მაგრამ ეტყობა, ვიღაცაში შეგეშალეთ. — გაისმა ყურმილში მამაკაცის მორიდებული ხმა. — მე...

— რომელი ხარ? — გააწყვეტინა მას სხიერელმა.

— მარკეტინგული ფირმა „ალგორითმის" წარმომადგენელი გახლავართ.

— რომელი ფირმის?

— „ალგორითმის".

— აჰ, „ალგორითმის", ხომ? — წამოენთო თემო.

— დიახ.

— შემთხვევით, ეს ის „ალგორითმი" ხომ არაა, ნაირ-ნაირ კონკურსს რომ აწყობს ხოლმე?

— დიახ, — დაეთანხმა მამაკაცი, — სწორად გამოიცანით.

— მაშინ აბა ერთი შენი სახელი და გვარიც მიბრძანე.

— მე...

— თუმცაღა არა, — ისევ გააწყვეტინა მამაკაცს თემომ, — თვითონ გამოვიცნობ. ალექსანდრე ხარ, ხომ ელიოზიშვილი?

— დიახ, კიდევ ერთხელ დაეთანხმა სხიერელს მამაკაცი, — მე ნამდვილად ალექსანდრე ელიოზიშვილი ვარ, მაგრამ ვერ ვხვდები, თქვენ საიდან იცით ეს ყველაფერი?

— ესე იგი, ვერ ხვდები, ხომ?

— დიახ, ნამდვილად ვერ ვხვდები.

— მაშინ, ყველაფერთან ერთად, სრული კრეტინიც ყოფილხარ, — ხმას აუწია სხიერელმა, — ლალის კი გადაეცი, რომ მაგარი უკბილო ხუმრობა გამოგივიდათქო.

— ვის?

— ლალი მესხს, ვინც ამ ცირკის მოწყობა დაგავალა.

— ვწუხვარ, მაგრამ თხოვნას ვერაფრით შეგისრულებთ, — სხიერელის უხეშობის მიუხედავად, ისევ თავაზიანად განაგრძო მამაკაცმა.

— რატომ? გაგიბრაზდება და, ჩემგან განსხვავებით, შენ ცხვირის წვერზეც კი აღარ გაკოცებს?

— არა, უბრალოდ, ასეთ ადამიანს საერთოდ არ ვიცნობ. მაპატიეთ, რა მითხარით, რა გვარიაო?

— შენი ბედი, რომ გინება არ მიყვარს, თორემ გვარს და ჯილაგს ერთად ამოგიტრიალებდი! — ხმას სულ უფრო უწევდა თემო. — აი, ლალის კი... თუმცაღა ლალის რას ვუზამ, ეს უკვე შენი საქმე არ არის.

— გეთანხმებით, — თავაზიანობის კვარცხლბეკიდან მაინც არაფრით ჩამოვიდა მამაკაცი, — მით უმეტეს, რომ, როგორც უკვე გითხარით, ასეთს არავის ვიცნობ და თქვენთან მხოლოდ ჩვენი ფირმის დავალებით ვრეკავ.

— ჰოდა, რეკე და იყავი! — ტელეფონი გათიშა და სავარძელში მოისროლა გაგულისებულმა თემომ.

ამის შემდეგ სხიერელმა სამუშაოს გული ვეღარაფრით დაუდო, ამიტომ ქურთუკი შემოიცვა, მობილური ტელეფონი აიღო და ქუჩაში გასვლა გადაწყვიტა. კართან მისულს ქალაქის ტელეფონის ზარის ხმა დაეწია. „ახლა ქალაქის ტელეფონზე გადავიდა. რეკოს, სანამ არ მოჰბეზრდება!" — კარი სწრაფად გამოაღო მან და მალე ქუჩაში აღმოჩნდა.

გარეთ უკვე შებინდებულიყო და თოვლის პირველი ფანტელებიც წამოსულიყო. „არა რა, — ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა სხიერელმა, — ცხოვრება მაინც ძალიან კარგი რამეა და ვიღაც იდიოტი მის ხალისს ვერ დამაკარგვინებს". ამის გაფიქრება და ჯიბეში მობილური ტელეფონის აწკრიალება ერთი იყო. თემომ ტელეფონი ისე გამორთო, ნომრისთვის არც კი დაუხედავს და იქვე, ქუჩის კუთხეში მდებარე მყუდრო ბარში შეაბიჯა...

სხიერელი შინ გვიან და ცოტა შეზარხოშებულიც დაბრუნდა და როცა ლიფტიდან გამოსულმა საკუთარი ბინის კართან ატუზული ლალი დაინახა, თვალებს არ დაუჯერა:

— მართლა ქალბატონი მესხი დგას ჩემი უბადრუკი სამყოფლის წინ თუ იმდენი დავლიე, რომ უკვე სასურველ რეალობად მეჩვენება? — გოგონა აგდებულად აათვალიერ-ჩაათვალიერა.

— არ გეჩვენება, მე ვარ, — თავი დატუქსული ბავშვივით დახარა ლალიმ.

— და რას მივაწერო თქვენი ესოდენ გვიანი ვიზიტი?

— უკვე რამდენიმე საათია, რაც გელოდები. მანამდე მობილურზე გირეკე, მაგრამ გამორთული გქონდა...

— თაყვანისმცემლებს ვემალებოდი, — ირონიულად გაეღიმა თემოს, შემდეგ გოგონა გვერდზე უცერემონიოდ გასწია, საკეტს გასაღები მოარგო, სწრაფად გადაატრიალა და კარი ხმაურით შეაღო: — შემოხვალ?

— შემოვალ.

კარის მიხურვისთანავე ლალი ვაჟს გულში ჩაეკრა და ასლუკუნდა.

— მოხდა რამე? — გოგონას უცნაურმა საქციელმა საბოლოოდ დააბნია თემო.

— მოხდა, — სლუკუნი გააგრძელა ლალიმ და, თან, ვაჟს კიდევ უფრო გამეტებით მიეკრა, — ოღონდ ახლა ვერ მოგიყვები. ახლა მხოლოდ შენ გვერდით ყოფნა მინდა.

— როგორც იქნა, ჩვენი სურვილები ერთმანეთს დაემთხვა, — გოგონას წელზე ხელი ფრთხილად მოხვია გახალისებულმა სხიერელმა და ოთახში ისე შეიყვანა...

დილით თემოს ადრიანად გაეღვიძა და მის გვერდით მშვიდად მძინარე ლალის კარგა ხანს კმაყოფილი სახით აკვირდებოდა. შემდეგ ლოგინიდან ფრთხილად წამოდგომა სცადა, მაგრამ საწოლმა მაინც მოღალატურად გაიჭრიალა და ლალისაც მაშინვე გაეღვიძა.

— დილა მშვიდობისა! — მიესალმა მას თემო.

— დილა მშვიდობისა... — თვალი

ძლივს გაუსწორა ვაჟს დარცხვენილმა გოგონამ.

— როგორ გეძინა? — სკამზე დაუდევრად მიგდებული ჯინსის შარვალი სწრაფად ამოიცვა სხიერელმა და საწოლზე ისე ჩამოჯდა.

— გმადლობ, კარგად.

— საუზმე ლოგინში მოგართვა თუ?..

— არა, დილით საერთოდ ვერ ვჭამ.

— ერთნაირი ჩვევა გვქონია. ამიტომ სანამ მოგვშივდება, იცი, რა ვქნათ?

— რა? — საბანი ლამის თვალებამდე აიწია კიდევ უფრო დამორცხვებულმა ლალიმ.

— შენ რაც იფიქრე, ის საქმე ცოტა მოიცდის, — გაეღიმა თემოს, — მანამდე კი ამიხსენი, გუშინ, ჩემგან ქურდულად გაპარვის შემდეგ, ისეთი მაინც რა შეგემთხვა, რომ ისევ უკან მოირბინე და, რაც მთავარია, ისე გულუხვად დამასაჩუქრე, რომ ბედნიერებისგან გონს ჯერაც ვერ მოვსულვარ?

— სხვა დროს მოგიყვები. — მოიღუშა ლალი.

— არავითარი სხვა დროს! — საბანი ძალით ჩამოაწევინა გოგონას თემომ. — წუხანდელს აქეთ ცნობისმოყვარეობა მკლავს.

— კარგი, — ამოიოხრა ლალიმ, — მოგიყვები, მაგრამ ჩემი გუშინდელი მდგომარეობის ბოლომდე გადმოცემა გამიჭირდება, რადგან განცდილმა უკვე საგრძნობლად დაკარგა სიმძაფრე.

— მაინც სცადე!

— გუშინ, შენგან რომ გავედი, ჯერ ტაქსის გაჩერება დავაპირე, მაგრამ მერე გზას ფეხით გავუყევი. ვიფიქრე, შინ მეტროთი წავალ, თან ფულს დავზოგავ და თან ცოტა მუხლსაც გავშლი-მეთქი. მეტროს პირდაპირ, გადასასვლელთან რომ მივედი, ერთი ბიჭი დავინახე. ხელში წითელი ვარდების უზარმაზარი თაიგული ეჭირა და გზის გახსნას მოუთმენლად ელოდა. თვალი ვარდებისკენ გამექცა: ნეტავ, ვისთვის მიაქვს-მეთქი, რატომღაც დამაინტერესა. ამის გაფიქრება იყო და ქუჩის იქითა მხარიდან ისეთმა ლამაზმა გოგონამ დაუძახა, სიხარულით კინაღამ ტაში შემოვკარი. ამასობაში გზაც გაიხსნა და ბიჭი ადგილს მოსწყდა. მაგრამ შუამდეც არ იყო მისული, რომ საიდანღაც უზარმაზარი ჯიპი გამოვარდა და ჰაერში ნაფოტივით აისროლა.

— ეს რა მითხარი? — შეწუხდა თემო. — მოკლა?

— კი, — ამოიოხრა ლალიმ, — „სასწრაფოს“ ექიმმა თქვა, ასეთი დარტყმის შემდეგ მიწამდე სული არ დაჰყვებოდაო... იმ გოგოს კივილი ახლაც ყურში ჩამესმის...

— ძალიან ცუდი ამბის მოწმე გამხდარხარ.

— ძალიან. იცი, როგორ შემეშინდა?

— ვხვდები.

— ვერაფერსაც ვერ ხვდები! — ცრემლი მოერია გოგონას. — მე შენ გამო შემეშინდა.

— ჩემ გამო? — დაიბნა თემო.

— ჰო! სწორედ იმ საშინელ წუთებში მივხვდი, რა ძალიან მიყვარხარ და შემთხვევით შენც რომ რამე დაგემართოს... — სათქმელი ვეღარ დაასრულა ასლუკუნებულმა ლალიმ.

„არა რა, ეტყობა, ქალებს მართლა ვერასდროს ვერაფერს გავუგებ.“ — დაასკვნა შეფიქრიანებულმა თემომ და გოგონა გულში ნაზად ჩაიკრა...

— შეიძლება? — ორდენიძის კაბინეტის ოდნავ შეღებულ კარში თავი შეყო ლეკიშვილმა.

— შემოდი.

ანდრო მაშინვე ოთახში გაჩნდა და გამომძიებლის მაგიდის გვერდით, სკამზე დაენარცხა.

— ცოტა ფრთხილად! — შეუღრინა მას ქაღალდებში თავჩარგულმა გამომძიებელმა. — და, კიდევ, რამდენჯერ უნდა გითხრა, შემოსვლის ნებართვას ნუ მთხოვ-მეთქი?

— აუ, შეფ, მე ახლა ჭკუა მომეკითხება? — საფეთქლებზე ხელები გამეტებით მიიჭირა ლეკიშვილმა.

— რა გჭირს? — როგორც იქნა, თავი ასწია ორდენიძემ.

— თავი მისკდება.

— ამაზე წუხელ უნდა გეფიქრა, ყანწს რომ ყანწზე ცლიდი.

— აბა რა მექნა? შენი ერთადერთი მემკვიდრისა და ჩემი ნათლულის, მისი უმშვენიერესი დედიკოსა და ბებია-ბაბუის სადღეგრძელოებს უბრალო ღვინის ჭიქით ხომ ვერ დავლევდი? — თავი იმართლა ლეკიშვილმა.



— ვერ დალევდი და იკრუსუნე. არ იცი, რომ ზოგმა ღვინო უნდა სვას, ზოგი კი მხოლოდ ყურძნის ჭამით დაკმაყოფილდეს?

— ისე, ღვინო მართლა გადასარევი იყო, პურმარილი ხომ — საერთოდ, მაგრამ რად გინდა? დღეს აღარაფრისთვის ვვარგივარ...

— იმედია, ურთმელიძეს მაინც არ შეეჩხირე თვალში?

— შევეჩხირე, — ამოიოხრა ანდრომ, — და ჩემს თავაზიან მისალმებაზე ისე ამრეზად დამიკრა თავი, თითქოს წუხელ თვითონ ნაკლებად გატიალდა და ყველა ძაღლს მამიდა არ უძახა!

— რაო?

— ასე ბებიაჩემი ამბობდა ხოლმე გადამთვრალ კაცებზე.

— რას გეტყვი, იცი? დროა, ურთმელიძის კბენას თავი დაანებო და ბებიაშენის ფრთიანი გამონათქვამების წიგნად გამოცემაზე იფიქრო. ასე სამსახურსაც შეინარჩუნებ და ცოტა ფულსაც იშოვი.

— სხვათა შორის, მაგარი რჩევაა, შეფ და აუცილებლად გავითვალისწინებ. ურთმელიძეს კი ჩემმა მტერმა უკბინა. ვერანაირი შრატი ვეღარ უშველის. მკბენელი მყავს მხედველობაში.

— კარგი, მოვრჩეთ უაზრო ლაქლაქს და საქმეს მივხედოთ. რა თქვეს კრიმინალისტებმა?

— ისეთი უცნაური დასკვნა დადეს, რომ კინაღამ მათაც ვკითხე, „პახმელიაზე“ ხომ არ ხართ-მეთქი?

— მაინც?

— იოსებიძე ძველებური იარაღითაა მოკლული.

— მერე რა არის ამაში უცნაური? სხვათა შორის, მეც ასე ვიფიქრე. იმ დამბაჩაზეა, ხომ ლაპარაკი, მის სახლში რომ აღმოვაჩინეთ?

— თან კი, თან არა...

— რას გულისხმობ?

— იმას, შეფ, რომ ტყვია კი ნამდვილად იმ დამბაჩისაა, მაგრამ ექსპერტები ირწმუნებიან, ამ იარაღით ალბათ, საუკუნე იქნება, არავის უსვრიაო.

— იმის თქმა გინდა, რომ სადღაც კიდევ ერთი ზუსტად ასეთი დამბაჩა არსებობს?

— არ გამოვრიცხავ. ყოველ შემთხვევაში, იოსებიძის ბინიდან ამოღებულ იარაღს გამოყენების არანაირი კვალი არ ეტყობა.



— ისე მართლა უცნაურია.

— ძალიან.

— ტყუილად როდი ეშინოდა მისი საწყალ იოსებიძეს.

— დამბაჩის?

— ჰო. იარაჯულმა მიამბო, რომ იონა იარაღს საერთოდ ვერ იტანდა. ამიტომაც ძალიან ნერვიულობდა, დამბაჩის პატრონი მის წასაღებად დანიშნულ დროს რომ არ გამოჩნდა. დარწმუნებული იყო, წელიწადში ერთხელ ნებისმიერი იარაღი თავისით ისვრისო.

— აკი ისროლა კიდეც. თან ისე, რომ კვალიც კი არ დაიმჩნია, — შუბლი გამეტებით მოისრისა ანდრომ, — ახლა როგორ მოვიქცეთ?

— პირველ რიგში, ყველანაირი მისტიკა, შავბნელი ძალების ზემოქმედება და მსგავსი სისულელე უნდა გამოვრიცხოთ.

— ჩათვალე, რომ უკვე გამოვრიცხეთ. მერე?

— მერე იარაღის პატრონი დავადგინოთ და სასწრაფოდ დავკითხოთ.

— მაშინ იარაჯულს დავურეკავ და გავარკვევ, ვინ მოუტანა ის ავადსახსენებელი დამბაჩა?

— იარაჯულს ცოტა ხანს შეეშვი.

— რატომ?

— საქმისთვის ასე აჯობებს. დამბაჩის პატრონის დასადგენად კი უფრო მარტივი გზაც არსებობს. — მაგიდის უჯრიდან იოსებიძის ჩანაწერების რვეული ამოიღო გამომძიებელმა.

— აუ, — შუბლზე ხელი გამეტებით იტკიცა ანდრომ, — მაგის არსებობა საერთოდ დამავიწყდა.

— ჰოდა, ახლა გაიხსენებ და ზოგ რამეს კიდევაც დაიზეპირებ.

— სხვა რა გზა მაქვს? — რვეული უხალისოდ ჩამოართვა ორდენიძეს ლეკიშვილმა.

სწორედ იმ დროს მაგიდაზე ტელეფონი აწკრიალდა.

— ნეტავ, ვის მოვენატრეთ? — ყურმილი დინჯად აიღო გამომძიებელმა.

— შემოდი ჩემთან, — გაისმა ყურმილში კახაბერ ურთმელიძის უკმაყოფილო ხმა.

— ახლავე, ბატონო კახაბერ, — მაშინვე ფეხზე წამოდგა ორდენიძე.

— საბოლოოდ დავითარსეთ... — ამოიოხრა ანდრომ.

პოლკოვნიკი კაბინეტში ნერვიულად გადი-გამოდიოდა.

— შეიძლება? — კარი ფრთხილად შეაღო ორდენიძემ და ზღურბლზე გაჩერდა.

— შემოდი. — პირქუში მზერა ესროლა მას ურთმელიძემ.

გამომძიებელი კაბინეტში შევიდა და ახლა უფროსის მაგიდასთან შედგა.

— დაჯექი და გამაგებინე, რა უბედურება ხდება იმ ხეიბრის საქმესთან დაკავშირებით?

— ყველაფერი რიგზეა, ბატონო კახაბერ.

— ჰო, არა? — ორდენიძის წინ შეჩერდა პოლკოვნიკი და თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა.

— დიახ. — წარბიც კი არ შეუხრია გამომძიებელს.

— თუ ყველაფერი რიგზეა, მაშინ დღე-დღეზე ალბათ, ძიებასაც დაასრულებ და საქმეს სასამართლოს გადასცემ, ხომ?

— მე ეგ არ მიგულისხმია.

— აბა, რა იგულისხმე?.. შემთხვევით იმ უცნაური დამბაჩის ექსპერტიზის შედეგებზე ლაპარაკით ხომ არ უნდა გამაბრუო, რომლითაც ასი წელია, არავის უსვრია, შენ კი ერთ-ერთი მთავარი ნივთმტკიცება გეგონა? იცი, რომ ამაზე უკვე ვისაც არ ეზარება, ყველა ქილიკობს?

— არ ვიცი და არც მაინტერესებს, ვინ რაზე ქილიკობს, მაგრამ პირადად თქვენ ალბათ, დამეთანხმებით, ბატონო კახაბერ, რომ ასეთი დამბაჩა ბუნებაში ერთი არ უნდა იყოს.

— რას მელაპარაკები? და შენ რამდენი ეგზემპლარი გაქვს აღმოჩენილი? ან იქნებ უკვე ისიც დაადგინე, კონკრეტულად რომლით გააგორეს ის უპატრონო კუზიანი? — ხმას აუწია პოლკოვნიკმა.

— სხვათა შორის, იოსებიძე მარტო ბედისგან დაჩაგრული მარტოხელა ხეიბარი კი არა, ძალიან ნიჭიერი რესტავრატორიც იყო და ლამის მთელი ქალაქი იცნობდა, — მიცვალებულის უდიერად მოხსენიებამ გააღიზიანა ორდენიძე.

— მეც ეგ მაცოფებს, რომ მთელი ქალაქი იცნობდა და ახლა ასევე მთელი ქალაქი გაიგებს, რომ ძიება ერთ ადგილს ტკეპნის.

— ვერ ვიტყვი, რომ ამ საქმეში წინ უზარმაზარი ნაბიჯებით მივიწევთ, მაგრამ მთლად ერთ ადგილსაც არ ვტკეპნით. — უკან მაინც არ დაიხია ორდენიძემ. — აი, თუნდაც...

— არავითარი თუნდაც და მაშასადამე! — გააწყვეტინა ხელქვეითს ურთმელიძემ. — ერთ კვირაში საქმე ბოლომდე უნდა იყოს მიყვანილი და მკვლელი ნაპოვნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენ და ის შენი წითური თანაშემწე პრემიას დაემშვიდობებით. და იქნებ ესეც არ გაკმაროთ. ყველაფერი გასაგებია?

— რა თქმა უნდა, ბატონო კახაბერ.

— მაშინ მიბრძანდი და საქმეს მიხედე. არა მაინც ყველა უბედურება შენ გამო როგორ უნდა დამემართოს? არ შეგიძლია, ერთი საქმე მაინც გამოიძიო ისე, რომ მთელი ქალაქი არ ააფორიაქო?

— არ ვიცი, ვინ რატომ ფორიაქობს, ბატონო კახაბერ, მე კი ჩემს საქმეს საკმაოდ მშვიდად ვაკეთებ.

— მშვიდად, არა? — თავი უკმაყოფილოდ გადააქნია პოლკოვნიკმა. — თუ „ზემოდან“ ამ საქმის გამოც დამიქნიეს თითი, ჩათვალე, რომ ჩვენთან აღარ მუშაობ!

— აუცილებლად ჩავთვლი, ბატონო კახაბერ.

— ჰა, როგორაა საქმე? — კაბინეტში დაბრუნებისთანავე ჰკითხა ორდენიძემ ლეკიშვილს.

— აქ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ ურთმელიძესთან კი მაგარი ჭექა-ქუხილი იყო, ხომ?

— იყო, მაგრამ ისე არასდროს წვიმს, როგორც ქუხს, — მაგიდას მიუჯდა გამომძიებელი, — დროზე მითხარი, კონკრეტულად რა გაარკვიე?

— ა, ბატონო, — იოსებიძის ჩანაწერებში ერთ ადგილს დაადო თითი ანდრომ, — აქ შავით თეთრზე წერია, რომ იარაღი მათ ვინმე გუგა ლაზიშვილმა მიუტანა.

— მერე?

— ბიჭები უკვე გავუშვი ლაზიშვილის მისამართზე და როგორც კი რამეს გაარკვევენ, მაშინვე დამირეკავენ.

— ძალიან კარგი.

— მგონი, კიდევ ერთი საინტერესო დეტალიც აღმოვაჩინე, შეფ.

— კონკრეტულად?

— ლაზიშვილის გვარის გასწვრივ, ფრჩხილებში, ისიცაა მიწერილი, რომ ის ირაკლის მეგობარიაო. გული მიგრძნობს, რომ ეს იოსებიძის კარის მეზობელი ირაკლი სეხნიაშვილი უნდა იყოს.

— შემთხვევით, იმ სეხნიაშვილს ხომ არ გულისხმობ, თავიდან რომ „უმნიშვნელო დეტალი“ უწოდე? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ორდენიძემ.

— ჰო, მაგრამ მაშინ ამ ბიჭს კი არა, მის ასაკს არ მივაქციე სათანადო ყურადღება, — იხტიბარი არ გაიტეხა ლეკიშვილმა, — ახლა კი სეხნიაშვილზე მთელი დოსიე მაქვს შედგენილი.

— მართლა? აბა ერთი მეც გამაგებინე, რა სულის პატრონია ეგ შენი სეხნიაშვილი?

— ახლავე, — საქაღალდე გახსნა ანდრომ, — მაშ ასე: თორმეტი წლისას მშობლები საავტომობილო კატასტროფაში დაეღუპა. მამის დედამ, ქეთო სეხნიაშვილმა გაზარდა. სკოლა კარგად დაამთავრა, უმაღლესშიც პირველ წელსვე მოეწყო, მაგრამ შემდეგ ცუდ წრეში მოხვდა, წამალზე შეჯდა და სასწავლებლიდან გარიცხეს.

— ახლა რას აკეთებს?

— ისევ სტუდენტია.

— ხელახლა ჩააბარა?

— არა. ბებიამისმა რკინის ქალამნები ჩაიცვა და სეხნიაშვილი სასწავლებელში აღადგენინა. როგორც მითხრეს, ადრე ქეთო სეხნიაშვილი თავადაც ამ სასწავლებელში კითხულობდა ლექციებს და ხელმძღვანელობა დათმობაზე ამიტომაც წავიდაო. მოკლედ, ირაკლი სეხნიაშვილი ახლა მეოთხე კურსზეა, ურიგოდ არ სწავლობს და აღარც რაიმე კანონსაწინააღმდეგო ქმედებაშია შემჩნეული.

— გუგა ლაზიშვილი მისი თანაკურსელია?

— ყოფილი თანაკურელი. ბიჭები ირაკლის გარიცხვამდე სწავლობდნენ ერთად. ახლა ლაზიშვილს სასწავლებელი უკვე დამთავრებული აქვს და ერთ-ერთ კერძო ფირმაში მუშაობს.

— ყოჩაღ, შენც კარგად გიმუშავია, — შეაქო ხელქვეითი ორდენიძემ.

— ვცდილობ, შეფ.

— რას გეტყვი იცი? — ჩაფიქრდა გამომძიებელი. — მე მგონი, უკვე დროა, იოსებიძის რვეულში ჩანიშნული ადამიანების დაკითხვა დავიწყოთ.

— რას ამბობ, შეფ? — შეიცხადა ანდრომ. — იცი, ამ რვეულში რამდენი კაცის გვარია?

— ძალიან ბევრის. მაგრამ შერჩევის პრინციპით ვიმოქმედებთ.

— და როგორ შევარჩევთ ადამიანებს? იმის მიხედვით ხომ არა, ვის უფრო ძვირფასი ნივთი ჰქონდა იოსებიძესთან დატოვებული?

— არა, — მაგიდის უჯრიდან ფურცელი ამოიღო და თანაშემწეს გაუწოდა ორდენიძემ, — ჯერ ესენი მომიძებნე.

ლეკიშვილმა სიას თვალით სწრაფად გადაურბინა.

— ეს ხალხი რა პრინციპით ამოარჩიე?

— მერე აგიხსნი. ახლა კი საქმეს მიხედე.

— კარგი, შეფ, როგორც მიბრძანებ.

ოთახიდან ლეკიშვილის გასვლის შემდეგ ორდენიძემ მაგიდის უჯრიდან იონა იოსებიძის დღიური ამოიღო და მონიშნულ გვერდზე გადაშალა, მაგრამ ერთი გვერდის წაკითხვაც კი ვერ მოასწრო, რომ კაბინეტში ისევ ანდრომ შეყო თავი:

— პრობლემა გვაქვს, შეფ.

— რა მოხდა?

— ლაზიშვილი საკუთარ ბინაში მოკლული იპოვეს...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



**წიგნების სერია**

**„ახალი ქართული ლიტერატურა“**

**ჟურნალ „ლიტერატურულ პალიტრასთან“ ერთად**

ყოველთვე

ერთი თანამედროვე ავტორი

**ივნისის ნომერთან ერთად**

„სამი მზის ქვეშ“



**წიგნის ფასი 3 ლარი.** (ჟურნალთან ერთად 5 ლარი.)

# ნაადრევი ენძელები



სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ „გზა“ №2-20

ჯერ კარგად გათენებულიც არ იყო, რომ ნუკი მობილური ტელეფონის ზარმა გამოაღვიძა. თვალი გაახილა და ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს ვერც გააცნობიერა, სად იმყოფებოდა. საწოლიდან ხელი გადაყო და იატაკზე დადებულ ჩანთაში მოაფათურა. როგორც იქნა, მიაგნო აპარატს და ნომერს დახედა... ეუცხოვა. მაინც უპასუხა.

— ნუკი ბრძანდებით? — უცხო მამაკაცის ხმა იყო.

— დიახ. რომელი ხართ? — გული შეუქანდა, ეგონა, გიას დავალებით ურეკავდნენ.

— მე რატის მეგობარი ვარ, თქვენი ძმის...

— რატის? — გაკვირვება ვერ დამალა, — დიახ, გისმენთ....

— იცით?.. ავარიაში მოყვა... საავადმყოფოში წევს და დედათქვენმა მთხოვა, დამერეკა... იქნებ ჩამოხვიდეთ.

— სად, ქუთაისში?

— ჰო, რეანიმაციაშია, ახლა დამთავრდა ოპერაცია და ჯერ ისევ ნარკოზშია.

— ოპერაცია? — შეძრწუნებული ნუკი საწოლიდან წამოხტა და ცალი ხელით ჩაცმას შეუდგა.

— ფარული სისხლდენა ჰქონდა მუცლის ღრუდან.

— კარგი, ახლავე მოვდივარ! — ნუკიმ ტელეფონი გათიშა და გიჟივით გამოვარდა საძინებლიდან, თან ფიქრობდა, გაეღვიძებინა თუ არა ზურა. არადა, მისთვის რომ ეთქვა, მანქანით წაიყვანდა. სად უნდა ეწოწიალა ამ დილაუთენია ავტობუსით ან სამარშრუტო ტაქსით? იქნებ ყოველი წუთი ძვირფასია? ამ ფიქრებში იყო, რომ სამზარეულოდან ზურა გამოვიდა საცვლების ამარა. ორივე შეცბა...

— მაპატიე, არ გელოდი ასე ადრე... — დაიბნა მამაკაცი.

— იცი, ჩემი ძმა ცუდადაა, — გაფითრებულმა ძლივს მოუყარა სიტყვებს თავი, თვალები ცრემლით აევსო.

— რომელი ძმა? ის... დედაშენის შვილი?

— ჰო.

— მერე? სად არის? რა სჭირს? — უარესად დაიბნა ზურა.

— ქუთაისში... ოპერაცია გაუკეთეს, რეანიმაციაშიაო... მანქანა დასჯახებია.

— უნდა ნახვიდე?

— აუცილებლად. რა გამაჩერებს!

— მე წაგიყვან! — ისე მტკიცედ წარმოთქვა მამაკაცმა, ნუკის გული სითბოთი აევსო.

— მერედა, გცალია ჩემთვის?

— შენთვის ყოველთვის მცალია! ახლავე ჩავიცვამ! — მოკლედ მოჭრა და ოთახში შევიდა.

— არ გაგიჭირდება ნაბახუსევზე ამხელა გზაზე მანქანის ტარება? — გასძახა ნუკიმ, მაინც მოერიდა.

— არ ვარ „პახმელიაზე“, დაწყნარდი! — ცივად გამოეპასუხა მამაკაცი.

ზურა ათ წუთში მზად იყო.

— წავედით! — თითქოს ბრძანებებს იძლეოდა იგი, ისეთი ტონით გამოთქვამდა სიტყვებს.

სანამ კარში გავიდოდნენ, ნუკიმ მხარზე შეახო ხელი. მამაკაცი მოტრიალდა. გოგონამ ფეხის წვერებზე აიწია და შუბლზე აკოცა... ნაზად... მგრძნობიარედ... უთრთოდა ტუჩები...

ეს სამადლობელი კოცნა იყო...

* * *

რეანიმაციის კართან მისული ნუკი შედგა და დაძაბულმა შეათვალიერა იქ მყოფი უამრავი ადამიანი. თვალებით დედას დაეძებდა... აი, ისიც...

ჯულიეტა გაქვავებული იდგა. გაწეწილი თმა, ცრემლიანი სახე, ნაცრისფერი, გაუუთოებელი კაბა, შალის გრძელი მოსასხამი... ყველაფერი ეს ყინულის ცივ ქანდაკებას მოაგონებდა გოგონას. რაღაც საზიზღრობის მოახლოებას გრძნობდა. სულმა აჯანყება დაუწყო. ცდილობდა, თავი მტკიცედ დაეჭირა, მაგრამ ვერ ახერხებდა, ვერც დაიმალებოდა სადმე.

— გამარჯობა, — ჩამწყდარი ხმით მიესალმა ქალს.

მან უსიცოცხლო თვალებით ამოხედა. აშკარად შეეტყო, ვერ იცნო და ვერც მიხვდა, ვინ უნდა ყოფილიყო იგი.

— ვერ მიცანი? — ოდნავ შესამჩნევად გაიღიმა ნუკიმ... იქნებ არც გაიღიმა...

— ვერა, დედა, რატის მეგობარი ხარ?

— არა... ნუკი ვარ, — ცივად წარმოთქვა და ზიზღით (თუ სიძულვილით) აევსო სახე.

— შვილო... შვილოოოოო! — აღმოხდა ჯულიეტას და ხელები ქალიშვილისკენ გამოიშვირა.

ნუკი ადგილს მიელურსმა. ვერც წინ გადადგა ნაბიჯი, ვერც — უკან. არადა, თითქოს უკან ეწეოდა სხეული. ქალმა მხრებზე მოხვია ხელები და ძლიერად ჩაიკრა მკერდში წლების უნახავი შვილი...

დედის გულსაკლავმა მოთქმამ გააყრუა დერეფანი. ნუკის ცრემლი მოადგა თვალზე, მხოლოდ ეს არ იყო სიბრალულის ცრემლი, ეს სულ სხვა ცრემლი იყო... სხვა, რადგანაც დედას (როგორ ეუცხოებოდა ეს სიტყვა) ამწუთას მასთან შეხვედრის სიხარული კი არ ატირებდა, არამედ მეორე, თავისი გაზრდილი შვილის დაკარგვის შიში.

— ხედავ, რა დამემართა, დედაააა! — მწარედ მოთქვამდა ჯულიეტა, — როგორ დამსაჯა ღმერთმა, როგორ გამწირააა!

ნუკი გაბრუებული იდგა და ცრემლიან ნერწყვებს ყლაპავდა მხოლოდ. კიდევ ცოტა და უამრავი ადამიანი შემოეხვია გარს... როგორც მიხვდა, ნათესავები — დეიდები, მათი ქმრები, დეიდაშვილები, მათი მეუღლეები, მათი შვილები... ყველა ეცნობოდა, ის კი მათ დამახსოვრებას ვერ ასწრებდა, უხერხულად უღიმოდა მხოლოდ, ყველას სათითაოდ.

— როგორ არის? — როგორც იქნა, თავი გაითავისუფლა ხვევნა-კოცნისგან და რატის მდგომარეობა იკითხა.

— რა ვიცი, ოპერაციამ კარგად ჩაიარაო, გვამშვიდებენ. სტაბილური მდგომარეობააო. თუ არაფერი გართულდა, ხვალ გადავიყვანთ პალატაშიო. ყველაფერი დაზიანებული აქვს მუცლის ღრუში, ერთი ორგანო არ დარჩენია მთელი, — უპასუხა მაღალმა, ხმელ-

ხმელმა მამაკაცმა, დეიდის ქმარმა.

— ვინ დაეჯახა? სად მოხდა, როგორ?

— ამის ბრალია, შვილო, თვითონ დაილუპა თავი! — ისევ დაიწყო მოთქმა ჯულიეტამ. — მთვრალი ატარებდა თურმე მანქანას. რა ეშმაკად უნდოდააა! ასჯერ ვუთხარი, არ დაჯდე მთვრალი საჭესთან, არ დაჯდე, არ დაჯდე-მეთქი, ვინ გამიგონააა!

— ის ბიჭი გვერდიდან არ მოშორებია, ვინც დაეჯახა, სულ აქ ტრიალებს, ერთი თეთრი არ დაგვახარჯვინა, — ნინო დეიდა ჩაერთო ლაპარაკში, — გაახარებს ღმერთი. სხვა რომ ყოფილიყო, მიატოვებდა და გაიქცეოდა! ღმერთმა უშველოს.

— დაჯახებისას ეტყობა, საჭემ გულმუცელი შეუნგრია. გარედან არაფერი ეტყობოდა, მაგრამ შიგნიდან ფარული სისხლდენა დასწყებია და გათიშულა მაშინვე.

ნუკიმ უკან მოიხედა. ზურა ობოლი ბავშვივით მიმდგარიყო განზე და შორიდან უყურებდა დერეფანში დატრიალებულ სცენას. გოგონამ იგი ნათესავებს გააცნო. ყველამ მუშტრის თვალით (ალბათ სავარაუდო სასიძოდ მიიჩნიეს) შეათვალიერა მამაკაცი. ნუკი გვერდით ამოუდგა ზურას. თვითონაც ვერ ხვდებოდა, როდის და როგორ, მაგრამ ის უკვე ისეთი ახლობელი გამხდარიყო მისთვის, რომ ამის გააზრებაც ვერ მოასწრო. ხელზე ხელი ჩასჭიდა მამაკაცს და ოდნავ მოუჭირა, თითქოს მადლობას უხდიდა თანაგრძნობისთვის.

— კარგი ქენით, რომ წამოვედით, — უჩურჩულა იმანაც და მის თმას ოდნავ შეეხო.

ნუკის გააჟრჟოლა. თავბრუ დაახვია ამ შეხებამ.

— ჰო, — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა და ლაწვები გაუხურდა, — ცოტა ხნით გარეთ გავიდეთ, კარგი?

ზურამ თავი დაუქნია, ხელჩაკიდებული გატრიალდა და გოგონაც თან გაიყოლა.

— აბა? რას იტყვი? კმაყოფილი ხარ შენებთან შეხვედრით? — ჰკითხა მამაკაცმა, ეზოში რომ გავიდნენ.

— არ ვიცი... ჯერ არ ვიცი, რას ვგრძნობ...

— კი ატირდი და... — გაუღიმა ზურამ და შუბლზე ჩამოშლილი თმა გადაუწია. — სადღაც, გულის სიღრმეში, მაინც გიყვარს... ის ხომ დედაა შენი... შეიძლება ვერ აცნობიერებ, მაგრამ ასეა.

— მინდა მართალი ვიყო... პირველ რიგში, საკუთარ თავთან... მე თავის გასამართლებელი მაქვს, იცი? შეიძლება არა წინასწარგანზრახულად, მაგრამ იგი დამნაშავეა ჩემს მიტოვებაში... ამის პატიება ადვილი არ არის. თანაც, არათუ მიმატოვა, ლამის დამივიწყა კიდეც.

— იცი, რა ამარცხებს ადამიანს პირველ რიგში? სისუსტე. თუმცა, ხშირ შემთხვევაში სწორედ ეს სისუსტე გვაძლევს უნარს, გავძლიერდეთ. უნდა აჯობო შენს სისუსტეს. ვიცი, დაბნეული ხარ, მაგრამ ეს დასასრული არ არის. თითო შეცდომა ყველას დაგვიშვია, შეიძლება საბედისწეროც, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ცხოვრების გაგრძელების უფლება არ გვაქვს, ან პატიების... პირველ რიგში, ამის უნარი უნდა გვქონდეს. არ დავიწყებ ბანალურ ტირადებს იმაზე, რომ სულგრძელი უნდა იყო და ა.შ. ვიცი, რომ ასეთი ხარ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პატიებაც შეგიძლია. და ისიც ვიცი, რომ უკვე აპატიე. ეს შენს თვალებში ჩანს. თუმცა არ გინდა ამაში გამოტყდე. არც არის საჭირო... დრო ყველაფერს გამოასწორებს, ნელ-ნელა დალაგდება ყველაფერი, აგერ ნახავ.

— შენ საოცარი ადამიანი ხარ, ზურა, — დიდი მადლობა, — ჩურჩულით თქვა ნუკიმ, უფრო მოუჭირა თითები მამაკაცის თითებს და გული უცნაურად შეუთრთოლდა.

— ნუკი? შენ ხარ? — მოესმა მოულოდნელად ზურგიდან და ამ ხმის გაგონებაზე ისე შეხტა, თითქოს დანა გაუყარესო, ერთ წამში დაპატარავდა თითქოს, ისე მოიბუზა.

მძიმედ შეტრიალდა... მის წინ ოფლში გახვითქული, გაწამებული სახით... გია იდგა...

— შე-ენ? — ნუკიმ საკუთარი ხმა ვერ იცნო, თითქოს ხავილი აღმოხდა და გაფითრებულს პირი გაუშრა...

— აქ საიდან მოხვდი? ვინმე გიწევს?



— ისეთი სათნო ღიმილი დასთამაშებდა მამაკაცს ტუჩებზე, თითქოს ყველაზე პირნათელი ადამიანი ყოფილიყო ნუკის ცხოვრებაში.

— ჰო... ჩემი ძმა მოყვა ავარიაში და...

— შ...შ...შენი... ძმა-ა? რა...რატი შენი ძმაა? — მოულოდნელად ენა დაება და სახე შეეცვალა გიას.

ნუკის თითქოს რაღაც უგრძნო გულმა. ცალი წარბი ოდნავ მაღლა აზიდა და თვალებით გაზომა მის წინ მდგარი დიდი ხნის (საუკუნის) უნახავი ოცნების მამაკაცი.

— რატი ჩემი ძმაა, — ხაზგასმით, მკაცრად გაიმეორა და დაჟინებით მიაჩერდა, — შენ საიდან იცნობ მას? შემთხვევით... — აღარ დაასრულა.

— ჩემი ბრალი არ იყო... — მზერა აარიდა გიამ.

— ეგ უკვე მითხრეს, — კიდევ უფრო გაუცივდა ტონი ნუკის, — ჰო, მართლა, გაიცანი... ეს ზურაა, ჩემი მეგობარი... ეს კიდევ გია, ჩემი ნაცნობი, — ბოლო სიტყვა განსაკუთრებული სარკაზმით წარმოთქვა.

მამაკაცებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და სასიამოვნოაო, ზრდილობის გულისთვის ჩაიდუდღუნეს.

ზურა მიხვდა... რაღაცას მიხვდა... ნუკის ხმამ მიახვედრა იმ რაღაცას... ნუკის ლაპარაკის ტონმა... და ყურადღებით შეათვალიერა ყოფილი (იქნებ არც) მეტოქე... არ მოეწონა... თუმცა, რა არ მოეწონა, ამის თქმა გაუჭირდებოდა... ამას ვერ მიხვდა. სამაგიეროდ, იმას მიხვდა, რომ ეს ერთობ სიმპათიური (მასზე სიმპათიურიც) მამაკაცი მას ვერ აჯობებდა, რომ ის ვერასდროს გააბედნიერებდა ნუკის ისე, როგორც თავად შეეძლო ამის გაკეთება...

ახალგაცნობილი თითქოს მტრულად შესცქეროდა, თითქოს ომს უცხადებდა ჯიქური მზერით, თითქოს საბრძოლველად იწვევდა...

და ზურა კიდევ ერთ რამეს მიხვდა — ერთადერთი ისღა რჩებოდა, მიეღო ეს ომი და მედგარი ჯარისკაცივით ჩაბმულიყო მასში, რათა მოწინააღმდეგეს გასროლა არ დაესწრო და არ დამარცხებულიყო. მას უნდა შეენარჩუნებინა სიცოცხლე, რათა გაეგრძელებინა სიყვარული. თითქოს გრძნობდა დამძიმებულ ქუთუთოებს, რომლებიც უძილობას ებრძოდნენ, გრძნობდა ნუკის ტუჩებს (დილანდელს) შუბლზე, ნაზად რომ კოცნიდნენ, მის ჩრდილს... ოღონდ არ დაეცეს ბრძოლის ამ ველზე,

ოღონდ არ დამარცხდეს! მან უნდა გადაარჩინოს ეს გოგო! უნდა გადაარჩინოს... იმისთვის, რომ თვითონ იყოს ბედნიერი! ამისთვის კი საუკეთესო საშუალებაა... დროებით წინა ხაზიდან უკან გადაინაცვლოს, ზურგში... და ასეც მოიქცა...

მან ჩაახველა და თქვა.

— მე წავალ, მანქანაში ჩავჯდები, კარგი? — მერე ოდნავ შესამჩნევად გაუღიმა გოგონას და პასუხს არ დაელოდა, ისე გაემართა მანქანისკენ (არეული ნაბიჯებით), თან სიმწრის ოფლი ასხამდა.

ის ვალდებული იყო, ასე მოქცეულიყო... ის უნდა მოქცეულიყო ასე... მათ სალაპარაკო ჰქონდათ, ამის მიხვედრა ძნელი არ იყო. ნუკი არჩევანის (თუმცა კი მძიმე) წინაშე იდგა, მას თავად უნდა გადაეწყვიტა, როგორ მომავალს აჩუქებდა თავის თავს — ზურასთან თუ მის გარეშე... გიასთან თუ მის გარეშე...

ნუკი და გია მარტონი დარჩნენ. ერთხანს არც ერთი ხმას არ იღებდა.

— ჩემზე ნაწყენი ხარ, არა? — ბოლოს მამაკაცმა დაარღვია დუმილი.

გოგონამ მხრები აიჩეჩა მხოლოდ.

— ქუთაისში საიდან მოხვდი? აქ რა გინდოდა? — მკვახედ ჰკითხა.

— პრობლემები მქონდა. რაღაც საქმეებს ვაგვარებდი. მინდოდა, შენთვის დამერეკა და მეთქვა, მაგრამ გადავიფიქრე, როცა მოვაგვარებ, მერე ვნახავ-მეთქი. არ მინდოდა, გენერვიულა... ვიცი, თავის მართლება მიწევს, მაგრამ...

— მე არ მითხოვია შენთვის თავის მართლება, — გააწყვეტინა ნუკიმ, — და საერთოდ, ვერ ვიტან, როცა მამაკაცი თავს იმართლებს. ეს ძალიან ასაწყლებს მას, უმწეოს აჩენს... შენსიგრძე კაცს კი არ უხდება, როცა უმწეოდ გამოიყურება...

— ვიცი, მაგრამ...

— არ გინდა, გია... არაფრის თქმა არაა საჭირო...

— შენი ძმის გამო მიბრაზდები? მართლა არ იყო ჩემი ბრალი.

— რა შუაშია ჩემი ძმა? შენ ვერ ხვდები...

— მაშინ რა გჭირს? გაბრაზდი, ამდენ ხანს რომ არ შეგეხმიანე?

— შენი პრობლემები არ იყო მთავარი მიზეზი შენი არშემოხმიანებისა, შენც ხომ იცი ეს!

— ვიცი, დამნაშავე ვარ, მაგრამ შენც უნდა გამიგო. მართალი ხარ, მხოლოდ ეს არ იყო მიზეზი... მე მარტოხელა მგელივით ვცხოვრობ, წლებია უკვე. არ ვარ მიჩვეული ქალთან ურთიერთობას... სიყვარულიც უცხო ხილი იყო ჩემთვის, სანამ შენ გამოჩნდებოდი... დრო მჭირდება, რომ ამ ყველაფერს შევეჩვიო, გამიგე?

— დაგაგვიანდა, გი...

— არა, არ დამაგვიანდა. მე შენ ისეთი სიყვარულით მიყვარხარ, როგორითაც მხოლოდ ქალს შეუძლია უყვარდეს. ეს უკვე ვიგრძენი, ამიტომ დანებებას არ ვაპირებ.

— მაგრამ შენ ქალი არა ხარ... ამიტომ ვერასდროს შეიყვარებ ისე, როგორც ქალს შეუძლია შეიყვაროს.

— შენ მე ძალზე ამაღლებული გამხადე, ლამის გამაღმერთე. გგონია, ვერ მივხვდი? მაგრამ მე მხოლოდ უბრალო ადამიანი ვარ, პირველად ვიგრძენი, რას ნიშნავს ამაღლებული...

— გაღმერთება სიყვარულს არ ნიშნავს. ძალიან გთხოვ, ნუ გაილექსე! შენ უკვე დაკარგე ქალი, რომლისთვისაც ყველაფერს წარმოადგენდი და ახლა ცდილობ, შენი სიყვარულის წონა ქალისას შეადარო. არ გინდა, ზედმეტია ეს...

— ცხოვრება იწყება, გრძელდება და მთავრდება. მოდი, გავაგრძელოთ ის, რაც დავიწყეთ, სანამ დამთავრებულა. მე გამოვსწორდები... შენ მხოლოდ მაპატიე და...

— სამწუხაროდ, ის, რაც დავიწყეთ, ჩემთვის დიდი ხანია დამთავრდა. მინდოდა, დროდადრო მაინც გყვარებოდი, თუ ყოველდღე არა. შეუძლებელს არ ვითხოვდი შენგან. არც შემიწუხებიხარ, არც თავი მომიბეზრებია. ისტერიკები და წუწუნი არ მიყვარს. არც ხვეწნა. გელოდი, ჩუმად, ჩემთვის. რაც უფრო ცუდად ვხდებოდი, მით უფრო ჩუმად ვიყავი... ერთი პერიოდი ვამართლებდი შენს გაუჩინარებას... მერე მივხვდი, რომ შენ მხოლოდ შემთხვევითი ადამიანი იყავი ჩემს ცხოვრებაში, სრულიად შეუფერებელი ჩემი სიყვარულისთვის და მე თავიდან დავიწყე ცხოვრება, ახლიდან, ოღონდ ამ ცხოვრებაში შენ აღარ ხარ. ეს როლი სხვას ერგო უკვე. თუმცა, ჯერ კიდევ მიჭირს ჭიდილი საკუთარ „მესთან“. ხანდახან ვორდები ან ვსამდები. ერთს მარტო სურს ყოფნა, მეორეს შენთან, მესამეს სხვასთან.

— და ვინ არის ის სხვა?

— ის, ვინც შენ ჩაგანაცვლა.

— და როდის მოხდა ეს?

— როცა შენ სხვაგან ერთობოდი.

— ესე იგი, დავაგვიანე?

— არა, უბრალოდ, გაზაფხული მოვიდა უფრო ადრე. და შენ გამოგეპარა ეს, რადგან არ იყავი ფხიზლად.

— გაზაფხული? ჯერ რა დროს გაზაფხულია... გეშლება რაღაც... დრო აგერია, როგორც ჩანს...

— მე არა... ეს შენ აგერია... და მაშინ მოხვედი, როცა შენი სიყვარულის დრო ამოიწურა... თუმცა, არც მოსულხარ... შემთხვევით გადამაწყდი... თანაც... შემთხვევაც არის და შემთხვევაც... მეტი აღარაფერი მითხრა... აღარ დაგრჩა სათქმელი. კარგად იყავი, — ცივად დაემშვიდობა, ზურგი შეაქცია მამაკაცს და ზურას მანქანისკენ ამაყად ყელმოღერებული გაემართა.

* * *

შუადღე გადასული იყო, ნუკი და ზურა თბილისისკენ მიმავალ გზას რომ დაადგნენ. მის იქ ყოფნას აზრი არ ჰქონდა. მხოლოდ ერთი წუთით შეუშვეს რეანიმაციაში, რომ ძმისთვის დაეხედა... ძმისთვის, რომელსაც მხოლოდ ხმით იცნობდა... რატის ეძინა, ჯერ კიდევ ნარკოზში იყო. ნუკის სურვილი სწვავდა, შეხებოდა მის ხელს, ქალივით ლამაზ სახეს, მაგრამ ეშინოდა, არ გაეღვიძებინა ბიჭი, რომელსაც მშფოთვარე ძილით ეძინა... იგი კვნესოდა, ბორგავდა, არათანაბრად სუნთქავდა... ლოყები უცნაურად აწითლებოდა, უპრიალებდა თითქოს.

— რატომ არის სახეზე ასეთი წითელი? — ექთანს ჩურჩულით შეეკითხა.

— მაღალი სიცხე აქვს და იმიტომ.

— მერედა, რატომ?

— იცის, ქალბატონო, ოპერაციის შემდეგ. ცოტა კი არ გადაიტანა! — უკმაყოფილოდ გასცა პასუხი მკერდმოთიმთიმე მსუქანმა ქალმა და სისტემის სადგამზე ჩამოკიდებულ პლასტმასის ბალიშში შპრიცით კიდევ ერთი წამალი შეუშვა...

— შემეცოდა დედაშენი, — ნუკი ფიქრებიდან ზურას ხმამ გამოარკვია.

— ჰა? — ნუკიმ უაზრო მზერა მიაპყრო.

— დედაშენზე ვამბობ... შემეცოდა-მეთქი, — გაიმეორა და ირიბად გახედა ჩაფიქრებულ გოგონას.

— როგორც ჩანს, ახლა მიხვდა, რას ნიშნავს შვილი... ახლა, როცა მისი დაკარგვის საშიშროება შეიქმნა. რატის რომ რამე მოუვიდეს, ჩემ გარდა აღარავინ რჩება მის ცხოვრებაში. სწორედ ამის ეშინია. ვერ ხედავდი? მე მეხვეოდა და მასზე მოთქვამდა.

— არ გეთანხმები. ნუ იქნები ეგოისტი. რომ არა ის, შენი ძმა შენს მოძებნას არ შეეცდებოდა. რადგან მოგძებნა და გამოგეხმაურა, ესე იგი, დედაშენს უნდოდა პირველ რიგში ეს.

— უცნაურია ცხოვრება... ჩემი — განსაკუთრებით... საკუთარი დედა ისე შემხვდა, როგორც უცხოს... ვერ მიცნო.

— აბა, როგორ გიცნობდა, როცა...

— მე როგორღა ვიცანი?

— შენ ახალგაზრდა ხარ.

— ეგ რა შუაშია?

— არ ვიცი, — ღიმილი ვერ შეიკავა ზურამ, — გარდა ამისა, ის უბედურებით იყო დაზაფრული, ცნობის უნარიც წართმეული ჰქონდა. შენ კი არა, შეიძლებოდა ღვიძლი ნათესავიც ვერ ეცნო, ვისთანაც ყოველდღიური ურთიერთობა აქვს.

— ნუ ამართლებ...

— არ ვამართლებ...

— იქნებ სხვა რამეზე ვილაპარაკოთ? — უსიამოვნოდ გაისმა ნუკის ხმა.

— კი ბატონო, შენ დაიწყე და მე აგყვები, — დათანხმდა მამაკაცი.

— მე არ ვიცი, რაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. არაფერი მაგონდება.

— იქნებ იცი? — მრავალმნიშვნელოვნად ჩაუკრა ზურამ.

ნუკი აილეწა. მიხვდა, საითაც უმიზნებდა მამაკაცი. პასუხი არ გაუცია, თავი მიაბრუნა და ფანჯარაში გაიხედა. კარგა მანძილი ისე გაიარეს, არ ულაპარაკიათ.

— რა ურთიერთობა გქონდა მასთან, თუ საიდუმლო არ არის? — ვეღარ მოითმინა მამაკაცმა.

— ვისთან? — ვითომ ვერ მიუხვდა ნუკი.

ზურამ დაკონკრეტება საჭიროდ არ ჩათვალა, რის გამოც გოგონა იძულებული გახდა, პასუხი მისი პასუხის მოსმენის გარეშე გაეცა.

— ჩვენს ურთიერთობას სახელი არ ერქვა.

— მართლა? საინტერესოა, რატომ? — ირონია გაისმა მამაკაცის ხმაში.

— იმიტომ, რომ ეს ურთიერთობა არ იყო და ჩანასახშივე მოკვდა, — ისეთი ტონით განუცხადა ნუკიმ, რომ ზურა მიხვდა, მეტი შეკითხვა აღარ უნდა დაესვა.

და არც დაუსვამს... მხოლოდ წამით შეხედა გოგონას, რომელიც ჩაფიქრებული წინ გაჰყურებდა სივრცეს და მიხვდა, რომ ის საკუთარ თავში გარკვევას ცდილობდა.

— იცი, რა-ა? — უეცრად წამოიწყო ნუკიმ. — მეგონა, ის კაცი მიყვარდა, მაგრამ როცა ამის გააზრება დავიწყე, მივხვდი, რომ უკვე შემძულდა და მას შემდეგ ვცდილობ, უფრო ძლიერად შევიყვარო სხვა.

— და როცა გეგონება, რომ შეგიყვარდა და ამის გააზრებას დაიწყებ, მიხვდები, რომ უკვე ისიც შეგძულდა, არა? — ღვარძლიანად ჩაიცინა ზურამ.

— არა, ცდები. ამჯერად ასე არ მოხდება.

— ვითომ რატომ?

— იმიტომ, რომ ის სხვა სხვანაირად სხვაა და არა მისნაირად.

— კარგი პასუხია, ვერაფერს ვიტყვი, — ცალყბად გაიცინა მამაკაცმა და აღელვებულმა სიჩქარეს უმატა.

— მასთან ისეთი არაფერი მქონია, რომ... — გააგრძელა ნუკიმ, მაგრამ ზურამ შეაწყვეტინა.

— მე შენთვის ეს არ მიკითხავს.

— ჩემთვის სულერთია, მკითხავ თუ არა. უბრალოდ, გითხარი, იმიტომ, რომ მინდოდა მეთქვა.

— არ ვიცი, გიფიქრია თუ არა იმაზე, როგორი გულგრილობით და სიმკაცრით ჩქარობ ჩემს შეყვარებას... გიფიქრია? — გაღიზიანებული ტონით მიმართა მამაკაცმა.

— მერე რა?

— მერე ის, რომ... სწორედ ამან შეიძლება ისეთივე სისწრაფით შეგაძულოს ჩემი თავი, როგორც შემიყვარებ.

— ირონიის გამოყენება შენი უფლებაა. ყველა ისე იცავს თავს, როგორც შეუძლია. მაგრამ თუკი ერთხელ კიდევ უარს ვიტყვი სიყვარულზე, ეს მხოლოდ იმის მიმანიშნებელი იქნება, რომ გული ამომაცალეს. ეს კი არ მინდა.



ზურამ მოულოდნელად დაამუხრუჭა და მთელი ტანით მისკენ შეტრიალდა... ოდნავ გადაიხარა ნუკისკენ. უყურებდა მას და ვერ ხვდებოდა — ეს იყო მისი ნამდვილი სახე თუ უბრალოდ, გოგონას უნდოდა, მას ასეთი დაენახა. მოულოდნელად ნუკი შეირხა, მოეხვია და მკერდზე მიეხუტა...

— იცი, რა მინდა, გთხოვო, ზურა? — აჩურჩულდა მკვნესარე ხმით, — მინდა შევეცადოთ, რომ თავიდან გავიცნოთ ერთმანეთი. ვნახოთ. ძალიან არ მინდა ვცდებოდე და ამაში უნდა დამეხმარო. ვიცი, ძნელია, მაგრამ სხვა გზას ვერ ვხედავ... თან ისიც ვიცი, რომ შევძლებ...

— მე ხომ სიყვარულს არ გთხოვ, ნუკი... უფრო სწორად, არ გაჩქარებ. ჩვენ უამრავი დრო გვაქვს, არსად გვაგვიანდება... უბრალოდ, იყავი ჩემ გვერდით და დაივიწყე, რომ უბედური ხარ. ეს მცდარი შეხედულებაა, დამიჯერე.

— არ ვიცი, შევძლებ თუ არა მშვიდად ცხოვრებას, ყველაზე მეტად ამის მეშინია, — ნუკი ცდილობდა, არ ატირებულიყო, თუმცა ნიკაპი უკანკალებდა.

— ცხოვრება მერე დავიწყოთ. ახლა კი მივცეთ შანსს შანსი. შენ იცი, რომ არ შემიძლია უშენოდ ცხოვრება. არ მინდა ვიცხოვრო მხოლოდ მოგონებებით.

— ვიცი, ზურა... მეც ჯერ ისევ მტკივა ის ადგილები, განსაკუთრებით ხელები და მკერდი, საიდანაც სხვამ სცადა შენი ამოგლეჯა, მტკივა თვალები, ტუჩები, სადაც სიცარიელეა უშენოდ, მაგრამ ვგრძნობ, რომ შენი გული მზად არის, უკან მიმიღოს და დამაჯილდოოს უკეთესი სიყვარულით.

— არ გაჩქარებ. მინდა, უკეთ გაიგო, ვინ ვარ მე, საიდან ვარ, რისგან გამოძერწილი. შენ ჯერ კიდევ ორჭოფობ, ამიტომ გაცდი, ჩვენ ხომ ჯერაც უცხოები ვართ ერთმანეთისთვის. ჩვენ დიდი ხანია, ორივე თავს ვიკავებთ, ვყოყმანობთ, იმიტომ, რომ არ შეგვისწავლია ერთმანეთის მეორე მხარეები, არ ვიცნობთ ერთმანეთის ნაკლსა თუ საოცარ თვისებებს. ჩვენ ჯერ არ გარდავქმნილვართ ერთ არსებად, არ შეგვიღწევია ერთმანეთის სულში, და როცა ეს მოხდება, გაჩნდება სინაზე, ერთმა შეუვსოს მეორეს ის, რაც მას არ გააჩნია.

— მე მხოლოდ იმის თქმა მინდა, რომ... ხომ არ აჯობებს, ცოტა ხნით მარტო დავრჩე... რამდენიმე დღე, სულაც კვირა, არ განახო... იქნებ უკეთესად გავაცნობიერო, რა უფრო მნიშვნელოვანია... — თქვა ნუკიმ, ხელები შეუშვა მამაკაცს და სავარძელზე გასწორდა.

ჯერ წინ, გზას გასცქეროდა, მერე თვალები დახარა. შემდეგ კვლავ ზურასკენ შებრუნდა და ნელი, ძალიან ნელი მოძრაობით წაიღო მისკენ მარჯვენა ხელი... ქალის თითები მის ტუჩებს შეეხო, დიდხანს დახეტიალებდნენ მასზე, თითქოს სურდა, კარგად შეესწავლა იგი. ცოტა ხნის შემდეგ მისმა ხელმა მამაკაცის თმაზე გადაინაცვლა, მერე შუბლზე, ტუჩის კუთხეში მიმალულ ღიმილზე, თვალის უპეებთან განლაგებულ წვრილწვრილ ნაოჭებზე, სწორ, ვერტიკალურ ხაზზე, ცხვირს რომ კვეთდა.

— აბა? რას იტყვი? წავა? — გაიხუმრა ზურამ.

— მგონი, არა უშავს, — ნუკის ღიმილმა გაუპო ბაგე, — მშვენიერი სიმპათიური სახეა.

— თუმცა შენ ვერ გჯობია. შენ საოცარი ქმნილება ხარ, ხორცშესხმული სრულყოფილება... ბუნება ხომ ნამდვილი ოსტატია ასეთ სამუშაოებში.

ნუკის უცნაური გრძნობა დაეუფლა... თითქოს მეორედ იბადებოდა ამწუთას...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*



# გზავნილები

# დაგვიანებული შურისძიება

*მარი ჯაფარიძე*

გამარჯობა. ყველას მოგიკითხავთ და წარმატებებს გისურვებთ... დღევანდელ თემასთან დაკავშირებით ერთი ანეკდოტი გამახსენდა და მინდა, თქვენც გიამბოთ: ქართველი და სომეხი ერთმანეთს შეხვდნენ და ორივე თავისი წარმომავლობის ქებაშია. ერთმანეთს უმტკიცებენ, არა, ჩემი ერი უფრო უძველესია, არა — ჩემიო.

— არქეოლოგებმა გათხრების დროს ტელეფონის კაბელი იპოვეს და დაადგინეს, რომ თურმე ჩვენს წელთაღრიცხვამდე X საუკუნეს მიეკუთვნება. ასე რომ, ჩვენ მაშინ უკვე ტელეფონით ვსარგებლობდით და წარმოიდგინე, როგორი ძველი ერი ვართ.

— ჩვენებმა კი გათხრებისას ვერაფერი იპოვეს, — თქვა სომეხმა.

— ჰოდა, ნუ ამტკიცებ მაშინ, რომ ჩვენზე დიდი ისტორია გაქვთ, — ამაყად მოიღერა კისერი ქართველმა. — ჩვენ იმიტომ ვერ ვიპოვეთ შნური, რომ მაშინ უკვე მობილურით ვსარგებლობდით...

ახლა კი თქვენ მიერ გამოგზავნილ ამბებს მივხედოთ.

## „დრუჟბა“

„ერთ-ერთ პატარა სოფელში, სადაც სახლები ერთმანეთთან მეტისმეტად ახლოსაა ჩამწკრივებული, ყველა ყველას იცნობდა და დამალულიც არაფერი რჩებოდა. შალვას ოჯახი განსაკუთრებით ცნობილი იყო მთელ სოფელში. მას ერთადერთი, სახელგატეხილი შვილიშვილი, ნაილი ჰყავდა, რომელსაც მთელი სოფლის ბიჭბუჭების ლოგინი მოვლილი ჰქონდა. შალვასაც ვერ გაამტყუნებ და მისი შვილიშვილის ხელიდან წასვლაში ბრალს ვერ დასდებ. საწყალ კაცს არც ყურში ეყურება და მხედველობაც კარგა გვარიანად აკლია. აბა რა დასაძრახია, იმის აინუნშიაც რომ არ არის, თავისი შვილიშვილი სად არის, ვისთან არის და საერთოდაც, რას ჩალიჩობს... ახალგაზრდობაში შეძენილ, ძველისძველ „დრუჟბას“, რომელსაც ყმაწვილკაცობაში მარჯვედ ამუშავებდა, თავს დაჰფოფინებს და წამდაუწუმ ასუფთავებს. აბა, გაებედა ვინმეს და მის „ანტიკვარ“ „დრუჟბაზე“ ეთქვა, აღარ ვარგა, დაძველდაო?! კუდით ქვას ასროლინებდა, ისეთ დღეში ჩააგდებდა. მართალია, მკლავში ძალა აღარ ერჩოდა, მაგრამ ენა ისევ ისე უჭრიდა და ვალშიც არავის რჩებოდა. ერთხელაც, შალვას კარს ერთი ბიჭი მიადგა, რომელსაც ყველა პაცანას ეძახდა. ისიც ისე იყო ამ მეტსახელს მიჩვეული, თავისი ნამდვილი სახელი, რომელიც მხოლოდ პირადობის მოწმობას „უმშვენებდა“, აღარც კი ახსოვდა.

— საქმე მაქვს და მაგიტომ გეახელით, — ეშმაკური ღიმილითურთ უთხრა შალვას.

— აბა, რა გინდა? — ამოხედა შალვამ ბიჭს და სახეზე მიაშტერდა.

— შვილიშვილი უნდა მათხოვო, ცოტა ხნით, — უთხრა და ეზოს გარეთ, მოხარხარე ბიჭებს თვალი ჩაუკრა. შალვას, რადგან ყურს აკლდა და ამას რომ თავი გავანებოთ, „დრუჟბის“ გარდა არავინ და აღარაფერი ახსოვდა, ეგონა, ხერხს სთხოვდნენ და პასუხიც უმალ დაუბრუნა:

— ვერ გათხოვებ, ამას წინათ ვაჟას ვათხოვე და ისე იხმარა, სულ გამიფუჭა. — პაცანამ გადაიხარხარა.

— არა უშავს, ბაბუ, მათხოვე, არ გაგიფუჭებ.

უარის ნიშნად თავი გააქნია შალვამ და უთხრა:

— ისეა გაფუჭებული და ნახმარი, მეც აღარ ვხმარობ.

— კარგი რაა, ბაბუ, ნახმარს აღარ ხმარობენ? — ირონიანარევი ხმით უთხრა ბიჭმა და სახლიდან გამოსული ნაილისკენ გაექცა თვალი. შალვამ თუ უარი უთხრა, ნაილი იყო თანახმა და ის ღამე ერთად გაატარეს, სიამტკბილობაში. მეორე დღეს პაცანას ძმაკაცები შალვას დაადგნენ თავზე და ჭორიკანა ქალებივით მიუტანეს ენა, წუხელ შენთან რომ ბიჭი იყო, იმან „დრუჟბა“ მოგპარა და იხმარაო. გაცეცხლდა შალვა, მიმიყვანეთ მაგ შეჩვენებულთან, მე მაგას ვაჩვენებ სეირსო. ბიჭებსაც მეტი რა უნდოდათ? სეირის ყურებას არაფერი ერჩივნათ და პაცანას შალვა დააყენეს თავზე. შალვამ ხელში მომარჯვებული ჯოხი გადაჰკრა და გადაჰკრა ბეჭებზე ბიჭს, მაგრამ რაღა აზრი ჰქონდა შურისძიებას? უკვე მისი „დრუჟბა“ ნახმარი ჰქონდათ. როცა პაცანას სახლიდან ნაილი გამოძვრა, მერეღა მიხვდა შალვა, რაშიც იყო საქმე და დანანებით გააქნია თავი. ხელები ზურგს უკან გადააჯვარედი-

ნა, როგორც სჩვეოდა და ჩაფიქრებული გაუყვა გზას. სიყვარულით, ლუნა“.

## გადაფიქრებული შურისძიება

„შურისძიება ალბათ, არც ჰქვია იმ სურვილს, რომელიც ანას დაებადა მაშინ, როდესაც ავთომ ხელი სთხოვა, მაგრამ სამაგიეროს გადახდა ნამდვილად უნდოდა, ცალმხრივ სიყვარულში გატარებული წლებისთვის. ჯერ კიდევ ბაფთიანი მოსწავლე იყო, სკოლის ყველაზე სიმპათიური ბიჭი რომ შეუყვარდა და მისი ერთი შეხედვის მოლოდინში, უამრავი გულდაკოდილი უარით გაისტუმრა. ავთომ დიდი ხნის მერე შენიშნა, ოდესღაც მშვენიერი გოგონა — უკვე დაქალებული და თვალებთან ობობის უწვრილესი ქსელივით ნაოჭებშეპარული ანა. თვითონაც დიდი ხანია, აღარ იყო მაღალი, ქერა, ცისფერთვალება... თმაც შესთხელებოდა და წლებს არც მისი უნაკლო აღნაგობა დაენდო, თუმცა გული სიყვარულისთვის კვლავ ღია ჰქონდა და ანამაც დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეაღო მისი კარი. ამას რომ მიხვდა, ქალმა ცრემლებში გატარებული წლებისთვის ნაგვიანევი შურისძიება გადაწყვიტა და თავი ისე დაიჭირა, თითქოს ფიქრობდა, სად შენ და სად — მეო, მაგრამ ავთო ხომ ძველი დონ ჟუანია და არ მოეშვა, სანამ ჯერ პირველ პაემანზე, შემდეგ კი ცოლობაზე არ დაითანხმა. ანას რომ ჰკითხოთ, მისი თანხმობა ავთოზე „შურისძიების“ ერთ-ერთი პუნქტია და დანარჩენს თანდათან დასახავს, მაგრამ მისი გაბრწყინებული თვალები სულ სხვას ამბობენ. ავთოც ბედნიერი და თავაწეული დადის, რომ ასეთი უკარება ქალის გულის

მონადირება ამ ასაკშიც შეძლო და ეს ყველაფერი მისი ათლეტური აღნაგობისა და მომხიბვლელობის დამსახურებაა. ასე თავად ხუმრობს საკუთარ თავზე და თან დანანებით უყურებს თავის აშკარად გამელოტების გზაზე დამდგარ ქოჩორს. პარიჟანკა“.

## „ბოროტებისთვის არ მემეტები“

„დაგვიანებული შურისძიება? მინდოდა, რომ შური მეძია? არა! მე ის ახლაც მიყვარს. რატომ დავკარგე? ამ კითხვაზე პასუხი ახლაც ვერ მიპოვია. 4 წელი და 10 თვე გავიდა იმის მერე. მთელი ჩემი ცხოვრება შეცვალა იმ ერთმა... ყოველდღე ვხვდები ქუჩაში, მაგრამ უფლება არ მაქვს, რომ დაველაპარაკო. მე მას ახლაც ველოდები. მალულად ვხვდებოდი... არ ვუყვარდი, თორემ არ დამტოვებდა მარტოობასთან. მთელი ქალაქი 4 წლის წინ ალაპარაკდა, რომ მე მისი საყვარელი ვიყავი. გამიგებთ ალბათ, რა მტკივნეულია ეს, რამდენჯერ მინატრია მხოლოდ მის გვერდით ვმჯდარიყავი, მეყურებინა მისი თვალებისთვის, მესმინა მისი შენიშვნები და შემეგრძნო მისი სურნელი. მაპატიებს ალბათ, ამას რომ ვწერ. არ მაქვს უფლება, ცხოვრება თავიდან დავიწყო. 11 სექტემბერს რომ ვნახე, მითხრა, უკანასკნელად ვსაუბრობთო. მიწა გამომეცალა. 18-ში თუ 19-ში ცოლი მოიყვანა. ვერ აღგიწერთ, ეს რა იყო. ხმა წამერთვა და ცრემლი გამიქვავდა. ბევრი რამ ცუდი მოხდა მის ცხოვრებაში — ამას ვერ გეტყვით, ჩვენ იმის მერე ბევრჯერ შევხვდით... ვუყვარვარ? როგორ არა — ძალიან დიდ პატივს მცემს. მეც მიყვარს, როგორც 4 წლის წინ. ეს წერილი მივა მასთან და მინდა მას ვუთხრა: გვიანი არაფერია, ჩემო ძვირფასო. მე მართლა მინდა, ბედნიერი იყო. ოჯახს შევქმნი. შენ ხომ ეს გინდა? ვიქნები კარგი დედა... ისეთი დედა, რომ ბოლოს შვილებმა მიწა მომაყარონ და უპატრონოდ არ ვიყო. მართალი ხარ, ცხოვრებამ ბევრჯერ გაგვყარა, მაგრამ შენ გახსოვს, რომ მითხარი, ბევრჯერ შეგვახვედრებს ცხოვრება და შენ ჩემთვის ყოველთვის ის ნინო იქნები, ვინც ახლა ხარო? უსამართლოდ დაგსაჯა ცხოვრებამ, მაგრამ სიყვარულს იქ ეძებდი, სადაც არ იყო. მინდა დაფიქრდე და მიხვდე, სხვისთვის ცუდი და ჩემთვის კარგი რატომ ხარ. შური ვიძიო? ვისზე? შენზე? რატომ? მე ხომ ბოროტებისთვის არ მემეტები. ნინო“.

## გაჩალიჩებული სასიძო

„გამარჯობა. ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით. ჩემი ძმა ცოტა მოძველბიჭო ტიპი იყო. პოლიციასთან გამუდმებით პრობლემები ჰქონდა. მასზე განსაკუთრებით ერთი ჩვენი რაიონის პოლიციის უფროსის მოადგილე იყო გადაკიდებული. სადაც დაინახავდა, სისხლს უშრობდა — მანქანაში ჩასვამდა და განყოფილებაში მიჰყავდა, ნარკოლოგიური შემოწმებისთვის. არადა, ამ მხრივ ჩემი ძმა მართლა „სუფთა“ იყო. ერთხელ კი ჩხუბის დროს დააკავა და 2 წლით ციხეში გაუშვა. მაშინ ის დრო იყო, პატიმრებს ციხეში ორორი მობილური რომ ჰქონდათ. ჰოდა, ჩემმა ძმამ არ ვიცი, რა საშუალებით, მაგრამ ამ პოლიციელის შვილის, დედისერთა მაიკოს ტელეფონის ნომერი გაიგო და დაუწყო მესიჯების გზავნა. რამდენიმე თვეში ისე შეაბა, რომ ოჯახისგან მალულად ჩემს ძმასთან ციხეში ხელი მოაწერა და აკითხავდა კიდეც. მასთან როგორც კანონიერი ცოლი, რამდენიმე ღამითაც რჩებოდა (ჩვენ რაიონში ვცხოვრობთ, მაიკო კი სტუდენტი იყო და თბილისში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდა). ჩვენ ვიცოდით, რომ ჩემმა ძმამ ცოლი მოიყვანა, მაგრამ გოგონას არ ვიცნობდით. ალეკო ამბობდა, რომ ძალიან უყვარდა ცოლი... ახლა თქვენი გაცნობის ერიდება, რომ გამოვალ, გაგაცნობთო, გვპირდებოდა. ერთ მშვენიერ დღეს კი გვითხრა, ფეხმძიმედაა, სახლში ველარ გაჩერდება და თქვენთან გადმოვა საცხოვრებლადო. ამის შემდეგ გაიგო მამამისმა, რომ თურმე შვილი ისე გაუთხოვდა, თვითონ აზრზეც არ იყო და სიძის გაცნობა გადაწყვიტა. მივიდა შვილთან ერთად სიძის სანახავად და რას ხედავს? მისი შვილი იმ ბიჭს შეუცდენია, რომელიც თავად გაუშვა ციხეში. თვითონვე იჩალიჩა, რომ დროზე ადრე გამოეყვანა. შერიგდნენ და ახლა კარგი ურთიერთობაც აქვთ. ჩემმა ძმამ არც ის დაუმალა, რომ შურისძიება უნდოდა მასზე, მაგრამ ისეთი კარგი შვილი გყოლია, თავი შემაყვარა, ცუდისთვის ვერ გავიმეტე და ცოლად მოვიყვანეო, ეუბნებოდა ხოლმე. ძალიან კი მწარდებოდა სიმამრი, მაგრამ თავის 3 შვილიშვილს რომ გადახედავს, მერე სახე უნათდება და წყენას ივიწყებს. პატივისცემით, მერიკო“.

## ზარმაცი პატარძლისა და ჭკვიანი დედამთილის ამბავი

„მარ, იცი, ბებიაჩემმა როგორ გადაუხადა სამაგიერო დედაჩემს (რძალს)? დედა ახალი გათხოვილი რომ იყო, თურმე ზარმაცობდა, ყველაფრის გაკეთება ეზარებოდა, შუადღემდე ეძინა. სოფელში ხომ იცით, როგორ ხდება? მეზობლები ახალ პატარძალს აკვირდებიან, როგორი ყოჩაღია, საქმე იცის თუ არა და ა.შ. ჰოდა, მერე ერთმანეთს უზიარებენ აზრს — ამას ისეთი ყოჩაღი რძალი ჰყავს, ცივ ქვაზე რომ დაასახლო, იცხოვრებს; იმას კიდევ — ისეთი ზარმაცი, მილიონის ქონება რომ დაუტოვო, გაანიავებსო... დედაჩემიც არ იქნებოდა გამონაკლისი, რა თქმა უნდა, და მთელი სოფელი გაიგებდა, ავთოანთ ზარმაცი პატარძალი ჰყავთო... ბებიაჩემი უბანში ამბობდა ხოლმე, ახალი შეუღლებულები არიან, ერთმანეთს ვერ ელევიან, ცოტა ხანს იძინონ, რომ მოშინაურდება, გაყოჩაღდებაო, მაგრამ 3 თვე იყო გასული, დედაჩემი კი სულაც არ აპირებდა „გაყოჩაღებას“. ბებია კი მის გასაგონად ათას რამეს ამბობდა, იქნებ ყურად იღოსო, მაგრამ არაფერი ეშველა. ერთ დღეს ბებომ თქვა, მალაზიაში მივდივარო და კარგა ხანს დააგვიანდა. მერე ტაქსით მოვიდა და მამაჩემს დაუძახა, გამოდი, სახლში შესვლაში მომეხმარეო... ფეხი თაბაშირში ჰქონია — წავიქეცი და მოვიტეხეო, უთქვამს... მიიყვანეს და დააწვინეს საწოლზე... ჰოდა, მთელი ოჯახის საქმე დედაჩემს დააწვა კისერზე... აღარ გამოუვიდა შუადღემდე ძილი, რადგან იქით ძროხები ბღაოდნენ, მოგვწველე და საძოვარზე გაგვიშვიო, აქეთ ქათმები და ინდაურები ითხოვდნენ საჭმელს, გოჭები ჭყვიტინით იკლებდნენ იქაურობას... ჰოდა, იძულებული გახდა, უთენია ამდგარიყო, ფრინველებისა და ცხოველებისთვისაც მიეხედა და ბოსტნისთვისაც, ყველაფერი რომ არ გამხმარიყო... რაც არ იცოდა, დედამთილს ეკითხებოდა, როგორ გავაკეთოო. 2 თვის განმავლობაში ასე გაგრძელდა. ექიმი დროდადრო მოდიოდა ბებიას სანახავად და ამბობდა, ჯერ ადრეა თაბაშირის მოხსნა, ჯერ არ დამთავრებულაო... რა არ დამთავრებულაო? — დედა და მამა გაოცებული უყურებდნენ თურმე... პროცესიო, ექიმი ეუბნებოდა... ამასობაში კიდევ ერთი თვე გავიდა და გაირკვა, რომ დედა ფეხმძიმედ ყოფილა. როგორც კი ეს სასიხარულო ამბავი ბებიას უთხრეს, მაშინვე წამომდგარა საწოლიდან, თაბაშირი მოუხსნია და უთქვამს: რადგან ასეა, აწი ისევ მე მივხედავ ოჯახს, ფეხმძიმე რძალს ხომ არ დავჩაგრავო. ყველა გაგიჟდა თურმე, როცა გაიგეს, რომ ბებია სიმულანტობდა და თავისი დაქალი ექიმის დახმარებით გაუთამაშებია ეს ყველაფერი. ამის შემდეგ დედა მაინც უთენია დგებოდა და საქმეს აკეთებდა, რადგან მიეჩვია... და ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესიაო, ამბობენ. ახლა ბებიას მადლობას უხდის ხოლმე, რადგან მისი დამსახურებაა, დედა რომ ასეთი საქმიანია და სოფელში მასზე რომ ამბობენ, ცივ ქვაზე რომ დაასახლო, იცხოვრებსო. პატივისცემით, ყაჩაღანა“.

■

**ყურადღება!** თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.

*მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ფულით ნაყიდი სიყვარული“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com*

# როგორი ბიჭები იცვლიან შეყვარებულს ხშირ-ხშირად

## „მის ფეხებთან ნუღარ იხოხებ...“

ლიკა ქაჯაია

**„გზის“ №19-ში დაიბეჭდა 16 წლის სალის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ უყვარს ბიჭი, რომელსაც მთელი თუ არა, ნახევარი საქართველო მაინც იცნობს. როგორც სალი ამბობს, თავის დროზე ის ამ პოპულარულ ბიჭსაც მოსწონდა, მაგრამ მას მერე, რაც „გაიქაჩა“ და „სვეტსკი“ თაყვანისმცემლებიც გაუჩნდა, თურმე თავში აუვარდა. „გასაგებია, რომ ჩემზე ლამაზი და თანაც, ასევე პოპულარული გოგონები გაიცნო, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ძველ ნაცნობებს ცუდად უნდა მოგვექცეს?.. მან გული საშინლად მატკინა. ასე ძალიან რომ არ მიყვარდეს, მეც „პაშოლს“ ვეტყოდი, მაგრამ ვიცი, ამის გაკეთებას ვერ შევძლებ. მისი გაღიმებაც კი საკმარისია საიმისოდ, რომ ბრინჯივით დავიბნე და ფეხქვეშ ფიანდაზად გავეგო... ის მაშინ შემიყვარდა, როცა ერთი ჩვეულებრივი ბიჭი იყო; მომწონდა მისი უბრალოება, ლამაზი თვალები, ახლა კი... მირჩიეთ, როგორ ვუმკურნალო ვარსკვლავური სენით შეპყრობილს?“**

**მაკო 22:**

„მასზე გული არ დაგწყდეს. ჩემო კარგო, ჯერ პატარა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს და მერწმუნე, რაღაც პერიოდის შემდეგ მის დავიწყებას აუცილებლად შეძლებ; თანაც, იცოდე, წარმატება დროებითი რამაა და როცა მარტო დარჩება, შენს ფასს მერე გაიგებს...“

**ზურას კნეინა:**

„ადექი და შენც დაივიწყე! რა, ბიჭები დაილია? გთხოვ, თავი დაიფასე, ნურაფერს შეეხვეწები (მერწმუნე, შენთვისვე აჯობებს, ასე თუ მოიქცევი). წარმატებები!“

**უცნობი:**

„ვა, ისეთი რა ვარსკვლავია, თავში რომ აუვარდა? ახლა არ მითხრა, სამორი ბალდეზე „ვბაზრობო“. აბა, რა ვიცი, ტელეეკრანებზე სხვა ახალი არავინ გამოჩენილა და... იქნებ „ნანუკას შოუს“ „ბეზდელნიკზე“ ბაასობ? რა ვიცი, რა ვიცი... იცოდე, თუ იმ პოპულარულ ბიჭს არ შეეშვები, თავს ყულფში თავადვე გაყოფ. თუ უკვე თავში აუვარდა, დარწმუნებული ვარ, შენ ზედაც არ შემოგხედავს მანამ, ვიდრე მინიმუმ, მინისტრი ან შოუბიზნესის მოკაშკაშე ვარსკვლავი არ გახდები, ამას კი ალბათ ვერ შეძლებ და ამიტომაც გირჩევ, რომ ახალი „ლოვე“ ეძებო. ბოლოს და ბოლოს, ვინმე ღირსეულს შენც იპოვი!“

**WANDERER:**

„საინტერესოა, ვინაა ის პოპულარული ბიჭი? მგონი, იმაში დარწმუნებული უნდა იყო, რომ ის ძველ ცხოვრებას აღარასდროს დაუბრუნდება. ერთს გეტყვი: მის დანახვაზე ბრინჯივით ნუღარ დაიბნევი. გიყვარდეს, ოღონდ — შენთვის, ანუ არ შეაწუხო, რა (თუმცა, ვიცი, რომ ეს ძალიან ძნელია). აბა, შენ იცი, წარმატებები!“

**ლუნა:**

„შენი მესმის. იცი, ხშირად ხდება, რომ ადამიანი, რომელიც პოპულარობას იგემებს, ძველ ნაცნობებს ივიწყებს და ასევე პოპულარულ პიროვნებებთან იწყებს ურთიერთობას, მათ უმეგობრდება. გირჩევ, გულახდილად დაელაპარაკო და შენი გულისტკივილის მიზეზიც გაანდო. იქნებ ვერ ხვდება, რომ მისი უყურადღებობა ასე გწყინს? არაფერზე იდარდო. გაკოცე“.

**სვანის ასული:**

„ძველ ნაცნობებს ცუდად გვექცევაო? ალბათ, მისი ნაცნობების უმეტესობა ამას ასე მტკივნეულად არ განიცდის, მეტიც — ზოგს მის ასეთ საქციელზე ირონიულადაც გაეცინება, ბევრი კი ამ ყველაფრით გაერთობა კიდეც, მაგრამ შენ მისგან სალამზე, ღიმილზე მეტის მიღება გსურს, მისი საქციელის გამო თავმოყვარეობა შეგელახა და გული ამიტომაც გტკივა... ვარსკვლავური სენისგან განკურნებაში შენ ნამდვილად ვერ დაეხმარები, მაგრამ მერწმუნე, ამაზე ცხოვრება იზრუნებს, მას გაკვეთილებს საჭირო დროს ჩაუტარებს; თუმცა, მანამდე მოთმინება რომ არ გყოფნის?.. თუ ეს ყველაფერი მხოლოდ ბავშვური აკვიატებაა, იქნებ როგორმე გაგიაროს (პირადად მე, ე.წ. თავში ავარდნილებს იმდენად ვერ ვიტან, რომ ნებისმიერ მათგანზე გული ადვილად მიცრუვდება), მაგრამ თუ ნამდვილი გრძნობაა და ლოდინი გილირს, მაშინ შეეცადე, როგორმე დაეკონტაქტო, მისი თაყვანისმცემლებისგან განსხვავებული იყო (კარგი თვალსაზრისით, რა თქმა უნდა); აგრძნობინე, რომ ყოველთვის მხარში ამოუდგები. ჰოდა, თუ ოდესმე გაუჭირდება, მთელ ქვეყანაზე გაბრაზებული მხოლოდ შენკენ გამოიქცევა“.

**რუისპირი (GREEN):**

„არ ვიცი, შენი ტრფობის ობიექტი ვინ არის და ამისთანა რა ღიმილი აქვს, შენს მოჯადოებას ერთ წამში რომ ახერხებს, მაგრამ სხვა რამეში 86%-ით ვარ დარწმუნებული: ვიდრე საკუთარ თავზე აზრს არ შეიცვლი, სანამ წელში არ გაიმართები და თავაწეული არ ივლი, არა მარტო შენი „სტარ“-ისთვის, არამედ ყველა ბიჭისთვის უღიმღამო და უინტერესო არსება იქნები. რას ჰქვია, შენზე ლამაზი და პოპულარული გოგონები გაიცნო? გრძნობებთან სნობიზმს რა კავშირი აქვს? კაი, რა!.. მორჩი „ბრინჯაობას“, მის ფეხებთან ნუღარ იხოხებ, აღარ დაეკონტაქტო, იშვიათად მისწერე, თვალებში აღარ შესციცინო, მის რეაქციას დააკვირდი და თუ ურთიერთობის აღდგენის ინიციატივას არ გამოიჩენს, ჯანდაბაში გაამწესე :). **P.S.** ისე, თუ ცნობილი სახეა, შეიძლება, დაკავებულიცაა და იმდენი თავისუფალი დრო აღარ აქვს, რამდენიც უწინ ჰქონდა. რა ვიცი, რა ვიცი...“

**მარი კზმ:**

„გულს ნუ გაიტეხ და მერწმუნე, ყველას, ვინც პოპულარული ხდება, სწორედ შენი ნაცნობი ბიჭივით ემართება. ის თავად თუ არ „მოჯდა“, ვერ განიკურნება. თუ ადრე მისი უბრალოება მოგწონდა, ახლა ხომ ხედავ, როგორია? ჰოდა, დაივიწყე, რა. იცოდე, პოპულარულ ბიჭს მუდამ ბევრი თაყვანისმცემელი ეყოლება, შენ კი ეს დაგტანჯავს. და კიდევ, მისნაირები შეყვარებულს ხშირ-ხშირად იცვლიან. ნუ იდარდებ, ყველაფერი წინ გაქვს“.

**უცნობი:**

„ჩემო სალი (ამ სახელზე გული მეწურება, უჰ...), მე ვისურვებდი, იმ ბიჭსა და შენ შორის ისეთი სიყვარული მოსულიყოს, რომ რომელიმე მწერალს თქვენს ურთიერთობაზე წიგნის დაწერაც კი მოუნდეს. **P.S.** ჯერ პატარა ხარ და შეიძლება, მერე სხვამაც დაგაბნიოს (ბრინჯივით). მე მაინც წარმატებებს გისურვებ!“

**ლუნა:**

„საშინლად მაღიზიანებენ ის ბიჭები, რომლებიც თავს იფასებენ და იმის უნარიც კი არ შესწევთ, რომ გოგოს სათქმელი პირდაპირ უთხრან. ჩემო კარგო, თავი უნდა დაიფასო. საინტერესოა, რატომ ეხვეწები? შეეშვი და მიანიშნე, რომ შენთვის აღარაფერს წარმოადგენს. ეტყობა, შენი ყურადღება თავში აუვარდა“.

# როდის ემალებიან ბიჭები შეყვარებულს

## „მისი გულახდილობა ტკივილის გარდა, არაფერს მოგიტანდა“

„გზის“ №19-ში დაიბეჭდა გიჟავოის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ჰყავდა ბათუმელი შეყვარებული, რომელმაც 1 წლის ურთიერთობის შემდეგ ხელი ჰკრა. „2 თვის წინ მივხვდი, რომ ჩვენ შორის ურთიერთობა გაცივდა, ის ისე აღარ მექცევა, როგორც ადრე. როცა ვეკითხები: — რა ხდება, აღარ გიყვარვარ? ეს ურთიერთობის გაცივება ჩემი ბრალი ხომ არ არის-მეთქი? — არაფერს მპასუხობს... ახლახან ბათუმში ვიყავი. ეს მანაც იცოდა, მაგრამ ერთხელაც არ დაურეკავს, ჩემი ნახვის სურვილი არ გამოუთქვამს. მის ნახვას არც მე ვაპირებდი, მაგრამ მისმა დამ ტვინი გადამიტრიალა და დავურეკე. — მნახე-მეთქი. მიპასუხა: დღეს არ მცალია, ხვალ გნახავო, მაგრამ ერთი კვირა ისე გავიდა, ჩემთვის მესიჯიც არ მოუწერია და რომელ პაემანზეა ლაპარაკი?! როგორ ვათქმევინო, რა მოხდა ჩვენ შორის?“

**რუისპირი (GREEN):**

„ჩემი გამოცდილებიდან ერთ მაგალითს მოგიყვან: რამდენიმე თვის წინ ერთი გოგო გავიცანი. რომ გითხრა, მისი სილამაზით აღვფრთოვანდი და ერთი ნახვით შემიყვარდა-მეთქი, მოგატყუებ, მაგრამ მის მიმართ სიმპათია ნამდვილად გამიჩნდა; მერე ტელეფონის ნომრები გავცვალეთ და ურთიერთობაც აეწყო. თანდათან ერთმანეთზე „შევსხედით“, ერთმანეთის გარეშე ვერ ვძლებდით და თითქმის ყოველ წუთს ვმესიჯობდით. საკუთარ თავს ხშირად ვეკითხებოდი ხოლმე, — ჩვენ შორის რა ხდება-მეთქი? მაგრამ ერთი რამ დანამდვილებით ვიცოდი: იმას, რასაც მის მიმართ ვგრძნობდი, სიყვარული არ ერქვა... პირველი ნაბიჯი თავად ნინომ გადმოდგა და მომწერა, — მიყვარხარო. ვუპასუხე: მეეეეეეეც-მეთქი. ჰოდა, ამის შემდეგ, ამ სიტყვას დღეში ათჯერ მაინც მწერდა და მეც, ყოველ ჯერზე ერთი სიტყვით ვპასუხობდი: „მეეეც!“ (მისთვის სიტყვა „მიყვარხარ“ ერთხელაც არ მითქვამს). ახლა სხვა გოგო გავიცანი, რომელზეც თამამად შემიძლია ვთქვა, რომ მიყვარს და მის გარეშე ცხოვრება ვერ წარმომიდგენია! ჰოდა, შენი აზრით, რა ვქენი? ნინისთან ურთიერთობაში გავცივდი და პირველი, რაც მოვიმოქმედე, ის იყო, რომ „ესემესების“ მიწერას მოვუკელი. ჰოდა, ასე თანდათანობით დაინგრა ჩვენი ურთიერთობა, ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ გულის სიღრმეში, ნინოს მიმართ თავს დღესაც დამნაშავედ მივიჩნევ. ჩემო კარ-



გო, დარწმუნებული ვარ, შენს შემთხვევაშიც ასე მოხდა; თან, ერთმანეთს მანძილიც გაშორებთ, ასეთ დროს კი გრძნობების შენარჩუნება და მისი დაცვა ძალიან ძნელია! **P.S.** მან შეხვედრაზე არმოსვლით მიგახვედრა, რომ შენთან ურთიერთობა აღარ უნდა. მერწმუნე, ეს ყველაფერი თავად რომ ეთქვა, მეტად დაიტანჯებოდი, მისი გულახდილობა ტკივილის გარდა, არაფერს მოგიტანდა. გული არ გაიტეხო!“

**მარი კზმ:**

„ნუთუ, ვერ ხვდები, რა მოხდა? მას აღარ უყვარხარ! ჰო, ეს სიმართლეა და ამაზე თვალი არ უნდა დახუჭო. გამოფხიზლდი! შენი შეყვარებული არაფერს გეტყვის, ყველაფერი ისედაც ნათელია“.

**ეკა:**

„კარგი, რა, თავს ასე რატომ იმცირებ? ნუთუ, თავმოყვარეობის ნატამალიც არ გაგაჩნია? ხომ ხედავ, შენთან ურთიერთობის სურვილიც აღარ აქვს და რას ეტენები? სჯობს, ისეთი ვინმე შეიყვარო, ვისაც შენი ფასი ეცოდინება და ვისაც თავად შეეშინდება შენი დაკარგვის. წარმატებებს გისურვებ!“

**სალი:**

„ვა, ასეთებიც ხდება? დარწმუნებული ხარ, რომ უყვარდი? იქნებ თქვენს ურთიერთობაში ვინმე ცუდად ჩაერია და შენ მიმართ ამიტომაც გაცივდა?! მის სახლთან „დაპადიეზდებაც“ რომ მოგიხდეს, როგორმე უნდა შეხვდე და დაელაპარაკო; მოსთხოვე აგიხსნას, ასე რატომ მოგექცა. უთხარი, რომ არაკაცურად იქცევა და ამისთვის სამაგიეროს უფალი აუცილებლად მიუზღავს. წარმატებებს და ლამაზ ცხოვრებას გისურვებ!“

**ნაომი:**

„თუ შენ მიმართ უყურადღებო და ცივია, ყველაფერი ცხადია — არ უყვარხარ, შენთან ყოფნის სურვილი არა აქვს და რა გინდა, რომ ათქმევინო? მაინცდამაინც ის უნდა გითხრას, რომ მისთვის ნული ხარ? ნუ გაეკიდები, თორემ გულს უარესად გატკენს“.

**სვანის ასული:**

„თქვენი ურთიერთობა მართლაც, გაცივებულა და ჯობს, ყველაფერი მალე გაარკვიო. არა მგონია, იმ ბიჭის საქციელს გამართლება ჰქონდეს, მაგრამ ვინ იცის, იქნებ მისი შეცვლის მეტ-ნაკლებად ობიექტური მიზეზიც არსებობდეს... ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ: რატომ ჰგონიათ ბიჭებს, რომ რთულ და გაურკვეველ სიტუაციაში დამალვა საუკეთესო გამოსავალია? არადა, ვაჟკაცობაზე დებენ თავს“.

**ფიფქია:**

„უკაცრავად, მაგრამ თუ ადამიანს „ფეხებზე ჰკიდიხარ“, ის შენც უნდა „დაიკიდო“. იცოდე, ულირსის გამო ნერვიულობა არ ღირს. დრო გავა და ის შენც დაგავიწყდება“.

**უცნობი:**

„მართლა ვერ ხვდები, რატომ გემალება? ეტყობა, ზედმეტი ყურადღებით ძალიან შეაწუხე. კაცმა შეიძლება, თვალი მოგკრა, გარეგნულად მოეწონე და შენი გაცნობის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ მას მერე, რაც ახლოს გაგიცნო, იმედი გაუცრუვდა, შენი ხასიათი, განათლების დონე არ მოეწონა და ახლა სურს, ისე ჩამოგიშოროს, რომ გული არ გატკინოს; იმის თქმას, რომ უჟმური ან სულელი ხარ, არჩია, დაგემალოს. ჰოდა, რალას „თხრი“? იცოდე, იმ თაგვივით არ დაგემართოს, რომელმაც თხარა, თხარა და კატა გამოთხარა (თუ როგორცაა, რა)... ჭკვიანად იყავი. მერწმუნე, საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“.

**WANDERER:**

„სულაც არაა საჭირო ათქმევინო, თუ რატომ გაცივდა თქვენი ურთიერთობა; უბრალოდ, ადექი და შეეშვი, დაივიწყე! აბა, როდემდე აპირებ მის დევნას, ხვეწნას? ვგონებ, აღარ უყვარხარ. აბა, შენ იცი, წარმატებებს გისურვებ და იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებ. გაკოცე“.



# მობილი-ზაცია

*იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.*

## ქალები



1. სამეგობროდ გავიცნობ 25-26 წლამდე ასაკის ბიჭს, სასურველია — თბილისელს. ვარ 20 წლის, ქვემო ქართლიდან. ;-) არასერიოზულებმა თავი შეიკავეთ.

2. ვარ 34 წლის, დედისერთა გოგო. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35-45 წლის მამაკაცს.

3. გავიცნობ 32-40 წლის მამაკაცს, 185 სმ სიმაღლის მაინც უნდა იყოს; არა — მსუქანი, არა — უსაქმური, არა — უბინაო, თბილისელი. თუ ასეთი არსებობს, დამიკავშირდეს. ვარ მშვენიერი, ამიტომაც მიჭირს.

4. გთხოვთ, მომცეთ მეშვიდე მესიჯის ავტორის მობილურის ნომერი, „გზის“ მეოცე ნომრიდან.

5. ოჯახის შექმნის მიზნით, დასაოჯახებელ მანდილოსანს სურს გაიცნოს 45-50 წლამდე ასაკის, სერიოზული, დასაქმებული მამაკაცი, ვისაც ნამდვილად სურს ოჯახის შექმნა.

6. გავიცნობ თბილ და ერთგულ მამაკაცს, 25 წლამდე. ვარ 17 წლის. კუკულა.



## მამაკაცები

7. გავიცნობ 21 წლამდე გოგოს, სამეგობროდ. მომწყინდა მარტო ყოფნა. ლექსო.

8. ვარ 35 წლის. ვცხოვრობ თბილისში. ვარ სამსახურითა და ბინით უზრუნველყოფილი. გავიცნობ 20-დან 40 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით.

9. კაცი სჭირდება ვინმეს? თუ ყველა ფულს ეძებს?

10. ვარ 38 წლის მამაკაცი. არ მაქვს ნაკლი იმის გარდა, რომ უკიდურესად მიჭირს მატერიალურად. ვეძებ ქალს, ვინც დამეხმარება მატერიალურად და შემიყვარებს გულწრფელად.

11. ვეხმაურები 22 წლის, დასაქმებულ გოგოს. ვარ 24 წლის, სერიოზული და დასაქმებული. გთხოთ, ჩემი ნომერი მისცეთ.

12. ვარ 29 წლის მამაკაცი, ცოლგანაშვები და მინდა ახალი ოჯახი.

13. შემეხმიანოს ქალბატონი, 30-40 წლის. მაქვს ცალკე ბინა, ოჯახისა და რუტინის გარეშე. ქირას არ გადაიხდის. ვინც მიხვდა, ველი.

14. გავიცნობ თბილისში ან რუსთავში მარტო მცხოვრებ ქალბატონს, 40 წლის ზევით, სერიოზული ურთიერთობისთვის.

15. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №20, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი.

16. ვეხმაურები თბილისელ, 19 წლის სალის. მომეცით სალის ნომერი.

17. ვეხმაურები თბილისელ სალის, 19 წლისას. მომწერეთ სალის ნომერი.

18. 27 წლის ექთან ირმას: მე გოგა ვარ, 34 წლის. საჭიროა ყველას ჰქონდეს ღირსეული ოჯახი და ცხოვრებისგან მიიღოს მაქსიმუმი. თუ გადაწყვეტ გაცნობას, გელოდები.

19. ვარ 23 წლის თბილისელი მამაკაცი. გავიცნობ სამეგობროდ ქალს ან გოგოს.

20. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №20, მე-5 მესიჯის ავტორის ნომერი.

21. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №20, მე-4 მესიჯის ავტორის ნომერი.

22. გთხოვთ გამომიგზავნოთ №15 „გზაში“ გამოქვეყნებული, პირველი მესიჯის ავტორის კოორდინატები.

24. გავიცნობ 18 წლის (და ზემოთ), სერიოზულ მანდილოსანს, რომელსაც სურს ნამდვილი სიყვარული და ოჯახის შექმნა. ვარ 21 წლის, ბათუმელი.

25. გავიცნობ სოფლელ მანდილოსანს, რომელსაც სურს ოჯახის შექმნა. ვარ 42 წლის, შრომისმოყვარე. ვახო.

26. გავიცნობ ქუთაისელ გოგოს, 32 წლამდე. დავეხმარები ფინანსურად.



## სხვადასხვა

•3კ.198გი, ნინომ თქვა, გიამ დარეკა და განადგურებული ხმა ჰქონდაო. თავს მიხედე და არაფერზე ინერვიულო. ჩვენ როგორმე გავუძლებთ და მოვუვლით პრობლემებს. თეა.

•3კ.198გი, ვერასოდეს წარმოვიდგენ-

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

დი, ასე თუ მომიწევდა შენთვის ხმის მოწვდენა. საშინელებაა. ღმერთს ვთხოვ, მალე დამიბრუნოს შენი თავი. მიყვარხარ. შენი თეა.

•3კ.198გი, ძალიან მენატრები. მე არა მიშავს, ძალიან ძნელია უშენობა, მაგრამ სხვა რა გზაა, ვუძლებ. იმედით ვარ, რომ რაღაც სასწაული იქნება. შენი თეა.

• კასკუ, ყველაფერზე მეტად მინდა, რომ ჩვენთან იყო და ისევ ისეთი ბედნიერები ვიყოთ. კუს, გთხოვ, გული არ გაიტეხო, ძალიან მალე მორჩება ეს კოშმარი და დაგვიბრუნდები. ოღონდაც გაუძელი ამ ყველაფერს კაცურად. მე ვცდილობ, მაგრად ვიდგე, მაგრამ ძალიან ძნელია უშენობა. შენი სითბო მომენატრა. დედა და ბავშვები კარგად არიან. ძალიან, ძალიან მიყვარხარ, მალე გავაფრენ ალბათ. ერთხელ თვალს რომ შეგავლებ ხოლმე, მიხარია. ჩემო სუნთქვავ და არსებობავ, უთვალავს გკოცნი და გეხუტები. შენი ლიკუნა.

•ჩემი ძმა „გზის“ ანეკდოტებს კითხულობდა ხმამაღლა — სვანმა წითელი ჩორნი ბუმერი იყიდაო და გაიცინა. მე სრული სერიოზულობით ვკითხე — მერემეთქი? გაგრძელებას ველოდი. ედელვაისი.

•ულიბკა, სად ხარ? ვინმემ გაწყენინა?

• ირაკლი, შენთან შემოვა ანზორას ნანას ძმისშვილი, ამუნა პქვია, სახალხო დამცველია და თქვა, შევალ, ვნახავო და იქნებ გადაყვანაზე მოგვეხმაროს. შენ ყველაფერი დააბარე.

•7 მილიონამდე რომ გაიზრდება ლოტოს ჯეკპოტი ან თუნდაც 9 იყოს, მაშინ უნდა ვიყიდო 2 ბილეთი და ვან ბასტენმა რომ გაუტანა 1988 წლის ევროპის მუნდიალის ფინალში დასაევს, ზუსტად ისე იუველირის სიზუსტით უნდა ჩავსვა ციფრები. მომგებიანი ბილეთი რომელიც იქნება, ბარკალაიას უნდა გავუგზავნო და გავახარო. მეორეს მე დავიტოვებ, სამახსოვროდ. კუნკულა.

• გამარჯობა, მარი, როგორ ხარ? მე თქვენთან ახალი მოსული ვარ და იმედია, მიმიღებთ. ყოველ შემთხვევაში, ეს ძალიან მინდა. თუ მიმიღებთ, ნია დამიძახეთ.

• შოთა უტიაშვილი რომ გვაჩვენებდა რუკაზე აგვისტოს ომის დროს აღებულ ტერიტორიებს, ისე უხსნიან ბენდუქიძეს „შეგირდში“, მაგრამ კახამ იცის პ3,14. კუნკულა.

• ჩემს პოემაში დარღვევაა. არეულია სტრიქონი ერთგან. გამაგონე ეგ ხმა ტკბილი, ვითა ქნარი. ეგრე უნდა გაგრძელებულიყო. კუნკულა.

• ხომ ვერ ამიხსნით, რატომ მქვია ამ ჟურნალში ლიპსო, როდესაც ყველა მეძახის ლიპსო-ს? და კიდევ ერთი, რატომ არის აქ კიდევ ჩემნაირი სახელის მქონე ადამიანი?

• რუისპირ, გენაცვალე სულსა და გულში. ჯიგარი ხარ. მეტალზე მაგარი არაფერია. ხომ მეთანხმები? ვიმეგობროთ? მორიელი.

•3კ198, გი, ბანდეროლით წიგნი და წერილები გამოვგზავნე. ნეტავ, მიიღე? ძალიან მაკლიხარ, ბუუს, ძალიან რთულია უშენოდ ყოფნა. გამუდმებით შენზე ვფიქრობ და ვჯავრობ. დაკარგა ხალისი ყველაფერმა. მინდა, ჩემ გვერდით იყო. ვცხოვრობ შეხვედრიდან შეხვედრამდე მოლოდინით. როცა რამეს ვაკეთებ შენთვის, იმ დღეს ბედნიერი ვარ. ზოგადად არა გვიშავს. ვუძლებთ ამ საშინელ ტკივილს. გი, ამ თვეში 31 მაისს მიწევს შენი ნახვა. ასე მომიწია. გკოცნი გი, უსაზღვროდ მიყვარხარ. შენი თეე.

• ამაზრზენი ხარ, დიკი ანგელ.

• გამარჯობა, მარი! როგორ ხარ, ჩემო კარგო? იმედია, კარგად იქნები და კარგადაც გამყოფოს ბუნების ძალამ და მაღალმა ღმერთმა. ჩემო კარგო, ახლა შენი იმედი მაქვს, რომ უყურადღებოდ არ დამტოვებ და დამეხმარები. ძალიან გთხოვ, დაბეჭდე ჩემი წერილი: გამარჯობა სუყველას. ჩემო კარგებო, ხომ იცით, როგორც ხდება? არავინაა დაცული ციხისგან. პატარა გაუგებრობის გამო აღმოვჩნდი ოთხ კედელს შუა. ბევრი დარდი და ნერვიულობა გადავიტანე და თქვენი დახმარების იმედი მაქვს. პირველი პერიოდი ყველას ვახსოვდი და ვუნდოდი. ცოტა დრო რომ გავიდა, სუყველამ დამივიწყა. გოგომ, რომელსაც ვაღმერთებდი, ბოროტ ენებს დაუჯერა და მიმატოვა. ახლა ერთადერთი იმედი მაქვს, რომ თქვენი დახმარების მეშვეობით ვიპოვი უამრავ მეგობარს და რაც მთავარია, ცხოვრების თანამგზავრს; პირველ რიგში, ვინც აფასებს ადამიანში ერთგულებას, გაგებას და უღალატოა. ძალიან ვარ დაინტერესებული კუნკულათი, ატარექსიით, ლი-23, ნინო-19-ით, დიკი ანგელით, ქვრივით, კლეოპატრათი, თამუნა მიქელაძით, ნანა მისირელით, სოფო, №13-დან, მე მოგიგვარებ ბინის პრობლემას. მარისთან იქნება ჩემი მისამართი. დაინტერესების შემთხვევაში მომწერეთ და სასურველია, მიუთითეთ ტელეფონის ნომერი. პირველ რიგში ველოდები სოფოს წერილს. სუყველა კარგები და საყვარლები ხართ. გფარავდეთ უფალი. პატ. ნუგო30.

• შენი ალერსი დამათრობს, შენი ხელები გამათბობს, შენი ტუჩები, ლამაზო, კოცნით უსაზღვროდ დამატკბობს. ალერსი მინდა მე შენი, შენი ლამაზი ხელებით, შენი უბადლო სიტყვებით, ძლიერ რომ მომეფერები. ალერსს შენ მომგვრი უსაზღვროს, ეს გული შენს გულს ჩასწვდება, შენზე იმღერებს ყოველთვის, ალერსიანო ღვთაებავ, ალერსი მინდა გაგათბო და დაგიმშვიდო ეს გული, დაგათრო როგორც არასდროს, ძლიერად, ტკბილი, მხნე გულით. წინასწარ დიდი მადლობა.

• ამ რუისპირის გამკვირვებია, მთელი თბილისი თუ არა, ნახევარი მაინც შემოვიარე და ქენდის ბუშნელის ბესტსელერი ვერსად ვიშოვე. :) ასე რომ, მოვდივარ თელავში. ატარექსია.

• გაიხარე, ჰოლმს, მეც დიდი სიყვარულით მოგიკითხავ, ძალიან გამახარე, ასე რომ ფიქრობ ჩემზე. მოვიკითხავ ტირიფს, მგზავრს, მილეს, გადარეულსა და კიბორჩხალას. ფლამინგო.

• ჯ.ხავი, მე სულ აქ ვარ, მაშინაც კი, როცა არ ვჩანვარ. გაიხარე. :) ფლამინგოოო! ვიმეგობროთ, აბა რა! :) ატარექსია.

• ირაკლი, მამაომ მითხრა, ნახვა რატომ არ გააკეთესო? მე ვიკითხე და საბუთი უნდა, მოვიდეს მანდ და მერე შეიძლებაო, ასე მითხრეს. აბა შენ იცი, როგორ გაუძლებ ამ განსაცდელს, დედი. რა ვქნა, დედიკო, მეტით ვერ დაგეხმარე, დღედაღამ იმაზე ვფიქრობ, როგორ დაგეხმარო. მანდ კაცურად შეხვედი და კაცურად გამოდი. ჭკვიანად იყავი და გახსოვდეს დედა, რომელსაც ძალიან ენატრები და ბევრს ლოცულობს შენზე. ყველას ვუთხარი, მესიჯი გაუგზავნეთმეთქი, მაგრამ თავი არავის შეუწუხებია. შენ ხელი არ ჩაიქნიო, რომ გამოხვალ, სწავლასაც გააგრძელებ.

• შენს სიყვარულს დავიფიცებ, დაიჯერო იქნება, სხვისკენ აღარ გაიხედო, თორემ ქალი მიხვდება. გაღმერთებ მაი, მიყვარხარ. წრუწუნა. ნეტავ შემეძლოს, ერთი წუთით არ მოგშორდე, წაგიყვანდი შორს, გადავიკარგებოდით და ვიქნებოდით მხოლოდ მე და შენ. მიყვარხარ უგონოდ, მაი.

• მარი, მხოლოდ შენი დახმარებით ვეფერები ჩემს მაის. დიდი მადლობა, რომ ჩემი ასე კარგად გაიგე. ალიმა.

• ახალს ვერაფერს გეტყვი, მაი, აზრი არ შემიცვლია, მიყვარხარ და ცრემლებით ვერ შემაჩერებ. თუ გიყვარვარ, გელოდები.

• მამაჩიასთან ვგეგმავ შეხვედრას, უნდა დაველაპარაკო კაცურად და მერე ის გამოგიტანს განაჩენს ჩემი წვალებისთვის. ახლა ჩემი დროა. მაკო.

• როცა ჩემთან ხარ, ქვეყანა ჩემი მგონია; ვამაყობ, რომ ჩემი გქვია და შენი გული მე მეკუთვნის. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ასე დავკარგე თავი. მიყვარხარ. ალიმა.

•3კ198 გი, შენზე ფიქრში მითენდება და მიღამდება, რთული ყოფილა მარტოობა, გაუსაძლისი — მონატრება. უშენოდ ყველაფრის ხალისი დავკარგე, მალე დასრულდეს ეს კოშმარი. თეა.

• ატარექსია, ჩემი მიზანი არ არის, შენ (OMG) ან ვინმეს თავი მოვაწონო. ვიგინდარა პადხალიმებში აგერიე ალბათ... P.S. ჯობს, ასე ვიფიქრო და ნერვებს გავუფრთხილდე. ნიკოლო.

•3კ198 გი, ისე ვაგრძელებ ცხოვრებას, როგორც შენ მომიწონებდი. სულ ვაკვირდები, შენ რას იტყოდი. საბა ხშირად გახსენებს, ენატრები და იმიტომ. ჩემი დიდი სევდა ხარ. თეა.

• თუ ვინმეს ვინმე უყვარს, ესე იგი, მე შენ მიყვარხარ სიცოცხლეზე მეტად. გკოცნი. წრუწუნა.

• როგორ ხართ? ლი23, ფლამინგო, ლაკვასტ, ბუბუ და ვისაც სურვილი გაქვთ, რომ ვიმეგობროთ, ხომ არ გამეცნობით? მე უბრალოდ, გამახარებდით. კლეოპატრა

დავკარგე. :) უყვარხართ WANDERERS.

• „გზაში“ ჩემნაირი თავგადაკლული „ბარსას“ ფანები არ არიან? 28 ახლოვდება და ლონდონში „უემბლიზე“ წითელ ეშმაკუნებს „ბარსა“ დაარსების დღეს აწყევლინებს. :) მაპი3.

• ლუნა, უტოლებ კი არა, შედარებაც კი ძალიან სირცხვილია... მისი პოეზია სულ სხვაა და შენი — სულ სხვა, ამიტომაც არ დაუდვია წუნი არავის. კარგი, ლუნა, რაა, ნუ მაცინებ, გეხვეწები, პოეზიაც შესანიშნავად მესმის და გრიშაშვილის ლექსებიც მაქვს „გზის“ წიგნებთან ერთად თაროზე და არაჩვეულებრივად ვიცი.

• ყველას მივესალმები, განსაკუთრებით — ტირიფი73-ს და ფლამინგოს. თუ რატომ, ასე განსაკუთრებით, ამას არცთუ ისე შორი წარსული მალაპარაკებს. გაიხარეთ ყველამ. ჰოლმსი.

• ყველანი კარგები ხართ, თითოეულ თქვენგანში არის ისეთი რამ, რის გამოც თქვენ ყველანი დასაფასებელი ხალხი ბრძანდებით. ამიტომ მიგულეთ თქვენ გვერდით. ჰოლმსი.

• ნიკოლო, შენ ცოტა გაკლია?

• ულიბკა, სად ხარ? რატომ დაიკარგე? გაწყენინა ვინმემ?

• პრივეტ. რა მოსაწყენია ცხოვრება, როცა გღალატობენ, გულს გტკენენ და მიწასთან გასწორებენ... ეს დიდი, მოუშუშებელი ტკივილია. :(

• სიტყვა, რომელსაც ყველას ვერ ეტყვი, ეს არის სიტყვა — მე შენ მიყვარხარ! ამ ყველასაგან შენ გამოგარჩევ და გეტყვი, კარგო, ძლიერ მიყვარხარ! მიკახალთ გულში! WANDERER.

• კაკადუ, გილოცავთ ნიკოლოზობას. წესით, ამას რომ წაიკითხავ, ნანახი უნდა გვყავდე, მაგრამ ჯერ არ ვიცით, ზუსტად როგორ იქნება სიტუაციის გამო. ცოტაც მოითმინე და დალაგდება ყველაფერი. ყველას მაგრად გვენატრები და იქნებ დარეკვა მოახერხო. ნიკამ იმ დღეს სურათებში თავისი თავი ვერ იპოვა და იკითხა, მე სად ვიყავიო? თეამ — მუცელშიო. ჰოდა, გაკვირვებულმა შეხედა და იკითხა, რატომ გადამყლაპეო?

• მუკები, აუ, როგორ მენატრები, რა... თუ ვერ მოვედი ორშაბათს, არ გეწყინოს, გთხოვ, იანვრიდან ამ გასაუბრებას ველოდები და მაინცდამაინც ორშაბათს დამიბარეს. ჩემი ბედის...

• უბრალოდ, ძაან გვესაჭიროება ყველას ეს სამსახური, თორემ დარხეული გვაქვს. რო გნახავ, მოგიყვები. შენ ხომ ხარ მაგრად, უნდა გაუძლო, რა... მიკაი და მენატრები. მალე გადახვალ მანდედან და ამოისუნთქავ ცოტას მაინც. ნიკა ბეკეკო იყო ზეიმზე... ბოთე... ნიამ დისერტაცია დაიცვა, „მზეზე“ ძაან აქო სკოლამ. პირველში მინდა გადავიყვანო. გიგა ელაპარაკა დირექტორს და ვნახოთ, რა იქნება. სხვა რა გითხრა. მე ყოველღამე მესიზმრები, სულ შენით ვიღვიძებ და ვიძინებ, დავდივარ სამსახურში და ეგაა. მიკაი.

• იკა, ჩემო სიყვარულო, ძალიან მენატრები, ბები, ყოველ წუთში შენ მახსოვხარ. აბა, შენ იცი, როგორ ჭკვიანად იქნები. ღმერთი გადმოგხედავს და ყველაფერი კარგად იქნება. ეთერ ბებო.

• კასკუ, ჩემო სიყვარულო და სუნთქვავ, რომ იცოდე, როგორ მინდა შენთან... წარმომიდგენია, შენ როგორ გინდა... ჩვენკენ ახალი არაფერია. მივყვებით დინებას. ვნახოთ, რა იქნება. იქნებ სასწაული მოხდეს რამე. ღმერთის იმედი არ მოგვშლოდეს. მიყვარხარ, მიყვარხარ და გთხოვ, გამაგრდი, ჩემო ერთადერთო. გულში გკოცნი უთვალავს. შენი ლიკუნა.

• ბიჭმა გოგო წლების წინ გაიცნო, მაგრამ მალევე დაკარგა და როცა სხვა ადამიანებით იმედგაცრუებულებმა კვლავ იპოვეს ერთურთი, გადაწყვიტეს, წარსულის იარების მოშუშებაში დახმარებოდნენ ერთმანეთს. ხალისიანი და სასიამოვნო ურთიერთობის პარალელურად, მათ შორის შეუმჩნევლად გაჩნდა ამაღლებული და საოცარი გრძნობა, რომელსაც სიცოცხლეში ერთხელ ეზიარებიან ხოლმე. ორივე მიხვდა, რომ მათ ცხოვრებამ ბედნიერების შანსი და საუკეთესო საჩუქარი მისცა, ამიტომ ვერ შეელივნენ ერთმანეთს და დღეს ერთად არიან, უამრავ ლამაზ წუთსა და დღეს ჩუქნის ბიჭი გოგონას და გოგონა — ბიჭს. იყო ტკივილიც, იყო ცრემლებიც, მაგრამ იყო და არის უსაზღვროდ დიდი, როგორც ბიჭი იტყოდა, უქრობი სიყვარული. ორივემ ცხოვრების ურთულეს გამოცდებს გაუძლო და როცა ეგონათ, მარადიული სევდისთვის იყვნენ განწირული, მაშინ დააკავშირა ბედმა. ერთმანეთისთვის სიხარულისა და ღიმილის მომტან, კეთილ ანგელოზებად იქცნენ და არ არსებობს წამი, როდესაც საკუთარ ფიქრებს, მთელ არსებასა და გულს სათაყვანებელ გრძნობას არ უძღვნიან. თუმცა კამათობენ კიდეც. ვერაფრით შეთანხმდნენ, რომელს უფრო მეტად უყვარს მეორე. ჯიუტი ბიჭი დარწმუნებულია, რომ მისი გრძნობა უფრო დიდია, რასაც გოგონა არ ეთანხმება და ამ საკითხში პოზიციის დათმობას არ აპირებს. მინდა ყველას გჯეროდეთ, რომ როცა არ ელით, მაშინ გაჩუქებთ უფალი ბედნიერებას და ამ შეყვარებული წყვილის მსგავსად, თქვენს ქუჩაზეც მოვა გაზაფხული! სიყვარულით, პარიჟანკა.

• ხეობის ჩონჩხებქვეშ სამკუთხა ბარათებივით მიმობნეული ფოთლები ტევრებიდან ჩამოღვრილმა ცრემლმა აათრთოლა. ჩამონგრეული ტაძრის ხავსმოკიდებულ კედელს ბიჭი ამოჰფარებოდა. პალიტრაზე აბრეშუმის დაურთავი ძაფები ირხეოდა. — ზაზა! — ჩაესმა დედის ძახილი. — წადი! დროა, წადი! საფლავის ქვას მოხვეული ბიჭი ქვითინებდა, ენატრებოდა დედა. დღე შეუმჩნევლად, სანთელივით ილვენთებოდა. ბობოქარი მზის სხივი, გაუხედნავი ულაყივით წამოედო კარჩხას და რიყეზე მიენარცხა. ბიჭს შიშისაგან სხეული გაეთოშა. — დედაა, დედიკო! — იყვირა ისევ განწირული ხმით. დედის უჩვეულო შეხებამ და სითბომ დაამშვიდა. შეცნობილმა ძალამ გზა დაულოცა. მხატვარი აცახცახდა და ცამდე ატყორცნილ საიდუმლოებათა სიზვიადეს მიაჩერდა. საკუთარი თავისადმი ტკივილით შეწუხებულმა, პალიტრაზე ბავშვური ღიმილის მაგივრად ობოლი ბიჭის ცრემლები დაჰკიდა, გუგებში ჩაბუდებული მუდარა, შიში, სიცოცხლეს რომ ემუქრება და საყვედური, საწამებლად ქცეული გრძნეული ფუნჯი, ეჭვი, ზოგჯერ დედის რძეშიც საწამლავს ურევს...

• დედის მშვიდ მკლავებზე, სრულიად პატარამ აახილა თვალი. მზემ თბილი, ოქროს ხელები მოხვია, სისინა ნიავმა იავნანა უმღერა, დედამ მარგალიტის ცრემლით გაბანა. პირველად მებაღემ შეამჩნია ვაზის ტირილი. ფესვებთან მიწა გაუფხვიერა. — ფრთხილად, ფრთხილად! მკლავებზე ჩვილები მასხედანო, ცრემლების ფრქვევით აგრძნობინა ვაზმა მებაღეს. — ვაზის ცრემლი, ვაზი ტირის! — მუხლმოდრეკით გარდაისახა კაცმა პირჯვარი. ნათლისცემის ცრემლის სიცოცხლის ერთი წვეთი ხელისგულზე დაისხურა და წამოჩითულ ყლორტებს მიუალერსა. ხვალ დაიშრიალებენ შენი ჩვილები! ნუ შფოთავ, ჩვენო დედაო, ამაღლდი ვაზო, კურთხეულო მამულის ფესვო! შენი მტევანი ხორცშესხმული საქართველოა, ქვევრი კი... ქვევრი კი შენი სისხლსავსე გული!

• მარიამულ, როგორ ხარ, ჩემო ტკბილო? მაპატიე, „გზა“ ახლახან ვიყიდე. ხომ ხარ, მე რომ გამიხარდება ისე? მიხარია, რომ ასე გულდასმით კითხულობ ჩვენს ნაწერებს და იმის ნებისყოფა გყოფნის, რომ ყველა წაიკითხო. :) მომეწონა გზავნილები. ულიბკაც გამიხარდა. გკოცნი და გეხუტები. შენი ლუნიტა.

• ნათქვამია, დიდ სიყვარულს დიდი სიძულვილი მოსდევსო, მაგრამ მე ამ სიტყვების არ მჯერა. თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც ამ ნათქვამის „ცოცხალი მაგალითები“ არიან. ძალიან ბევრი ვირტუალური ნაცნობი მყავს და მათ სევდიან თუ მხიარულ ამბებს, რომლებსაც ჩემი თხოვნით მიყვებიან, სიამოვნებით ვისმენ. მარიც სულ შემთხვევით გავიცანი — ინტერნეტის წყალობით და დავმეგობრდით. მან იცის, რომ არ განვსჯი და გავუგებ. ამიტომ დაუფარავად მიყვება პირადულ ამბებსაც კი. ჰოდა, მინდა მისი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც ამ კვირის თემას ერგება. მარი წინააღმდეგი იყო იმისა, რომ ბიჭთან ახლო ურთიერთობა ჰქონოდა ქორწილამდე. ამის გამო, ხშირად დაცინვის მსხვერპლიც გამხდარა, მაგრამ მასზე ამან ვერ მოახდინა გავლენა. ის ისეთივე უკარება და თავშეკავებული დარჩა, თუმცა ამხანაგების დაცინვა და იმის შეხსენება, რომ გოიმი იყო, სულაც არ ეჩოთირებოდა. გულის სიღრმეში კი ძალიან უნდოდა შეყვარებულის ყოლა... ასაკის მატებასთან ერთად, ბიჭების მიმართ მეტმა ინტერესმა იჩინა თავი. მასაც უნდოდა, სხვებივით ჰყოლოდა გვერდით საყვარელი ადამიანი და სულ მალე

გამოჩნდა კიდეც — სიმპათიური, „მაყუთიანი“ და რაც მთავარია, ასაკიც „მომწიფებული“ ჰქონდა. არ იყო „ავარდნილი ტიპი“ და ეს არა მარტო მარის, მის ამხანაგ გოგონებსაც ძალიან ხიბლავდათ. მართალია, ბევრი ეპრანჭნენ და ემანჭნენ დათოს, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და ფარ-ხმალი უმალვე დაყარეს. დათოს ზემოთ ხსენებული დადებითი თვისებების გარდა, სხვა მრავალი კარგი თვისება აღმოაჩნდა — ნაკითხი და ჭკვიანი იყო. მარი ბედნიერი იყო მასთან... არასოდეს იწყენდა, ყოველთვის შეეძლო, სატრფო გაეოცებინა. უფრო და უფრო მეტად უყვარდებოდა სატრფო, რომელიც ასე ტკბილი და საყვარელი იყო მისთვის. დროთა მანძილზე რაღაც-რაღაცები შეიცვალა. დათოს აღარ აკმაყოფილებდა მხოლოდ მარის თმის სურნელის შეგრძნება და მისი პატარა ხელების კოცნა... უფრო მეტი მოინდომა, მაგრამ მარი კი ცივ უარზე იდგა. არ უნდოდა, მასაც ისე მოპქცეოდნენ, როგორც მის თანატოლებს. არ უნდოდა, დათოსთვის ზედმეტად სიახლოვის ნება მიეცა და ასეც იქცეოდა. დათო საშინლად ბრაზობდა. ის რომანტიკა და მარის მიმართ უსაზღვრო პატივისცემაც სადღაც გაქრა. დათოს იშვიათად ახსენდებოდა მარი, სითბოთი და ყურადღებითაც აღარ ანებივრებდა. მარი ტირილით ათენებდა და აღამებდა. ერთ დღეს კი, სრულიად უეცრად გამოუცხადა დათომ, რომ ისინი ერთად ვერ იქნებოდნენ. ვისაც სიყვარულში იმედგაცრუება გამოგიცდიათ, იოლად მიხვდებით, რა მდგომარეობაშიც ჩავარდებოდა მარი. გათიშული ჰქონდა გონება, მომხდარს ვერ აანალიზებდა და გაურკვევლობა საშინლად ტანჯავდა. მთელი ორი კვირა იტანჯებოდა, მერე ზიზღის გრძნობა გაუჩნდა დათოს მიმართ. შურისძიების სურვილი კლავდა. დათოს ძმაკაცთან გააბა ურთიერთობა. ზურას დაუფარავად ეპრანჭებოდა, ბიჭმაც ამით ისარგებლა და სთხოვა, მოფერების ნება მიეცა. დათანხმდა. რამდენიმე დღის შემდეგ მარიმ ზურას ისე, სახვათაშორისოდ ჰკითხა დათოს ამბავი. ზურას ნათქვამმა კი უარეს დღეში ჩააგდო — დათო საქართველოში აღარ იმყოფებოდა. ეს მისთვის დაუვიწყარი ტკივილი იყო და დღესაც ნანობს იმ ნაბიჯს, რომელიც შურისძიების წყურვილით დაბრმავებულმა გადადგა.

•მ.გ. ჩემო კარგო, ძალიან გამიხარდა, რომ გამომეხმაურე. მარიამულს სთხოვე ჩემი ნომერი და ის აუცილებლად მოგცემს. მართლა გამახარე. გკოცნი. ლუნა.

•პირველად 17 წლის ასაკში შემიყვარდა, უფრო სწორად — შემიყვარდასავით. მერე ის სხვაგან წავიდა, თვალი თვალს რომ მოშორდა, გულიც გადასხვაფერდა და მაშინვე დამავიწყდა, მივხვდი, რომ ის არ მყვარებია, რადგან ნამდვილ სიყვარულს ხომ დასასრული არა აქვს? მერე კი ისევ შემიყვარდა... ის ისეთი თბილი, საყვარელი და კეთილი იყო, აღფრთოვანებული ვიყავი მისით. პატარა ბავშვივით მიხაროდა მისი ერთი შემოხედვა, ერთი სიტყვაც კი, მაგრამ სიყვარული არც ისე ადვილი აღმოჩნდა, მე რომ მეგონა. სიხარულთან ერთად ტკივილიც ბევრი მერგო. შემდეგ ის შეიცვალა, უყურადღებო გახდა... თავისად დამიგულა; მიხვდა, რომ მიყვარდა და ალბათ ამიტომ. ერთი კვირის განმავლობაში გადაიკარგებოდა, მერე პატიებას მთხოვდა, მეც რა თქმა უნდა, ვაპატიებდი. ჩემი მეგობარი მარი ძალიან წუხდა ჩემ გამო, არ უნდოდა დავტანჯულიყავი და ხშირად მთხოვდა, თვალები გამეხილა და ყველაფრისთვის სალად შემეხედა. თავად მას კი, სიყვარულის არ სჯეროდა. მარი ყოველთვის გვერდით მედგა, მერე კი ბებიასთან წავიდა სტუმრად, მე კი დავრჩი მარტო, ჩემს ფიქრებთან. ჩემი სატრფოც უგზო-უკვლოდ დაიკარგა. მერე ისევ გამოჩნდა, ლამაზი სიტყვებით თავბრუ დამახვია, გამათბო, მომეფერა და მერე ისევ გაქრა, ქარში მოხვედრილი ფოთოლივით. ერთი კვირის შემდეგ მარიც ჩამოვიდა. როცა ისევ დადარდიანებული დამინახა, სულ შეიშალა, მაგრამ აღარაფერს მეუბნებოდა. მიკვირდა, თუმცა არ ვეკითხებოდი, რადგან მისი პასუხის მეშინოდა. ჩემს სატრფოს დიდხანს არ დაუგვიანია, მოვიდა... ისევ გამახარა, ფრთები შემასხა და ისევ დამიბრუნა სიცოცხლის ხალისი. ალბათ ზედმეტად დავიჯერე, რომ ოცნებები ხდება. ის ისევ აირია, მთელი დღე მეკარგებოდა, მხოლოდ ხანდახან ვახსენდებოდი. მერე დავიღალე, ძალიან დავიღალე... ვიცოდი, რომ მოვიდოდა, დღეს თუ არა — ხვალ ან ოდესმე მაინც მოვიდოდა, მაგრამ ამ ლოდინის გადატანა ძალიან მიჭირდა და მე მას დავშორდი. ძალიან გამიძნელდა იმ დღის ატანა, მეგონა, ვიღაცამ გული ამომაცალა, მხოლოდ გამთენიისას ჩამეძინა და სიზმარიც ვნახე: ძალიან ციოდა, მე ვიწექი და ვფიქრობდი. მერე გავირინდე და უეცრად მომელანდა, ჰო, ჩემი მარი მომელანდა... საწოლზე ჩამომიჯდა, უცნაურად მიღიმოდა, თითქოს ვებრალებოდი. ძალიან სევდიანი იყო. მომეჩვენა, რომ იმ წუთში თავად მარისაც სჯეროდა სიყვარულის არსებობის. მე მშვიდად გავუღიმე მარის, მერე თვალები დავხუჭე და ისევ მომელანდა... ჰო, ჩემი ბიჭი, ჩემი სატრფო მომელანდა. თბილი მზერით მიყურებდა, მიღიმოდა, მე ბედნიერი ვიყავი... უაზროდ ბედნიერი. ბავშვივით მიხაროდა... — მოხვედი? გელოდებოდი, — გამშრალი ტუჩებით ვუთხარი და იმწამსვე ძილი მოვიდა ჩემთან. მშვიდად, ძალიან მშვიდად მეძინა, ცხადშიც და სიზმარშიც. გაცოცხლებული თოჯინა.

•7 წლის ვიყავი, მამაჩემმა დაბა წნორში რომ წამიყვანა საქმეზე. უკანა გზაზე, მაღაზიის წინ გააჩერა მანქანა, ხურდები მომცა და მითხრა, შოკოლადი იყიდეო. შევვარდი მაღაზიაში და გამყიდველს ვუთხარი, რაც მინდოდა. არ მაქვსო, მითხრა. — „როგორ თუ არ გაქვთ?“ — გამიკვირდა მე. — არ მაქვს, შვილო, და რა ვქნაო? — ეს რანაირი მაღაზიაა, თუ შოკოლადი არ გაქვთ? ჩქარა მომეცით, მამაჩემი მელოდება-მეთქი, — არ ვეშვებოდი გამყიდველს. — მიიხედ-მოიხედე და შენ თუ შოკოლადს დაინახავ, გაჩუქებ, შენი ფული არ მინდაო, მითხრა სიცილით. მივიხედე, მოვიხედე და ზეთის ფილტრი, „პომპა“, გიტარა და სხვა მსგავსი რაღაცები დავინახე გამოფენილი. თურმე ავტონაწილებში შევსულვარ. გამოვედი გარეთ და მამაჩემი ხელებს მიფარჩხავდა, — მანდ რა გინდა. შე დებილო, გვერდით უნდა შესულიყავიო. ბავშვობიდან ასეთი სულელი და ჯიუტი ვიყავი. თუმცა, კუზიანს სამარეც ვერ ასწორებს.

•ფიქრი ფიქრთან რჩება, სიზმარი



ჩნდება. ამ საღამოს რაღაც სევდიანი ქრება. სადღაც შორს, ზღვაში ხის ნავი იკარგება. ცხოვრების აზრი ისევ იბადება... ფიფქია.

• სიჩუმის კივილი ციდან... გრძნობებით დაღლილი გულის, თითქოს ყველაფერი ჩაკვდა, ჩუმი ფარფატი სულის... ფიფქია.

• ისევ ის ფანჯარა, ისევ ის ლამაზი მთვარიანი ღამე, თითქოს ყველაფერი ძველებურადაა. ძველებურად... მხოლოდ შენ გარეშე. სიცარიელის შეგრძნებითა და ტკივილით სავსე. ჩურჩულით ნათქვამი — „მე შენ მჭირდები“ და სიხარული შენს თვალებში და ეს ყველაფერი დამთავრდა ერთ წელიწადში. ისევ ის ცა, ისევ ისეთი ღამე, ოღონდ შენი და მთვარის გარეშე. დარჩა მხოლოდ ტკბილ-მწარე მოგონება... წარსული... რომლის დაბრუნებაც ყოველთვის მომინდება, წარსული, რომელიც ტკბილი მოგონებითაა სავსე. მიუხედავად ყველაფრისა... შენ ხომ პირველი ადამიანი ხარ, ვინც სიყვარულის ხელოვნებას მაზიარა. პირველი... მაგრამ არა — უკანასკნელი. მინდოდა... მართლა მინდოდა უკანასკნელი ყოფილიყავი, მაგრამ ჩემმა სიამაყემ დაგაფრთხო. წახვედი ისე, რომ უკან არ მოგიხედავს. მთვარე ისევ ანათებს ყოველღამე. ძველებურად იღვრება ჩვენი მუსიკის ხმა, სადღაც შორს, თითქოს ზეციდან. ისევ არ მასვენებს შენზე ფიქრი. ცხოვრებამ ხალისი დაკარგა. შენი სიტყვები თითქოს ისევ ჩამესმის და მაინც... ისევ ჩვენს მუსიკას ვეფერები, ისევ ისე ვმღერი ჩემებურად, ისევ აკორდებით გეფერები, თურმე მყვარებიხარ ძველებურად. **P.S.** თუმცა არა ისე, როგორც ადრე. თითქმის აღარ. მართალია გვიან, მაგრამ მაინც ვიძიე შური. ჩემთვის წარსულის დახეული ფურცელი ხარ. არაფერს ვნანობ. მშვიდობით, ჩემი გულიდან.

• დაკარგულებო და ჩემთან მყოფნო. ძველებურად მინდა შენი გაცნობა, მაარ, მარა ძველებურად ვერ ვბედავ. :) ძველებურად მიყვარხართ ძველებო, ჩვენს არჩეულ „გზასთან“ ერთად. უკვე ორი წელია, ასე თუ ისე, მგზავნელი მქვია. ისევ ძველებურად მიხარია ხუთშაბათი. ისევ ძველებურად ვგიჟდები მარიზე და პროვოკატორზე. ძველებურად ვლანძღავ ჯიხურში გამყიდველ ბიჭს, რომელიც ყოველ ხუთშაბათს ღიმილით მეუბნება, რა ნახე ამ ჟურნალში ამისთანაო (დარწმუნებული ვარ, თვითონაც აბულბულებს). ძველებურად მიყვარხართ ყველა, აი, ამ ჭიქით გაუმარჯოს იმას, ვინც 1000 ესემესი ჩამირთო და ღმერთმა გაძლება მისცეს მარი ჯაფარიძეს, რომ ჩემი სმსები აიტანოს და ერთი-ორი დამიბეჭდოს. :) ფიფქია.

• გაგვიმარჯოს ყველას, მარის თამადობით. მიყვარხართ უკიდეგანოდ და წაბარბაცებამდე. ფიფქია.

• შერლოკ ჰოლმს, უხერხულად ვგრძნობ თავს, მე ხომ ღირებულს და საქებარს არაფერს ვაკეთებ? სამწუხაროდ, ვერ გცნობ, ალბათ ნიკი შეიცვალე. იდუმალ ქალს ბოდიში მინდა მოვუხადო, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი დავკარგე ჩემი უყურადღებობით. ვერ შევაწუხებ ადამიანს, ვისთვისაც საჭირო და გულით საყვარელი არ ვიქნები. ტირიფი73.

• მგზავნელებო, თქვენი პირადში გაცნობა მინდა, თან ძალიან მინდა... თუ სურვილი გაგიჩნდებათ, შემეხმიანეთ, მეც მინდა თქვენთან ერთად გიჟობა... ბუცა.

• ამ წვიმიან, ლამაზ დღეს, შენს ხმას გულით ვატარებ. ლამაზ ხმაში გენაცვალე, გაიხარე, მრავალ წელს ბევრს გაუთბე გული, ასე არ გაჩუმდე არც ღამე. :-) მარ, ძალიან საყვარელი ხარ.

• WANDERER, მაპატიე, რომ ვერ გწერ, კარგი? კუტრი, ფლამი, ლაკვასტ, სოფი, მენატრებით. უყვარხართ საქაჯეთს. მოკითხვა ატარექსიას. ქაჯების დედოფალი.

• და მე სულაც არ დამიმალავს იმათთვის ჩემი მეორე ნიკი, ვისაც ვთვლიდი, რომ უნდა სცოდნოდა. :-) ნაომი.

• გამარჯობა! მინდა, ერთი ამბავი მოგიყვეთ, რომელიც ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება... ზამთრის ერთ სუსხიან დღეს სოციალური ქსელის დახმარებით მისი პირველი სმს მივიღე. თავიდან არ მივაქციე ყურადღება, მაგრამ შემდეგ მის მიმართ საოცარი სითბო ვიგრძენი. შემდეგ იყო 1-თვიანი გაცნობის პერიოდი და ზუსტად 1 თვისთავზე ხელჩაკიდებულები მივუყვებოდით სამებისკენ მიმავალ გზას. ვუყურებდი და არ მჯეროდა, რომ ის ჩემთან იყო... საოცარი ქმნილება... პირველ შეხვედრას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე... უკვე გაზაფხულდა... უამრავი მესიჯი, თბილი სიტყვა, მისი მესიჯის ნახვისგან აჩქარებული გული, მუდმივად მასზე ფიქრი, დღე თუ ღამე. მხოლოდ ის, მხოლოდ მასთან ყოფნის სურვილი... შემეძლო საათობით მეყურებინა მისი თვალებისთვის, რომელიც ჩემზე მეტად არავის უყვარდა! ის მე მიფრთხილდებოდა, მე — მას, მაგრამ არაფერია მუდმივი და ერთ დღეს დამთავრდა ყველაფერი, დამთავრდა და თან ძალიან გაუგებრად. მან ვერ მაპატია ბავშვური სისულელე და გულუბრყვილობით გამოწვეული მისი შემოწმების სურვილი... არაფერი აუხსნია, საერთოდ — არაფერი, ისე დაამთავრა ულამაზესი ურთიერთობა... ზუსტად 20 დღე გავიდა მას შემდეგ და უკვე ბევრი რამ გავიგე და დავინახე, ის, რასაც მაშინ ან არ და ან ვერ ვხედავდი... ის ხომ იდეალი იყო ჩემთვის... უამრავი გეგმა მქონდა ისეთი, რისი განხორციელების შემთხვევაშიც ჩემთან დამცირებული მოვიდოდა...

• მაია ტიკარაძე, სად დაიკარგე? ამაგრებ აგია თომას პლატიას... მოგიკითხა კუდრაჭას დედიკომ. ლუკავიტო 6-ა.

• დიდი ხნის ფიქრის შემდეგ გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა და ჩემი გულისტკივილი გამენდო. 2 წლის წინ ჩემს დაქალს მის კლასელზე ვუთხარი, რომ მასთან მეგობრობა მინდოდა და იმანაც ნომერი მომცა, თუმცა არ შემეძლო, მე ვერ მივწერდი. იმ საღამოს კი იმ ბიჭის მესიჯი მომივიდა, როგორ ხარო? ჩემს დაქალს ნომერი მიუცია. ის საღამო იყო და მას მერე მესიჯობა არ შეგვიწყვეტია, დღე და ღამე ვმესიჯობდით, რაზე აღარ. ერთმანეთს სკოლაში ვნახულობდით, სკოლის გარეთ კი რამდენიმე ხნის მერე ვნახე. ძალიან დავმეგობრდით, მთელი დღე ერთად ვიყავით, სადაც მიდიოდა, მივყავდი, ნათესავთანაც კი. პირველ ადგილზე მაყენებდა, ჯერ მე ვიყავი, მერე — სხვა. სიგიჟემდე ვუყვარდი როგორც და, მე კი შემიყვარდა... საშინლად შემიყვარდა! ვიცოდი, ეს რომ გაეგო, მისთვის ღალატის ტოლფასი იქნებოდა. ჰოდა, მეც გადავწყვიტე, დამემალა. ასეც მოვიქეცი. შიგადაშიგ ჭორის სახით იგებდა, რომ მიყვარდა, მაგრამ არ იჯერებდა. ძალიან ცუდად ვხდები, ძალიან მიყვარს, ვერ აღვწერ იმ დღეებს, რაც ერთად გვაქვს გატარებული. იცით, ყველა ამბობდა, რომ ვუყვარდი, მაგრამ მან ძმაკაცს უთხრა, რომ ვუყვარდი, როგორც და. ხანდახან ვფიქრობ, რომ ვყვარებოდი, ერთად მაინც ვერ ვიქნებოდით. არ ვიცი რატომ, მაგრამ ასე მგონია... იცით, ამ წლების განმავლობაში „ლოვე“ ჰყავდა, თუმცა არ უყვარს, არც არასდროს ჰყვარებია. მასზე წინაც მე მაყენებდა, ხანდახან მეც ვფიქრობდი, რომ ვუყვარდი. უბრალოდ, ვერ აღვწერ, როგორ ეჭვიანობდა სხვებზე, მეჩხუბებოდა, სახლში, წრეზე მაცილებდა... რამდენიმე თვის მერე, საღამოს 9 საათზე დამირეკა და მითხრა: თურმე ის ეწყინა, სხვისგან რომ გაიგო ამ სიყვარულის შესახებ და მე რომ მეთქვა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა; ისიც მითხრა, რომ ერთადერთი ვიყავი, ჩემნაირი მეგობარი ვერ იპოვა. როგორც კი დამინახა, რომ ვტიროდი, ჩამიხუტა, შუბლზე მაკოცა და მალევე სახლში წავედი. მანამდე და მას მერე თითქმის ყოველღამე ვტირი, მე დავკარგე საუკეთესო მეგობარი და ერთადერთი სიყვარული. ვერ ვივიწყებ, არ შემიძლია, ყურადღება ვერავისზე გადამაქვს. დამეხმარეთ, მირჩიეთ, რა ვქნა. სადაც უნდა წავიდე, ყველგანაა... წინათ ხან ჩემს მხარზე იძინებდა... არასდროს მინახავს, ასეთი მეგობრობა ვინმეს ჰქონოდა... ძალიან დიდი ამბავია და ჩემთვის ძალიან მტკივნეული. ახლა კი სულ მარტო ვარ, ისე მოხდა მეორე ძმაკაცსა და ჩემ შორისაც: ერთი ძალიან ბოროტი ადამიანი ჩადგა შუაში და ის არჩევანის წინაშე დააყენა; მე კი ძმაკაცის გარეშე დამტოვა. თამუნა.

• არის შუაღამის მდუმარება, ვიცი, გვიანია, უკვე. სძინავს დედამიწას სიჩუმეში და მერიდიანიც თვლემს... ბაჩი.

• მე ოცნებებში ვეძებდი შენს დარს, სიზმრადაც ბევრჯერ დამსიზმრებია. ტუჩის ცმაცუნით ნაბუტბუტარი, გზა სტრიქონებით დაჭედილია. დღეს არა იაფს, ვით საგანძური.

• ზედმეტია, მიწას დავამძიმებ მე. ცოდვილ სულს გავედრებ, ღმერთო, დგება აღსასრულის დღეც... ტანჯვის ლაბირინთთა ტყვედ...

• თავს მოწიწებით დავუხრი შენს ნიჭს, რადგანაც მართლა არს პოეზია! გოგა პავლიაშვილს... ბაჩი.

• გიტოვებთ ჩემს აჯაფსანდალ ჩანახატებს, მე კი სამუდამოდ გემშვიდობებით!.. ფლამი, ფიფქია, ლაკვასტ, ქაჯების დედოფალი, ძალიან მიყვარხართ! სალო.

• გულის კუნჭულში მიმჯდარმა გამოიფხიზლა და როდესაც მიხვდა, ეს ყველაფერი სიზმარი არ ყოფილა, ტირილი დაიწყო. ეტკინა გული, ძალიან ეტკინა. როგორ უნდოდა, სიზმარი ყოფილიყო...

• ჩანახატის მაგივრად მხვდება აჯაფსანდალი ჩანახატი, ჩემი ჩანახატების ნაკრებსაც კი ვერ დავარქმევ. ნუთუ ორი განსხვავებული ჩანახატის დაბეჭდვა ცალცალკე რთულია? დავბრუნდი მეგონა, მაგრამ ისევ ვქრები!.. დიდი მოლოდინით ველოდები ხუთშაბათს, რომ „გზავნილები“ წავიკითხო, მათ შორის, ჩემი ჩანახატებით. მოლოდინი კი მიცრუვდება... სალო.

• თიკა, მოგკლავ, ჩემი ნომრიდან კიდევ თუ გაგზავნი მარი რთველიაშვილთან სმს-ს. ვინ არის? თან ჩემი ნიკით გზავნი, გაკლია? გადამრევთ თქვენ. დიკი ანგელი.

• თქვენთვის არ უთქვამთ, ქალბატონო, რომ ჰგავხართ აპრილს? რომ გაზაფხულმა ღია რძისფერ ნისლში გარჩიათ, კარგა ხანია, მყვირალობა დაიწყო მთაში და ამიტომაც შვლებიანი კაბა გაცვიათ. თუ ნებას დამრთავთ, მე ვიქნები თქვენი აპრილი. კიდევ ერთხელ მადლობა პროზის საგანძურისთვის და იმედია, ახალ პროექტსაც ავუწყობ ფეხს. მოგვიანებით მოვიკითხავ ბარამბოს.

• მარ, დიდი მადლობა, მესიჯებს რომ მიბეჭდავდი. მით უმეტეს, ბოლოს, მართლაც ტკივილი მოგაყენე. :( მარ, მართლა ძალიან კარგი გოგო ხარ, სხვა ამაფეთქებდა. :) :) კარგად. დიკი ანგელი.

• ზურა, მე თავს აღარ დავიმცირებ, ახლა მალე შენი ჯერი დადგება, მაგრამ მერე მე აღარ შეგირიგდები...

• როგორ ხარ, მარ... მოგვენატრე. კოზანოსტრა.

• ედელვაის, ძალიან მიყვარხარ, ჩემი დაიკო ხარ, არ მეგონა, აქამდე თუ გასტანდა ჩვენი მეგობრობა. მინდა, ყოველთვის ერთად ვიყოთ.

• ბავშვებო და დიდებო, მე „გზიდან“ მივდივარ. :( მომენატრებით ყველა, განურჩევლად სიმაღლის და წონისა. :) აღარ მცალია სამესიჯოდ. დიკი ანგელი.

• თქვენი რჩევა მჭირდება. მშობლები და ჩემი ძმა დაქალთან ურთიერთობას მიშლიან, რადგან ჩემს დაქალს ყველა ბიჭი ელადავება. ამის გამო ძალიან მწყდება გული. HAPPYGIRL.

• თამთა, ყოველთვის ასეთი ლამაზი და ღიმილიანი ყოფილიყავი. საუკეთესო კვირა საღამო გვაჩუქე. სიმღერით ხომ გვატკბობ, ტანგოც ულამაზესად იცეკვე. მადლობა, ჩვენო თანამემამულევ.

• ვარ 23 წლის. მყავს მეგობრები, მაგრამ თავს მარტოსულად ვგრძნობ. ჟანა.

• საქართველოში ვარ და რადგან თავისუფალი თემაა, გადავწყვიტე, რას ნიშნავს გზა მილენასთვის, ეს დამეწერა. მალე ჩემს ნოს (ტირიფს) და ფლამის ვნახავ და ისე მიხარია, უზომოდ. იმედია მოვახერხებ სხვების ნახვასაც. ძალიან მინდა თითოეულის გაცნობა, აქედან წასვლამდე. მიყვარხართ ყველანი უკიდეგანოდ. მილე.

• ეს ადამიანები ჩემთვის ძალიან ძვირფასია და ასევე — თითოეული მგზავნელი. გზავნილები ჩემთვის ჯადოსნური ზღაპარივითაა, სადაც კეთილი რაინდები და პრინცესები ცხოვრობენ. შენ კი, მარიამულ, უზომოდ მიყვარხარ. მადლობა ამდენი სიკეთისთვის. შენს ამაგს ვერასდროს გადავიხდი. მიყვარხართ შენ და „გზა“, უსაზღვროდ. P.S. გარკვეული პირადი მიზეზების გამო მივდივარ „გზიდან“.

• ჩემი ყურადღება ერთმა მესიჯმა მიიქცია — „კაცი გამოძახებით“ და ტელეფონს გადავწვდი... მოკლედ, დავუმესიჯე და შეხვედრაც დავთქვით, წყნეთში ვიკრიბებით გოგონები და მაგრად გავერთობით-მეთქი. ის კიდევ, მოუთმენლად ელოდა მეორე დღის გათენებას... დილით დანიშნულ ადგილას მოვიდა, მაგრამ ვერავინ ნახა, დამიმესიჯა — სად ხარ? პასუხად კი მისთვის გაუგებარი, მაგრამ ჩემთვის სავსებით გასაგები სმს მიიღო. „აილირპა ილევრიპ სელდ“. ახლა კი, „გზის“ მკითხველებო, გეკითხებით, რას ნიშნავს ეს?

• ლუნას, ქალბატონ ნანის, ქვრივს, ნაომის, ყველას, ყველას! ნაცნობი უცნობი. მიყვარხართ, ღმერთს ებარებოდეთ.

• გაოცება, გარდასახვა, სიხარული... და სიჩუმეც ნამსხვრევებად გაპობილი, ისმის ექოდ: სიყვარული, სიყვარული... ბაჩი.

• თავისუფალი თემაა და მე გადავწყვიტე, რას ნიშნავს „გზა“ ჩემთვის, ის დამეწერა. შორეული წარსულიდან დავიწყებ. 8 წლის ვიყავი, როცა „გზა“ პირველად წავიკითხე. ჩემს ოჯახში ყოველკვირა ყიდულობდნენ გაზეთებს და ერთხელაც დედამ „გზა“ მოიტანა. რა დამავიწყებს 2001 წლის 12 ივლისს, პარასკევ დღეს? ამ დღიდან დაიწყო ჩემი და „გზის“ პლატონური სიყვარული. ბევრჯერ გამოუყვანივარ „გზას“ დეპრესიიდან. მე არ ვაჭარბებ და უკვე 10 წელია, არ ვღალატობ. მის გარდა სხვა ჟურნალებს არ ვცნობ. ჩემთვის „გზა“ ძალიან ბევრს ნიშნავს. ერთად გავიზარდეთ, მე და „გზა“. 3 წელი ერთგული მკითხველი ვიყავი. 1 წლის წინ, როცა გიო მომიკლეს, სწორედ „გზა“ დამეხმარა, ამქვეყნად მოვბრუნებულიყავი. გავიცანი მგზავნელები, რომლებიც ჩემი ცხოვრების ნაწილი გახდნენ. პირველი მგზავნელი ჩემი გრუზინკა იყო. რა დამავიწყებს ჩემი თბილი გრუზის პოვნის წუთებს, იმ ლამაზ დღეებს და სიყვარულს, რასაც მისგან ვგრძნობ დღემდე. გრუზინკას მერე გავიცანი ჩემი ფერია ნონა (ტირიფი), ჩემი კეთილი კლეოპატრა, ანგელოზი ფლამინგო, ჩემი თბილი ლაკვასტი, უკეთილშობილესი ქალბატონი, ემიგრანტი, ჩემი დაიკო აზიელი. მერე გადავწყვიტე, მგზავნელი გამხდარიყავი. პასიური, მაგრამ მაინც მგზავნელი. სხვადასხვა ნიკით ვიყავი.

• ტირილი მინდა! არადა, ზამთრის სუსხიანი დღესავით გამიშრა ცრემლები. სიცილი მინდა! მაგრამ არაა ეს ის გულწრფელობა, არაა ეს სილაღე, არამედ ნაძალადევად არეკლილი ღიმილის აჩრდილი. თითქოს ბაგეთაც დავიწყებიათ სიცოცხლე. თვალთაგან კი აღარ კაშკაშებს სიხარულის მბრწყინავი ნაპერწკალი. თითქოს ყველა გრძნობა მოკვდა, ემოციამ დაიძინა, შეგრძნებები გაიყინა და დარჩა მხოლოდ ეს, წარსულში ჩარჩენილი ყველაფერი! არადა, თითქოს, ჰო, თითქოს გრძელდება ცხოვრება, ბრუნავს, გარშემო დაძრწის, ჩემ ირგვლივ და ჩემ გარეშე. თითქოს ჩამქრალია, ჩაფერფლილი. ხანდახან ბრუნდება რეალობა, მაშინ, როდესაც ნაცნობი ხმა მესმის, ნაცნობ სილუეტს ვხედავ, მაგრამ მაშინაც ეს წარსულიდან გამონაყოლი შეგრძნებების მოგონებაა და მეტი არაფერი და მაშინ ვგრძნობ, რომ ეს წარსულია მხოლოდ, მხოლოდ წარსული და მასში დარჩენილი ყველაფერი! და მერე მინდება ტირილი, სიცილი და შეგრძნებები... არადა, მართლა ყველა გრძნობა კვდება! კლეოპატრა.

• შენ ერთადერთი და განუმეორებელი ხარ, შენი სუფთა, ლამაზი სულით, სევდიანო ქალო. მარიამულ, რუის გზავნილი ვერ ვნახე, ხომ არ დაგვტოვა? მოკითხვა მგზავნელებს.

• აქაურობა მართლაც სასაცოდავეთია და ჯობია, კი არ წავიდე აქედან, არამედ გავიქცეეე. :) ნერვებს არ აჰყვეთ, ამ SMS-ის წაკითხვის შემდეგ. :-) ნაომი.

• სალამი იდუმალ ქალს. ძალიან კარგად გვახსოვს შენი გულუხვობა და ხელგაშლილობა, მაგრამ თავად თქვი, მესიჯობა არ მიყვარსო. გამეცინა, თავს არ გახსენებთ და ნუ წუხდებითო...

• კუტრი, ლაკვასტ, ფლამი, სოფი 17, 18, 19, 20, 21, სალო, მენატრებიიით... თქვენთან მინდააა. უყვარხართ ქეთევანს სიგიჟემდე. ქაჯების დედოფალი.

• გამარჯვება, მარი, „გზა“ და მგზავნელებო, აბა როგორ ხართ? რა ხანია, არ შეგხმიანებივართ, მაგრად კი მომენატრეთ და რა ვიცი, რა ვიცი... ჩემო სევდიანო მეგობარო, მადლობა თბილი მოკითხვისთვის.

• ყველას მოგესალმებით, ერთი ახალბედაც მოგემატეთ. მე მინდა ჩემზე ერთი პატარა ამბავი მოგიყვეთ, ერთი მეგობარი გოგო მყავდა, რომელთანაც თავისუფალი დროის 80%-ს ვატარებდი. ამ გოგომ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, სიყვარული ამიხსნა. ბედის ირონია ისაა, რომ ამ ამბიდან ერთი წლის მერე ანალოგიურ სიტუაციაში აღმოვჩნდი, ოღონდ მე ავუხსენი სიყვარული მეგობარ გოგოს და ეს ურთიერთობაც არ დამთავრდა კარგად. დღეს ორივესთან, ასე ვთქვათ, ლაითი ურთიერთობა მაქვს. ამ ურთიერთობე-

ბიდან ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ ორივე შემთხვევამ გული დამწყვიტა მაგრად. ტყუპი.

• დღეს ცუდ ხასიათზე ვარ, სევდა-ფართი მოვიწყვე. მაინც ვერ შევძელი უშენოდ. კლეოპატრა.

• ეს სიჩუმე ექანება ფიქრთა რაშით, გარიყული შარაგზებით, უჩინარი. დედამიწა უკუნეთით დაფარული, გაოცება უხილავი, იდუმალი... თითქოს ფიქრთა სამეფოში სძინავს ნიმფას, და ღიმილი ბაგეებზე დარჩენია. ოცნებების ტახტრევანზე ზის ფერია და ცეცხლივით ოცნებების, მზის ფერია. გრძნობა ღელავს, გრძნობა ღელავს, ტოკავს გული და ეს ღელვა უჩინარი, მალულია. ეს სიჩუმე ოცნებათა ნანგრევებში, თეთრი რაშით აქანება, მიიჩქარის და ყინული ისე ნელა ხვდება გულში...

•მოეხვია ბროლის წელსა, ვითა სურო უსურვაზი, ქალი მიჰყვა-მოეხვია, როგორც სარო, ალვა ნაზი. შეუერთეს ენება, გრძნობა, სული, გული და ყავაზი, ყველა ასო და ნაწილი, სიყვარულის დასარაზი. და მიესვენნენ ერთურთსა, დამცხრალნი ნდობავნებითა, ქალი ეხვევა, უკოცნის, ყელკისერს, ნება-ნებითა, შემოსალტა მკლავები, ნაკაზმი სურნელებითა, ჩურჩულით უალერსებდა, ხმა მტკნარით მინაზებითა. ანატოლი მოეხვია და გაუხსნა გულის რიდე, სურდა მასაც დაეკოცნა, გულის მკერდი კიდით-კიდე. ვარდი, სპეტაკ გულმკერდს შეუმკობდა. მაგრამ თვალში სხვა რამ ეცა, რაც გონებას გაუკრთობდა, ოქროს ქვებით მოჭედილი, იქ გულქანდი ბრჭყვიალებდა. ზე წამოიჭრა ხელქმნილი, დგას ვითა დანარეტია, ამოიყვირა საზარლად, რაც ყელში ამოეტია. უცქერს თამარი უაზროდ, თვალებით გაშტერებული, ქმარი შესცქერის, ვით ასპიტს, დარდისგან გაბრუებული. მითხარი, აგი გულქანდი, როგორ გარგუნა ბედმამა, თუ ტყვილი მითხრა, იცოდე, შეგრისხოს მამა ღმერთმამა. ტყვილს რაზე გეტყვი, მისმინე, მზემ დამიფაროს შენმამა, იგი გულქანდი გადმომცა, გამზრდელმა ქალმა ჩემმამა. ახლა დამშვიდდი, დაწყნარდი, შენი შიშია ამაო, დედამ გადმომცა ანდერძით, ტანჯვა-წამებით ამაომ. მამის სურათი შიგ ჩადო, ჰა, ნახე ჩემი მამაო და გიმეორებ, დამშვიდდი, შენი შიშია ამაო. რა ესმა ეს ანატოლსა, აემღვრა გრძნობა ანკარა, ბედმა ერთხელაც განცდილი, სიმუხთლე აღარ აკმარა. დედას მოახლის საწოლში, გრძნობა-პატივი აჰყარა, ახლა კი თავის შვილ-დისა, უმანკო სისხლი დაღვარა. უთხრა: თამარ, ყური მიგდე, გაიგონე სიტყვა ჩემი, მე მოახლის სარეცელზე, შემეცვალა დედაჩემი. შენ ხარ ჩემი დედის შვილი, ჩემი შვილი და და — ჩემი, ამის შემდეგ აღარ მინდა, ქვეყანა და თავი ჩემი. ქალი იქვე ჩაიკეცა, თვალთგან ცრემლი თქრიალებდა, ამობურცულ გულის მკერდზე, ის გულქანდი პრიალებდა. ანატოლის ფიქრთა დენა, ფუტკარივით ტრიალებდა, გადაკოცნა თავის შვილი, სიმწარით რომ წრიალებდა. მერე ადგა ანატოლი, ფაფარაყრილ, როგორც მხეცი და თქვა, ერთხელ განგებასა უნებურად გავექეცი. მაგრამ ბედმა არ დამინდო, აღვსდექ, ისევ წავიქეცი, ახლა ბედის ბოროტებას შიგ ბრჭყალებში მოვექეცი. ახლა აღარ გავიქცევი, რაც ვიტანჯე, მორჩა, კმარა, მან შემართა ხანჯალი და თვის შვილს გულში გაუყარა. ამოხეთქა ნორჩმა სისხლმა, ბროლის მკერდი მოუსვარა, ვაი, დედა! შეჰყვირა და წამწამები ჩამოყარა. ყვირილზე კარი შელეწეს, რომ ესმათ კაცის ღრიალი, ანატოლს ხელში ეჭირა, ხანჯალი სისხლმომდინარი. მოსულთ შეჰყვირა, მე მოვკალ, შვილი ბროლგიშრისთმიანი, ეს იყო ჩემი შვილი და ჩემზედვე გახდა ქმრიანი. იქ მყოფებს მოკლედ მოუთხრო, თავის თავგადასავალი, შემდეგ აღმართა ხანჯალი, შვილის გულს გატარებული. გულში ჩაიცა, წინ წარდგა, შეღმუვლა გამწარებულმა და შვილის ცხედარს დაემხო, ხანჯალ გულს გატარებული. წამოიყვანეს, დამარხეს, დაურგეს ყვავილნარები, მას აუსრულეს ანატოლს, თავისი დანაბარები. რომ ერთ საფლავში მარხია, ორივე განაწამები, რომელთ უდროოდ სიკვდილმა, გამოუკეტა კარები. თავს დაუდგეს მარმარილო, ერთ საფლავში მარად მძინართ, ეპიტაფია დასწერეს, საფლავში დამარხულთა მიმართ. „ამ საფლავში ჩაწვენილნი, ჩვენ ცუდ ბედზე გაჩენილვართ, და-ძმა-ცოლ-ქმარმამა-შვილი, ერთ საფლავში ვაწვენივართ".

• კიდევ ერთ „გზიდან" წასულს მოვიკითხავ. ვეტყვი, რომ ძაან მიყვარს და ვაფასებ. მის თემებსა და გზავნილებს უდიდეს პატივს ვცემ! ვიცი, დაბრუნდება და კვლავ გაგვამხიარულებს თავისი ნაწერებით. ასე რომ, ველოდები შენს დაბრუნებას და დანარჩენს მერე დავწერ შენზე... :)

• ამ სავსე ჭიქითა და წრფელი გულით იმ კაცს გაუმარჯოს, ვაჟკაცი რომ ჰქვია! გაიხარე, იხარე და იდღეგრძელე, მრავალჟამიერ! ყველას გეხუტეთ გულებში!

• როგორ ხარ, ჩემო ძმაო? ვიცი, შენ სულით ძლიერი ხარ და გაუძლებ. კაცი ტყუილად არ გქვია. ყველას ენატრები. მთავარია, შენ იყო მაგრად. ძალიან მიყვარხარ. გაკოცე ბევრი.

• ჩემო სიცოცხლევ, ჩვენ კარგად ვართ, ბავშვებს ენატრები ძალიან. ნანას — განსაკუთრებით. ტელეფონი წაიღო და თუ შეგიძლია, მობილურზე დამირეკე ხოლმე.

• პრივეტ ყველას! მე ახალი ვარ და პირველად ვამესიჯებ. მაგრად მიყვარხართ ყველა (გამონაკლისებიც არიან) და მინდა, თქვენი ოჯახის წევრად მიმიღოთ. მაკო.

• ცოტა გვიან წავიკითხე და მე-19 ნომერში დაწერილმა მესიჯებმა გული მატკინა. აღმაშფოთებელია. არ მინდა, დავიჯერო. იმედია, მთხრობელი ტყუის.

• სალამი ყველას. მაგარი ხალხით ხართ. განსაკუთრებით მინდა ახლოს გავიცნო ნაომი. მინდა, კარგი და კეთილი მეგობარი შევიძინო მისი სახით. გური.

• ჩემო ლევან, დღეს ორშაბათია, ხვალ ნიკას ზეიმია. კარგად არიან ბავშვები. მენატრები ძალიან. ინტერნეტი გავათიშვინე.

• იცით, ერთი ბიჭი ერთი ნახვით შემიყვარდა. ახლაც თვეში ორჯერ ან ვნახავ ან — არა. რა ვქნა, არ ვიცი. მირჩიეთ რამე, გკვდები! SPOONY.

• როგორ ხართ, ჩემო საყვარლებო და მონატრებულებო? მე დავბრუნდი. პრინციპში, არც წავსულვარ. დროებითი ტაიმაუტი ავიღე და ახალი შემართებითა და მონდომებით მოვედი. ამ ხნის მანძილზე ძალიან მენატრებოდით. ერთმა გოგომ მითხრა, ძალიან დამაკლდი და დაბრუნდიო. ერთგული მკითხველი ვარ „გზის" და რჩევა მინდა თქვენგან. მიყვარს 25 წლის ბიჭი. მე 14 წლის ვარ. თან ეს ბიჭი ბიძაჩემის ძმაკაცია.



# გილოცავ!

• ბატონ ამირანს: გილოცავ დაბადების დღეს, 27 მაისს, იცოცხლე, იხარე და იბედნიერე, შენს ლამაზ ცოლ-შვილთან ერთად. ყოველთვის ყოფილიყავი შენი ცხოვრებით კმაყოფილი.

• მარტვილის რ-ნი, სოფელ გაჭედილში 25 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ მურად წულაიას. მრავალს დაესწარი, მურიკო, გისურვებ ოცნებების ასრულებას, დიდ სიყვარულს, ბედნიერ მომავალს, შენთვის ძვირფას და საყვარელ ხალხთან ერთად. კეთილი სურვილებით, შენი ნანიკო.

• 28 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს ქალიშვილს, მეგი ხურციას. ჩემო სიხარულო, გისურვებ უდარდელ ბავშობას, ნათელ და ბედნიერ მომავალს. ყოფილიყავი კეთილი, სათნო და მშობლების ამაგის დამფასებელი. გისურვებ ყოველივე კარგს და ლამაზს, რაც კი არსებობს ცხოვრებაში. შენი დედიკო, იდუმალი-ქალი.

• ბატონ ამირანს! გილოცავ დაბადების დღეს, 27 მაისს! იცოცხლე, იხარე და იბედნიერე, შენს ლამაზ ცოლსა და შვილებთან ერთად. იყავი შენი ცხოვრებით კმაყოფილი. ნანული.

• ფიქრია ბაწაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 22 მაისს. უფალი გფარავდეთ შენ და შენს ოჯახს. ბედნიერი იყავი. ეთო.

• ჩემს მონატრებულ, 4 წლის უნახავ შვილს, ნინო ქოქიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთმა ბედნიერი და ჯანმრთელი გამყოფოს, შენს პატარა მარიამთან ერთად. გკოცნით ბევრს.

• წყალტუბოს რაიონში, სოფელ ჩუნეშში ომარ ქუთათელაძეს დაბადების 70 წლის იუბილეს ულოცავს მეუღლე იზოლდა, ათენიდან.

• ჩემს საყვარელ შვილიშვილს, ათუკა მჭედლიშვილს ვულოცავ სკოლის დამთავრებას და 24 მაისს 18 წლის შესრულებას. წარმატებით გევლოს შენი ცხ-

ოვრების ახალ საფეხურზე. გკოცნი, მიყვარხარ და მენატრები ძალიან. შენი დალი ბებო.

• დიმიტრი გოგოლაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სულის სიმხნევეს, ლამაზი დღეების სიმრავლეს. მაკა.

• ქეთი ნანდოშვილო, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ სიხარულს და ბედნიერებას. მომავალ წელს სტუდენტისთვის მომელოცოს.

• საყვარელ ბიძაშვილებს, მაკა და ნანი კილაძეებს ვულოცავ დაბადების დღეს — 30 და 31 მაისს. ჯანმრთელობას, ბედნიერებას და უფლის წყალობას გისურვებთ.

• სალო, ჩემო სიხარულო, თვალებბრიალა და სასახელო შვილო, 26 მაისს გილოცავ დაბადების დღეს, მრავალს დაგასწროს უფალმა, გქონოდეს ბედნიერი და უდარდელი ბავშვობა, ყოფილიყავი კეთილი და სპეტაკი გულის მქონე, საამაყო ქართველი ქალი, მშობლების ამაგის დამფასებელი და მუდამ სიკეთის მთესველი.

• ჩემს დეიდაშვილს, ირინა მაისურაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 21 მაისს. უბედნიერესი ყოფილიყავი, შენს ახალშექმნილ ოჯახთან ერთად. ყველას გვიყვარხარ.

• დაბადების დღეს, 21 მაისს ვულოცავ ნანა ქაცარავას. ვუსურვებ წინსვლას, გამძლეობას და ყველაფერ საუკეთესოს. უფალმა დაგლოცოს და სწორ გზაზე გატაროს!

• ჩემო საყვარელო დედიკო, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს, შვილებთან ერთად. ულევ სიხარულს გისურვებ. ქეთი.

• თიანეთში, თათია მანაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. უფალი და ღვთისმშობელი გფარავდეს, ჩემო პატარავ. გკოცნი, შენი ნატო დეიდა.

• თბილისში, პატარა სვანს, ვალერი ავალიანს ვულოცავ დაბადების დღეს. გფარავდეს უფალი და ღვთისმშობელი. გკოცნი.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ, უძვირფასეს და უსაყვარლეს დისშვილს, ლაშა გელაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 25 მაისს. დეიდას სიხარულო და სილაღევ, მრავალი შენი დაბადების დღე გვზეიმოს ჯანმრთელს, ბედნიერს და გახარებულს! ლამაზი სიყვარული, სიკეთე და სიხარული ყოფილიყოს შენი ცხოვრების თანამგზავრი! გისურვებ ყველაფერ კარგს და საუკეთესოს! უფალი გფარავდეს, ყველგან და ყოველთვის! გულო.

• 26 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს საყვარელ რძალს, ნაილის. ყოველთვის მხიარული ყოფილიყავი და შენით გვეამაყოს. ღმერთი გფარავდეთ.

• 29 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მეუღლეს, ნოდარ მანაგაძეს. ვუსურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას, საყვარელ შვილებთან და შვილიშვილთან ერთად. მენატრები ძალიან. გამაგრდი. მეუღლე, თინა.

• ჩემს თვალით უნახავ შვილიშვილს, მაიკო ნოზაძეს 31 მაისს ვულოცავ 6 წლის შესრულებას. გისურვებ, ჩემო ანგელოზო, ჩემო სიცოცხლევ, ჯანმრთელი და სასახელო გოგო გაიზარდო. გკოცნის შენი ბებო.

• ბექა ლაბარტყავას ვულოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. იხარე და იბედნიერე. ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს.

• ქუთაისში, ავთო სირბილაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 17 მაისს. მიყვარხარ და მენატრები ძალიან. გოგლა.

• ათენში გაცნობილ კარგ ადამიანს, სოფიკოს ვულოცავ დაბადების დღეს, 31 მაისს. ვუსურვებ კარგად ყოფნას, ჯანმრთელობას და სურვილების ასრულებას. ვარდობის თვეში დაიბადე და ია-ვარდებით ყოფილიყოს თქვენი გზა მოფენილი.

• ჩემს მონატრებულ შვილს, ლაშა გაბუნიას ვულოცავ დაბადების დღეს, 21 მაისს. დედას პატარავ, გისურვებ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს ძმებთან ერთად. ალავერდს ვთხოვ, დაგიფაროს, ბეთანია გწყალობდეს, ნიკორწმინდამ ჩაგიხუტოს, გელათი კი გყვარობდეს, შენთვის წვიმამ გადაილოს, ნუში მუდამ ყვაოდეს, ღმერთმა ტკბილად დაგაბეროს, სიყვარულით ხარობდე. ღვთისმშობელი შეგეწიოს, უფლის მადლი გწყალობდეს.

23 მაისს დაბადების დღეს ვულოცავ ჩემს მონატრებულ შვილს, ნიკა ცოტავას. სიხარული, სიყვარული ყოფილიყოს შენს ცხოვრებაში, უფალი გფარავდეს. შენი მონატრებული დედა.

ჩემს ლამაზ, მონატრებულ ძმისშვილს, ბექა ლოლაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 მაისს. ჯანმრთელობა და ღვთის წყალობა არ მოგკლებოდეს, შენს საყვარელ დედ-მამასთან ერთად. გკოცნის შენი მამიდა.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**



დასაწყისი იხ. გვ. 17

დამალონა. ემიგრანტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ წარმომიდგენია, თუნდაც გურჯი ხათუნის მაგალითზე, რას განიცდის სამშობლოდან გადახვეწილი ქართველი ადამიანი. ყველა ქართველს ვურჩევ, რომ ეს ნაწარმოები აუცილებლად წაიკითხოს...

**ეკატერინე აფხაზავა,** *უცხო ენების სპეციალისტი:*

— ძალიან საინტერესო ისტორიული ნაწარმოებია. რუსუდანის ასულის, თამარის ოსმალეთში გადახვეწაზე მწირი ინფორმაცია კი მქონდა, მაგრამ ტურაშვილის ნაწარმოების შემდეგ მასზე გაცილებით მეტი რამ შევიტყვე. მაგალითად, არაფერი ვიცოდი, თუ მას საქართველოდან ახალგაზრდა ვაჟი, ორბელიანი გაჰყვა, რომელმაც თავი მისიონერად გამოაცხადა და ცდილობდა, ოსმალეთის ქართველი დედოფლის, გურჯი ხათუნის გვერდით ყოფილიყო. მან ამ სიყვარულს თავიც შესწირა. მიუხედავად იმისა, რომ კაპადოკიაში ნამყოფი ვარ, არც ის ვიცოდი, თუ წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი სწორედ ამ ქართველი დედოფლის მონდომებით იქნა აგებული. როგორც ტურაშვილის მიერ მოძიებული მასალებითა და წერილებით შევიტყვე, ამ ტაძრის მშენებლობის დასრულების შემდეგ, გურჯი ხათუნი აღარავის უნახავს. სევდიანი დასასრულია... ჟურნალ „ლიტერატურული პალიტრის“ ახალი პროექტის შესახებ უკვე შევიტყვე და დათო ტურაშვილის ეს წიგნიც შევიძინე. ახლა „გურჯი ხათუნი“ ჩემი სამაგიდო წიგნია, რადგან უკვე აღარც კი მახსოვს, მერამდენედ გადავიკითხე...

**თამარ ბუზალაძე,** *ჟურნალისტი:*

— „გურჯი ხათუნი“ მართლაც საინტერესო ნაწარმოებია. დათო ტურაშვილის შემოქმედების ცოდნით დიდად ვერ დავიკვეხნი, თუმცა მისი რომელი წიგნიც კი წამიკითხავს, მგონია, რომ მათ შორის „გურჯი ხათუნი“ საუკეთესოა. გურჯი ხათუნის ტრაგიკული ბედის შესახებ ინფორმაცია ნამდვილად მქონდა, მაგრამ მისი სულიერი ტკივილი და სევდა ტურაშვილის მეშვეობით გავაცნობიერე. „ლიტერატურულმა პალიტრამ“ ნამდვილად კარგი პროექტი წამოიწყო და იმედი მაქვს, რომ ამ ჟურნალსაც და მასთან ერთად გამოცემულ წიგნებსაც არაერთი მკითხველი ეყოლება...

*უნდა გამოვტყდე — „გურჯი ხათუნს“ მეც, ამ მასალაზე მუშაობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე გავეცანი. ნაწარმოებმა იმდენად ალმაფრთოვანა, რომ მას შემდეგ არაერთხელ გადავიკითხე. ყველას ვურჩევ, ეს ნაწარმოები წაიკითხოს და შესაძლოა, ერთ-ერთი ჩემი რესპონდენტივით, სამაგიდო წიგნადაც ექცეს...* ■



# ტაიმ-აუტი

## სამყაროს სუსტი სქესი მართავს

კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერმა არგენტინის პრეზიდენტის პოსტზე საკუთარი მეუღლე — ნესტორ კირშნერი შეცვალა. პრეზიდენტობამდე ქალი ადვოკატად მუშაობდა. ჰყავს ორი შვილი. რეიტინგის მიხედვით, კრისტინა დე კირშნერი ყველაზე ლამაზი პოლიტიკოსი ქალია.

2006 წლიდან ლიბერიის (ქვეყანა დასავლეთ აფრიკაში) პრეზიდენტი ელენ ჯონსონ-სერლიფია. ჰარვარდის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ელენმა ლიბერიის ფინანსთა მინისტრის თანაშემწედ დაიწყო მუშაობა. ცოტა ხანში ქვეყნის ფინანსთა მინისტრი გახდა, მიუხედავად იმისა, რომ 3 მლნ დოლარის გაფლანგვაში დაადანაშაულეს. მინისტრი მმართველ ხელისუფლებას აკრიტიკებდა, რის გამოც ქვეყნიდან 10 წლით გააძევეს. ლიბერიის ხელისუფლების შეცვლამდე ჯონსონ-სერლიფი „სითიბანკის" აფრიკული განყოფილების ვიცე-პრეზიდენტიც იყო, სამშობლოში დაბრუნებისთანავე კი ლიბერიის პრეზიდენტად აირჩიეს. პრეზიდენტი განქორწინებულია და 4 ვაჟი ჰყავს.

გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი (მისი სრული სახელი და გვარია: ანგელა დოროთეა კასნერი-მერკელი) პროფესიით ფიზიკოსია. „მერკელი" მისი პირველი ქმრის გვარია. ახლა ფრაუ კანცლერს მეორე ქმარი — ფიზიკოსი, იოახიმ ზაუერი ჰყავს, რომელსაც ირონიულად, „ჰერ მერკელს" ეძახიან. ჟურნალ „ფორბსის" ვერსიით, ანგელა მერკელი ყველაზე გავლენიანი პოლიტიკოსი ქალია.

2000 წლის 1-ელ მარტს ტარია ჰალონენი ფინეთში პირველი ქალი-პრეზიდენტი გახდა. პროფესიით ადვოკატია. მშობლიური ფინურის გარდა, ფლობს: შვედურ, ინგლისურ და გერმანულ ენებს. ქალბატონი ტარია მეორედაა გათხოვილი. პირველი ქორწინებიდან ქალიშვილი, ანა ჰყავს. მისი ამჟამინდელი ქმარი, პენტი არაიარვი ცოლზე 5 წლით უმცროსია. ჰალონენის გაპრეზიდენტებამდე ისინი 16 წელი სამოქალაქო ქორწინებაში ცხოვრობდნენ, რის გამოც პრესა ბატონ არაიარვის ხან „ჰალონენის ცხოვრების მეგზურს", ხან „ქმარს" და ხანაც, „პრეზიდენტის მამაკაცს" ეძახდა.

ინდოეთი საპარლამენტო ქვეყანაა, მაგრამ პრეზიდენტიც ჰყავს და ამ თანამდებობის დაკავება არცთუ ისე ადვილია, მით უმეტეს — ქალისთვის. 2007 წლიდან ამ პოსტს პირველი ქალი-პრეზიდენტი, პრატიბა პატილი იკავებს (ინდირა განდი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი იყო). პატილი პოლიტიკით 27 წლიდან დაინტერესდა. მანამდე კოლეჯში სწავლის დროს სილამაზის კონკურსში გაიმარჯვა. შემდეგ ადვოკატად მუშაობდა. პრეზიდენტის მეუღლე მუმბაის ინსტიტუტის ქიმიის პროფესორია. მათ ორი შვილი ჰყავთ.

ირლანდიის პრეზიდენტი, მერი მაკელისი (ლენეგანი) სკოლაში საუკეთესო მოსწავლე იყო. ბელფასტის სამეფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იურისტის დიპლომი მიიღო. 24 წლისა დუბლინის უნივერსიტეტის ყველაზე ახალგაზრდა პროფესორი იყო. ერთი პერიოდი ირლანდიის რადიო-ტელევიზიაში ჟურნალისტად და ტელეწამყვანად მუშაობდა. პრეზიდენტობის პერიოდში, საკუთარი ინიციატივით, ხელფასი 10%-ით დაიკლო. მერის მეუღლე (სტომატოლოგი, მარტინ მაკელისი) და სამი შვილი ჰყავს.

მერი მაკელისი თავისი ქვეყნის ისტორიაში მეორე ქალი-პრეზიდენტია, რომელმაც ხელისუფლება ასევე ქალბატონისგან — მერი რობინსონისგან ჩაიბარა.

ლიტვის პრეზიდენტი, დალია გრიბაუსკაიტე პროფესიით ეკონომისტია. კარატეში შავი ქამრის მფლობელია. პრეზიდენტობამდე ერთი წლით ადრე, 2008 წელს დალია „წლის ქალად" აღიარეს. გრიბაუსკაიტე ერთადერთი ქალი-პრეზიდენტია, რომელიც გათხოვილი არ ყოფილა.



პრატიბა პატილი



მერი მაკელისი



კრისტინა ფერნანდეს დე კირშნერი



ანგელა მერკელი



დალია გრიბაუსკაიტე



ელენ ჯონსონ-სერლიფი

მოამზადა რუსუდან ბელაშვილმა

# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის წიგნები



## ფერიების ამბები

გვ. რაოდ.: 9გვ.მუყაო
ყდა: ბალიშა
იცი, რა შეუძლია ამ ჯადოსნურ პაზლებს? ხუთივე გვერდების პაზლები ერთმანეთში აურიე, შემდეგ წაიკითხე ამბები. პაზლებით ააწყვე შვენიერი სურათები, რომლებიც ამ ამბებს ნახატებით მოგიყვებიან.

ფასი: 11.99



## ტყის ამბები

გვ. რაოდ.: 9გვ.მუყაო
ფასი: 11.99
ყდა: ბალიშა
ეს შესანიშნავი პაზლებიანი წიგნი ხუთ პატარა, სახალისო ამბავს მოგითხრობს. პაზლები ერთმანეთში აურიე, შემდეგ წაიკითხე ტყის ამბები და შეეცადე, ეს მხიარული თავგადასავლები პაზლების საშუალებით ლამაზ ნახატებად აქციო.

ფასი: 11.99

## თუთიყუშ ჟაკოს თავგადასავალი



ფორმატი: 21.61 X 30.52
გვ. რაოდ.: 88
ყდა: მაგარი
მისი თავგადასავალი ხალისიანი, მიმზიდველი და მომნუსხველია. კითხულობ და ჟაკოსთან ერთად განიცდი, გიყვარს, გეშინია, ხან გაოცდები, ხანაც გულიანად იცინებ... მოკლედ, ეს არის შემეცნებითი პოემა ყველასათვის, ვისაც იტაცებს მოგზაურობა საინტერესო ამბებისა და ადამიანების სამყაროში. თუ კითხვით დაიღლებით, ჩართეთ თანდართული დისკი. მისი მეშვეობით, ამ საოცარ ისტორიას მსახიობი რამაზ იოსელიანი მოგიყვებათ.

ფასი: 19.99

## დინოზავრები



ფორმატი: 25.5X28.5
გვ. რაოდ.: 10
ყდა: მაგარი
ეს სამგანზომილებიანი წიგნი, თავისი მოძრავი ილუსტრაციებით დინოზავრებს თქვენს წინაშე ცოცხლად წარმოაჩენს! იმოგზაურე დინოზავრების საოცრებებით აღსავსე ერაში. აქ შეხვდებით უზარმაზარ, მრისხანე მტაცებლებს. გაიგებთ თუ რომელი დინოზავრი ითვლება ყველა დროის უდიდეს მფრინავად და რა თავდაცვითი მექანიზმები გააჩნია ეულოცეფალუსს!

ფასი: 16.99

## გაიგე, რა როგორ მუშაობს!




ფორმატი: 21X27
გვ. რაოდ.: 120
ყდა: მაგარი
წიგნი მარტივი და გასაგები ენით განუმარტავს პატარა ცნობისმოყვარეებს 250 მნიშვნელოვანი ნივთის, დანადგარისა და მოწყო ბილობის მოქმედებას. აუხსნის მათ რა მექანიზმით მუშაობს კომპიუტერი, მიკროტალღური ღუმელი, ბანკომატი, მობილური ტელეფონი და მრავალი სხვა საყოფაცხოვრებო ნივთი თუ ხელსაწყო!

ფასი: 21.99

## გამოგონებები

(წიგნი მოძრავი სურათებით)




ფორმატი: 28X29
გვ. რაოდ.: 14
ყდა: მაგარი
ამ წიგნის დახმარებით ბავშვები გაიცნობენ დიდ გამომგონებლებს, რომლებმაც სხვადასხვა დროს მრავალი საოცარი გამოგონებით შეცვალეს სამყარო.

ფასი: 19.99

*შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!*

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 38 26 73; 38 26 74 www.elva.ge

## გონების სავარჯიშო

### „გზის“ ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი

1. ასტრონავტმა ალან შეპარდმა ყველასგან დაუკითხავად, მთვარეზე თავისი საყვარელი სპორტული ინვენტარი წაიღო. კერძოდ რა?

2. დაასახელეთ ჯონ ლენონის მეორე სახელი.

3. რომელი ომი გაგრძელდა 13 თვე და 13 დღე?

4. რა სიტყვები იყო ამოკვეთილი ერეკლე II-ის ხმალზე?

5. რას შეისწავლის ბონისტიკა?

6. დაასახელეთ მდინარე, რომელიც ამერიკის ათი შტატის ტერიტორიაზე მიედინება.

7. რა არის კალმუხი?

8. ვინ მღეროდა ამ სიტყვებს: „მე ასეთი დავრჩები, თუ გამიძლებს დრო, იოლად მისაჩვევი, როგორც თამბაქო“?

9. დაასახელეთ ინგლისელი მწერალი, რომლის მოკვეთილი თავი რამდენიმე თვე ეკიდა ლონდონის ხიდზე. ბოლოს მისმა ქალიშვილმა გამოისყიდა და დაასაფლავა.

10. „ჩვენ შორის თუ არის ვინმე ეკონომისტი?“ — უკითხავს რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ფიდელ კასტროს თანამებრძოლთათვის. პასუხად ერთ კაცს აუწევია ხელი, რის შემდეგაც კუბის ეროვნული ბანკის პრეზიდენტად დაუნიშნავთ. მოგვიანებით ამ კაცმა აღიარა, — კასტროს ნათქვამი კარგად ვერ გავიგონე, მეგონა, იკითხა, ჩვენ შორის თუ არის ვინმე კომუნისტიო? დაასახელეთ იგი.

11. ვინ შემოიღო პირველად საგზაო მოძრაობის წესები?

12. დაასახელეთ ნაგებობა, რომელმაც მცენარეთა ევოლუციის პროცესზე მოახდინა ზეგავლენა.

13. ვინ გადაიღო ფილმი „შვიდი სამურაი“?

# ანეკდოტები



***

ცოლი ეკითხება ქმარს:

— სად იყავი, ძვირფასო?

— დავრბოდი.

— მაისური რატომ გაქვს სისხლიანი და თვალი დალურჯებული?

— დამეწივნენ!

***

რეპორტაჟი სკოლიდან: „აბრამოვიჩის შვილის სასკოლო თემის — „როგორ გავატარე ზაფხული“ — გასწორებისას მასწავლებელს შურისა და ბოლმისგან სამჯერ მოუვიდა გულის შეტევა.

***

სამამულო ომის დროს სოფლის სადალაქოში წვერის გასაპარსავად შესულ კლიენტებს დალაქი ტყვიის ორ ბურთულას აძლევდა, რომ როგორმე ჩაცვენილი ლოყები გაეპარსა.

— კი, მაგრამ რომ გადამეყლაპოს? — იკითხა ჭიჭიკიამ.

— რა მოხდა, შე კაცო?! აგერ ბიქტორამაც კი გადაყლაპა, მარა ქე მომიტანა მეორე დღეს, — დაამშვიდა დალაქმა.

***

— რატომ ჰქვია მარტორქას მარტორქა?

— რატომ და ეს ცხოველი რომ გაჩნდა ამქვეყნად, ტანი ბეჰემოთმა მისცა, ფეხები — სპილომ, თავი — ღორმა, მარტო რქა იყო მისი და ამიტომ დაარქვეს მარტორქა.

— მასე შაქროიამ ცოლი რომ მოიყვანა, ბინა სიდედრმა მისცა, მანქანა — ცოლისძმამ, ფული — სიმამრმა... და რა ჰქვია ახლა მაგ პრინციპით შაქროიას?

***

საკონცენტრაციო ბანაკი. გაზის კამერაში ებრაელები შერეკეს და უკვე კარი უნდა დაკეტონ. უეცრად გენერლის თანაშემწე ყვირის:

— მოიცადეთ, კარი არ დაკეტოთ! მეტლახის დაგება თუ იცით რომელიმემ? გენერალს აივნის მოპირკეთება უნდა.

ხალხს ერთი კაცი გამოეყოფა:

— რამდენს გადამიხდის?

— კვადრატული მეტრი — 1 მარკა.

— მაგ ფასად თვითონ დააგოს! დაკეტეთ კარი!

***

თვითმფრინავის პილოტი აფრენისას აცხადებს:

— ძვირფასო მგზავრებო, ლაინერი მიფრინავს 10 ათას მეტრ სიმაღლეზე. ტემპერატურა ნორმალურია. გისურვებთ ბედნიერ მგზავრობას!

კაპიტანმა ჩართო ავტოპილოტი, მაგრამ მიკროფონის გამორთვა დაავიწყდა, გაიზმორა სავარძელში და ჩაილაპარაკა:

— აუჰ! ახლა რას გაასწორებდა ფინჯანი ყავა და ქალი!

მგზავრებს გაეღიმათ. სტიუარდესა კაბინისკენ გაიქცა კაპიტნის გასაფრთხილებლად, რომ მგზავრების სალონში ყველაფერი ისმის. ერთმა მგზავრმა მიაძახა:

— ყავა არ დაგავიწყდეს, გოგონი!

***

— წუხელ დავინახე, ვიღაც პიჯაკს რომ გხდიდა.

— მერე რატომ არ მომეხმარე?

— რა ვიცი, ვიფიქრე, — ამ უპატრონოს ორი პიჯაკი რად უნდამეთქი?!



***

— რას მოღვაწეობ?

— ლანდშაფტის დიზაინერი ვარ!

— რა მაგარია!.. მაინც რას აკეთებ?

— ბულდოზერზე ვმუშაობ!

***

უთენია სახლიდან წასული მიხო გვიან დაბრუნდა ვენახიდან. ცოლმა უსაყვედურა:
— სადა ხარ, კაცო, რას მაიკალ თავი მუშაობითა და შიმშილითა. შენს მომლოდინეს არც მე მიჭამია ლუკმა, ა, ესე ვზივარ და გიცდი.
— რა უნდა მექნა, ქალო, არ მივხმარებოდი გაჭირვებაში ჩავარდნილ კაცსა?! ჩვენი შაქრუას მამა, გივია კაკლი ხიდან ჩამოვარდნილიყო, ეგეთ ბუწკნარში იყო გაჩხერილი, მთელი სოფელი დაეხვია თავზე და ვერ გამაიყვანეს.
— შენ როგორღა შეხველ ბუწკნარში, რკინის პერანგი გეცვა?
— იქ რა შემიყვანდა, ქალო?! წავუკიდე ცეცხლი იმ ბუწკნარსა და გამოვარდა ის შენი გივია გარეული ტახივითა. იგრე იყო დამფრთხალი, რო სოფლის ბოლოში ძლივას დავიჭირეთ!..

***

მძღოლი ეკითხება პოლიციელს:
— აქ მარცხნივ მოხვევა არ შეიძლება?
— როგორ არ შეიძლება, ოღონდ ფასიანია...

***

მარო ბოსტანში საქმიანობს. მეზობელი ქალი გადმოსძახებს:
— მარო, ბოსტანში საფრთხობელას რატო არა დგამ? ჩიტებს დააფრთხობდა.
— რათ მინდა, სულ აქ არა ვარ?!.

***

მოშეს კლასელები დასცინიან, დებილიაო. მასწავლებელმა ბავშვები დატუქსა:
— გცხვენოდეთ! როგორ შეიძლება ამხანაგზე ასე ლაპარაკი?!
— მასწავლებელო, აბა, მიეცით ხუთშეკელიანი და ათშეკელიანი მონეტები და ნახეთ, რომელს აირჩევს.
გაკვირვებულმა მასწავლებელმა მართლაც, შესთავაზა ფული და მოშემ ხუთშეკელიანი მონეტა აირჩია.
— ხომ გითხარით, მასწავლებელო, დებილია-მეთქი, — ახარხარდნენ ბავშვები.
— კარგი, ბავშვებო, შედით საკლასო ოთახში. შენ კი მოშე, აქ მოდი.
— გისმენთ, მასწავლებელო.
— რატომ აირჩიე ხუთშეკელიანი მონეტა?
— იმიტომ, რომ უფრო დიდია.
— კი, მაგრამ ათშეკელიანით ხომ უფრო მეტი რამის ყიდვა შეგიძლია.
— ვიცი.
— აბა, რატომღა ირჩევ ხუთშეკელიანს?
— კარგი, გეტყვით, მაგრამ იმათ არ უთხრათ, კარგი?
— გპირდები!
— მე რომ ერთხელ მაინც ავიღო ათშეკელიანი მონეტა, ვინ რაღას შემომთავაზებს მერე?

***

ეზოში მაყრიონი შემოვიდა სიმღერით: „ვისია, ვისია, ქალიი ლამაზიი...“
— ახლა არკვევთ, თქვე შობელძაღლებო?! — გაბრაზდა მიხო.

***

მიხოს უზარმაზარი ტომარა აქვს მოკიდებული და ხვნეშით მიდის.
— ფქვილია, მიხო? — ეკითხება მეზობელი.
— არა, ჯო, მიწაა! მთელი კახეთის მიწები დაყიდეს და გულზე დასაყრელად უნდა შემოვინახო!



## გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. გოლფის ჯოხი და ბურთები.
2. უინსტონი.
3. აფხაზეთის ომი.
4. „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“.
5. ქაღალდის ფულს.
6. მისისიპი.
7. ცხვრის ტყავის ქუდი.
8. ირაკლი ჩარკვიანი.
9. თომას მორი (განთქმული „უტოპიის“ ავტორი).
10. ერნესტო ჩე გევარა.
11. იულიუს კეისარმა.
12. ჩინეთის კედელი.
13. აკირა კუროსავამ.

## ჩვენი ფოტო გალერეა



# ჰოროსკოპი

## 26 მაისი - 1 ივნისი

### ვერძი

კარგი პერიოდია ქორწინებისთვის, რომანტიკული მოგზაურობისთვის. გარშემო მყოფებზე ჭორებს ნუ გაავრცელებთ. უქმეებზე საინტერესო პიროვნებას გაიცნობთ.

### კურო

სამსახურში წარმატებას მიაღწევთ. დანაზოგით ახალი ნივთები შეიძინეთ. თუ მეგობრების დაკარგვა არ გსურთ, ფული არ ასესხოთ. უქმეებზე ნათესავებისგან სასიამოვნო ამბებს შეიტყობთ.

### ტყუპები

შესაძლოა, ძველი სასიყვარულო ურთიერთობა აღადგინოთ. გავლენიანი ადამიანები პრობლემების მოგვარებაში დაგეხმარებიან. მეტი ყურადღება დაუთმეთ ბავშვებს. უქმეები მეგობრებთან ერთად გაატარეთ.

### კირჩხიბი

მემკვიდრეობას მიიღებთ და ამის წყალობით, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას შეძლებთ. პარასკევს განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ სამართალდამცველებთან ურთიერთობისას. ბევრი საქმის გამო უქმეებს სამსახურში გაატარებთ.

### ლომი

საინტერესო ადამიანებთან შეხვედრა და ფილოსოფიურ თემებზე საუბარი მოგიწევთ. აზარტულ თამაშებს არ გაეკაროთ. ელექტროხელსაწყოების შეკეთება ხელოსანს მიანდვეთ. დროა, საზაფხულო გეგმები დასახოთ.

### ქალწული

სამსახურში წინსვლა გელით. მეუღლესთან კონფლიქტს მშობლების ჩარევის შემდეგ მოაგვარებთ. ყველა საიდუმლოს ახლო მეგობრებსაც ნუ გაანდობთ. წარმატების მისაღწევად თავდაუზოგავი შრომა მოგიწევთ.

### სასწორი

კარგი პერიოდია სწავლისა და მოგზაურობისთვისაც. პარასკევს ბევრი პრობლემის გადაჭრა მოგიწევთ. მეტი სიფრთხილე გმართებთ ფულის ხარჯვისას. უქმეებზე საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებთან შეხვედრები გელით.

### მორიელი

ნუ დააბანდებთ ფულს საეჭვო საქმეში, ნურც გაასესხებთ თანხას. კარგი პერიოდია სასიყვარულო ურთიერთობისთვის. გამონახეთ დრო და აუცილებლად გადით ქალაქგარეთ და ივარჯიშეთ.

### მშვილდოსანი

განსაკუთრებული მობილიზება გმართებთ პარასკევს. შესაძლოა, თანამშრომლებთან ან მეუღლის ნათესავებთან კონფლიქტი მოგიხდეთ. დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. უიკ-ენდი შეყვარებულთან ერთად გაატარეთ.

### თხის რქა

ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. უამრავ საოჯახო თუ სამსახურებრივ საქმეს მოაგვარებთ. ჭორიკანა მეზობლებს ყურს ნუ დაუგდებთ. უქმეებზე რაღაც შეცვალეთ საცხოვრებელი ბინის ინტერიერში.

### მერწყული

მთელი კვირის განმავლობაში რომანტიკული განწყობილება გაგყვებათ. შეყვარებულთან ერთად თეატრში ან კონცერტზე წადით. უქმეებზე მეგობრებთან ერთად ქალაქგარეთ პიკნიკი მოაწყვეთ.

### თევზები

კარგი პერიოდია ბინის ან აგარაკის გასარემონტებლად. მეტი მზრუნველობა გამოიჩინეთ ახლობლების მიმართ. პარასკევს ახალი საქმეები არ წამოიწყოთ. უქმეებზე ახალი ელექტროხელსაწყო შეიძინეთ.

## ტიბეტური ჰოროსკოპი ზოდიაქოს აღმოსავლური ნიშნებისთვის

**(გაგრძელება. დას. იხ. „გზა“ №20)**

### დრაკონის წელს დაბადებული

**მამაკაცი** — სიმდიდრეს ვერ დააგროვებს, მაგრამ უზრუნველად იცხოვრებს. უიღბლოა ქორწინება ძაღლთან და ვირთხასთან. უნდა მოერიდოს პანაშვიდებზე სიარულს. კრიტიკული ასაკია — 4, 8, 39, 56 და 60 წლები.

**ქალი** — თუ ქორწინებაში არ გაუმართლა, გაიტანჯება. ერთგული და გულისხმიერი მეგობარია. უნდა გაუფრთხილდეს თავს, სახსრებსა და კბილებს. მოერიდოს წყალსა და ცეცხლს. კრიტიკული ასაკია — 1, 28, 52, 65 და 80 წლები.

### გველის წელს დაბადებული

**მამაკაცი** — შემოდგომასა და ზამთარში დაბადებული გამდიდრდება. უიღბლოა ქორწინება გველთან, ვირთხასთან და ხართან. 16 წლისას ოცნება აუხდება. 20-30 წლის ასაკში განსაკუთრებით უნდა გაუფრთხილდეს ჯანმრთელობას. კრიტიკული ასაკია — 7, 8 და 10 წლები.

**ქალი** — კეთილი, ნიჭიერი და ლამაზია. უამრავი მეგობარი ჰყავს. მატერიალურად არ უჭირს. ცხოვრებაში რამდენჯერმე მოუწევს სირთულის გადალახვა. კრიზისული ასაკია — 37, 40, 55, 64 და 72 წლები.

### ცხენის წელს დაბადებული

**მამაკაცი** — ინტელექტუალია. დიდხანს იცოცხლებს. შემოდგომასა და ზამთარში დაბადებული მატერიალურ კეთილდღეობას მიაღწევს. რამდენჯერმე დაქორწინდება. უიღბლოა ქორწინება თაგვთან, იღბლიანია კურდღელსა და ღორთან. სახიფათო ასაკია: 51 და 83 წლები.

**ქალი** — ლამაზი და დახვეწილია. შინაურებთან აგრესიულია, ქმართან — მომთმენი და მოსიყვარულე. გაზაფხულსა და ზაფხულში დაბადებული იღბლიანია. კრიტიკული ასაკია: 5, 10 და 75 წლები.

### ცხვრის წელს დაბადებული

**მამაკაცი** — სიმდიდრეს საკუთარი შრომით დააგროვებს. თებერვალში, ივნისსა და ოქტომბერში დაბადებულს ქორწინებაში გაუმართლებს. მარჯვენა ხელზე თუ ხალი აქვს, გოგონები გაუჩნდება. კრიტიკული ასაკია: 11, 60 და 70 წლები.

**ქალი** — წყენას ადვილად ივიწყებს. ბავშვობაში მოერიდოს წყალსა და ცეცხლს. შემოდგომასა და ზამთარში დაბადებული იღბლიანია. უიღბლოა ქორწინება ხართან. კრიტიკული ასაკია: 5, 17, 40 და 58 წლები.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**



1. სიმებიანი მუს. საკრავი
2. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
3. რისამე გარეგნული მხარე
4. საწვიმარი
5. სრული უწესრიგობა
6. ქრისტეშობის თვე
7. ვალის წინდი
8. დარდი
9. ზის ფეხსაცმელი
10. ამერიკის შტატი
11. ხელის ნაწილი
12. ლაფი
13. დიდი ციმბირული ირემი
14. ქვეყანა აზიაში
15. რუკების კრებული
16. ამერიკის შტატი
17. სამხ. ამერიკის უმაღლესი მწვერვალი
18. ჩეხური ავტომობილი
19. პაემანი
20. სამეკლისო ცეკვა
21. ეკლესიიდან განდევნა
22. მთამსვლელი
23. მინდვრის ყვავილი
24. ესპანელი პოეტი გარსია ...
25. ბოსტნეული
26. ახალგამოჩეკილი თევზი
27. ქვეყანა ევროპაში
28. ქვეყანა აზიაში
29. სახე გვერდიდან
30. სპორტიანი ხასმელი
31. ჭრილობა
32. ჭაობის მცენარე
33. ეგვიპტის მეფეთა ტიტული
34. პატივმოყვარეობა
35. პირის ღრუს ნაწილი
36. ფულის ერთეული იაპონიაში
37. შექსპირის ტრაგედია
38. მზის ღმერთი ეგვ. მით.
39. საჭმელი ხოკოს სახეობა




**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. ორნამენტი; 2. აგორა; 3. ჯინგო; 4. ვარნა; 5. გარნირი; 6. ალაო; 7. კუ; 8. სონი; 9. ნალია; 10. სეკატორი; 11. „სიმონა"; 12. მენი; 13. არმადა; 14. მერინოსი; 15. ნიკულინი; 16. ონისე; 17. დოკი; 18. სინემა; 19. ნუკრი; 20. მანილა; 21. ვერა; 22. უმი; 23. ოკლაჰომა; 24. სკამი; 25. ლამფა; 26. მავზოლეუმი; 27. ალენ; 28. ფლამინგო; 29. იარა; 30. ფერია; 31. სირია; 32. იდო; 33. ოლარი; 34. რომი; 35. ნიკე; 36. სპიჩი; 37. მაისი; 38. იან; 39. სინი; 40. ამონი; 41. იო; 42. გირჩა.
**სურათებზე:** 1. ჯეკ ნიკოლსონი; 2. მიშელ პფაიფერი.

# საფირმო კროსვორდი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გ | ა | ე | რ | თ | ე | დ | ა | დ | ა | ი | ს | ვ | ე | ნ | ე | ჩ | ვ | ე | ნ | თ | ა | ნ | ე | რ | თ | ა | დ |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ე | ს | ქ | ნ | ა | კ | ა | ნ | ა | ნ | ნ | ი | ნ | ი | ა | ე | ი | ი | ი | ი | დ | ი | ჟ | ს | ლ | თ | ა | ი |

**შევსების წესი:** უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრედებში ქართულ ანდაზას ამოიკითხავთ.

**გ.** რა ერქვა „კავკასიური ცარცის წრის" მთავარ პერსონაჟს? **ა.** ადამიანის პირისახე წინა მხრიდან. სიტყვა „პროფილის" ანტონიმი; **ე.** საეკლესიო-ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც ეპისკოპოსი განაგებს; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის" ავტორი; **თ.** ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები; **ე.** ციმბირის დამპყრობ კაზაკთა მეთაური; **დ.** ფრანგი მწერალი, რომელსაც საკუთარ ნაწარმოებში „კავკასია" საქართველოში მოგზაურობა აქვს აღწერილი; **ა.** ძველებური რუსული სიგრძის საზომი ერთეული; **დ.** ნადირობის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში; **ა.** რა ერქვა კაცს, რომელიც გიორგი კუჭატნელს შემოაკვდა? **ი.** ამომავალი მზის ქვეყანა; **ს.** სამხრეთ კორეის დედაქალაქი; **ვ.** ქალაქი, სადაც მიმდინარეობს „რომეო და ჯულიეტას" მოქმედება; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **ე.** რა ეროვნების იყო ალბერტ აინშტაინი? **ჩ.** ქალის გრძელი, მსუბუქი მოსასხამი მუსლიმანურ ქვეყნებში, რომელიც სახესაც ფარავს; **ვ.** ქალის პირბადე; **ე.** სევდიანი შინაარსის ლირიკული ლექსი; **ნ.** სოკოების მეფედ წოდებული სოკო; **თ.** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ა.** სიმინდის სამშობლო; **ნ.** რა ერქვა ლენინის ცოლს? **ე.** უძველესი ქართული სახელმწიფო; **რ.** შეკრული და გარეკანში ჩასმული საწერი ქაღალდის ფურცლები; **თ.** ივნისის თვის ძველი ქართული სახელწოდება; **ა.** მთა, სადაც წარღვნის შემდეგ გაჩერდა ნოეს კიდობანი; **დ.** ღვინისა და დროს ტარების ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში;

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

**გ.** გოგჩა; **ზ.** ზვარაკი; **ა.** არჩილი; **გ.** გლაზგო; **ზ.** ზალპი; **ი.** იდილია; **ს.** სოსელო; **თ.** თიანეთი; **ვ.** ვივალდი; **ი.** იტალია; **ს.** სორბონა; **ა.** ანცი; **ო.** ოჩხარი; **მ.** მალტა; **კ.** კეისარი; **ი.** იოსები; **თ.** თასმა; **ხ.** ხრიკი; **ვ.** ვეძისი; **ე.** ეჟვანი; **ლ.** ლუიდორი; **ი.** იორდანე; **ს.** სვე; **თ.** თასი; **ვ.** ვაჩნაძე; **ი.** ილიადა; **ს.** სმოკი; **ა.** აუდი; **ო.** ოტავა.

გამუქებულ უჯრედებში იკითხება:
**ქაჩალი სავარცხლის სიძვირეს ჩიოდა**

# იაპონური სენსაცია
# სუდოკუ

„გზის" წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 4 | 1 | 8 | 6 | 3 | 7 | 2 | 9 |
| 6 | 9 | 3 | 4 | 7 | 2 | 8 | 1 | 5 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 1 | 9 | 4 | 6 | 3 |
| 2 | 8 | 5 | 3 | 4 | 7 | 6 | 9 | 1 |
| 7 | 6 | 4 | 2 | 9 | 1 | 3 | 5 | 8 |
| 1 | 3 | 9 | 6 | 5 | 8 | 2 | 4 | 7 |
| 9 | 7 | 6 | 1 | 3 | 4 | 5 | 8 | 2 |
| 3 | 5 | 8 | 9 | 2 | 6 | 1 | 7 | 4 |
| 4 | 1 | 2 | 7 | 8 | 5 | 9 | 3 | 6 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 9 | 6 | 5 | 8 | 3 | 2 | 4 | 1 |
| 2 | 8 | 5 | 4 | 1 | 9 | 7 | 6 | 3 |
| 4 | 1 | 3 | 2 | 7 | 6 | 9 | 8 | 5 |
| 5 | 7 | 2 | 9 | 4 | 8 | 3 | 1 | 6 |
| 9 | 3 | 1 | 6 | 2 | 5 | 4 | 7 | 8 |
| 6 | 4 | 8 | 7 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 |
| 8 | 6 | 4 | 3 | 5 | 2 | 1 | 9 | 7 |
| 1 | 5 | 7 | 8 | 9 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 9 | 1 | 6 | 7 | 8 | 5 | 4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 4 | 3 | 9 | 8 | 5 | 2 | 7 | 6 |
| 9 | 2 | 8 | 7 | 6 | 1 | 4 | 5 | 3 |
| 7 | 5 | 6 | 2 | 4 | 3 | 9 | 8 | 1 |
| 6 | 1 | 9 | 8 | 5 | 4 | 3 | 2 | 7 |
| 8 | 3 | 5 | 1 | 7 | 2 | 6 | 9 | 4 |
| 4 | 7 | 2 | 6 | 3 | 9 | 8 | 1 | 5 |
| 2 | 9 | 4 | 3 | 1 | 7 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 6 | 7 | 4 | 2 | 8 | 1 | 3 | 9 |
| 3 | 8 | 1 | 5 | 9 | 6 | 7 | 4 | 2 |

### * მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 8 | | | 6 | 5 | | |
| | 3 | | | 1 | | | | 6 |
| | 5 | | | 4 | | | | |
| 4 | | | 6 | 2 | | | | 9 |
| | | 6 | | 7 | | 3 | | |
| 7 | | | | | 3 | | | 8 |
| | | | | 6 | | | 5 | |
| 3 | | | | 5 | | | 1 | |
| | | 7 | 9 | | | 4 | | |

### ** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | | | 7 | | | 3 | |
| 2 | | | 4 | | | | 1 | |
| | 8 | | | | 9 | | | |
| 4 | | | | | | 1 | 9 | |
| 9 | | | | 4 | | | | 6 |
| | 3 | 5 | | 2 | | | | 8 |
| | | | 1 | | | | 2 | |
| | 7 | | | | 4 | | | 9 |
| | 9 | | | 3 | | | 7 | |

### *** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 3 | | | 1 | 6 | 7 | | |
| | | 5 | | | 7 | | 3 | |
| 8 | | | 4 | | | 9 | | |
| 3 | | | | | | | | |
| | | 4 | | 8 | | 2 | | |
| | | | | 6 | | | | 5 |
| | | 8 | | | 1 | | | 9 |
| | 6 | | 2 | | | 4 | | |
| | | 1 | 6 | 3 | | | 7 | |

# ფოტოკურიოზები













# მსოფლიო კულინარიის შედევრები

სიახლე!

რეცეპტები ნაბიჯ – ნაბიჯ – კერძის მომზადების ყველა ეტაპი დეტალურადაა აღწერილი და მოცემულია შესაბამის ილუსტრაციასთან ერთად.




6 - დან 13 ივნისამდე
სპეციალური ფასი 10 ლარი
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

სერიის წიგნები:

1. იტალიური სამზარეულო
2. მექსიკური სამზარეულო
3. არგენტინული სამზარეულო
4. ჩინური სამზარეულო
5. ფრანგული სამზარეულო
6. იაპონური სამზარეულო

... და სხვები



გაამოთ!


იტალიური სამზარეულოს სპონსორია
გუდვილი GOODWILL

# საუკეთესო პროდუქტები საუკეთესო ფასად

ნიკორა საფირმო



ძეხვი „მოყვარულთა" „ნიკორა"

~~2.90~~ **2.60**



სარდელი „პიცა" „ნიკორა"

~~7.50~~ **6.60**



ნიურნბერგის ბრატვურსტი „ნიკორა"

~~4.00~~ **3.50**



კარაქი „ჩვენი ფერმერი" 200გრ.

~~2.10~~ **1.85**



ლულა ქაბაბი „მზარეული"

~~5.50~~ **4.80**



კატლეტი ოჯახური „მზარეული"

~~6.30~~ **5.45**



ბრინჯი „მზარეული" 1 კგ.

~~1.65~~ **1.55**




მაკარონი „კორონა" 400 გრ

~~1.10~~ **0.90**




ტომატ პასტა „კულა" 750 გრ

~~3.70~~ **3.10**



ნაყინი ვანილით. „პალომა"

~~4.50~~ **3.90**

შეიძინე 100 გრ. ყავა და მიიღე 50 გრ. საჩუქრად!




~~5.80~~ **3.50**




ლუდი „ფრანცისკანერი"

~~3.00~~ **2.30**




# წიგნი

რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!

ხ 136/18

**13-დან — 20 ივნისამდე**



თომას მანი (ტომი I)

**27 ივნისიდან — 4 ივლისამდე**



თომას მანი (ტომი II)

**11-დან — 18 ივლისამდე**




მარკ ტვენი

**30 მაისიდან — 6 ივნისამდე**

წიგნი 14

მაინ რიდი

„უთავო მხედარი“

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

## წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

**უკვე გამოსული ტომები:** ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი, შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი, მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერიხ მარია რემარკი, ფრედერიკ ბეგბედერი, ედგარ პო, ჰომეროსი

**შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიტრა“ და მიიღეთ თითო ტომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელვა.ჯი